პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სანეკროლოგიო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 278 (2023)

დღიური

— ხანკოუში გამოცხადებულია სამხედრო წესები.
— ბერლინში გაემგზავრა პოლონეთის სამეურნეო წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია.
— ამხ. ლიტვინოვის საუბარს ჟენევაში საფრანგეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.
— ავსტრალიის დოკებში დაიწყო მუშათა გაფიცვა.
— გერმანიის მრეწველები ლოკაუტით ემუქრებიან სამთამადნო მუშებს.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა

საბჭოების გადარჩევა

საბჭოების მორიგი გადარჩევის კამპანია ჩვენში (ისე, როგორც მთელ ამიერკავკასიასა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში) დაიწყება მიმდინარე დეკემბერში, ხოლო უნდა გათავდეს მომავალ წლის აპრილში. აშკარაა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გავშალოთ მუშაობა ამ კამპანიის ჩატარებისათვის.

ამ რამოდენიმე წლის წინად წამოყენებულმა ლოზუნგმა „საბჭოების გამოცოცხლების" შესახებ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. უკანასკნელ წლებში ჩატარებულ არჩევნებმა და საბჭოების მუშაობამ ცხადყვეს, რომ საბჭოები სულ უფრო ხდებიან მშრომელთა ფართე მასების ნამდვილ ორგანოებათ და მათი საზოგადოებრივ- პოლიტიკურ აღზრდის სკოლად, რომ საბჭოების გადარჩევის კამპანიაში და მათ საქმიანობაში აქტიურად ებმება მუშათა და მშრომელ გლეხობის სულ უფრო მეტი რაოდენობა. ხსენებული ლოზუნგი სავსებით ძალაში რჩება მომავალ არჩევნებშიაც.

მისი განხორციელება პირველ ყოვლისა გულისხმობს ცოცხალ დაინტერესებას საბჭოების გადარჩევით და ამ გადარჩევის ისე მოწყობას, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველ მასის რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა. ამისათვის აუცილებელია, დაწვრილებით გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, სათანადო იდეურ კამპანიის და ადგილობრივ პირობებთან შესაფერისი ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობის დროიანად ჩატარება.

პირველ რიგში აქ დგას საანგარიშო კამპანიის ორგანიზაციის საკითხი. საანგარიშო კრებები, ისე, როგორც თვით საარჩევნო კრებები, უნდა მოეწყოს ისეთ დროს და ადგილას, რომ მასებს გაუადვილდეთ მათზე დაუბრკოლებლად დასწრება. ამ წვრილმანს ზოგჯერ ჯეროვანი ანგარიში არ ეწევა და საქმეც ფერხდება, რაც არ უნდა განმეორდეს. მაგრამ საანგარიშო პერიოდის მთავარი მომენტია საბჭოების მიერ თავის ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარება შესრულებული მუშაობის შესახებ. საბჭოებმა მთლიანად და თვითეულმა დეპუტატმა ცალკე ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. მასების წინაშე სავსებით და ნათლად უნდა იქნეს გადაშლილი საბჭოების მუშაობის როგორც მიღწევები, ისე უარყოფითი მხარეები. აქ ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს სინამდვილის რაიმე შელამაზებას. რამდენად შესრულდა წინანდელ არჩევნების დროს მოცემული „ნაკაზები", და ვინ უშლიდა ხელს მათ მთლიანად განხორციელებას, თუ ისინი სავსებით არ არიან გატარებულნი,— ყველაფერი ეს უნდა იყოს გამორკვეული.

ამავე დროს, თავის-თავად ცხადია, დასახული იქნება ახალი საბჭოების მუშაობის პროგრამა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ადგილობრივ, ისე საჭირბოროტო საკითხებს, ისე იმ ძირითად ამოცანებს, რომელნიც დგანან ეხლა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. საბჭოთა კავშირის თავდაცვა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სახაპარატის გაუმჯობესება, მომჭირნეობის დაცვა, ფასების დაკლება და მრავალი სხვა— ამ საკითხების გარშემო უნდა დავრაზმოთ ამომრჩეველთა საზოგადოებრივი აზრი. ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული მომავალი საარჩევნო კამპანია.

ანგარიშების განხილვაში ფართედ უნდა ჩავაბათ მშრომელი მასები. უნდა შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემენ და წააქეზებენ თავისი აზრები გამოსთქვან. ნამდვილი, მოურიდებელი საქმიანი კრიტიკის და საბჭოთა დემოკრატიის უზრუნველყოფა —ეს აუცილებელი პირობაა საბჭოების შემდგომი გაცხოველებისა და არჩევნების წარმატებით დამთავრებისათვის.

მოსალოდნელია, რომ, როგორ წინანდელ არჩევნებშიც, ეხლაც ანტი-საბჭოთა ელემენტები შეეცდებიან საბჭოთა დემოკრატიის ბოროტად გამოყენებას ასეთი ელემენტებია კულაკები, მენშევიკურად განწყობილი წრეები და სხვა პირები თუ ჯგუფები, რომელნიც ოქტომბრის რევოლიუციამ გარიყა. პოლიტიკურ ბრძოლას არჩევნების დროს უეჭველად ექნება ადგილი. კულაკების იერიშების მოსასპობად პირველ ყოვლისა აუცილებელია ზედმიწევნითი სისწორით იქნას დაცული ცნობილი ინსტრუქცია საარჩევნო სიიდან ყველა კულაკურ და საერთოდ არა პროლეტარულ ელემენტების გამორიცხვის შესახებ ისინი არ უნდა იქნან დაშვებული საარჩევნო კრებებზე. ამავე დროს კულაკების ლტოლვას, რომ გაძვრენ საბჭოებში და ისინი თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ უნდა დაუპირდაპირდეს ღარიბ-საშუალო გლეხობის ბლოკი. ამ ბლოკმა წარსულ არჩევნებში შესძლო კულაკების გარიყვა და ის ამას მით უფრო შესძლებს დღეს, როცა ამ მხრივ გამოცდილება უფრო მეტი გვაქვს. რაც შეეხება მომენშევიკო წრეებს, მათი შავი ზრახვები საჯაროდ უნდა გამოვაშკარავოთ მასების წინაშე. უკანასკნელთ კარგად აქვთ მათთვის კბილი გასინჯული და, ცხადია, ეხლაც არ წამოეგებიან მათ ანკესზე.

საარჩევნო კამპანიის ქრონოლოგიურად უკანასკნელი, მაგრამ მნიშვნელობით უდიდესი ნაწილია ახალი დეპუტატების არჩევა. როგორც საარჩევნო კრებებზე, ისე საბჭოებში და მათ ხელმძღვანელ ორგანოებში უნდა იქნან მოზიდული ღარიბ გლეხობის და გლეხ-ქალების უფრო მეტი რიცხვი, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ამასთან აუცილებელია, რომ მათი აქტიური მუშაობა ამ ორგანოებში უზრუნველყოფილ იქნას. საბჭოებში არ უნდა მოხვდენ არა მარტო კულაკები (ეს თავის თავად ცხადია), არამედ ისეთი პირებიც, რომელთაც წარსულში ვერ გამოიჩინეს საზოგადოებრივი მუშაობის საკმაო სურვილი და უნარი; საბჭოებში უნდა გავიყვანოთ პოლიტიკურად მტკიცე და მშრომელთა ინტერესების ერთგული ელემენტები. ყველაფერი ეს ადვილი საქმე როდია. ამიტომ საკანდიდატო პირების შერჩევას და განხილვას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ჩამოთვლილ ამოცანების გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადგილობრივი პარტორგანიზაციები საარჩევნო კამპანიას სწორ ხელმძღვანელობას გაუწევენ. მხოლოდ ასეთი ხელმძღვანელობით შეიძლება პარტიის ავტორიტეტის შემდგომი გაზრდა და საბჭოების მუშაობის უფრო გამოცოცხლება.

ვიმეორებთ, საარჩევნო კამპანია სულ მოკლე ხანში დაიწყება და ის უნდა გახდეს ჩვენი ყურადღების და მუშაობის ცენტრად.

იმპერიალიზმი და ჩვენი პოლიტიკა

განიარაღების კონფერენცია ჟენევაში მეტად დიდის სისწრაფით ჩატარდა რაიც არ ახასიათებს ამგვარ კონფერენციებს საზოგადოდ, რომლებზედაც მომაბეზრებელი ლაყბობა „მშვიდობიანობის" შესახებ დაუბოლოებლად გრძელდებოდა. იმ ფაქტორის როლი, რომელმაც სახელი გაუტეხა ჟენევის პიესის რეჟისორთა თვალთმაქციურ თინბჟზობას, ითამაშა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელმაც ნათლად განუცხადა „სახელმწიფოებს პარდაპირ ეთქვათ, რაც სათქმელი ქონდათ". სახელმწიფოებმა მაშინვე იგრძნეს, თუ რამდენად სახიფათო იყო მათთვის ბრძოლის დაწყება საბჭოთა დელეგაციასთან ომისა და მშვიდობიანობის, განიარაღებისა და შეიარაღების ძირითად საკითხებზე, და ამიტომ შეეცადენ სასწრაფოდ აღეკვეთათ დისკუსია.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟენევის კონფერენციას მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელოვანი საერთაშორისო—პოლიტიკური შედეგები და ეს ძირითადი შედეგები ზედმიწევნით უნდა იქნას აწონილ-დაწონილი.

მოგვცა თუ არა ჟენევამ რაიმე კონკრეტული ნაყოფი განიარაღების ან მილიტარიზმის შეზღუდვის დარგში? წასწია თუ არა წინ ჟენევამ მშვიდობიანობის საქმე თუნდაც ერთი ნაბიჯით. თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნაბიჯით? რა სალკვირველია, არა. არც ერთი ნაბიჯით. ჟენევამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ განიარაღების პრობლემა მისთვის წარმოადგენს ერთგვარ მოჯადოებულ წრეს, გადაუწყვეტელ ამოცანას. ჟენევა ჩიხში მოექცა და მან ვერც კი გაბედა გაეხსნა კამათი ამ საკითხის ირგვლივ. მან მორიგი მარცხი განიცადა.

მორიგი მარცხი განიცადა იმპერიალისტური მართველი წრეების პოლიტიკამ, რომელთათვისაც, ხალხის „დაბალი ფენების" სასურველად გადამუშავების თვალსაზრისით, ხანდახან სასარგებლოა პაციფიზმის ნიღაბით სარგებლობა. წინააღმდეგობამ სახელმწიფოებს შორის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და ყველა სხვა იმპერიალისტური ქვეყნები და საბჭოთა კავშირი) თავი იჩინა კონფერენციის დასაწყისშივე. საბჭოთა დელეგაციის დასწრების გამო განსაკუთრებით ნათლად იქნა გამოაშკარავებული მთელი ჟენევის ვოდევილის თვალთმაქცობა და თაღლითობა. იმის გამო, რომ კონფერენციას დაესწრო საბჭოთა დელეგაცია და მან გარკვეულად, კატეგორიულად დასვა საკითხი: განიარაღებულიყვენ ქვეყნანი, განიარაღებულიყვენ მთლიანად,—იმპერიალისტური პოლიტიკის ხელმძღვანელნი და მათი კრესა იძულებული გახდა განეცხადებია, რომ განიარაღების გეგმები „უტოპიურია"-ო. საბჭოთა დელეგაციის მიერ აღებული ხაზის მეოხებით შესაძლო გახდა, რომ თვით იმ მასებსაც კი, რომელთაც „ცოტათი" სწამთ თანამედროვე ბურჟუაზიის კეთილი მისწრაფებანი, განსაკუთრებით ნათლად შეეძლოთ დარწმუნდენ, თუ როგორ ცალიერ ლაყბობას წარმოადგენს მაღალ-ფარდოვანი ფრაზებით მტკიცება იმისა, თითქოს ერთა ლიგას, — ამ ერების მოტყუებისა და საერთაშორისო ინტრიგების ინსტიტუტს ამოქმედებს მშვიდობიანი ზრახვები, განიარაღების მიზნები.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი ხომ უარჰყვეს. იქნებ ეს ამტკიცებს იმას, რომ პოლიტიკური მარცხი განიცადა საბჭოთა დელეგაციამაც? არა, არ ამტკიცებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გველაპარაკნა ჩვენი დელეგაციის პოლიტიკურ მარცხზე, რომ ჩვენ, პაციფისტებისა ან სოციალ-დემოკრატების მსგავსად გვწამდეს განიარაღების შესაძლებლობა იმპერიალისტურ ნიადაგზე. მაგრამ ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით და ჟენევაში გამოსვლის დროსაც გაუსვით ხაზი იმას, რომ სრულიად უნაყოფოა ყოველგვარი პაციფისტური, განიარაღების და სხვა ცდანი, რამდენადაც დედამიწის ნ მეექვსედი ნაწილი იმპერიალისტურ ექსპლოატაციას განიცდის. საბჭოთა კავშირში არავის „გაცრუებია იმედი" ჟენევის კონფერენციის გამო, ვინაიდან ჩვენში არავინ არავითარ იმედს არ ამყარებდა ამ კონფერენციაზე.

კაპიტალისტური პრესა ბრაზით არის აღსავსე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი პროპაგანდა მშვიდობიანობის დასაცავად ჟენევის ტრიბუნიდან გავლენას ახდენს მასებზე.

ევროპის ყოველი მუშა, ყოველი პოლიტიკურად გაუწვრთნელი მუშა, სოციალ-რეფორმიზმის იდეურ ტყვეობაში მყოფი, ყოველი სინდისიერი მშრომელი, ზოგი წვრილი ბურჟუაც კი, რომელიც შევიწროვებულია სამხედრო გადასახადებით,—როცა გაეცნობა, თუნდაც ბურჟუაზიული გაზეთებიდან, საბჭოთა პროექტს სრული საყოველთაო განიარაღების შესახებ, შეეკითხება თავის-თავს: რატომ სწორედ საბჭოთა კავშირი ადგენს ასეთ პროექტს? რატომ გაბედეს საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მილიტარიზმის გამტკიცებული ტრადიციების დარღვევა? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სრულიად სხვაგვარი სახელმწიფოა. იმიტომ, რომ ის არის მუშათა კლასის სახელმწიფო,—ეს ერთად-ერთი და აუცილებელი პასუხი გაიელვებს ყოველი მუშის, მშრომელის გონებაში.

მეორე მხრით, ყოველი მშრომელი თავის თავს დაეკითხება: რატომ მოხდა, რომ იმპერიალისტებმა არამც თუ არ მიიღეს საბჭოთა წინადადებანი, არამედ ამ წინადადებებმა მათ პირზე ცოფი მოჰგვარა? რატომ მოხდა, რომ განიარაღების კონფერენციაზე ნამდვილი განიარაღების პროექტი უარყოფილია? იმიტომ ხომ არა, რომ ასეთია იმპერიალიზმის ბუნება, რომელსაც ვერ მოიშორებენ იმპერიალისტები? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი ნამდვილად ომისაკენ მიისწრაფვიან და მას ყოველ დღეს, სისტემატიურად ამზადებენ? განიარაღება მანამდე ვერ მოხერხდება, ვიდრე ასი მილიონობით ხალხი იმპერიალისტური ტახტის კვარცხლბეკთან არის განართხმული. მილიტარიზმთან ბრძოლა ამავე დროს ფინანსიური კაპიტალის რეჟიმთან პოლიტიკური ბრძოლაც უნდა იყოს—ასეთია პასუხი მეორე კითხვაზე.

ჟენევაში ჩვენი პოლიტიკის შედეგად გზადაგზა იქმნება ცოცხალი ლეგენდა საბჭოთა კავშირის „წითელი იმპერიალიზმის" შესახებ. გზადაგზა- და აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკოსებისათვის აუცილებელია საბჭოთა პროექტის „მოგერება", ბურჟუაზია იძულებული გახდა გაცხარებულ ვულზე წამოეროშა დიდის საიდუმლოებით დაცული ერთი მოტივი, რომელიც. მისი თვალსაზრისით, ხელს უშლის საყოველთაო განიარაღებას. ვსთქვათ,—მსჯელობენ ჩვენი ბურჟუაზიული მოწინააღმდეგენი,—საბჭოთა კავშირმა დაშალა თავისი არმია და განიარაღდა. მაგრამ მაშინ ჩვენ, ბურჟუებმა რაღა ვქნათო? მაშინ ხომ კომუნისტური პროპაგანდის პირობები, რამდენადაც იმპერიალიზმიც განიარაღდება, გაცილებით გაადვილებული იქნება. კაპიტალისტური „ცივილიზაცია" დაიღუპება, რაკი ცეცხლით და რკინით ველარ მოხერხდება ამოდალვა „კომუნისტური სენისა", რომელიც შეუჩერებლად მოედება მასებს. მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგების სწორედ ეს განცხადება წარმოადგენს მათ საკუთარ აღსარებას იმის შესახებ, რომ იდეური პასუხს ბოლშევიზმს ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ვერ გასცემენ

პოლიტიკური კურსი, რომელსაც საბჭოთა კავშირი უძნელეს საერთაშორისო პირობებში მისდევს, მკაფიოდ მოსჩანს აგრეთვე ჩვენს პოლიტიკაში პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მიმართ. არა ნაკლებ მკაფიოდ, ვიდრე ჩვენს პოზიციაში; რომელსაც ვიცავდით ჟენევის კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირი თავდაუსხმელობის სამშვიდობო ხელშეკრულებებს სდებს მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი იმპერიალისტური სახელმწიფოები ხელს აფარებენ „უშიშროების" ისეთ შეთქმულებებს, რომლებიც ზოგიერთი გულახდილი ბურჟუას სიტყვით, როგორც, მაგალითად ფრანჩესკო ნიტია; ნამდვილად წარმოადგენენ მომავალი ომების ხანძრის მიფერფლილ ნაკვერჩხალს. იმ დროს, როდესაც იმპერიალისტური დიპლომატია, მეტადრე ინგლისი, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გამწვავებით ხელის მოთბობის ცდილობს,—საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რომ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი ლიკვიდაცია მოხერხდეს.

პირველად საბჭოთა კავშირმა მიაქცია თავის დროზე ყურადღება იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებს მშვიდობიანობას პოლონეთ - ლიტვის „ინციდენტი". საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ გამოიყენა და ახლაც იყენებს მთელ თავის ძალ-ღონეს, რათა ხელი შეუშალოს პილსუდსკისა და კამპანიის ავანტიურის განხორციელებას, დამღუპველ სასაკლაოს მოსაწყობს. საბჭოთა კავშირმა ზეგავლენა მოახდინა ვარშავაზედაც და კოვნოზედაც თანდათან გაზრდილი კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის.

ახლა პოლონეთ - ლიტვის საზღვარზე შექმნილ საფრთხეზე ბევრმა დაიწყო ლაპარაკი (ინგლისური „სპექტატორი" დეკემბრის 3-ს სწერს: „ამ ღრუბლებში მზის შუქის გამონათებას ვერ ვხედავთ"; გერმანული „ბერლინერ ტაგებლატი" ნოემბრის 27-ს სწერს: „საქმე შეეხება არა ევროპაზე შუქის მომფენი მზის შემთხვევითის მოღრუბლვას, არამედ მუდმივ საფრთხეს, რომლის მუქარა ლიტვიდან მოდის; ინგლისი დაინტერესებულია, რომ პოლონეთი ძლიერი სახელმწიფო იყოს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის „მიზნით"). ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ყოველგვარი „რწმუნებისა", პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს არა აქვს დაშოშმინების ტენდენცია.

დღევანდელი დეპეშები ხელახლა გვატყობინებენ პოლონეთის სანაპირო ბანდების აგრესივობის ზრდას სადემარკაციო ხაზზე. პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზი კი ამჟამად ისეთი ხაზია, რომელიც ევროპაში საზღვრავს მშვიდობიანობის მდგომარეობას ომის მდგომარეობისაგან.

ჩვენი პოლიტიკა ჟენევაში, ჩვენი მტკიცე კურსი პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტის აუცილებელ და სწრაფი ლიკვიდაციისაკენ — ასეთია მილიონობით ადამიანების დამაჯერებელი დემონსტრაცია ჩვენი ხაზისა. ამ პოლიტიკამ აამაღლა და აამაღლებს ჩვენი კავშირის ავტორიტეტს არა იმდენათ საერთაშორისო დიპლომატიის ასპარეზზე, რამდენადაც, რაც უფრო მთავარია, მშრომელთა მასებისა და მშვიდობიანობისათვის ყველა პატიოსან მებრძოლთა თვალში.

„პრავდა", 7 დეკემბერი.

კამათის გაგრძელება ცეკას ანგარიშის გარშემო

5 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. არტიუხინას სიტყვა

არტიუხინა (მოსკოვი) თავის სიტყვაში ეხება ქალთა ფართო მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

— ჩვენი პარტიის და ცეკას სწორი პოლიტიკის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთს,—სთქვა მან,—წარმოადგენს მუშაობა ქალთა ფართო მასების ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში. ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია მუშა და გლეხ-ქალების საკავშირო ყრილობა. მუშა და გლეხი-ქალები, რომლებიც დაესწრენ ყრილობას, გამოხატავდენ სოფლისა და ქალაქის ფაბრიკებისა და ქარხნების ქალთა მასების განწყობილებებს. ყრილობაზე მუშა და გლეხი ქალები ამბობდენ, რომ ქალთა მასები სწორად სთვლიან ჩვენი პარტიის პოლიტიკას და მოელიან, რომ ჩვენი პარტია სწორად გადასჭრის ყველა საკითხებს, რომლებიც დასმულია მიმდინარე მუშაობის დღის წესრიგში. ყრილობამ ქალთა მთელი აქტივის სახელით, რომელშიაც ირიცხება 150.000 საბჭოს წევრი და 620.000 დელეგატი ქალი, წამოაყენა პარტიის წინაშე მუშა და გლეხ ქალების ყოფა-ცხოვრებითი განთავისუფლების ტემპის გაძლიერების ამოცანა. საჭიროა, რომ ქალთა ყოფა-ცხოვრებითი განთავისუფლების საკითხებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდენ საბჭოები, პროფკავშირები და კოოპერაცია. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ქალების შემადგენლობა გაიზარდა 70.000-ით. ჩვენს პარტიაში ქალთა რიცხვის ზრდასთან ერთად უნდა გაძლიერდეს მათი მონაწილეობაც ჩვენს პარტიულ ყრილობებზე. ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ თავისი ხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე და ამ მხრივ მაგალითი უნდა აიღონ ცეკასაგან.

ამხ. რაკოვსკის სიტყვა

ამხ. არტიუხინას შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. რაკოვსკი.

— საგარეო ურთიერთობათა დარგი—ამბობს ამხ. რაკოვსკი—წარმოადგენს ისეთ დარგს, სადაც საჭიროა პარტიის მაქსიმალური მთლიანობა. ჩვენი გარეშე მტერი ყველა მტრებზე უფრო საშიშია ჩვენი პარტიისა და პროლეტარულ დიქტატურისათვის. თუმცა ჩვენ გვიჭირავს დედამიწის ერთი მეექვსედი, მაგრამ ჩვენს მტერს უჭირავს ხუთი მეექვსედი. მას ხელში აქვს სახელმწიფო ხელისუფლება, კაპიტალი, უმაღლესი ტეხნიკა, უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება პროლეტარიატისა და კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის დარგში.

პლენუმის აგვისტოს სესიაზე პარტიის უმცირესობამ გააკეთა განცხადება, რომელიც მე დღეს უნდა გავიმეორო. გარეშე მტრის წინაშე, რომელიც გაილაშქრებს საბჭოთა კავშირის მთლიანობის, პროლეტარულ ხელისუფლების და მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ ჩვენ ყოველგვარ პირობის გარეშე დავუჭერთ მხარს პარტიისა და კომინტერნის ხელმძღვანელ ორგანოებს. მაგრამ ვინაიდან საგარეო საფრთხე ჩვენთვის ყველაზე უფრო დიდია, ჩვენ, ისე, როგორც თვითეული კომუნისტი, ვალდებული ვართ აღვნიშნოთ ხელმძღვანელობის შეცდომები და ნაკლი.

როდესაც ვუსმენ ამხ. სტალინის სიტყვას, ვკითხულობ სხვა ჩვენი ამხანაგების სიტყვებს ცეკადან, მე ვრწმუნდები, რომ მე-15 ყრილობაზე პარტია იმეორებს იმავე შეცდომას, რომელიც ჩვენ დავუშვით მე-14 ყრილობაზე საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში. მე არ დავუბრუნდები ამხ. რიკოვის, ტომსკის, ბუხარინის სიტყვებს, რომლებიც მათ წარმოსთქვეს ხარკოვში, ლენინგრადში, მოსკოვში. მე მხედველობაში მექნება მხოლოდ ამხ. სტალინის სიტყვა. მან ერთის მხრივ ჩამოსთვალა ის მიღწევები, შვეიცარიასთან ინციდენტის მოგვარების ჩათვლით, რომლებიც ჩვენ გვქონდა ორ წელიწადში, მეორეს მხრივ ის ლაპარაკობდა ჩინეთში დამარცხების შესახებ, ინგლისა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ და უკანასკნელ კონფლიქტის შესახებ საფრანგეთთან. მე ვაცხადებ, რომ ამ ორ ნაწილში არ არის თანაზომიერება. რომ თუ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ სექტორში ჩვენ გვქონდა მიღწევები, და მეორე სექტორში კი გვქონდა ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისთან, კონფლიქტი საფრანგეთთან, კონფლიქტი, რომლის შეფასების გარშემო თვით უმრავლესობაში არსებობს უთანხმოება. —მე ვამბობ, რომ ეს მეორე სექტორი ბევრად ჭარბობს პირველს. შემდეგ მე ვამბობ: „კიდევაც, რომ შეგვენარჩუნებია დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან და კიდევაც რომ არ გვქონოდა კონფლიქტი საფრანგეთთან, ჩინეთის რევოლიუციის დამარცხებამ მაინც ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომელმაც დაფარა მთელი ჩვენი დადებითი მიღწევები ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. ამხ. სტალინმა სავსებით სწორათ დასვა საკითხი მსოფლიო მუშათა მოძრაობის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა კავშირთან. დიაღ, ამხანაგებო, მუშათა კლასი არის ჩვენი ღერძი, როგორც პარტიისა და კომინტერნის, ისე სახელმწიფო პოლიტიკაში. ჩვენ ყველას გვესმის, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს დიპლომატიურ მანევრების ერთ-ერთ საშუალებას, შედარებითი ხასიათი აქვს მუშათა კლასზე გეზის აღების ძირითად მომენტის წინაშე. მაგრამ მე არ ვიზიარებ ამხ. სტალინის ოპტიმისტურ პროგნოზსა და შეფასებას. ამის შესახებ ჩვენ მოვისმინეთ ასეთი ფრაზა: „ჩვენ აღვნიშნავთ მუშათა კლასის სიმპატიების განუწყვეტელ ზრდას საბჭოთა კავშირის მიმართ"-ო. ასეთი ზოგადი ფორმით ეს ჩვენ არ გვაძლევს სწორ წარმოდგენას იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხდება საზღვარგარეთ. ამას შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს ჩვენ. მე ვამბობ, რომ თუ სიმპატიები ფართედ იზრდება, სამაგიეროთ ამ სიმპატების აქტივობა მცირდება და ეს არის ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ფაქტი ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკაში. აიღეთ ინგლისი. ჩვენ ინგლისთან კონფლიქტი გვქონდა 1923 წ. კერზონის ნოტის გარშემო. ჩვენ ინგლისთან სერიოზული ლაპარაკი გვქონდა 1924 წელში და ჩვენ ინგლისთან კონფლიქტი გვქონდა 1927 წელში. თვითეულს, ვინც თვალყურს ადევნებდა იმას, რაც ხდებოდა ინგლისში, არ შეუძლია არ აღნიშნოს მუშების პასივობა და გულგრილობა ინგლისთან უკანასკნელი კონფლიქტის დროს, რომელიც დამთავრდა დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტით. და ეს არის ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ფაქტი, რომელიც მოწმობს სოციალ-დემოკრატიული გავლენის ზრდას. კომუნისტურ პარტიისათვის მიცემულ ხმების ზრდასთან ერთად, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მუშათა კლასის აქტივობის შემცირება. ამ დამაფიქრებელ ფაქტის წინაშე მე არ შემიძლია დავკმაყოფილდე ზოგადი ხასიათის განცხადებით ჩვენდამი სიმპატიების ზრდის შესახებ. ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავის გამო სწარმოებს გაფთრებული იდეური შემოტევა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პრესის მხრივ. ერთ-ერთი ვითომ ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ"-ი თავის ყოველკვირეულ გამოცემაში, რომელიც დანიშნულია საზღვარგარეთ მყოფ გერმანელებისათვის, ამბობს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე საბჭოთა რუსეთის შესახებ ლაპარაკობენ, მაგრამ უკვე არა როგორც იდეოლოგიურ საფრთხის შესახებ. მის შესახებ ლაპარაკობენ, როგორც ყოველ სხვა სახელმწიფოს შესახებ. საბჭოთა კავშირი აღარ წარმოადგენს იდეოლოგიურ საფრთხეს. ამხანაგებო, მე თქვენ მიგითითებთ ამ დამაფიქრებელ ფაქტზე ეს არის ახალი მოვლენა ჩვენს საერთაშორისო სიტუაციაში. არასოდეს საბჭოთა კავშირი და კომუნისტური პარტია არ ყოფილა ისეთ იდეურ შემოტევის ობიექტად, როგორც დღეს.

შემდეგ ამხ. რაკოვსკის მოჰყავს მთელი რიგი ციტატები ბურჟუაზიულ გაზეთებიდან შინაპარტიულ უთანხმოებათა შესახებ და ამბობს

მსოფლიო იმპერიალიზმის ცდა პარტიის მემარჯვენე გადახრაზე დაყრდნობის, მდგომარეობს ეხლა იმაში, რომ გაგვაცალკევოს ჩვენ იდეურად მსოფლიო პროლეტარიატისაგან. ჩვენ, ყველას პარტიაში, გვახსოვს ილიჩის რჩევა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში საჭიროა მანევრების კეთება. კაპიტალისტური სახელმწიფოები ზოგჯერ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ვაწარმოებთ თამაშს მათ წინააღმდეგობებზე, მაგრამ ერთმანეთს შორის ისინი თვითონ მიმართავენ ამ მეთოდს. კიდევ უფრო უნდა ვაკეთოთ ეს ჩვენ. ჩვენ ვართ პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც სცხოვრობს განსაკუთრებულ, წარმოუდგენელ სიძნელეთა პირობებში. მაგრამ მანევრების დროს საჭიროა უწინარეს ყოვლისა ვიცოდეთ ამ მანევრების საზღვრები.

დროის გასვლის გამო, ამხ. რაკოვსკის სიტყვა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვან რეპლიკებს და ხმაურობას სწყდება. სიტყვა ეძლევა ამხ. რუძუტაკს.

ამხ. რუძუტაკის სიტყვა

მარქსმა სადღაც სთქვა,—ასე დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. რუძუტაკმა,—რომ შეიძლება წვრილი მედუქნე არ იყო, მაგრამ წვრილი ბურჟუაზიის სულისკვეთებას კი გამოხატავდეო. მე მგონია, რომ ამხ. რაკოვსკის გამოსვლამ ბრწყინვალედ დაადასტურა ეს აზრი, რადგან მთელი მისი სიტყვა ტიპიური წვრილი მედუქნის სიტყვა იყო, თუმცა, მე ვფიქრობ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თვითონ რაკოვსკი ჯერჯერობით წვრილი მედუქნე არ არის.

მისი პირველი განცხადება შეეხება იმას, რომ ამჟამად საგარეო საფრთხე ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ძალიან კარგი იქნებოდა რაკოვსკისათვის და პარტიისათვის, თუ ის ამ ჭეშმარიტებას თუნდაც თვენახევრის წინათ შეიგნებდა; განა ახლახან არ იყო, რომ რაკოვსკი, ტროცკი და ოპოზიციის ყველა სხვა ბელადები სხვა აზრისა იყვნენ: ისინი ფიქრობდენ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე უდიდეს საფრთხეს პარტიის ცეკა წარმოადგენს. მხოლოდ ახლა, მე-15 პარტიულ ყრილობაზე, უმრავლესობის მაგიერ, რომლის იმედი ჰქონდათ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, ერთი ხმაც არ გააჩნიათ, ოპოზიციის ბელადებს ისეთი მანევრების მოხდენა სურთ, რომ, თუ რასმე ვერ შეიძენენ, რამეს მაინც შეინარჩუნებენ. მაგრამ ახლა ხომ საკმაოისი აღარ არის განაცხადო მე-15 ყრილობაზე, რომ საგარეო საფრთხე ყველაზე დიდი საფრთხეა და პარტიას მხარს დავუჭერთო. ეგღა გაკლდათ, რომ გამოსულიყავით და გეთქვათ: პარტიასა და მუშათა კლასს ბურჟუაზიის შემოტევის წინააღმდეგ მხარს არ დავუჭერთო. კარგი კი იქნებოდა ის კომუნისტი, რომელიც დეკლარაციით გამოვიდოდა პარტიული ყრილობის წინაშე და იტყოდა, მხარს დავუჭერ პარტიასა და მუშათა კლასს მტრების შემოტევის მოსაგერიებლადო! ამ მხრით ჩვენ მოვისმინეთ უფრო მეტი ნეთესაური სიტყვები უპარტიო მუშებისაგან, რომლებიც მიესალმენ მე-15 ყრილობას; ამიტომ უცნაურზე-უცნაური და სასაცილოა ამხ. რაკოვსკის განცხადების მოსმენა იმის შესახებ, რომ ისინი ახლა მხარს დაგვიჭერენ.

მიოხმეთ, თუ დღევანდლამდე როგორ გვიჭერდა ოპოზიცია მხარს სწორედ იმ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც აქ ამხ. რაკოვსკი გულზე ხელის ცემით ლაპარაკობდა. მე ხელთა მაქვს გუშინდელი გაზეთიდან ამოღებული ციტატა შემდეგი შინაარსისა: „თუმცა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ მრავალჯერ უარჰყო, მაგრამ პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლასთან დაკავშირებით უცხოეთის პრესა, რომელსაც ასაზრდოებს ბნელი წყაროები, კერძოდ რუმინიისა, ავრცელებს ცნობებს წითელი არმიის აჯანყებათა და ამბოხებათა შესახებ, რომელთაც, ვითომდა, ადგილი აქვთ უკრაინაში და. ვითომდა, მათ დიდის გაჭირვებით აქრობენ წითელი არმიის ერთგული ნაწილები და სახ. პოლიტიკური სამმართველოს ჯარები". ეს არის ოპოზიციის მხარის დაჭერის შედეგი, ეს არის, სხვათა შორის, შედეგი იმისა, როცა რაკოვსკი გამოდის საზღვარგარეთელი დელეგატების წინაშე და აცხადებს, რომ ჩვენ პარტიაში ფაშისტები გვყავანო. ჩვენ შეგვიძლია მადლობა გადაუხადოთ რაკოვსკის, ტროცკის და ზინოვიევს იმისათვის, რომ თუ ინტერვენციის საფრთხე გაძლიერდა, სწორედ ოპოზიციის „მხარის დაჭერის" წყალობით გაძლიერდა, იმ ოპოზიციის, რომელიც ასაზრდოებს ბურჟუაზიის იმედებს ჩვენს შინაურ შესუსტებაზე, ჩვენს შინაურ რღვევაზე, ჩვენს ნგრევაზე, რაც წარმოადგენს საუკეთესო მხარის დაჭერას ბურჟუაზიული ცილისწამებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან აქამდე ოპოზიციის გამოსვლები, ის ბრძოლა, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, დაწყებული იყო ცეკას და პარტიის დასასუსტებლად. მით უმეტეს სასაცილოა იმის მოსმენა რაკოვსკისაგან, რომ სისუსტის გამოჩენა ამის საფრთხის გადადებას კი არ მოასწავებს, არამედ მოახლოებასო. თქვენ კი რას ლაპარაკობდით მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ძლიერების შესახებ? მე-14 ყრილობიდან მოკიდებული ყოველ გზა - ჯვარედინზე იმას გაჰკიოდით, რომ ჩვენი მეურნეობა ირღვევა, მუშათა კლასის მდგომარეობა უარესდება, გლეხობის მდგომარეობა უარესდება, კულაკების საფრთხე იზრდება, მუშებს პირი აკრული აქვსო, პარტიაში „დერჟიმორდობა" და ფაშიზმი ძლიერდებაო, თქვენ, ჩვენი სისუსტის გარდა, სხვას არაფერს ლაპარაკობდით.

თქვენ ყველაფერს ამას ამბობდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიზრდებოდით და ვძლიერდებოდით. ამიტომ სასაცილოზე - სასაცილოა ამხ. რაკოვსკის განცხადება, რომ ჩვენ სისუსტე გამოვიჩინეთ ომის არგამოცხადებით საფრანგეთისათვის იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ მოისურვა ამხ. რაკოვსკის დატოვება თავის სახელმწიფოში. თვითონ რაკოვსკი ერთ დროს გვიჩვენებდა, რომ კონფლიქტი არ შეგვექნა, ახლა კი, თურმე ნუ იტყვით, სისუსტის გამოჩენა ყოფილა, რომ ჩვენ რაკოვსკის გულისათვის საფრანგეთს ომი არ გამოუცხადეთ. თქვენ ორი წლის განმავლობაში ყველას ყურებს უჭედავდით, იმის მტკიცებით, რომ თითქოს ჩვენში ყველაფერი ინგრევა, რომ იოლად დამარცხება არავის გაუჭირდება. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ინტერვენციის ახალ საფრთხეს გვიქმნით? ამ საფრთხის შექმნაში თქვენ უფრო მეტი წილი მიგიძღვით, ვიდრე სხვას ვინმე. უცხოეთში თქვენ მოამზადეთ ნიადაგი იმ აზრისათვის, რომ ახლა საბჭოთა კავშირი იმდენად დასუსტებულია, რომ ახალი ომიაშიში არ არის რომ არის იმედი საბჭოთა კავშირზე გამარჯვებისა. განა უცხოელ გაზეთების ყველა ჭორებს და ჩვენზე თავდასხმის მზადებას, არ ასაზრდოებს ის ინფორმაცია და ცილისწამება, რომელსაც ოპოზიცია ჩვენი ქვეყნისა და პარტიის შესახებ ავრცელებს?

თურმე ამხ. რაკოვსკიმ იმიტომ ვერაფერი სთქვა ამხ. სტალინის გამოსვლის არსებითი მხარის შესახებ, რომ რაკოვსკისათვის აკუსტიკური პირობები ცუდი ყოფილა. მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც სპეციალური ოპოზიციური სიყრუე უნდა იყოს. ერთხელ და ორჯერ ხომ არ გაუგონია მას ამხ. სტალინისაგან პარტიის აზრი ოპოზიციის შესახებ, ამ ოპოზიციური ავადმყოფობის განკურნების ზომების შესახებ. ამაზე ხომ მთელი პარტია ლაპარაკობს, აგერ, უკვე ორი წელიწადია. ნუ თუ რაკოვსკის ისე მაგრად აქვს ყურები დალუქული, რომ მან ვერ გაიგონა პარტიის ხმა, ვერ გაიგონა ის, თუ რას ფიქრობს პარტია ოპოზიციის შესახებ, და მე-15 ყრილობას სხვა ვერაფერი უთხრა გარდა უპადრუკი წვრილ-მედუქნური ტიკტიკისა. რა გზას გვიჩვენებს ოპოზიცია? რა საშუალებით გვირჩევს ამ ავადმყოფობის განკურნებას? ის ლაყბობა, რომლითაც რაკოვსკი აქ გამოვიდა, ეს დაცვა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ჩვენთვის საჭირო არ არის, ასეთი დაცვისაგან ჩვენ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავთავისუფლდეთ.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ოპოზიცია ბრალს გვდებდა ჩვენ ნაციონალურ შეზღუდულობაში—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის გამო. რაკოვსკიმ კი დღეს რა განაცხადა? ის ამბობს: „მე არ ვიზიარებ ამხ. სტალინის ოპტიმიზმს იმ საკითხში რომ უცხოეთში იზრდება მუშათა კლასის სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ". „იქ, —რაკოვსკის სიტყვით,—სულ უფრო და უფრო გულგრილად უყურებენ საბჭ. კავშირს" ეს, ამხ. რაკოვსკი, ნიშნავს თქვენს სრულ გაკოტრებას. თუ თქვენ მიდით იქამდე, რომ თითქო არ არის არავითარი იმედები დასავლეთ-ევროპის მუშების სიმპატიების მოპოებაზე, მაშინ ჩვენი რევოლიუცია, პარტია და მუშათა კლასი მოექცევა ჩიხში და ამ მხრივ არავითარი პერსპექტივები ჩვენს რევოლიუციას არა აქვს. სრულიად ბეცი უნდა იყო, რომ მიეცე იმ პანიკას, რომელმაც შეიპყრო რაკოვსკი იმასთან დაკავშირებით, რომ მას არც ერთი ხმა არ აქვს ყრილობაზე და მართლაც შეუძლებელია ასეთი რამ: გუშინ ჩვენ ბრალს გვდებდენ ნაციონალურ შეზღუდულობაში იმის გამო, რომ დარწმუნებული ვიყავით სოციალიზმის შესაძლებლობაში ჩვენს ქვეყანაში, დღეს კი აცხადებენ, რომ არავითარი სიმპატიებით უცხოეთში ჩვენ არ ვსარგებლობთ, რომ არავითარი დახმარება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მუშების მხრივ ჩვენ არა გვაქვს. აქ თქვენ გახასიათებთ სრული ურწმუნობა მუშათა კლასის სოლიდარობისადმი მე მაინც ვფიქრობ, რომ თქვენს აგიტაციას იქ, საზღვარ-გარეთ არ გაუდგამს ისეთი ღრმა ფესვები, რომ მართლა წაერთვა ჩვენთვის—პარტიისათვის და საბჭოთა კავშირისათვის დასავლეთ-ევროპის მუშების სიმპატიები. ეს, ამხ. რაკოვსკი, მართლა ნიშნავს, რომ თქვენთვის სრულიად უცხოა მუშათა კლასისა და მუშათა ორგანიზაციების ცხოვრება ჩვენში და უცხოეთში. თქვენ ვერ ხედავთ იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენში და იქ. თქვენ ვერ ამჩნევთ, თუ როგორ იზრდება ახალი რევოლიუციონური ტალღა იმ ეკონომიური ცვლილებების ნიადაგზე, რომლებსაც ადგილი აქვს დასავლეთ-ევროპაში, რომლებსაც ადგილი აქვს უცხოეთში. და განა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ახალი საფრთხე არ არის ნიშანი იმის, რომ ნიადაგი ირყევა კაპიტალისტურ სამყაროს სტაბილიზაციის ქვეშ, რომ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც აშკარავებენ არა მარტო კაპიტალის ახალ შემოტევას, არამედ ახალ რევოლიუციონურ ტალღასაც. რომ ჩვენ არავითარი იმედები არ გვქონდეს დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის სოლიდარობის, განა ჩვენ მაშინ შეგვეძლო ლაპარაკი, რომ განვაგრძობთ სოციალისტური მეურნეობის, სოციალისტური სახელმწიფოს შენებას? განა შეგვეძლო ლაპარაკი მსოფლიო რევოლიუციაზე? ამხ. რაკოვსკიმ იგი დღეს უარჰყო. მისთვის დღეს უკვე აღარ არსებობს ის, რასაც იგი გვისაყვედურებდა გუშინ.

ასეთივეა ამხ. რაკოვსკის დაბნეულობა, როცა იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ აფასებენ საბჭოთა კავშირს საზღვარ-გარედ. „კელნიშე ცეიტუნგი" ან სხვა, რომელიღაც ბურჟუაზიული გაზეთი ამბობს: „ათი წლის თავზე რუსეთის შესახებ არ შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც იდეურ მტერზე, არამედ როგორც ყოველ სხვა სახელმწიფოზე". და იქვე, შლის თავისი შპარგალკის ფურცელს, ამხ. რაკოვსკი ამბობს: „რუსეთი არასოდეს არ ყოფილა ისეთი იდეური იერიშების ობიექტი, როგორც ამ ჟამადო". რაშია საქმე ამხ. რაკოვსკი, რა დაგემართათ? როცა ასე იბნევით, უკეთესი არ იქნებოდა, რომ მორიგი ოპოზიციონური გამოსვლის წინ შპარგალკის წაღების ნაცვლად თან წაიყვანოთ მრეცხავი? (სიცილი).

მე აღარ შევჩერდები ამხ. რაკოვსკის გამოსვლაზე. მე მინდა მოკლედ შევეხო იმ ახალ დოკუმენტს, რომელიც ოპოზიციამ შეიტანა ყრილობის მიერ არჩეულ კომისიაში. ეს დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ მას, კომისიის მოხსენების მოსმენამდეც კი. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო ყალბი, თვალთმაქცური და გაიძვერული ყველა იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც კი შექმნა ოპოზიციამ საერთოდ, არის სწორედ ეს დოკუმენტი, რომლითაც იგ მოვიდა მე-15 ყრილობაზე ვითომც შერიგების მიზნით. მე ბოდიშს ვიხდი უსისტემობისათვის, მაგრამ შევჩერდები დოკუმენტის მხოლოდ ცალკე ადგილებზე და მოკლედ შევეხები მათ.

პირველი,—სრულიად სასაცილო დაშინებაა, როცა ისინი ამბობენ: „ამავე დროს შინაპარტიული ბრძოლის განვითარებამ უკანასკნელ ხანებში აშკარად საფრთხის წინაშე დააყენა პარტიის მთლიანობა".

სცრუობთ! ოთხი ათასი ინტელიგენტის წასვლა მილიონიანი პარტიიდან არ არის პარტიის გათიშვა. ჩვენი პარტია ახლდება და იწმინდება განუწყვეტლივ, იგი თავის წრიდან განუწყვეტლივ მიერეკება უვარგის ელემენტებს და იღებს ახალ კადრებს. ეს განახლება მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს არა 4 ათასი კაცის ფარგლებში, არამედ რამოდენიმე ათასი კაცის ფარგლებში. განა ამით პარტია არ იზრდება და არ იწმინდება? არა, იგი ყოველ დღე იზრდება რიცხობრივად და თვისობრივად, მტკიცდება იმიტომ, რომ იგი თავისი პრაქტიკული მუშაობით და პოლიტიკური გამოცდილებით თანდათან იწმინდება ყოველივე იმ ნაგვისაგან, რომლითაც იჭრებიან მის ორგანიზმში. სწორედ ეხლა მოხდა პარტიის მორიგი გაწმენდა 4 ათასი სრულიად უვარგისი მთლად დამპალი ინტელიგენტისაგან. განა ეს არის ჩვენი პარტიის დაშლა? ამიტომ, თქვენ, ძვირფასო ოპოზიციონერებო, ვერავის ვერ შეაშინებთ „საშინელი" ფრაზებით იმის შესახებ, რომ თითქოს მოსალოდნელია ჩვენი პარტიის გათიშვა. არა, არავითარ განხეთქილებას არ ექნება ადგილი.

შემდეგ ისინი ამბობენ: „ჩვენი შეხედულებებისათვის ბრძოლაში ჩვენ დავდექით ფრაქციულობის გზაზე"-ო. არ არის მართალი, რომ თითქოს თქვენ შესდექით ფრაქციულობის გზაზე, თქვენ შესდექით რეაქციონობის გზაზე, და ამიტომ მთელ თქვენ მუშაობას, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ჯერ კიდევ ყრილობამდე და ყრილობის წინ დისკუსიამდე, არაფერი საერთო არ ჰქონია ჩვეულებრივ ფრაქციულ ბრძოლასთან. ეს იყო ტიპიური ბრძოლა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ თქვენი განცხადება, რომ თქვენ დადექით ფრაქციულობის გზაზე, ეს არის მელიას ცდა დაფაროს კვალი. თქვენ ამით ვერაფერს დაფარავთ, ყოველივე ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ ყველა ფაქტები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია. არავის და არასოდეს არ მოუტანია ჩვენი პარტიისათვის იმდენი ზიანი, რამდენიც თქვენმა მუშაობამ. ეს არ არის ფრაქციული მუშაობა, ეს არის ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა მუშაობა და ამიტომ

ყრილობის დარბაზიდან

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი

საბოლოო სიტყვაში ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ ოპოზიციონერ-ორატორების ყველა სიტყვებიდან ყველაზე უფრო ყალბი სიტყვა იყო კამენევის სიტყვა, ხოლო ევდოკიმოვის და მურალოვის სიტყვებში არაფერი დამახასიათებელი არ ყოფილა. დეე შეუნდოს მათ ალლახმა, რამეთუ არ უწყიან, რას როშავენ.

რაკოვსკის სიტყვაში შეიძლება აღინიშნოს ოთხი მომენტი: პირველი საკითხი ომის შესახებ; მეორე—ოპოზიცია პარტიის მემარცხენე ფრთაა; მესამე—ოპოზიცია პირდება პარტიას მხარი დაუჭიროს მას ომიანობის შემთხვევაში; მეოთხე— ოპოზიცია წინასწარ ხედავს თუ დაღუპვას არა, პარტიის ნაკლოვანებებს მაინც. რაკოვსკიმ მოსკოვის კონფერენციაზე ომის შესახებ სისულელეს როშავდა, მას ყრილობაზე სურდა ამ ნაროშავის გამოსწორება, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იროშა.

შემდეგ სტალინმა სთქვა, რომ უკვე დამტკიცებულია, რომ ოპოზიცია დაექანა მენშევიზმისაკენ, დამტკიცებულია, რომ ოპოზიცია გახდა იარაღი მესამე ძალის ხელში. რაც შეეხება დახმარებას, ჩვენ თქვენი დახმარება არ გვინდა, მხოლოდ ნუ უშლით ხელს პარტიას. რაც შეეხება საფრთხის წინასწარი დანახვას პარტიის დაღუპვაზე ადრე უმჯობესია ოპოზიციამ თავისი დაღუპვა დაინახოს და გაითვალისწინოს. პრეტენზიები ხელმძღვანელობაზე. ამ ადამიანებმა მცირე საქმის ხელმძღვანელობა ვერ შესძლეს. ათრიეს თავისი ჯგუფი დამარცხებიდან დამარცხებამდე და ბოლოს მივიდენ საბოლოო გაკოტრებამდე. როგორ შესძლებდენ ისინი დიდ. საქმის ხელმძღვანელობას? ყველა დანარჩენი საკითხები —საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, საკითხი ტერმიდორის შესახებ, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის შესახებ —კამენევმა განზე დასტოვა. განა მას ჰქვია საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, განა ასე შეიძლება საერთო ენის გამონახვა?

კამენევის სიტყვა —ეს პარტიის მოტყუების ცდაა. ოპოზიციას ორი სახე აქვს— ფილისტერული და მენშევიკური. როცა პარტია უტევს —ოპოზიცია გვიჩვენებს ფილისტერულ სახეს, ხოლო როცა არ უტევს —მენშევიკურს, თავი დაანებეთ ასეთ ქცევას და ილაპარაკეთ, როგორც პარტიის წევრებმა.

კამენევმა განაცხადა, რომ პარტიის ტრადიციების მიხედვით სავალდებულო არ არის იდეური უკან დახევაო. განა კამენევს დაავიწყდა მუშაოა ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებული ზომები? აბა რატომ იქნა გამორიცხული ოსოვსკი, რატომ გამორიცხეს კორსი? მენშევიზმამდე დაქანებული ხალხი უნდა გავიდეს პარტიიდან, თუ კი მათ არ სურთ უკუაგდონ მენშევიკური შეხედულებები!

პრინციპიალობის შესახებ, რომელზედაც კამენევი ლაპარაკობდა. არ შეიძლება ითქვას, თითქოს ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი პრინციპიალური იყვნენ. ამხ. სტალინს მოჰყავს მაგალითი, როგორ უარყოფდენ ისინი თავიანთ შეხედულებებს. ცოტა ხნის წინად ტროცკიმ ბრალი დასდო ცეკას უზურპატორობაში, ზედაფენების მიერ ხელისუფლების მითვისებაში. სიტყვა-სიტყვით ასეთი ბრალდება წაუყენა ტროცკიმ ლენინს 1912 წელს, როცა ლენინმა პრაგაში ორგანიზაციულად დარაზმა ბოლშევიკები,ხოლო იმავე ხანებში მენშევიკები შეიკრიბენ ვენაში კონფერენციაზე. ტროცკიმ, რომელიც აგვისტოს ბლოკს მეთაურობდა, მიმართა მეორე ინტერნაციონალს განცხადებით,სადაც იგი არწმუნებდა მეორე ინტერნაციონალს, რომ ლენინმა პარტიის დროშას უზურპაცია მოახდინა.ხოლო 1917 წელს კი მუცლით მიხოხდა ამ „უზურპატორთან". არ არსებობს გარანტია, რომ ტროცკი მომავალშიდაც არ უარყოფს თავის შეხედულებებს.

ვის სჯერა ზინოვიევის და კამენევის პრინციპიალობა? არავინ ისე ადვილად არ იცვლიდა თავის შეხედულებებს, როგორც ისინი, ამგვარად, ჩვენი მოთხოვნა— უკუაგდონ მენშევიკური შეხედულებები არც ისე მძიმე და ძნელი შესასრულებელია.

პარტიაში განმტკიცდა აზრი, რომ ოპოზიციის შეხედულებები მენშევიკურია, რომ ეს შეხედულებები შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან. რა საფუძველი აქვს ოპოზიციას მოითხოვოს, რომ პარტიამ უარი სთქვას ასეთ შეხედულებებზე.

„თუ თქვენ უკუ არ აგდებთ თქვენ მენშევიკურ შეხედულებებს,— ამბობს ამხ. სტალინი, —მოგონებაც კი აღარ დარჩება თქვენს შესახებ ჩვენს პარტიაში".

ოპოზიცია ლაპარაკობს პარტიის ტრადიციის შესახებ. მეორე პარტიის ორგანიზაცია, არალეგალური სტამბა, ბლოკი ბურჟუაზიული ინტელიგენციასთან, რომელიც კონტრ- რევოლიუციასთან არის დაკავშირებული, — განა ყველაფერი ეს პარტიის ტრადიციებია? რა უფლება აქვს ოპოზიციას ილაპარაკოს ტრადიციების შესახებ.

ოქტომბრის ათი წლის თავზე დემონსტრაციის მოწყობის ცდა რით განსხვავდება ესერული გამოსვლისაგან. აქ თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ჩვენ თქვენს მიმართ გამოვიჩინეთ ლმობიერება და უდიდესი სულგრძელობა. ლაპარაკობენ მთლიანობაზე, ხოლო უკანასკნელ დღემდე არალეგალურად იკრიბებიან, სხვათა შორის, ასეთი შეკრება მოხდა ყრილობაზე შეტანილი განცხადების გამო. ეს არის ჟულიკობა, ავანტიურიზმი, შულერობა. ოპოზიციონერებს სურთ მთლიანობა პარტიასთანაც და შჩერბაკოვსა და რუტ ფიშერთანაც.

პარტია ცდილობდა ყოველნაირად, რომ შეენარჩუნებია ოპოზიციონერები პარტიისათვის.

ოპოზიციამ ქედი უნდა მოიხაროს პარტიის წინაშე, ჩვენ ვიმეორებთ ლენინის ლოზუნგს: „ბოლო უნდა მოეღოს ოპოზიციას". დეე, დაგვეხმარონ ისინი ამ ლოზუნგის განხორციელებაში. ნამდვილი მთლიანობის მაგალითს გვიჩვენებს ჩვენი პარტია. პარტიის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ 99,5 პროც. მიმხრობოდა პარტიას და მხოლოდ ნახევარი პროცენტი— ოპოზიციას. ყრილობაზე არ არის არც ერთი ოპოზიციონერი-დელეგატი.მთელ მსოფლიოში არ არსებობს ასეთი მთლიანობა. დაგვნებდით და განიარაღდით, თუ არ გსურთ თქვენი საბოლოო პოლიტიკური დაღუპვა.

არაფერი არ არის გასაკვირველი იმაში, რომ ოპოზიციის ბელადები თვითონ სდევნიან თავის თავს პარტიიდან. პარტიის ისტორიაში დიდ გარდატეხათა დროს მას ყოველთვის შორდებოდენ ბელადები. 1903 წ. ხელმძღვანელ ხუთეულს ჩამოშორდა პლეხანოვი და სხვები. დარჩა მხოლოდ ლენინი. რამდენი გოდება იყო ამის გამო! ისტორიამ რამოდენიმე წლის შემდეგ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი პარტია ამ ოპერაციის გარეშე ვერ გამოვიდოდა წინსვლის გზაზე. დიდი გარდატეხა იყო 1907— 8 წელშიც, როცა უკან უნდა დაგვეხია, მაშინ ჩამოგვშორდენ მთელი რიგი გამოჩენილი ბოლშევიკები— ალექსინსკი და სხვები. ლენინს არ უტირნია. ის ამბობდა: „ჩქარა აიბარგეთ"-ო, და თუ ეხლა ჩვენგან მიდიან ზოგიერთი ძველი ბელადები, რომელნიც გამოიფიტენ, სწორედ მათი გზაც იქეთ არის.

შემდეგ ყრილობამ **ერთხმად** მიიღო რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის შესახებ. ერთხმად მიღებული რეზოლიუცია — ჩვენი პარტიის მთლიანობის დემონსტრაციაა. ყრილობამ მთლიანად მოიწონა ცეკას პოლიტიკური და საორგანიზაციო ხაზი. რეზოლიუციაში ნათქვამია.

„ოპოზიციის იდეოლოგია, რომელმაც აშკარად შეჰკრა ბლოკი საერთაშორისო კომუნიზმის რენეგატებთან —მასლოვთან, საპრონოვთან და სხ., ამჟამად ჩამოყალიბდა როგორც **მენშევიკური იდეოლოგია**, თავისებური ტროცკისტული ფორმულიროვკით".

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ყოველი ოპოზიციონერის წინაშე სვამს ამოცანას: ან განიარაღდეს ან გავიდეს პარტიის რიგებიდან.

რეზოლიუციაში ნათქვამია: „იღებს რა მხედველობაში, რომ უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის ტაქტიკურიდან გადაიქცა პროგრამულ უთანხმოებად, რომ ტროცკისტული ოპოზიცია ობიექტიურად გახდა ანტი-საბჭოთა ბრძოლის ფაქტორი, მე-15 ყრილობა აცხადებს, რომ ტროცკისტული ოპოზიციისათვის მხარის დაჭერა და მისი შეხედულებების გაზიარება შეუთავსებელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან". ასეთია ყრილობის გადაწყვეტილება.

* * *

ამხ. ორჯონიკიძე, რომელსაც ყრილობა შეხვდა მქუხარე ტაშით, შეჩერდა საკითხზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დამოკიდებულების შესახებ ოპოზიციასთან. ამხ ორჯონიკიძემ აგრეთვე წამოაყენა პრობლემა „ან ერთი, ან მეორე", (ან სრული იდეური განიარაღება, ან პარტიის რიგების დატოვება). მით უმეტეს, რომ ყრილობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეუთავსებელია ტროცკისტულ ოპოზიციის მიმდევრობა საკავშირო კომპარტიის რიგებში ყოფნასთან.

კამენევი არ უარყოფდა ფრაქციის არსებობას. ფაქტები ამტკიცებს ორი პარტიის არსებობას. დღემდე ოპოზიცია აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას. ოპოზიციის განცხადებაში 26 ნოემბრის თარიღით, კუზოვნიკოვი დახასიათებულია, როგორც გამცემი. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთ პატიოსან ოპოზიციონერს არ შეუძლია პარტიის რიგებში დაბრუნება ისე, რომ მას არ უწოდონ გამცემი.

დასაშვებია თუ არა ეს? ეს არის კავშირის გაწყვეტა პარტიასთან. ეს მაშინ, როდესაც კამენევი აცხადებდა,რომ ოპოზიცია არ დაუშვებს აპელიაციას უპარტიო მუშებისადმი. ფაქტიურად ოპოზიცია მიმართავს მესამე ძალას.

შეასრულა თუ არა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ლენინის დირექტივები? ცენტრალური საკონტროლო კომისია მტკიცედ იდგა მთლიანობის სადარაჯოზე. ოპოზიციონერებს უნდოდათ, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, როგორც ცუდ მაჭანკალს, გაერიგებია პარტია ოპოზიციასთან. ოპოზიციონერებს უნდოდათ, რომ ჩვენ შეგვეწყვიტა ბოლშევიკობა.

ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა დაგვეცვა პარტიის მთლიანობა.

ამხ. ორჯონიკიძემ ასწერა ოპოზიციასთან ბრძოლის მთელი მსვლელობა მე-14 ყრილობიდან და მოუთხრო ყრილობას, თუ როგორ მთელი დღეებით და კვირეებით მუშაობდა ცენტრალური საკონტროლო კომისია ცალკე ოპოზიციონერების საქმეზე. შეიძლება ჩვენ კიდეც გვკითხონ, თუ რა საფუძვლით აღვადგინეთ ჩვენ გამორიცხულთა 90 პროცენტი კერძოდ საქართველოში ისინიც კი აღვადგინეთ, ვინც გამორიცხული იყო პარტიიდან და ღირსიც იყო ამ გამორიცხვის, ჩვენ გვისაყვედურებდენ ამის გამო. ჩვენ ამისათვის ქება არ დაგვიმსახურებია. ამას მიაწერდენ ჩვენს სისუსტეს და ცილსაც კი გვწამებდენ ამის გამო.

ჩვენ ვაფრთხილებდით ოპოზიციას, რომ ასეთი ახსნა მათთვის საბედისწერო იქნებოდა.

საბოლოო შედეგად ბევრი აღმოჩნდა პარტიის გარედ. ჩვენ არ შეგვეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავით, ვინაიდან დაუშვებელია რევოლიუციის გათიშვა.

მე ავად ვიყავ და მესმოდა, რომ ოპოზიცია ავრცელებდა ხმებს, თითქოს მე დიპლომატიურად გავხდი ავად. კარგი დიპლომატიაა, როდესაც მუცელს გიჭრიან.

სანამ გამოვრიცხავდით ტროცკის და ზინოვიევს, ჩვენ მათ წავუყენეთ მხოლოდ ერთი პირობა: დაენებებიათ თავი არალეგალური კრებების მოწვევისათვის. ეს იყო მინიმალური მოთხოვნილება. მათ გვიპასუხეს: „ვიფიქრებთო".

ოპოზიციის პლატფორმა არის ახალი პარტიის პროგრამა.

ყრილობის მიერ არჩეული კომისია უნდა გაეცნოს ყველა მასალებს და მოუმზადოს ყრილობას საკითხები. თუ ოპოზიცია, ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების შემდეგ არ განიარაღდა იდეურად, მაშინ ლაპარაკი მოკლე იქნება. მაშინ სალაპარაკო აღარაფერი დარჩება.შეუძლებელია დროის ფუჭად დაკარგვა, ვინაიდან ჩვენ გვესაჭიროება საქმიანი მუშაობა.

ან ერთი, ან მეორე. თუ თქვენ უბეში იტოვებთ ქვას,—ჩვენ ვერ შევთანხმდებით. როდესაც ოპოზიცია ლაპარაკობს თავისი პრესტიჟის შესახებ, ჩვენ ვამბობთ, რომ პრესტიჟი მნიშვნელოვანია ყოველთვის. დემონსტრაციის ცდა—ეს უდიდესი შანტაჟია. ოპოზიცია ფიქრობდა წამოეჩოქებია პარტია. ბოლშევიკურ პარტიას არასოდეს არავის წინაშე არ წამოუჩოქნია, თითონ კი ბევრს აჩოქებდა თავის წინაშე.

რუბენი.

(ტელეფონით მოსკოვიდან.)

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ამხ. რუბენის კორესპონდენციაში შეპარულია რამოდენიმე შეცდომა. ვასწორებთ უმთავრესს მათგან.

სწერია: „ამხ. ტომსკიმ გამოაშკარავა ლენინგრადის მუშების ყალბი თანაგრძნობა ოპოზიციისადმი".

უნდა იყოს: „ამხ. ტომსკიმ გამოააშკარავა ლენინგრადის მუშების მოჩვენებითი თანაგრძნობა ოპოზიციისადმი".

საქართველოს

თქვენ შესძლეით არა მხოლოდ ფრაქციულობის გზაზე. თუ თქვენ მართლაც აღიარებთ თქვენს შეცდომებს, მაშინ მობრძანდით აქაც, მე-15 ყრილობის წინაშე და ყოველივე საგანს, უწოდეთ საკუთარი სახელი და აღიარეთ თქვენი შეცდომები.

შემდეგ ისინი ამბობენ: „მაგრამ ამ გზაზე ჩვენ დაგვაყენა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ღრმად ვიყავით დარწმუნებული ჩვენი შეხედულებების სიმართლეში და ლენინურ ხასიათში“-ო. მე გეკითხებით თქვენ, აქ მყოფთ, ნუ თუ ამ ხალხს მართლაც სწამდა თავისი შეხედულების სიმართლე საკითხში, რომ ვითომც ცენტრალურმა კომიტეტმა კავშირი შეჰკრა კულაკთან და ნეპმანთან, ნუ თუ მათ მართლაც სწამდათ თავისი შეხედულების სიმართლე, როცა ისინი ამბობდენ, რომ თითქოს ჩვენში სწარმოებს მეურნეობის სრული განადგურება. არ ტარდება ინდუსტრიალიზაცია, ეცემა სასოფლო მეურნეობა და ჩვენ ვიზრდებით კაპიტალიზმის მიმართულებით. თქვენ გწამდათ ასეთი შეხედულებანი? არ გწამდათ. თუ თქვენ მართლა გწამდათ ასეთი შეხედულებანი, მაშინ განა შეიძლება მათი ათჯერ შეცვლა ერთი წლის განმავლობაში. განა ტროცკი 1925 წლის დასასრულში დნეპროსტროის გამო არ ამბობდა, რომ კულაკი კეთილ საქმეს აკეთებს, როცა იგი პურს ჰყიდის საბჭოთა სახელმწიფოზე, რომელსაც ამ ვალიუტით შემოაქვს წარმოების მოწყობილობანი? რატომ შეიცვალა ასე ორი წლის განმავლობაში ტროცკის შეხედულებანი? განა ყველა თქვენი დებულებანი, რომელნიც 1 ნახ. წლის წინად თქვენთვის სწორი იყო, ასე შეიცვალენ? როგორ ხდება, რომ თქვენ, ასე ღრმად იდეური ხალხი, შეხედულებებს და იდეოლოგიას იცვლით, როგორც ხალათს? თქვენ გწამთ, რომ ჩვენ ტერმიდორიანულ გადაგვარებას განვიცდით? თუ თქვენ ყოველივე ეს გწამთ, მაშინ სავსებით ყალბია თქვენი მტკიცება, რომ თითქოს პარტიასთან არავითარი პროგრამული ხასიათის უთანხმოება არ გაქვთ. ორში ერთი: ან თქვენ გწამთ ის, რასაც ამბობდით, და მაშინ საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებდით პარტიის წინააღმდეგ, ან თქვენ სცრუობთ, ტყუილს ამბობთ, როცა აცხადებთ, რომ პარტიასთან არ გაქვთ არავითარი პროგრამული უთანხმოება. თქვენი პლატფორმა, თქვენი ლიტერატურული შემოქმედება უკანასკნელ წლებში, ეს რაღა არის? განა ეს ახალი პროგრამა არ არის. განა ეს არ არის საკუთარი შეხედულებების დაპირდაპირება ჩვენი პარტიის შეხედულებებისადმი? მე მგონია, რომ ამხ. სტალინმა სავსებით სწორად დასვა საკითხი, როცა სთქვა: „მაშ რაღაში ეთანხმებით ჩვენს პარტიას?“-ო. განა არსებობს ერთი ისეთი პუნქტი, რომელშიაც გვეთანხმებოდეთ ჩვენ? არ არის არც ერთი პუნქტი—არც თეორეტიული და არც პრაქტიკული; საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, როცა ოპოზიცია წინედ მოითხოვდა ღარიბთა 80 პროც. განთავისუფლებას გადასახადისაგან და მანიფესტმა გადასახადისაგან გაანთავისუფლა ღარიბთა 35 პროც., ზინოვიევმა პიტერის მუშათა ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე სთქვა. „ეხლა კი ჩვენ მოვითხოვთ 40—45 პროც. განთავისუფლებას“-ო. აი, თქვენი განცხადებების ფასი! რაც არ უნდა სთქვას პარტიამ, რაც არ უნდა გააკეთოს ცეკამ, თქვენ სულ საწინააღმდეგოს იტყვით. ამის შემდეგ თქვენ გამოდიხართ პირფერული დოკუმენტით, რომელიც ოპოზიციის აზრით, უნდა იყოს შერიგების დოკუმენტი, ოპოზიციასთან ზავის დადების საფუძველი, თქვენ გამოდიხართ ყალბი მტკიცებით, რომ პარტიასთან არ გაქვს არავითარი პროგრამული უთანხმოება. თქვენ არც ერთ პუნქტში არ ეთანხმებით პარტიას! ეს სწორია.

შემდეგ ისინი ამბობენ; „ჩვენ განზრახვა არ გვაქვს და არც გვქონდა, რომ უპარტიოები გავხადოთ ჩვენი შინაპარტიული დავის მოსამართლეებად“-ო. განა ეს მართალია? აი, აიღეთ თვითონ დოკუმენტი. აქ, ამ დოკუმენტზე არის ყალბი ხელმოწერები. მე მას ვკითხულობ მუხლების მიხედვით: ვუიოვიჩი, პარტიის წევრი 1912 წლიდან. იგი ხომ უპარტიოა, თუ ჩემი მეხსიერება არ მღალატობს. თქვენ ხომ უპარტიოებთან ერთად მოხვედით მე-15 ყრილობაზე პარტიისათვის მსჯავრის დასადებათ, შემდეგ კი დოკუმენტში სწერთ, რომ თქვენ არ გქონიათ და არც გაქვთ განზრახვა მიმართოთ უპარტიოებს და მათთვის მსჯავრის დასადებათ გამოიტანოთ თქვენი უთანხმოება პარტიასთანო. ამ დოკუმენტზე თქვენ გაქვთ რამდენიმე ათეული ყალბი ხელმოწერა იმ პირების, რომლებიც თავის თავს პარტიის წევრებად სთვლიან. მაგრამ თქვენი დემონსტრაციები ქუჩაში უკვე არა უპარტიო მუშების, არამედ კრასნორიადის და ოხოტნორიადის ვაჭრების წინაშე, მეშჩანების წინაშე—ეს რა ხალხია! ვის მიმართავთ თქვენ? ვის წინაშე გამოდიხართ თქვენ? თქვენ ოხოტნორიადში დასაყრდენს ეძებთ იმიტომ, რომ მუშათა კლასში დასაყრდენი დაჰკარგეთ. ამის შემდეგ კი ასეთი ცრუ განცხადება იმის შესახებ, რომ „ჩვენ არ ვაპირებთ და არ ვაპირებდით გატანა უპარტიოთა სამსჯავროზე ჩვენი პარტიული უთანხმოებანი“-ო. დიახ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს სამსჯავროს წინაშე ჩვენ არ ვაპირებთ წარდგენას. ჩვენ არა ვართ ბრალდებულნი, ჩვენ სასამართლოს წინაშე ჯერ არ წარვმდგარვართ, თქვენ კი მეხუთმეტე ყრილობის წინაშე პასუხს აგებთ თქვენი საქმიანობისათვის ამ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ ნუ იტყვით, რომ თითქო თქვენ მოდით ჩვენს სამსჯავროს წინაშე, რომ თქვენ თითქო არ აპირებთ უპარტიოთა მოწვევას მოსამართლეებათ.

შემდეგ ისინი თავის განცხადებაში ამბობენ იმავე, რასაც ამბობს რაკოვსკი: „საერთაშორისო ბურჟუაზია სპეკულიაციას ეწევა ჩვენი პარტიის განხეთქილებაზე და თანდათან უფრო ენერგიულად ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ თავის მოვალეობათ ვსთვლით გავაკეთოთ ყველაფერი პარტიის მთლიანობის და ბრძოლის უნარის განსამტკიცებლად“-ო. განა ეს თვალთმაქცობა და სიცრუე არაა! ასეთი განცხადებებით თქვენ არ უნდა გამოდიოდეთ მეხუთმეტე ყრილობაზე. მთელი თქვენი საქმიანობა, თქვენი სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც თქვენ აწარმოებდით, მოღალატე—რენეგატების რუტ ფიშერის, მასლოვის და მათ მგზავსი ხალხის საშუალებით, განა ეს საბჭოთა კავშირის ფრონტის გამაგრება იყო საგარეო საფრთხის წინაშე? განა ის სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც თქვენ ავრცელებდით ქვეყნის შიგნით გლეხებს შორის, უპარტიო მუშებს შორის, მეშჩანებსა და ბურჟუაზიას შორის—განა ყველაფერი ეს არ იწვევდა ჩვენი ფრონტის შესუსტებას მსოფლიო ბურჟუაზიის შემოტევის წინაშე? განა ის, რასაც თქვენ ავრცელებდით საზღვარგარეთ იმის შესახებ, რომ ჩვენ ტერმიდორიანელები ვართ, კავშირს ვკრავთ ნეპმანთან და კულაკთან, განა ეს არის ჩვენი ფრონტის განმტკიცება მსოფლიო ბურჟუაზიის, მსოფლიო კაპიტალის ფრონტის წინააღმდეგ?

როგორ ბედავთ თქვენ ასეთი თავხედური სიცრუით გამოსვლას მეხუთმეტე ყრილობის წინაშე, როგორ ბედავთ იმის თქმას, რომ თანახმა ხართ განამტკიცოთ საბჭოთა კავშირის ძლიერება მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ თქვენ მხოლოდ ის და დაგრჩენიათ, რომ ილაპარაკოთ მსოფლიო ბურჟუაზიის წინაშე, ვინაიდან მუშათა კლასის წინაშე ლაპარაკი თქვენთვის უკვე მოუხერხებელია. რა გააკეთა რაკოვსკიმ მთლიანობისათვის? მეშჩანური პანიკისა და წვრილბურჟუაზიული ლაქლაქის მეტი მას არაფერი გაუკეთებია თქვენთვის, ამხანაგო რაკოვსკი, უმჯობესი იქნებოდა მოსულიყავით და გეთქვა: „აი, ჩვენ, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, ამდა ამ პირების სახით, ვშლით ჩვენ საოლქო კომიტეტებს, აი ჩვენი ჯერ აღმოუჩენელი სტამბები ჩვენ გადავეცით სათანადო ორგანოებს გამოსაყენებლად“. აი მაშინ ჩემთვის აშკარა იქნებოდა, რომ თქვენ მართლაც მოდით იმ გადაწყვეტილებით, რომ შექმნათ ჩვენი პარტიის მთლიანობა და განამტკიცოთ მისი ბრძოლის უნარი. თქვენ კი მოხვედით ტყუილებით და სიცრუით. ამ საფუძველზე ჩვენს შორის შეუძლებელია ზავი. ამ ნიადაგზე შეუძლებელია ჩვენი შერიგება.

შემდეგ,—თვალთმაქცურად გამოიყურება, როცა თქვენ სწერთ თქვენს განცხადებაში, რომ თავს ანებებთ ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობას, შლით ფრაქციულ ორგანიზაციებს და აქეთკენ მოუწოდებთ თავის თანამოაზრეებს საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნში. ეს მე მაგონებს იმ თუთიყუშს, რომელიც ამბობდა: „თუ წასვლაა საჭირო, წავიდეთ“, როცა ის კატამ გამოათრია გალიიდან. ეხლა, როცა თქვენ საბოლოოდ დამარცხდით, რაღა დაგრჩენიათ იმის მეტი, რომ განაცხადოთ, რომ შლით ფრაქციას და თავს ანებებთ ბრძოლას, სადღა ან რა საშუალებებით შეგიძლიათ ბრძოლა? თქვენ ხომ ჯარი არა გყავთ. ყოველ შემთხვევაში ეს განცხადებები არ მოწმობს იმას, რომ თქვენ მართლაც აპირებთ პარტიის ხაზზე დაბრუნებას.

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ყრილობის წინაშე, ამჟამად სდგას არა იმდენად საკითხი, თუ როგორ უნდა შევაფასოთ ოპოზიციის მუშაობა წარსულ ორი წლის განმავლობაში. ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, თუ როგორი პირობები უნდა შევქმნათ ჩვენი პარტიის და ჩვენი ცეკას მშვიდობიან ნაყოფიერ მუშაობისათვის. მე ვთიქრობ, რომ ამ საკითხზე შესაძლოა მხოლოდ ერთი პასუხი. ჩვენ ოპოზიციისაგან უნდა მივიღოთ ნამდვილი მონანიება, ფრაქციების ნამდვილი დათხოვნა, ყველა ზრახვების გამოაშკარავება, ყველა არალეგალურ ორგანიზაციების დათხოვნა და თავისი შეცდომების აღიარება, ვინაიდან არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ თქვენ ფრაქციებს შლით, ხოლო თავის შეხედულებებს დაიცავთ ისევე, როგორც იცავდით აქამდის. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ: თქვენი შეხედულებანი ჩვენს პარტიასთან შეუთავსებელია. მე ვფიქრობ, რომ აქ ჩვენ შეგვიძლია მოვაგონოთ ერთ-ერთ ყოფილ ბელადის—კამენევის სიტყვები მოსკოვის მეთერთმეტე საგუბერნიო პარტყრილობაზე, როცა ის ლაპარაკობდა ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ. როცა ზოგიერთებმა შემოიტანეს წინადადება, რომ მათთან საჭიროა დროებითი ზავი და კავშირის შეკვრაო, მაშინ კამენევმა ოპოზიცია დაახასიათა, როგორც აჭრელებული ბეწვიანი კუდი და გააკეთა ასეთი დასკვნა: „თუ ჩვენ ვაკოცებთ ამ კუდს, უნდა ითქვას, რომ კოცნა არც ისე მადიანი იქნება“. ამიტომ ხომ არ აჯობებს, რომ ჩვენ მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენ ყოველთვის გვირჩევდნენ: ჯერ ეს ბეწვიანი კუდი მოვჭრათ და შემდეგ გადავკოცნოთ. მე ვფიქრობ, რომ კუდების კოცნას მხრივ ამხ. კამენევს ამჟამად დიდი გამოცდილება აქვს. მე ვფიქრობ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ის ზოგჯერ კოცნიდა არა მარტო კუდს არამედ კუდს ქვემოაც (ტაში). მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში არ მოვიქცევით მთლიად კამენევისავით: კუდს კი მოვჭრით, მაგრამ კოცნას არ დაუწყებთ. (ტაში).

ამხ. ანდრეევის სიტყვა

ამხ. რუძუტაკის შემდეგ გამოსულმა ორატორებმაც ყრილობის მთავარი ყურადღება მიაქციეს ოპოზიციის მუშაობაზე.

ამხ. ანდრეევი (მოსკოვი) შეჩერდა დისკუსიის შედეგებზე.

— ერთის მხრივ,—ამბობს ის,— მე-15 ყრილობიდან პარტია უფრო მთლიანი, უფრო შეკავშირებული მოვიდა მე-15 ყრილობაზე. მეორე მხრივ—ოპოზიცია საბოლოოდ გადავიდა პარტიის მტრების ბანაკში. მე ვფიქრობ ამხანაგებო, რომ პარტიამ არსებითად მოამზადა გადაწყვეტილება ოპოზიციის საკითხზე და სთქვა თავისი სიტყვა. რით მოვიდა ოპოზიცია მე-15 ყრილობაზე, რა წინადადებანი წამოაყენა მან? პრეზიდიუმში შემოტანილი სიგელი არის ფილკინის სიგელი. პრეზიდიუმში შემოტანილი დოკუმენტებით და ამხ. რაკოვსკის გამოსვლით ოპოზიცია ცდილობს საკითხის მიფუჩეჩებას და საქმის უბრალო საგნებზე გადატანას. მაგრამ მას ეს არ გაუვა, თავის მართლებითა და საკითხის მიფუჩეჩებით საქმეს ვერ გააკეთებ. დისკუსიის პროცესში ჩვენ გაგიცანით, როგორც მესამე ძალის დროშა, რომლის ქვეშ თავს იყრიან და ირაზმებიან პროლეტარული დიქტატურით უკმაყოფილო ელემენტები. ჩემი ღრმა რწმენით, ოპოზიციის ბელადებისათვის შეუძლებელია სრული კაპიტულიაცია, ისინი არც გვნებდებიან. ხოლო ის ოპოზიციონური ამხანაგები, რომლებიც შესცდნენ, დაუბრუნდებიან პარტიას, როდესაც მიხვდებიან, რომ პარტია აღარ აპირობს ოპოზიციასთან ხუმრობას. ჩვენ ბევრი სერიოზული საქმე გვაქვს, გვაქვს უამრავი სიძნელეები ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენ ყოველმხრიდან მტრებით ვართ გარემოცულნი, ჩვენ ჩვენს ბანაკში არ გვინდა პოლიტიკურად ავადმყოფი და დამბლა დაცემული ხალხი. დეე ჯერ განიკურნონ პარტიის გარეთ, შემდეგ ვიმსჯელებთ, საბოლოოდ განიკურნენ თუ არა ისინი, შეიძლება თუ არა მათი მიღება პარტიაში.

ამხ. მინინის სიტყვა

ამხ. მინინი, ცდილობს რა ოპოზიციისაგან გამიჯვნას, აღნიშნავს, რომ თითქოს მე-14 ყრილობის შემდეგ ლენინგრადში ჩატარებულმა კამპანიამ მრავალი მუშა აიყოლა გადასულიყო ოპოზიციაში.

— ჩვენ გვინახავს,—ამბობს ის,—მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც კრებების ჩატარებისა და ცეკას წევრების მხრით თავის შეხედულებათა თავზე მოხვევის წესებისაგან სასოწარკვეთილებით იმტვრევდენ ხელებს და კითხულობდენ—რა არის ეს?-ო. ორატორის აზრით, ცეკას რომ დროზე მიეღო საორგანიზაციო ზომები, შინაპარტიული კრიზისი ასე არ გამწვავდებოდა.

ამხ. რინდინის სიტყვა

ამხ. რინდინი (ურალი), უპასუხებს რა მინინს, ამბობს:

— პარტიისა და ცეკასათვის იმის დაბრალება, რომ თითქოს ის არის დამნაშავე ოპოზიციის არსებობაში, არის პარტიის წინააღმდეგ მიმართული საზიზღარი ცილისწამების გაგრძელება. ზედმეტია ჩვენი შეშინება იმით, რომ თითქოს პარტიაში არ არის დაძლეული კრიზისი. პარტიაში არ არსებობს კრიზისი და ამაზე ზედმეტია უბედობა. ცენტრალურ კომიტეტს დანაშაულად უთვლიან, რომ მან არ შეადგინა კომისიებიო. ეს ხომ ბავშვებისათვის დასაჯერებელი ზღაპარია. ამით ხომ არ მოატყუებენ მე-15 პარტიულ ყრილობას.

რამდენჯერ მოვიწვიეთ კომისიები, რამდენჯერ გაიმართა პლენუმი, სხდომა, რამდენჯერ გელაპარაკეთ. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? სრულიად არაფერი. თქვენ გარბოდით და თქვენი შეჩერება არ შეიძლებოდა, თქვენი შეჩერება შეუძლებელი იყო. რასა ვხედავთ მე-15 ყრილობისათვის? შეიცვალა თუ არა ოპოზიციამ შეხედულებები? სრულიად არა. რამოდენიმედ მაინც ჩამოშორდა თუ არა ოპოზიცია ტროცკიზმს? სრულიად არა. პირიქით, რაც უფრო შორს მივდიოდით, იმდენად უფრო ღრმად იფლობოდა ოპოზიცია თავის ტროცკისტულ ჭაობში. შეცდომების გამოსწორების მაგიერ ჩვენ ვხედავთ ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის უდიდესად გაძლიერებას. ოპოზიციის გამთიშველმა მუშაობამ პარტიის მე-15 ყრილობისათვის მიაღწია უმაღლეს წერტილს. ამის შედეგად ჩვენ გვაქვს ორი პარტია, ორი პროგრამა. ოპოზიციამ დაკარგა რწმენა მუშათა კლასში. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ამხ. რაკოვსკის გამოსვლა ჩვენს მე-15 პარტიულ ყრილობაზე.

მისალმებები ყრილობას

ამხ. რინდინის სიტყვის შემდეგ სიტყვა ეძლევა ფაბრიკებისა და ქარხნების დელეგატებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ყრილობისათვის მისალმების გადასაცემად.

ბოკოვი (სორმოვო), რკინისა და ფოლადის ქარხანა „კრასნოე სორმოვო“-ს 18 ნახევარ ათასიან მშრომელი არმიის სახელით მიესალმება რა ყრილობას, ამბობს: „სორმოვოს პროლეტარიატმა 10 წლის მანძილზე ბევრი სიძნელე გადაიტანა თავის გზაზე. პარტიის ცეკას [illegible] ხელმძღვანელობით მან შეინარჩუნა თავისი პოზიციები და მოიგერია მუშათა კლასის ყველა გარეშე და შინაური მტრების იერიშები. თავის გამთიშველ მუშაობის დროს ოპოზიცია განუწყვეტლივ ცდილობდა დაახლოვებოდა მუშათა კლასს, მაგრამ სორმოვოს პროლეტარიატის რიგებში ვერ ჰპოვა მომხრენი. სორმოვოს პროლეტარიატმა დამავალა გადმოგცეთ, რომ სორმოვოს მუშები იყვნენ, არიან და იქნებიან ლენინის ფოლადისებურ ცეკას დაცვის სადარაჯოზე.

ლოპოლოვი (ნიჟნი-ნოვგოროდი, ქარხანა „დვიგატელ რევოლიუციი“) ამბობს:

„ნიჟეგოროდის გუბერნიის კანავინის რაიონის 24.000 მუშა სალამს უძღვნის მუშათა კლასის ავანგარდს, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის სახით, და ცენტრალურ კომიტეტს—ბოლშევიკების შტაბს. რევოლიუციის წინა ხანებში,—განაგრძობს ორატორი,—ჩვენი კანავინის რაიონი წარმოადგენდა ქალაქის გამა მიგდებულ ნაწილს, მაგრამ 1922 წლიდან დაწყებული ის გაიზარდა 24.000 კაცამდე. კანავინის რაიონში არც ერთი ოპოზიციონერი არ არის და მუშები აღშფოთებული არიან იმ დეზორგანიზატორული მუშაობით, რომელსაც ოპოზიციონერები ეწევიან ქალაქის სხვა ცენტრებში“.

ქალ. ნიკოლაევის მარტის სახელობის გემთსაამშენებლო ქარხნის მუშების სახელით ყრილობას მიესალმება **დიკოვი**: „ქალაქ ნიკოლაევში,—ამბობს დიკოვი,—გემთსაამშენებლო მექანიკური ქარხნის 10 ნახევარი ათასი მუშა მოვიდა ჩემთან და მითხრა: „დაადგე გზას და შალაშინი, წადი მოსკოვში და განაცხადე ყველგან, რომ კომუნისტური პარტია მარტო არ არის, რომ კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროთაა შემოკრებილი რკინის, ფოლადის და თუჯის არმია“. თუ ნაწყენი ოპოზიციონერი-ინტელიგენტები ნებას აძლევენ თავს გამოვიდნენ და იფიქრონ, რომ თითქოს მათ აქვთ დასაყრდენი მუშათა კლასში, მე მუშების, განსაკუთრებით უპარტიო მუშების სახელით ვაცხადებ, რომ მუშები ოპოზიციის ამ გამოსვლებს უყურებენ, როგორც კომედიას“.

ბეზროდნი (კოსტრომა, ხელის ხართავი-ფაბრიკა) ყრილობას ესალმება 15 ათასი ფეიქრის სახელით. „კოსტრომელმა ფეიქრებმა,—ამბობს ის,—დიდი ხანია იციან, რომ პარტია ატარებს სწორ პოლიტიკას, რომ მუშათა კლასი პარტიას მიჰყავს სწორი, ლენინური გზით. ჩვენ მრავალი მიღწევა გვაქვს. უმჯობესდება მუშათა კლასის მდგომარეობა, ვითარდება მრეწველობა. ოპოზიცია,—განაგრძობს ბეზროდნი,—მავნე და ძალიან საშიში ელემენტია. ჩვენთან კოსტრომაში მე-15 ყრილობის წინ გაიმართა კრება, რომელზედაც ყველა მუშებმა დაადგინეს, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ოპოზიციონერებს და გამთიშველებს“.

ქალაქ კოსტრომას მელითონეების სახელით ყრილობას მიესალმება **ივანოვი**.

5 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. მახარაძის სიტყვა

პირველად სიტყვით გამოდის ამხ. ფ. მახარაძე „მე-15 ყრილობა მიმდინარეობს ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიციის ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშან ქვეშ—ამბობს ამხ. მახარაძე. განვლილ ორ წელში ოპოზიციამ იმდენი დანაშაული ჩაიდინა პარტიის წინაშე, რომ პარტია ძალაუნებურად დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. დაუშვათ ერთი წუთით, რომ ოპოზიციამ მიაღწია თავის მიზანს. რა მოჰყვებოდა ამას? ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დადგებოდა უაღრესად საშიშარ გართულებათა წინაშე. ჩვენს პარტიას ჩაითრევდნენ ომში ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, ოპოზიცია მიგვიყვანდა შეტაკებამდე გლეხობასთან. საბედნიეროდ ეს არ მოხდა.

ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები საგარეო და შინაურ პოლიტიკის დარგში, სოციალისტური მშენებლობის დარგში. მაგრამ ჩვენს წინაშე დასმულია კიდევ უფრო დიდი ამოცანები. ბიუროკრატიზმი, რომელიც კიდევ არ მომსპარა, ხელს უშლის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას, ამცირებს საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს მშრომელ მასების თვალში. სამუშაო ხელფასის ტარიფიკაციის დარგში ჩვენ უნდა ვიფიქროთ სერიოზულ ღონისძიებების შესახებ. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ რომელიმე ქარხანაში შავი მუშა ღებულობს 30 მანეთს და ამავე დროს სპეცების განაკვეთი აღწევს 1.000 მანეთამდე და მათ კარგი ბინაც ეძლევა. მოიკოჭლებს ქალთა შორის მუშაობა. ჩვენ ვამჩნევთ ფორმალურ დამოკიდებულებას ქალთა დაწინაურებისადმი და ქალთა ყოფის პირობებისადმი. საჭიროა რაიმე სერიოზული გაკეთდეს ამ მიმართულებით. დიდ ყურადღებას მოითხოვს კულტურულ განმანათლებელი მუშაობა.

დასასრულ ორატორი ჩერდება ოპოზიციის „საგმირო საქმეებზე“ საქართველოში.

— საქართველო მდებარეობს ბურჟუაზიულ მსოფლიოს მიჯნაზე—ამბობს ამხ. მახარაძე. საქართველოში კიდევ მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომლებსაც ჰკვებავს მენშევიზმი და რომლებიც იცქირებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაკენ.

ამ პირობებმა ოპოზიციისათვის შექმნა ხელსაყრელი მდგომარეობა. 1922 წლიდან ჩვენში არსებობდა თავისებური ოპოზიცია, ოპოზიცია ქართველ უკლონისტების სახით. ჩვენ თითქმის დავსძლიეთ ეს ოპოზიცია, მაგრამ მას შემდეგ რაც მე-14 ყრილობაზე წარმოიშვა ოპოზიცია, უკლონისტურმა ელემენტებმა თანდათან დაიწყეს გამოცოცხლება. აგრეთვე მენშევიკებმაც გააძლიერეს თავისი მუშაობა, ოპოზიციასთან დაკავშირებით. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა რომლის დროსაც შეუძლებელი იყო შემოქმედებითი მუშაობის გაგრძელება. მთელი პარტია მოუთმენლად მოელის ყრილობის უკანასკნელ და საბოლოო სიტყვას. დღემდე ჩვენ ვითმენდით, და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ თავს ვიცავდით ოპოზიცია კი თავს გვესხმოდა. მე15 ყრილობამ ამას ბოლო უნდა მოუღოს.

ამხ. კულიკოვის სიტყვა

ამხ. კულიკოვი (მოსკოვი) შეჩერდა ამხ. მინინის სიტყვაზე და განაცხადა, რომ ეს სიტყვა არის ბუფერული, ის ცუდათ არის ზეთწასმული და საშინლად ჭრიჭინებს. ოპოზიცია გაიძახოდა, რომ მას პირზე ხელს აფარებენ, რომ მას არ ალაპარაკებენ. მე უნდა განვაცხადო მოსკოვის ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით, რომ ეს არ არის მართალი, ეს ცილის წამებაა პარტიაზე. იმ ოპოზიციონერების 70 პროცენტი, რომლებმაც ხმა მისცეს პარტიის წინააღმდეგ, გამოდიოდნენ კრებებზე.

ამხ. ჩაპლინის სიტყვა

ამხ. ჩაპლინი (ლ. ა. კომ. კავშირი) დაწვრილებით ჩერდება კომკავშირის მუშაობაზე.

— ლენინის კომკავშირს, ამბობს ის, აქვს ის პლიუსი, რომ პარტიის სწორი პოლიტიკის წყალობით ის გახდა ქალაქისა და სოფლის მშრომელ ახალგაზრდობის ჭეშმარიტ ბელადათ. თავის არსებობის განმავლობაში ლ. კომკავშირმა პარტიას მისცა 800.000 ახალი წევრი. ეს წარმატება მიღწეულია მხოლოდ ოპოზიციის დაძლევის წყალობით პარტიისა და კომკავშირის რიგებში. ლენინის კომკავშირის 99 პროცენტმა ხმა მისცა პარტიას ოპოზიციის წინააღმდეგ (ტაში).

ამხ. ევდოკიმოვის სიტყვა

ამხ. ჩაპლინის შემდეგ გამოვიდა ამხ. ევდოკიმოვი, რომელიც თავის სიტყვას კითხულობდა შპარგალკით.

— იმ სიტყვების საპასუხოთ, რომლებიც მოითხოვდენ ოპოზიციონერების დაუყოვნებლივ გამორიცხვას პარტიიდან,—დაიწყო ამხ. ევდოკიმოვმა—მე მინდა ვთქვა რამოდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რასაც, ჩემის აზრით, მოელის მუშათა კლასი პარტიის მე-15 ყრილობისაგან. ორი წლის წინად, ერთი წლის წინადაც კი, მუშათა კლასი უფრო ნაკლებად იყო დაინტერესებული შინაპარტიულ ბრძოლით, ვიდრე ეხლა. ზოგიერთი მუშები ფიქრობდენ, რომ ეს არის მხოლოდ ბელადების ბრძოლა და, შეიძლება ბრძოლა მხოლოდ პორთფელების გამოც. ეხლა კი ასეთი მდგომარეობა აღარ არის. ეს გასაგებიც არის. დღის წესრიგში დაისვა საკითხი რაიმე წმინდა-თეორიულ პრინციპების შესახებ კი არა, რომლებმაც შეიძლება დააინტერესოს ხალხის მხოლოდ ვიწრო წრე, არამედ დღის წესრიგში დაისვა ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება მუშათა ფართო წრეების სასიცოცხლო ინტერესებს (ხმაურობა). დავა სწარმოებს ისეთ საკითხების გარშემო, როგორც სამუშაო ხელფასის საკითხი (ძლიერი ხმაურობა), შვიდი საათის სამუშაო დღის საკითხი, საკითხი კულაკის შესახებ და სხვ. ეხლა მუშებმა, ღარიბებმა გლეხებმა და საშუალო გლეხებმა იციან, თუ რის გარშემო სწარმოებს დავა. რა სურს მართლაც მუშათა კლასს? ბუნებრივია, რომ თვითეული მოდავე მხარე ამტკიცებს, რომ მუშათა კლასს სურს სწორედ ის, რაც სურს ამ მოდავე მხარეს (ძლიერი ხმაურობა). მაგალითად, აქ ყრილობაზე ამტკიცებენ, რომ მუშები მოითხოვენ ჩვენს გამორიცხვას პარტიიდან. ეს არ არის მართალი! ბევრი არ აღმოჩნდება ისეთი მუშები, რომლებიც დაიჯერებენ, რომ პარტიის ისეთი ბელადები, როგორც არიან ზინოვიევი, კამენევი და ტროცკი იყვნენ მუშათა კლასის, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრები. ლენინი გვასწავლიდა სინამდვილესთვის პირდაპირ თვალებში შეხედვას. რა სურს ნამდვილად მუშათა კლასს? მუშათა ფართო მასებს უწინარეს ყოვლისა სურთ, რომ დაცულ იქნას ჩვენი პარტიის მთლიანობა. მაგრამ ამასთან ერთად, მუშებს, რა თქმა უნდა, სურთ, რომ პარტიის შიგნით ლაპარაკის საშუალება მისცეს უმრავლესობას და უმცირესობას. მუშებს სურს მოუსმინონ ორივე მხარეს. მუშები, რა თქმა უნდა, გათიშვის წინააღმდეგი არიან. ისინი წინააღმდეგი არიან ორი პარტიის. თვითეულმა მუშამ იცის, რომ ორ პარტიას თან მოჰყვება მესამე ძალის ჩარევის საშიშროება და რომ მესამე ძალის ჩარევა მოასწავებს ომის საფრთხის მოახლოებას, მოასწავებს ახალ გაჭირვებას, რომელიც მუშათა კლასმა უკვე გაიარა. ვიმეორებ, მუშათა კლასს სურს, რომ პარტიის შიგნით დაცულ იქნას მთლიანობა. მაგრამ ამავე დროს მას არ სურს, რომ უმრავლესობა ხელს უშლიდეს უმცირესობას იმაში, რომ უკანასკნელი დაემორჩილოს მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვინაიდან უმრავლესობა აყენებს მიუღებელ მოთხოვნილებებს. დიახ, შეუძლებელია ისეთი მოთხოვნილებების წამოყენება, რომლებსაც მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ ჩასთვლის სიმართლიანად, შეუძლებელია ისეთი მოთხოვნილებების წამოყენება, რომ ჩვენ უარვყოთ ჩვენი თავი, უკუ ვაგდოთ ჩვენი შეხედულებები. მუშათა მასები მოელიან ჩვენგან გადამჭრელ ბრძოლას ორი პარტიის საფრთხის წინააღმდეგ, მოელიან ჩვენგან სადავო საკითხების პროლეტარულად გადაჭრას, ნამდვილ მთლიანობას. პარტიიდან გამორიცხულ ჩვენს ამხანაგებს მუშათა მასა კარგად იცნობს. პარტიიდან გამორიცხულია რამოდენიმე ასეული და, შეიძლება რამოდენიმე ათასი, ოპოზიც.-მუშა ისინი სცხოვრობენ მუშათა მასებში, მუშები მათ იცნობენ არა როგორც ცუდ ხალხს, არამედ როგორც ისეთ ამხანაგებს, რომლებიც არიან მუშათა მოძრაობისა და ჩვენი პარტიის ერთგულნი. მუშათა მასებს კიდევ შეუძლიათ გაიგონ, რომ ყრილობის წინ ბრძოლის დროს უმრავლესობამ მიმართა რეპრესიებს. მაგრამ ყრილობამ—პარტიის ბატონ-პატრონმა—ბოლო უნდა მოუღოს ბრძოლის გამწვავებას და შექმნას ჭეშმარიტი მთლიანობა. ჩვენ მზად ვართ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ამისათვის აუცილებელია. მაშ მოდით გავაკეთოთ ის, რაც ნამდვილად სურს მთელ მუშათა კლასს. ნუ შეუქმნით ამას ზედმეტ დაბრკოლებებს, მოდი აღვადგინოთ ჭეშმარიტი მთლიანობა ჩვენი პარტიის რიგებში. სასტიკად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მშვიდობიანობა პარტიაში შეიძლება აღდგენილ იქნას თავიდან მოშორებით და მასიურ გამორიცხვის მეთოდებით. მოდით საერთო ძალღონით გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ გავამართლოთ მუშათა კლასის ყველა ის იმედები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის მუშაობასთან.

დელეგატები ხშირად აწყვეტინებდენ ევდოკიმოვს სიტყვას აღშფოთებული შეძახილებით და ხმაურობით.

ამხ. კიროვის სიტყვა

ამხ. ევდოკიმოვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. კიროვი (ლენინგრადი).

— პირველ ყოვლისა, ორიოდე სიტყვა ცეკას საერთო პოლიტიკის შეფასების შესახებ,—დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. კიროვმა. მიუხედავათ ბოროტი წინასწარმეტყველებისა ოპოზიციის მხრით, განვლილი ორი წელი წარმოადგენს იმ ისტორიული საქმის დიდ ნაწილს, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ უკვე 10 წლის განმავლობაში. მე მესმის ოპოზიციის წარმომადგენელთა ნერვიულობა, ორი წელიწადია ამ ხალხს ეძინა და ძილში ხედავდენ ყოველგვარ ახალ, უაღრესად რთულ და სერიოზულ დაბრკოლებებს, რომლებიც მათ ნიადაგს მისცემდა თავისი პლატფორმის და პროგრამის გასაშენებლად. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა: ნერვიულათ და მოუთმენლად მოელოდენ ამ განსაკუთრებულ სერიოზულ დაბრკოლებებს საბჭოთა კავშირის და ჩვენი პარტიის ცხოვრებაში და ეხლა ეს ხალხი მოდის ყრილობაზე. რა უნდა სთქვან მათ? რაკოვსკი საკმაოთ გამოცდილი კაცია, მაგრამ ამ ტრიბუნაზე მან ვერაფერი გვითხრა გარდა იმისა, რაც ჩვენ უკვე ვიცოდით. რაკოვსკიმ, თუ არ ვცდები, იცის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ენები და მან უნდა სცოდნოდა, რომ მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არითმეტიკულად დაუპირდაპიროთ ხუთ მეექვსედ ნაწილს (სიცილი). საქმეც იმაშია, ღრმად პატივცემულო დიპლომატო, რომ ჩვენ მეექვსედი ნაწილი ვართ, ბოლოს ჩვენს წინააღმდეგ ხუთი მეექვსედი ნაწილია და ჯერ-ჯერობით ჩვენ ვიმარჯვებთ.

რით უნდა ავხსნათ ოპოზიციის ასეთი დაბნეულობა? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ მოვისმენთ ოპოზიციის უკანასკნელ ორატორებს, მაგრამ, ჩემის აზრით, ისინი ახალს ვერაფერს იტყვიან ვერაფერი სთქვა ახალი ამხ. ევდოკიმოვმაც, თუმცა ის ასეთ საქმეებში გამოცდილი კაცია, მაგრამ აქ ენა ჩაუვარდა. აქ ის იძულებული შეიქნა ქაღალდზე გადატანილი სახით წარმოედგინა ის ბრალდებები, რომლებიც, თურმე, ბუ იტყვით, აწუხებს მუშათა კლასს. ამბობენ, რომ ოპოზიციის პლატფორმის შედგენაში მონაწილეობას იღებდა ოპოზიციონური სიბრძნის ორასი წარმომადგენელი. მოგაგონებთ ამ პლატფორმიდან ადგილს, რომელიც ჯამს უკეთებს ოპოზიციის სიმბოლოს სარწმუნოებისა, ყველა ბრალდებებს, რომლებსაც ის ურდგენს პარტიის ცეკას. ოპოზიცია ამბობს: პარტიის ცეკა მზადაა გადაიხადოს ვალები. დაბოლოს, ცეკას ბრალსდებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაფართოებაში, ახალი ნეპის ხაზზე გადასვლაში, ხოლო აქედან, რასაკვირველია, ორი ნაბიჯია ნეპმანის პოლიტიკურ უფლებების გაფართოებამდე. ოპოზიცია აშენებს ფილოსოფიას აგრეთვე სამუშაო ხელფასის და შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ, რომლებიც, თითქოს, ავიწროებენ ეხლა მუშებს. მეხუთმეტე ყრილობაზე გამომჟღავნდა ოპოზიციის სრული, აბსოლიუტური გაკოტრება. ამხ. ევდოკიმოვი ინერციით ამბობს: „ჩვენ ვიცავთ მთლიანობას“. ის მზადაა მიიღოს ყოველივე ზომები იმისათვის, რომ დაიცვას მთლიანობა. მაგრამ ეს ხომ ცალიერი სიტყვებია. ამის შესახებ სამი თვის წინად შეიძლებოდა ლაპარაკი არა სავსებით კვალიფიციურ კრებებზე. მაგრამ რომელ მთლიანობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ჩვენი პარტიის გათიშვის რომელ საფრთხეზე შეიძლება ლაპარაკი? განა ჩვენი ყრილობის ასეულ დელეგატებს შორის არ არის მთლიანობა? გამოდიან აქ და ლაყბობენ, რომ მუშათა კლასი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ევდოკიმოვი არ მოხვდეს პარტიის გარეთ. ოპოზიციამ პარტიის, მუშათა კლასის და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ამდენი რამ ჩაიდინა, რომ მისთვის მეტად ადვილია პარტიის გარეთ მოხვედრა, ხოლო უკან დაბრუნება უაღრესად ძნელია. და მე არ ვიცი, ეყოფა თუ არა სიცოცხლე თუ გინდ ისეთ ახალგაზრდა ოპოზიციონერს, როგორიცაა მაგალითად სარქისი, იმისათვის, რომ დასძლიოს პარტიაში დაბრუნების ეს გრძელი გზა.

საქმე მართლაც რომ შორს წავიდა. ოპოზიციონერები მწუხარებით გაიძახიან: აი ლენინი, რომ ყოფილიყო, [illegible], ამას ადგილი არ ექნებოდა. ჯერ-ერთი, ლენინი დაუზოგველად იბრძოდა ოპოზიციის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები პარტიის გარეთ აღმოჩნდებოდენ გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ეს მოხდა ულენინოდ (ტაში). არის პარტიაში ისეთი რამ, რომლის ბოროტად მოხმარება დაუშვებელია ყველაზე უფრო ძველ და დამსახურებულ პარტიის წევრებისათვისაც კი. მე ვლაპარაკობ პარტიის მთლიანობაზე. აქ გამოდიან და ცრემლებით, ყალბი ოპოზიციონური ცრემლებით ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ ძვირფასია მათთვის პარტია, როგორ უძნელდებათ მათ კარების მიხურვა, როცა გამოდიან პარტიიდან. ოპოზიციონერებს შორის არიან, რასაკვირველია ისეთები, რომლებიც მიაჯახებენ კარს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ფრთხილად დახურავენ. ჩვენ აქ ვნახეთ მრავალი დოკუმენტები, ჩვენ მოვისმინეთ მათი ფიცი, ჩვენ არაერთხელ დავადებინეთ მათ პირობა, მაგრამ ყველაფერი ეს უნაყოფო გამოდგა. აქედან არაფერი გამოვა, ამხანაგებო, ეხლაც. უნდა იყვე ტროცკიზე გაცილებით უფრო გაბედული, რომ გამოცხადდე ასეთ ყრილობაზე და სთქვა: აი მე როგორც აქამდის ვიქცეოდი—ვმართავდი არალეგალურ კრებებს, ვაწყობდი არალეგალურ სტამბებს და სხვ.; ასე მოვიქცევი მომავალშიაც. მე ვფიქრობ, რომ ასეთ გამბედაობას ვერავინ გამოიჩენს. ჩვენი პარტიისათვის წაყენებულ ყველა ბრალდებებს, ჩვენ პრინციპიალურ უთანხმოებათა ყველა ძირითად მუხლებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ამხ. სტალინი, ყველაფერ ამას ოპოზიცია სტოვებს ურყევად, სტოვებს იმისათვის, რომ პირველ მოხერხებულ შემთხვევაშივე ხელახლა გაშალოს ოპოზიციონური პროგრამა, ხელახლა შეარყიოს პარტია.

მე ვფიქრობ, რომ რა გეგმებსაც არ უნდა აწყობდნენ ისინი, როგორც არ უნდა ემუქრებოდენ პარტიას, მათ აუცილებლად მოელით პარტიის გარეთ მოხვედრა. აქ არაფერი არ არის საშიში არც ჩვენი დიქტატურისათვის და არც მუშათა კლასისათვის.

ჩვენ არ გვესაჭიროება ილიუზიები. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მუშათა კლასს მთელი თავისი შემადგენლობით სავსებით ნათლად აქვს წარმოდგენილი ყველა ის პრინციპიალური უთანხმოებანი, რომლებიც არსებობენ ჩვენსა და ოპოზიციას შორის, მაგრამ რაც უმთავრესი და ძირითადია, მან იცის. ოპოზიციის უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ მან არ შეუძლია ამის გაგება. და ამიტომ, როცა ისინი მიდიან ქარხნებში, მუშები მათ ეუბნებიან:—კმარა, წადით, ხელს ნუ გვიშლით მუშაობაში, მოგვეცით შესაძლებლობა უთქვენოთ ვაშენოთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენი პარტიის დარაზმვას და აღზრდას ილიჩის ანდერძის საფუძვლებზე, შინაპარტიულ დემოკრატიის საფუძველზე. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ორგანოების გარშემო გავაერთიანოთ რაც შეიძლება დიდი კადრები, რათა თვითეულმა უჯრედმა თვითეულმა რგოლმა ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებს მისცეს ახალი ძალები. მუშები გაიზარდნენ პოლიტიკურად, ისინი იცნობენ მუშაობის **ეტაპებს და დაკვირვებით ეცნობიან მუშაობის ლეხელი საქმეს.**

ერსპექტივებს. წარსულის ხარჯზე ცხოვრება ახლა აღარ შეიძლება. მუშები და პარტიის უბრალო წევრები ჩვენგან მოითხოვენ აწმყოს. რაც შეეხება წარსულს, ამისათვის ჩვენ გვაქვს სპეციალური დაწესებულება—ისტპარტი. არის ხალხი, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე გულწრფელად სჯეროდათ, რომ საკმარისია ხელი გაიქნიონ და მოსკოვში ყველანი მათ დაემორჩილებიან. უგლანოვი და [illegible], ყველანი გაოპოზიციონერდებიან და აირევა ყველაფერი. მუშა მიხვდა რაშია აქ საქმე, მიხვდა ჩვენი პარტიის წევრიც. შეიძლება, რასაკვირველია, ვილაპარაკოთ ამა თუ იმ შეცდომებზე, შეიძლება მოვცხოთ ცენტრალურ კომიტეტს ამა თუ იმ ნაკლისათვის, მაგრამ იმის მტკიცება, რომ დიდი მასწავლებლის ლენინის ერთად-ერთი მემკვიდრე არის ტროცკი, მე ვფიქრობ, არც ერთ ცოტად თუ ბევრად პატიოსან პარტიულ მუშას არ შეუძლია. როგორც არ უნდა გვაშინებდენ ჩვენ სხვადასხვა გართულებებით, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია უთხრათ ოპოზიციას: ჩვენ რეალური ხალხი ვართ, რა საჭიროა, რომ ავჩქარდეთ. ჩვენ არ ვჩქარობთ ისე, როგორც ჩქარობდა რაკოვსკი ანგარიშის გასწორებას მისი პარიზიდან ნაადრევად წამოსვლის საკითხში. დავცადოთ, ვნახოთ, შემდეგ გავარკვევთ.

შემთხვევითი არ არის, ამხანაგებო, რომ სწორედ ათი წლის თავზე ჩვენ გვიცდება ზოგიერთების მოკვეთა ჩვენი პარტიიდან. ეს არ არის შემთხვევითი. ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ ახალ მნიშვნელოვან საფეხურს სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. ამ უაღრესად მნიშვნელოვან საფეხურზე წვრილბურჟუაზიული წუმპე გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეებზე. ოპოზიცია ამბობს, რომ დღეს თუ არა ხვალ იქნება ესა და ეს დღე. ამიტომ ის თრთის, მასში პანიკას იწვევს დიდი რევოლიუციის ყოველი ახალი ნაბიჯი, ახალი მოძრაობა, რომ წარმატებით, ხელშეუხებლად გავაგრძოთ საქმე, რომ არ გაუფუჭოთ ნერვები ოპოზიციის წარმომადგენლებსაც, მე ვფიქრობ, რომ ეხლანდელ მეხუთმეტე ყრილობაზე უნდა ნამდვილად დავამთავროთ ის, რაც დაუმთავრებელი დაგვრჩა პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე: ჩვენი ოპოზიცია უნდა მოვკვეთოთ პარტიიდან მტკიცედ, გადაჭრით და დაუზოგველად ამას მოელის ჩვენი პარტია, ამას მოელის ჩვენგან მუშათა კლასი, ამას მოელის საერთაშორისო პროლეტარიატი. ყველაფერი ის, რაც [illegible] ფეხებში რაც [illegible] და ეგვიანობს, უნდა დატოვებულ იქნეს ისტორიის უფსკრულში, ჩვენი გზა კი მიდის მხოლოდ წინ მხოლოდ გამარჯვებისაკენ.

ამხ. პუშკარევის სიტყვა

ამხ. პუშკარევი (ტულა) ლაპარაკობს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ ტულის გუბერნიაში. ტულსკის ორგანიზაციამ მიიღო 1.500-მდე საუკეთესო პროლეტარები ტულის მელითონეები.

ერთ-ერთ უკანასკნელ ოპოზიციონურ ბიულეტენში ოპოზიციამ ბიულეტენის სამი მეოთხედი ტულის ორგანიზაციას მოანდომა, ოპოზიცია ბრალად სდებდა ტულის ორგანიზაციას ყოველგვარ ცოდვებს, რისი ჩადენაც კი ადამიანს შეუძლია, სხვათა შორის, იმას, რომ ტულის ორგანიზაცია გულიდად არ შეხვდა ტულაში მივლინებულ ოპოზიციონერებს. ამ ბრალდებას ჩვენ ვკისრულობთ. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტულის ორგანიზაციაში ოპოზიციონერების მიერ მომკილი მოსავალი სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ ჩვენ არ ვწუხვართ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცეკას ხელმძღვანელობით კვლავაც წარმატებით წინ ვივლით სოციალისტური მშენებლობის გზით. მუშათა მასები და ჩვენი პარტიის წევრები იმ აზრისა არიან, რომ ცეკა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას საკმაო გაბედულებით და საკმაო ენერგიით არ აწარმოებს. საჭიროა გამოვიტანოთ გადამწყვეტი დადგენილება და მთელი ჩვენი პარტია, კერძოდ ტულის ორგანიზაცია, ყოველ წუთს მზად იქნება გამოვიდეს ცეკას მხარის დასაჭერად.

ამხ. სირცოვის სიტყვა

ამხ. სირცოვი (ციმბირი) ეხება ოპოზიციის საქმიანობას ციმბირში და ამბობს:

ამ რამოდენიმე ხნის წინად ოპოზიცია ამზადებდა არალეგალურ პარტიულ ყრილობას. ჩვენი ციმბირელი ოპოზიციონერები ამის შესახებ ძალიან ბევრს ლაქლაქებდენ, ამავე დროს ბოროტი ენები ამბობდენ, რომ ამ ყრილობაზე თითო დელეგატი თითო ოპოზიციონერის წარმომადგენელი იქნებაო (სიცილი). ახლა ეს საკითხი თითქო გაქარწყლდა სხვადასხვა მიზეზის გამო, სხვათა შორის, თვითონ ოპოზიციის შიგნით ჩამოვარდნილი ქიშპის წყალობითაც. ზინოვიევის ორიენტაციის ციმბირელი ოპოზიციონერები ყოველგვარ შემთხვევას იყენებენ, რომ ტროცკისტებს საქმე წაუხდინონ და კვანტი გამოჰკრან. ტროცკისტებიც უკან არ რჩებიან.

შემდეგ ამხ. სირცოვი ეხება საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს ციმბირში და ამბობს: „ციმბირში მე-15 ყრილობის მთელმა შემდგომმა პერიოდმა განვლო საშუალო გლეხობის დაპყრობის ნიშან ქვეშ და ახლა ჩვენ შეგვიძლიან ჯამის გაკეთება. ეს ჯამს ადასტურებს ჩვენი პარტიის მთავარი გეზის სისწორეს. კულაკობა არასოდეს არ ყოფილა ასე განცალკევებული სოფლის მთელი მასისაგან, როგორც ამ ჟამად. თუმცა, ციმბირის მეურნეობაში კულაკობის წილი ახლაც კვლავ საკმაოდ მნიშვნელოვანია. სასაცილო და შემცდარი იქნებოდა, რომ კულაკობის როლი [illegible] დაგვესახა, ამიტომ ჩვენს წინაშე დასმულია დიდი ამოცანა: დავაცლევინოთ კულაკობას ის პოზიციები, რომლებიც მას უჭირავს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში კულაკობა, ეს წილი ძალიან დაშორებულია იმ 50 პროცენტს, რომელზედაც ოპოზიცია მიგვითითებდა. ოპოზიცია ამტკიცებდა აგრეთვე, რომ სამხედრო კრიზისი გამოაშკარავებს პარტიის პოლიტიკის უვარგისობას, შემცდარობას. სამხედრო კრიზისი ჩვენ არ გვქონია, მაგრამ ჩვენ გვქონდა ომის ისეთი საფრთხე, რომელიც მუშათა და გლეხთა მასებმა ისე გაიცადეს, როგორც ომის რეალური საფრთხე. მაგრამ მუშათა და გლეხთა მასების მერყეობის შესახებ ჩვენ როგორღაც არაფერი გაგვიგონია. ასეთი მერყეობა მხოლოდ ოპოზიციის თავში არსებობს.

ამხ. კამენევის სიტყვა

ამხ. სირცოვის შემდეგ გამოვიდა ამხ. კამენევი.

— მე ამ ტრიბუნაზე, — ამბობს ორატორი,— გამოვდივარ ერთად - ერთი მიზნით, რომ გამონახოს ოპოზიციის შერიგების გზა პარტიასთან. მე მოვისმინე ამხ. ანდრეევის სიტყვა. ამ სიტყვიდან შეგვეძლო დასკვნა გამოგვეტანა, რომ შერიგების ეს გზა უკვე დახშულია, აღარ არსებობს. მაგრამ მე ვფიქრობ, რაკი ყრილობა ამ საკითხს უკვე რამდენიმე დღეა რაც არკვევს. რაკი ყრილობამ სპეციალური კომისია აირჩია, ამიტომ ამხ. ანდრეევმა ცოტა არ იყოს ადრე სთქვა, რომ ყველა გზა ნაცადია, რომ ყველაფერი გათავებულია, რომ ყრილობას მხოლოდ ის და დარჩენია, რომ ჩასწეროს ის, რაც უკვე გადაწყვეტილია. მინდა იმედი მქონდეს, რომ ეს ასე არ არის.

ოპოზიცია პარტიაში უმცირესობას შეადგენს. — მას, რასაკვირველია, არ შეუძლია პარტიას რაიმე პირობა წაუყენოს. ოპოზიციას შეუძლია უთხრას ყრილობას ის დასკვნა, რომელიც მას თავისთვის გამოჰყავს ორი წლის ბრძოლის ისტორიიდან, აგრეთვე პასუხი გასცეს იმ კითხვაზე, რომელიც მას დაუსვეს.

ორი წლის წინად, მე-14 ყრილობაზე, ჩვენ დავცილდით უმრავლესობას ჩვენი რევოლიუციის მთელ რიგ ძირითად საკითხების გამო, მნიშვნელოვან საკითხების, სერიოზულ საკითხების გამო, რომლებიც შეეხებოდენ ცეცხლის მიმართულებას, ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ სოფელში, ანტიპროლეტარული ელემენტების ზრდასა და მნიშვნელობას, ამ ელემენტებთან ბრძოლის წესებს, საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას სიმდიდრის, სტაბილიზაციის თვალსაზრისით და, ამასთან დაკავშირებით, კომინტერნის პოლიტიკას. ორი წლის განმავლობაში ამ საკითხების გარშემო პარტიის ბრძოლამ ისეთ სიმწვავეს მიაღწია, რომელიც ჩვენ ყველას გვიყენებს საკითხს, რომ ან ერთი გზა ავირჩიოთ, ან მეორე. ამ ორთაგან ერთი გზა არის — მეორე პარტია. ეს გზა, პროლეტარული დიქტატურის პირობებში,—რევოლიუციის დამღუპველია. ეს არის პოლიტიკური და კლასობრივი გადაშენების გზა. ეს გზა მოკვეთილია. აკრძალული, დახშული გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ჩვენი შეხედულებათა სისტემით, ლენინის მოძღვრებით. ამ გზით ჩვენს თანამშრომლებს ვერ გავიყოლებთ და არც ვსურს გავიყოლოთ. მაშასადამე, ჩვენ დაგვრჩა მეორე გზა: ეს გზა არის: ჩვენი შეხედულებისათვის ულმობელი, მედგარი და მკაცრი ბრძოლის შემდეგ მთლიანად და სრულიად დავემორჩილოთ პარტიას. ჩვენ ამოვირჩიეთ ეს გზა, რადგან ღრმად გვრწამს, რომ სწორ ლენინურ პოლიტიკას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ჩვენს პარტიაში, მხოლოდ მისი გზით, და არა პარტიის გარეშე, წინააღმდეგ პარტიისა. ამ გზაზე დადგომა ჩვენთვის იმას ნიშნავს, რომ დავემორჩილოთ ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ისინი. (ხმა: „ფორმალურად“). ჩვენ შევსძლებთ ამ დამორჩილების განხორციელებას. ჩვენ რომ ასე ვიქცევით, ჩვენ ამით ბოლშევიკურად ვიქცევით. მაგრამ ყრილობის ყველა გადაწყვეტილების შემართ ასეთ უყოყმანო და სრულ დამორჩილებას, ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის სრული შეწყვეტას, სრულ ლიკვიდაციას, ფრაქციული ორგანიზაციების დაშლას რომ დაუმატოთ ჩვენი შეხედულებების უარყოფა, მაშინ ეს, ჩვენის აზრით ბოლშევიკური აღარ იქნებოდა. შეხედულებების უარყოფის ასეთი მოთხოვნილება ჩვენს პარტიაში არასოდეს არ ყოფილა. მე რომ აქ მოვსულიყავი და მეთქვა: უარვყოფ იმას, რაც ორი კვირის წინად ჩემს თეზისებში ვსთქვი მეთქი, თქვენ არ დაიჯერებდით, ეს ჩემის მხრით თვალთმაქცობა იქნებოდა. ასეთი თვალთმაქცობა ამ შერიგების საქმეს, ქვაკუთხედს ძირშივე წაახდენდა. მე, რასაკვირველია, ვლაპარაკობ იმ შეხედულებების შესახებ, რომლებიც განმარტებულია ჩვენს დოკუმენტში—პლატფორმასა და თეზისებში, რომლებსაც ჩვენ მოვაწერეთ ხელი, და არა იმ გადაჭარბებების შესახებ, რომელსაც ხშირად ჩვენ მოგვაწერენ.

პარტიის მთელი რიგი პასუხისმგებელი ხელმძღვანელები აშკარად ლაპარაკობდენ სერიოზულ სიძნელეებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიძნელენი ადვილად დასაძლევია, მაგრამ ამ სიძნელეთა დაძლევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკუთარი შეცდომების კრიტიკა, მზადყოფნა თავისი პოლიტიკის შესწორებისათვის, გადათვალიერებისათვის, ფაქტების საშუალებით შემოწმებისათვის, თუ საჭიროა შეცვლისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარტიას ჯერ კიდევ დასჭირდება ჩვენი კრიტიკა, რომლის შესახებაც ვამბობთ, რომ ვალდებულნი ვართ ჩავატაროთ იგი ჩვენი პარტიის წესდების განსაზღვრულ ფარგლებში; ჩვენ ვფიქრობთ რომ მთელ რიგ საკითხებში ჩვენი შეხედულებები ცხოვრებამ გაამართლა, მთელ რიგ შემთხვევაში პარტიამ ამა თუ იმ ზომით შეითვისა ისინი. სთქვით, ამხანაგებო, რა აზრი აქვს, რომ ჩვენ შეხედულებებზე უარის თქმა მოგვთხოვოთ? განა შეიძლება მოგვთხოვოთ, რომ უარვყოთ ჩვენი შეხედულებანი ინგლის-რუსეთის კომიტეტზე, ჩინეთის რევოლიუციაზე, გლეხების დაყოფაზე ფენებათ, მრეწველობის ჩამორჩენაზე ჩვენი ქვეყნის განვითარების საერთო მსვლელობისაგან.

განა ინგლის-რუსეთის კომიტეტი უსახელო სიკვდილით არ მოკვდა? განა ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობამ არ დაამტკიცა, რომ შეცდომა იყო იმედის დამყარება მემარჯვენე და მემარცხენე გომინდანზე? განა ჩვენი ეხლანდელი სამეურნეო მდგომარეობა არ ამტკიცებს რომ სოფლის კულაკური ზედაფენა შლის ექსპორტის და, მაშასადამე, კაპიტალისტური მშენებლობის სახელმწიფო გეგმებს? განა საქონლის ნაკლებობის გამწვავება კვლავ არ გახდა ცენტრალური სამეურნეო პრობლემად? (ხმები: „მენშევიკური სათვალეებით“) ეს არის სიმართლე, რომლის შესახებაც თქვენ გელაპარაკებიან პარტიის ხელმძღვანელები. ეს არაა ჩემი სიმართლე, ამის შესახებ გეტყვით ყოველი სამეურნეო მუშაკი. საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმა ასეთ პირობებში,—ყოვლად შეუძ-

მე ავიღებ კიდევ ერთ მაგალითს, რომელსაც სადღეისო საპირბოროტო მნიშვნელობა აქვს მე-14 ყრილობაზე ჩვენი დავის ძირითადი საკითხი იყო ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და სასოფლო მეურნეობის ურთიერთობის საკითხი. თქვენ იცით, რომ ჩვენ სწორედ ამ საკითხში გვქონდა უთანხმოება მე-14 ყრილობამდე და მე-14 ყრილობის შემდეგ. სწორედ ამ საკითხის დასმის გამო გვსაყვედურებდით თქვენ რწმენის უქონლობას სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენის მხრით ვამბობდით, რომ ამ საკითხზე არსებულ შეხედულებათა ნაკლი არის ის, რომ მათ ახასიათებს დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი, ნების შელამაზება, კაპიტალისტური ელემენტების არა საკმაოდ შეფასება სოფლად. და აი, ამხანაგებო, რამდენიმე თვის წინად, ჩვენი მეურნეობის და ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ამ მთავარი საკითხის შესახებ პოლიტბიუროში ამბობდა შემდეგს: მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გლეხური სტიქია, გლეხის პურის ბაზარი სავსებით და მთლიანად ჩვენს ხელშია, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ავსწიოთ და დაუკლოთ ფასები პურზე. ჩვენ ხელში გვაქვს ზეგავლენის ყველა ბერკეტები, იმიტომ, რომ გლეხის ზურგს უკან არავინ სდგას და ხელს არავინ გვიშლის“-ო. განა ეს არ უარჰყო სინამდვილემ? განა ეს არ არის შემცდარი შეფასება, შემცდარი პერსპექტივა? კლასთა ურთიერთობის ამ შემცდარი შეფასებიდან გამომდინარეობს შემცდარი პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ იწვევდა დაბრკოლებათა არა აღმოფხვრას, არამედ დაგროვებას, კრიზისის გამწვავებას. ამ შეცდომის საფუძველია ჩვენი ქვეყნის კლასთა ურთიერთობის შემცდარი შეფასება. ჩვენ კი, მარქსისტებმა, ვიცით, რომ კლასების შემცდარი შეფასებიდან აუცილებლად გამომდინარეობს შემცდარი პოლიტიკა და ტაქტიკა. და აი, ამხანაგებო, სანამ პარტიაში შესაძლოა ასეთი შეფასება, რომელიც საფუძვლად ედება შემცდარ პრაქტიკულ პოლიტიკას, ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ ასეთ შეხედულებათა კრიტიკაზე, უარი ვსთქვათ მათი გამოსწორებისაკენ მისწრაფებაზე, არ შეგვიძლია არ გავაფრთხილოთ პარტია, არ გამოვიწვიოთ მასში ერთგვარი შიშიც კი ამგვარ შეფასებათა და პერსპექტივების გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კრიტიკა, ჩატარებული წესდების ფარგლებში, რომ ასეთი კრიტიკა ეხმარება პროლეტარიატის დიქტატურას დაბრკოლებათა და სიძნელეთაგან. ასეთ პირობებში მოთხოვნა იმისა, რომ ჩვენ უარვყოთ ჩვენი შეხედულებანი, დაუშვებელია და არ შეიძლება იქნას შესრულებული. წესდების მტკიცე ფარგლებში, პარტიის გადაწყვეტილებათა მტკიცე ფარგლებში ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ და გავატაროთ ეს შეხედულებანი. თუ თქვენ სხვა რამეს მოითხოვთ, თქვენ ხელოვნურად ქმნით დაბრკოლებებს ჩვენს პარტიაში მშვიდობიანობის დამყარების გზაზე, რომელზედაც ჩვენ გულწრფელად დავდექით (ხმები: „მანევრია“). ასეთი მოთხოვნების წამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადასწყვიტეთ ამ გზის გადაჭრა ჩვენთვის.

მე გადავდივარ მეორე საკითხზე. თქვენ შექმენით განიარაღების კომისია (ხმა: „თქვენი განიარაღება მუშათა უჯრედების მიერ მოხდა“). ეს ბუნებრივია. არავინ არ არის ვალდებული, რომ პოლიტიკაში დაუჯეროს სიტყვებს. რაშია გარანტია? პარტიას ჩვენი განცხადების გულწრფელობის შესამოწმებლად აქვს ერთად-ერთი შესაძლებლობა: მოგვცეს საშუალება საქმით დავამტკიცოთ ეს. სხვაგვარი საშუალება არ არსებობს. იმ მომენტიდან, როცა ჩვენ აქ, ყრილობაზე ვამბობთ, რომ გადავსწყვიტეთ განიარაღება პარტიის წინაშე და მთელი ჩვენი ფრაქციული მოწყობილობის ჩაბარება, ამ მომენტიდან ჩვენ თქვენს წინაშე არ გვაქვს საიდუმლოებანი. ჩვენმა თანამგრძნობელებმა აშკარად მოაწერეს ხელი მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც გაიგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 83-ის განცხადებას ხელს აწერს 3.000 კაცი. ეს განცხადება თქვენ ხელში გაქვთ (მ. ი. ულიანოვა. „ნახევარმა მოხსნა ხელმოწერა“). ჩვენი თანამგრძნობელნი დისკუსიის დროს ყველგან აშკარად გამოდიოდენ უჯრედებში ჩვენი პლატფორმის დასაცავად. მათ თავი ეჭირათ, როგორც მამაც რევოლიუციონერებს ისინი აშკარად იცავდენ თავის შეხედულებებს და ამ შეხედულებებს აყენებდენ თავის მდგომარეობაზე მაღლა, ისინი მზად იყვნენ შეეწირათ თავისი მდგომარეობა იმისათვის, რასაც ისინი სწორად სთვლიდენ. ჩვენ გამორიცხულ ამხანაგებთან ერთად ვიბრძოდით და ვკისრულობთ პასუხისმგებლობას მათი მოქმედებისათვის. ეხლა ჩვენ მათთან ერთად მოვდივარ პარტიასთან და ვეუბნები მას—მოგვეცს საშუალება, რათა ლიკვიდაცია მოუხდინოთ ამ პერიოდს პარტიის ისტორიაში. არ შეიძლება ჩვენი გამოყოფა გამორიცხულ ამხანაგებისაგან. ჩვენი პოზიცია ასეთი არის: ჩვენს წინაშე: მეორე პარტია ან უკან პარტიაში, ნათელია: უკან პარტიაში, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ ვთხოვთ ყრილობას, რომ თუ ამ ყრილობას სურს შევიდეს ისტორიაში არა როგორც გათიშვის, არამედ როგორც პარტიაში მშვიდობიანობის დამყარების ყრილობა, დაგვეხმაროს ამ საქმეში (ხმა: „უთქვენოთაც შევძლებთ მუშაობას, ორი წელია უკვე, რაც უთქვენოთ ვმუშაობთ“). ნუ აძნელებთ, ამხანაგებო, ამ საქმეს, ნუ გვიყენებთ შეუსრულებელ მოთხოვნილებებს, რომლებიც არ შეეფერება ბოლშევიკების ღირსებას. მუშათა კლასს სურს ეს შერიგება. მიუხედავად ყოველგვარი უთანხმოებისა, ბრძოლის სიმწვავისა, ჩვენ თქვენთან ერთად გვაქვს საერთო ინტერესი—პარტიის მთლიანობის, როგორც, პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ბერკეტის შენარჩუნება ეს მთლიანობა შეიძლება იქნას შენარჩუნებული ყრილობის დადგენილებებისადმი დამორჩილების ნიადაგზე. რის გარანტიასაც ჩვენ გიძლევით ასე უნდა მოვიქცეთ იმ საქმის გულისათვის, რომელიც ლენინმა დაიწყო. მე გამოვსთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ყრილობა ასე მოიქცევა.

ამხ. რიკოვის სიტყვა

ამხ. კამენევის შემდეგ გამოვიდა ამხ. რიკოვი

ამხ. კამენევმა თავისი სიტყვა დაათავა იმით,—ამბობს ამხ. რიკოვი,—რომ ის არ იმიჯნება იმ ოპოზიციონერებისაგან, რომლებიც ამჟამად ციხეში სხედან. მე ჩემი სიტყვა უნდა დავიწყო იქიდან, რომ მე არ ვიმიჯნები იმ რევოლიუციონერებისაგან, რომლებმაც ოპოზიციის ზოგიერთი მომხრეები მათი ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მოქმედებისათვის ციხეში ჩასვეს. (მქუხარე ტაში და „ურა“-ს ძახილი). ამხ. კამენევის სიტყვა—ოპოზიციონერის ერთად-ერთი ისეთი სიტყვაა მე-15 ყრილობაზე, რომელიც რამდენადმე ეხებოდა იმ თემას, რის შესახებაც ოპოზიციის ყოველი წევრი ვალდებულია ილაპარაკოს პარტიის მე-15 ყრილობაზე,—თემას იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას ფიქრობენ ეხლა ოპოზიციონერები. საჭიროა გადაჭრით და კატეგორიულად აღინიშნოს, რომ ამხ. კამენევის გამოსვლა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს ყრილობას, ვერ დააკმაყოფილებს პარტიას. ამხ. კამენევის გამოსვლის ძირითად მოტივს წარმოადგენს მისი მტკიცება, რომ შეხედულებების უარყოფის მოთხოვნა არასოდეს არ ყოფილა წამოყენებული ჩვენს პარტიაში და რომ ამიტომ არ შეიძლება ოპოზიციისადმი, მოთხოვნების წაყენება მისი რომელიმე შეხედულებების უარყოფის შესახებო. ეს არაა მართალი. ამხ. კამენევის ამ მტკიცების გასაქარწყლებლად მე მოგაგონებთ რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობის რეზოლიუციას ჩვენს პარტიაში სინდიკალისტურ-ანარქისტული გადახრის საკითხის შესახებ, გადახრის, რომელმაც თავი იჩინა მუშათა ოპოზიციის სახით. ამ რეზოლიუციის მეექვსე პარაგრაფში, მუშათა ოპოზიციის ძირითადი შეხედულებების ჩამოთვლისა და იმათი ანალიზის შემდეგ, ნათქვამია: „ყოველივე ამის მიხედვითაც, რუსეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა, გადაჭრით უარყოფს რა აღნიშნულ იდეებს, რომლებიც გამოხატავენ სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრას, ადგენს: აუცილებლად იქნას ცნობილი მტკიცე და სისტემატიური ბრძოლა ამ იდეებთან, ამ იდეების პროპაგანდა ცნობილ იქნეს რ.კ.პ. (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად“. როგორც ხედავთ, ბოლშევიზმის ტრადიციები ისეთია, რომ მოითხოვენ პარტიის წევრებისათვის იმ იდეების დაცვის აკრძალვას, რომლებიც ცნობილია ანტიპარტიულ და ანტიბოლშევიკურ იდეებად. ვიმეორებ, ბოლშევიკების მე-10 ყრილობამ უარყო მუშათა ოპოზიციის იდეები და ამ იდეების პროპაგანდა კომუნისტური პარტიის რიგებში დაუშვებლად სცნო. ეს ნათქვამი იყო სინდიკალისტურ-ანარქისტულ გადახრის შესახებ. ეს უნდა განვიმეოროთ ეხლაც და მასთან გაცილებით უფრო მეტი საფუძვლით, გარკვევით და გადაჭრით მენშევიკური გადახრის მიმართ. მე-10 ყრილობის რეზოლიუცია მხოლოდ იმისათვის მოვაგონეთ, რომ აღვადგინოთ ბოლშევიზმის ტრადიციები კამენევის მხრით მათი ლიბერალური გადამახინჯების ცდის წინააღმდეგ. ვითომ ის ფაქტი, რომ ოპოზიციონერები ვერ მჩნევენ ამ რეზოლიუციას და ცდილობენ გვერდი აუხვიონ მას,—ცხადათ მოწმობს, თუ რამდენად დაშორდენ ისინი პარტიას იდეურად. ოპოზიციის ეხლანდელი ბელადები მეტად აქტიური მონაწილეობით მე-10 ყრილობამ პარტიულობასთან შეუთავსებლად სცნო იმ შეხედულებების ამა თუ იმ სახით პროპაგანდა, რომელსაც მაშინ მუშათა ოპოზ. იცავდა. პარტიის წინააღმდეგ თავისი სიმწვავითა და ფორმებით უმაგალითო ოპოზიციონური ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, იმ ყრილობებისა და კონფერენციების მიერ მრავალჯერ გამოტანილი კატეგორიულ გადაწყვეტილებების შემდეგ, რომელმაც ტროცკის შეხედულებები, ეხლა მთელი გაერთიანებული ოპოზიციის შეხედულებები, აღიარეს მენშევიკურ შეხედულებებად,—ყოველივე ამის შემდეგ ამ ყრილობაზე სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ ამ შეხედულებების პროპაგანდა და დაცვა აღიარებულ იქნეს საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად. მე-10 ყრილობასაც არ შეუძლია არ გამოიტანოს გადაწყვეტილება, ანალოგიური მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებისა მუშათა ოპოზიციის შესახებ. საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება შეეფერება ბოლშევიზმის ტრადიციას და იმას, რასაც ლენინი გვირჩევდა მე-10 ყრილობაზე. ის, ვინც ამხ. ევდოკიმოვის მსგავსად ოპოზიციის მომხრეებისადმი წაყენებულ მოთხოვნაში—უარი სთქვან მენშევიკური შეხედულებების პროპაგანდაზე—ხედავს ზედმეტ დაბრკოლებას ფრაქციის დასაშლელად და ხედავს დაბრკოლებას იმისათვის, რომ გამონახულ იქნეს პარტიაში უკანვე დაბრუნების გზა,—ის აღარ არის ბოლშევიკი. მას აღარაფერი აქვს საერთო ჩვენს პარტიასთან.

ამხ. კამენევი—პარტიის ახალგაზრდა წევრი არაა, და მაინც, გამოვიდა რა აქ სინიდისის თავისუფლების საკითხის შესახებ საკავშირო კომპარტიაში, მას დაავიწყდა ერთი „პატარა დეტალი“—მე-10 ყრილობის მიერ მისი აქტიური მონაწილეობით მიღებული დადგენილება. კამენევის ეს გულმავიწყობა შემთხვევითი როდია. ის შედის ოპოზიციის სტრატეგიაში, როგორც ახალი მანევრი მიზნის მისაღწევად. ტროცკისტული ოპოზიცია ამას წინად მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ქუჩებზე გამოდიოდა დროშით—„ძირს უსტრიალოვშჩინა, ძირს ტერმიდორი“. რას ნიშნავს ეს? ოპოზიცია გამოვიდა ქუჩაზე მუშათა კლასის წინაშე ცეკას წინააღმდეგ ბრალდებით, რომ ის თითქო ატარებს უსტრიალოვის პოლიტიკას. რომ ჩვენს ქვეყანაში თითქო დაიწყო ტერმიდორი, რომ კომუნისტური პარტიის ცეკა თითქო ღალატობს რევოლიუციას, ღალატობს მუშათა კლასს. გაიხსენეთ, განა შლიაპნიკოვი რაიმე ამის მსგავსს ჩადიოდა? განა ის ატარებდა დროშას პარტიის წინააღმდეგ მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებზე? განა ის მიმართავდა უპარტიო მასებს? ამას მუშათა ოპოზიციის მხრით ადგილი არ ჰქონია. კამენევი კი გამოვიდა ქუჩაზე თავისი თანამშრომლებით ხალხის შესაგროვებლად დროშის ირგვლივ, რომელზედაც ეწერა ცეკას დამხობის ლოზუნგები.

ეს არის მოწოდება ცეკას დამხობის შესახებ, ეს არის აშკარა ბრძოლა არჩეულ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამხ. კამენევო, ამას ადგილი ჰქონდა ხომ, მხოლოდ ერთი თვის წინად თქვენ აცხადებთ ყრილობის წინაშე, რომ პასუხისმგებლობას კისრულობთ მხოლოდ იმ შეხედულებებისათვის, რომლებიც აღნიშნულია ოპოზიციონერების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებში. მაგრამ თქვენ ამ გზით ვერ შესძლებთ თავიდან აიცილოთ პასუხისმგებლობა აშკარა ანტიპარტიულ დემონსტრაციების მოწყობის ცდისათვის. ცეკაში შემოტანილ დოკუმენტებში თქვენ ანვითარებდით თქვენი ანტი-პარტიული იდეების ნაწილს (ამიტომ ზოგიერთი თქვენი დოკუმენტები არ გამოუქვეყნებია ცეკას). მაგრამ ამ დოკუმენტებში თქვენ ისახავდით სხვა მიზანს—ლეგალური ნიადაგის შენარჩუნებას პარტიასთან ბრძოლისათვის, თქვენი არალეგალური მუშაობისათვის, რომელიც, რა თქმა უნდა, აწარმოებდა ხელმოუწერლად. ჩვენ პასუხისმგებლობას გაკისრებთ ყველა თქვენი მოქმედებისათვის მთლიანად. ოპოზიციას დასჭირდა, რომ ცეკაში შეიტანოს ისეთი დოკუმენტები, რომლებშიაც ის იცავს იმას, რაც საჭიროდ და შესაძლებლად მიაჩნია წესდებისა და პარტიული ლეგალობის ფარგლებში, ხოლო პარალელურად არალეგალური გზით უშვებს პროკლამაციებს და აფრიალებს ბრძოლის დროშას პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ. მათ ყოფნით გამბედაობა მოვიდნენ ამ ყრილობაზე და განაცხადონ, რომ არასოდეს არ დებდენ ბრალს პარტიასა და ცეკას ტერმიდორში და გადაგვარებაში, არასოდეს არ ფიქრობდენ, რომ ჩვენი სახელმწიფო აღარ არის მუშათა სახელმწიფო. მე ხელთ მაქვს ამონაწერები მათი სიტყვებიდან და განცხადებებიდან, რომლებშიაც ისინი სრული სიცხადით და კატეგორიულად გამოსთქვამდენ სწორედ ასეთ შეხედულებებს.

მე არ გამოვაქვეყნებ მათ, ვინაიდან ყრილობის წევრები კარგად არიან გაცნობილი მათ შინაარს. ამ განცხადებიდან, ამ ძირითადი ხაზიდან გამოდიოდა ტროცკისტული პარტია თავის პარტიაში, როდესაც ქუჩებზე და მოედნებზე გზავნიდა თავის მომხრეებს დროშებით „ძირს უსტრიალოვშჩინა“. ხომ რომელიღაც შორეულ აღმოსავლეთელ პროფესორის წინააღმდეგ არ გამოუტანიათ ეს დროშები, არამედ პარტიის წინააღმდეგ, მის ცენტრალურ დაწესებულებათა წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გუშინ თქვენ არალეგალური პარტიის საშუალებით, პროკლამაციებით და დროშებით თქვენ მოუწოდებდით ხალხს პარტიასთან, მის ცენტრალურ კომიტეტთან და საბჭოთა მთავრობასთან საბრძოლველად, დღეს კი თქვენს განცხადებაში მე-15 ყრილობისადმი სწერთ: „ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა და არ მიგვაჩნია, რომ ჩვენი პარტია ან მისი ცენტრალური კომიტეტი ტერმიდორიანული გახდენ; ან რომ ჩვენი სახელმწიფო აღარ არის მუშათა სახელმწიფო. ჩვენ განვაგრძობთ მტკიცებას და დავიცავთ იმ შეხედულებას, რომ ჩვენი პარტია, როგორც იყო, ისე დარჩა პროლეტარიატის ავანგარდის ორგანიზაციად, საბჭოთა სახელმწიფო კი—პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციად“. მარტო ეს წინააღმდეგობა საკმაოა იმისათვის, რომ დავამტკიცოთ ოპოზიციის მიერ მე-15 ყრილობისადმი წარდგენილ განცხადების თვალთმაქცობა და სრული არასაკმარისობა. როგორ უნდა გავიგოთ ეს ორპირობა? ის შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც ოპოზიციის ცდა, რომ ლეგალური სიცრუით დაფაროს და გაადვილოს თავისი არალეგალური პარტიის ნამდვილი ანტიპარტიული და ანტი-საბჭოთა მუშაობა. ამ თავისი არალეგალური პარტიის ლეგალიზაცია მოითხოვა [illegible] საზღვარგარეთ და თავის საზღვარგარეთის ორგანიზაციაში აშკარად [illegible], რასაც არალეგალურად ავრცელებდენ საბჭოთა კავშირში. ოპოზიციის განსხვავება შლიაპნიკოვისაგან მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელ ხანებში ისინი სცდილობდენ გამოეწვიათ მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში, გამოვიდნენ ქუჩებზე და მოედნებზე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, შლიაპნიკოვი კი ამას არ სჩადიოდა. აი რაშია საქმე. და ყოველივე ამის შემდეგ ისინი გულუბრყვილო ხალხად გვაჩვენებენ თავს და ამბობენ, რომ პარტიის ტრადიციებში არასოდეს არ ყოფილა ისეთი ჩვეულებები, რომ აკრძალული ყოფილიყო თავის შეხედულებათა დაცვა. ჯერ ერთი, რომ ზოგიერთ შეხედულებათა დაცვას ჩვენ ვკრძალავდით და მომავალშიაც ავკრძალავთ და, მეორე ის, რომ ლაპარაკი შეხედულებაზე ხომ არ არის, არამედ საქმეებზე, აშკარა მოქმედებაზე პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციის ანტი-პარტიულ მენშევიკურ შეხედულებებიდან წარმოიშვა ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მოქმედება. ამიტომ კიდევაც რომ არ გვქონდეს ჩვენ ანტიპარტიულ შეხედულებებთან ბრძოლის გამოცდილება, რომელიც ჩატარებულ იქნა ლენინის ხელმძღვანელობით პარტიის მე-10 ყრილობაზე, ყრილობას, იმის გამო, რომ თქვენი შეხედულებები განუზომლად უფრო საშიშია მუშათა ოპოზიციის იდეებზე, მაინც აუცილებლად უნდა გამოეტანა ასეთი გადაწყვეტილება. ის მით უფრო სავალდებულოა იმიტომ, რომ ოპოზიციის ლიდერები ყველა გამოსვლების შემდეგ ბედავენ აქ განაცხადონ, რომ ისინი იტოვებენ თავის შეხედულებებს, და იცავენ მათ წესდების ფარგლებში და სოლიდარობას უცხადებენ მათ, ვინც ციხეში ზის, ვინც ასეთ საქმეებისათვის ზის და იჯდება ციხეში.

ამხ. კამენევს არ ესმის პატარა „უმნიშვნელო წვრილმანი“. ის ვერ ხედავს იმ უფსკრულს, რომელიც ძევს ერთი მხრივ პოლიტბიუროსა და ცეკაში წარმოებულ დავასა და მეორე მხრივ ქუჩებში და ღია კრებებზე წარმოებულ დავის შორის. ოპოზიცია ივიწყებს იმ გარემოებას, რომ პარტიულ დაწესებულებებში და ყრილობებზე ამის მიცემიდან ის გადავიდა აშკარა ბრძოლაზე ფრაქციის მოწყობის საშუალებით და მთელ რიგ შემთხვევებში იყენებს ისეთ საშუალებებს, რომლებიც დიამეტრიულად ეწინააღმდეგება პარტდისციპლინას. საკითხი ოპოზიციის შესახებ ეხლა სრულებითაც არ არის მიმდინარე საკითხი პარტიულ ურთიერთობათა შესახებ პარტიის შიგნით. ჩვენს წინაშე დასმულია საკითხი დიდი პოლიტიკური ბრძოლის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, რომლის დროსაც ოპოზიციამ სცადა თავის დემონსტრაციების გამართვა და აშკარად აფრიალა დროშები პარტიისა და ცეკას წინააღმდეგ. ყოველივე ეს წარმოიშვა თქვენ ტერმიდორიანულ და კლემანსისტურ შეხედულებებიდან. მე არ ვფიქრობ, რომ ყოველივე ამის შემდეგ თქვენ თვითონ შეგეძლოთ გქონოდათ იმის იმედი, რომ ჩვენ შევურიგდებით თქვენს შეხედულებებს. პარტიას არ შეუძლია დაუშვას ასეთ შეხედულებათა ლეგალიზაცია ბოლშევიკების რიგებში. კომპრომისი შეუძლებელია. ასეთ შეხედულებებს ადგილი არა აქვს ბოლშევიკებს შორის. ან პარტია, ან ასეთ შეხედულებათა დაცვა. ოპოზიციას, როგორც ჩანს, ამის გაგება არ სურს.

ამხ. რაკოვსკი მოდის ყრილობაზე და მოგვითხრობს ყველაფრის შესახებ, გარდა იმისა, რაც აინტერესებს პარტიას მის დამოკიდებულებაში ოპოზიციასთან. ამხ. ევდოკიმოვი თავს უხვევდა ყრილობას უმნიშვნელო წვრილმანებზე ლაპარაკით.

მე ვცდილობდი მიმეცა მისთვის თავის შეხედულებათა გამოთქმის საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიტყვის წინააღმდეგ აღშფოთებული იყო ყრილობის წევრთა მასსა. მე მინდოდა მის მაგალითზე მეჩვენებია, თუ როგორ სამარცხვინო მდგომარეობამდე მივიდა ეს ხალხი.

ამხ. კამენევის სიტყვის შინაარსი წარმოადგენს ტროცკისტული პარტიის არალეგალურ ცეკას გადაწყვეტილების შედეგს. ამ სიტყვიდან ჩანს, რომ ოპოზიციის ცენტრალურმა ორგანომ გადასწყვიტა უარყოს კაპიტულიაცია და სცადოს შემდეგში დაიცვას ლეგალური მდგომარეობა ჩვენი პარტიის შიგნით (და ამავე დროს ხელუხლებლად დასტოვოს მთელი თავისი მენშევიკური იდეოლოგია) თავისი არალეგალური მუშაობის დასაფარავად. ამაშია ამხ. კამენევის გამოსვლის ერთადერთი გონივრული აზრი. მისი განცხადება, რომ ის და ოპოზიციის სხვა ლიდერები პასუხს აგებენ მხოლოდ იმ შეხედულებებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მათ მიერ ხელმოწერილ ახალ დოკუმენტში. ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციას არ სურს უარყოს და ჩასთვალოს მავნედ და დამღუპველად მთელი ის კლემანსისტურ-ტერმიდორიანული იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად ედო მათი არალეგალური პარტიის საქმიანობას. დროშები ლოზუნგით „ძირს უსტრიალოვშჩინა, ძირს ტერმიდორი“—აგრეთვე დოკუმენტებია, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ის განცხადებები, რომლებსაც ამხ. კამენევი ხელს აწერს ცეკაში და ცენტრ. საკონტროლო კომისიაში ან პარტიის ყრილობაზე წარსადგენად. კამენევი იყო მთავრობის შემადგენლობაში, მას აქვს ერთგვარი პოლიტიკური გამოცდილება და ის არ უნდა შიოდეს იმაზე, რომ ოპოზიციის უმწვავესი აშკარა ბრძოლის დროს პარტიის წინააღმდეგ რამოდენიმე კაცი ციხეში ჩასვეს. მე ვაღიარებ, რომ იმ მდგომარეობაში, რომლის შექმნაც ოპოზიციამ სცადა, ციხეში ძლიერ ცოტა ჩასვით. მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება იმის თავდებობა, რომ უახლოეს დროში არ დაგვჭირდება ციხის მოსახლეობის რამოდენიმედ გადიდება. თავის დამოკიდებულებაში ოპოზიციასთან პარტია ვერ გამოვა იქიდან, თუ რომელი დოკუმენტის ხელმოწერა ინება კამენევმა, რომელზე არ მოაწერა მან ხელი და რომლის ხელმოწერას ფიქრობს. პარტია ხელმძღვანელობს და პასუხს აგებს სახელმწიფოს მმართველობისათვის, უზარმაზარი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებისათვის. პროლეტარულ რევოლიუციის ამ პრობლემების წინაშე ყველა ეს დიპლომატიური განცხადებები და ხელმოწერები, ერთად აღებული, წარმოადგენს უბრალო, უმნიშვნელო წვრილმანს. პარტია და რევოლიუცია ადვილად ჩაუვლიან მათ გვერდს.

ისინი ამბობენ, რომ ლენინის დროს არ იყო ჩვეულებად შეხედულებებისათვის პარტიიდან გამორიცხვა; ეს არ არის მართალი—პარტიიდან რიცხავდენ შეხედულებებისთვისაც.

მაგრამ კიდევაც რომ მოეხდინა შლიაპნიკოვს რაიმე ცდა, რომ შეეკავშირებია რამოდენიმე ასეული თავისი თანამოაზრე და მიეცა მათთვის დროშები წითელ მოედანზე გამოსასვლელად ლოზუნგით: „გაუმარჯოს მუშათა ოპოზიციას, ძირს ცეკა“ (ხმა: „ჩვენ მათ დავხვრეტდით“), რას ფიქრობთ თქვენ, ვლადიმერ ილიჩი მოეფერებოდა მათ, ისე როგორც ჩვენ გეფერებით? განა მიასნიკოვს ერთი დაკვრით არ გაუსწორდით? განა ის მუქარა, რომელიც არსებობს კამენევისა და მისი თანამოაზრეების მხრივ, ათასჯერ უარესი არაა იმაზე, რასაც ჩვენ შევხვედრივართ რომელიმე ოპოზიციის მხრივ ჩვენი პარტიის მთელი არსებობის განმავლობაში? ლენინის დროს პარტია არასოდეს არავის არ ანებებდა ისეთ უმსგავსოების ჩადენას, ისეთ სრულიად გაუგონარ ანტი-საბჭოთა გამოსვლებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანებში.

ჩვენ გულწრფელი ვართ, ამბობენ ისინი. ამხ. კამენევო, თუ თქვენ გულწრფელად მიგაჩნიათ, რომ ფრაქცია მავნეა (თქვენ კი ფრაქცია კი არა გაქვთ, არამედ დამოუკიდებელი პარტია), თუ არალეგალური პარტიის არსებობა თქვენ მავნედ მიგაჩნიათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, რატომ არ გამოდიხართ იქიდან? ვინ გიშლით ხელს? თქვენი მომხრეები ხომ მაშინ გამოეთხოვებიან ჩვენს პარტიას, როდესაც მუშები გამორიცხავენ მათ თავის უჯრედებიდან. რატომ არ უნდა გამოხვიდეთ თქვენ რევოლიუციის ინტერესებისათვის ტროცკისტულ პარტიიდან. თქვენს დოკუმენტში სწერია, ფრაქცია მავნეაო. რატომ ზიხართ თქვენ იქ დღემდე? თუ თქვენ გულწრფელად გწამთ, რომ ფრაქცია მავნეა, თვითეული თქვენგანი უნდა მოსულიყო აქ და ეთქვა, რომ მე საბოლოოდ გავსწყვიტე კავშირი ოპოზიციასთანო და აქ უნდა ელაპარაკნა, როგორც მტერს ტროცკისტული პარტიისას, რომელიც ამჟამად არსებობს, და არ დაეფარა ის უთანხმოებანი, რომლებიც ჩვენ გვაქვს ურთიერთშორის, კერძოდ ტროცკისთან. რომ გულწრფელი ყოფილიყო ოპოზიციონერების განცხადება იმის შესახებ, რომ თავისი ფრაქციული ანტი-პარტიული ბრძოლა მათ მიაჩნიათ მავნედ პროლეტარიატის საქმისათვის, არც მეორე პარტია და არც მათი ფრაქცია უკვე დიდი ხანია აღარ იქნებოდა. მაშინ ისინი ყრილობაზე გამოვიდოდენ არა როგორც გაერთიანებული ბლოკი, არამედ როგორც პარტიის ცალკე წევრები. მაგრამ დღემდე გაერთიანებული ოპოზიცია, მიუხედავად მის შიგნით არსებულ უთანხმოებათა, განაგრძობს სამი ოთახის პოლიტიკის წარმოებას—ჯერ თვითეული მისი ჯგუფი თავს იყრის ორ სხვადასხვა ოთახში. შემდეგ ეს ჯგუფები ერთიანდებიან, შემდეგ ისევ ცალ-ცალკე იშლებიან, ისევ თავს იყრიან და ბოლოს დაბოლოს გამოდიან აქ ყრილობაზე. როგორც მთლიანი ფრაქცია. ეს ამტკიცებს იმას. რომ ისინი ეხლა, როდესაც უფსკრულში ვარდებიან, თავის ფრაქციულ დისციპლინას აყენებენ ჩვენი პარტიის დისციპლინაზე მაღლა, ეს ამტკიცებს იმას, რომ ისინი ელაპარაკებიან ყრილო-

(გაგრძელება იხ. მესამე გვერდზე)

ბას ორი პარტიის ნიადაგზე. ამხ. კამენევო, საქმე ხომ სწორედ ასეა. თქვენ დღემდე იტოვებდით შესაძლებლობას, რომ ისევ სცადოთ, არალეგალური პარტიის საშუალებით, გამოიტანოთ ქუჩებზე დროშები საკავშირო კომპარტიასთან (ბ) საბრძოლველად. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მოვსპოთ ეს შესაძლებლობა, წავართვათ თქვენ ეს იარაღი. ამიტომ მეტად უხეიროა ოპოზიციონერების სპეკულიაცია რეპრესიებზე იდეურ უთანხმოებათა გამო. მათ გადალახეს ერთ პარტიაში დასაშვებ უთანხმოებათა ფარგლები კამენევის სიტყვიდან სჩანს, რომ მას ეს მშვენივრად ესმის და ამიტომ ასე უაზროდ და თვალთმაქცურად გაისმის მისი არგუმენტაცია რეპრესიების შესახებ. საქმე ხომ იქამდე მივიდა, რომ ჩვენ მოგვმართავს პარტიიდან გარიცხავი კამენევი რამოდენიმე ასეული კაცის სახელით. ის, მაგალითად ხელს აწერს სერებრიაკოვის მაგიერ, რომელიც ამჟამად სცხოვრობს ამერიკაში და რადიოთიაც კი ვერავითარ შეთანხმევაში ვერ შესძლებდა ასე მალე მოლაპარაკებას. როგორც სჩანს, მოლაპარაკება საჭირო არაა. კამენევს რწმუნება აქვს, რომ მათ მაგიერ მოაწეროს ხელი; მათ მაგიერ გადასწყვიტოს საკითხები. ოპოზიციის წევრები გამოდიან არა როგორც ჩვენი პარტიის წევრნი, არამედ როგორც ახალ, ჩვენდამი მტრულად განწყობილ პარტიის წევრნი. რომელმა ნოტარიუსმა მისცა ამხ. კამენევს ვექილობა, რომ ის გამოსულიყო საკავშირო კომპარტიის (ბ) ორი-სამი ათასი წევრის სახელით. ნუთუ ეს ხალხი ისე გულუბრყვილოა, რომ ფიქრობს, რომ ჩვენ ვალდებული ვართ მივიღოთ ეს ვექილობა. მარტო ამ განცხადებით დამტკიცებულია, რომ ოპოზიცია სავსებით ჩამოყალიბებული ახალი პარტიაა, რომელსაც აქვს თავისი შეხედულებები. თავისი დისციპლინა კამენევი ლაპარაკობდა გულწრფელობისა და თვალთმაქცობის შესახებ. მაგრამ, მოთმინეთ; მათ ხომ ორი გულწრფელობა აქვთ: ერთი არსებობს [illegible], მეორე კი ჩვენთვის, ლეგალურ გამოყენებისათვის. რომელი ეშმაკი გაარჩევს. თუ რომელია გულწრფელობის შესახებ ლაპარაკობდა ის!

მისი განცხადების გულწრფელობა და მისი თვითეული ფრაზის შინაარსი განისაზღვრება არა მისი პირადი აზრით, არამედ არალეგალური ტროცკისტულ პარტიის გადაწყვეტილებით. ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მანევრთან, როგორც ეს იყო 16 ოქტომბერს და 8 აგვისტოს. ამხანაგო კამენევო, ორში ერთი, ან მანევრები; მაგრამ ჩვენი პარტიის გარეთ, ან გულწრფელობა არა სიტყვით, არამედ საქმით. გულწრფელობის 5, ტამალიც, რომ მოიპოვებოდეს ამხ. კამენევის და ევდოკიმოვის სიტყვებში იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები, მუშათა კლასის ინტერესები მათთვის ყველაზე უფრო მაღლა სდგას, ისინი ერთ წუთსაც არ დარჩებოდენ ტროცკისტულ პარტიაში. ნამდვილად კი ისინი გამოდიან ოპოზიციის ვექილების სახით, თავის ბედს უკავშირებენ ახალ არალეგალურ პარტიას და იმავე დროს სწერენ, რომ ისინი ორი პარტიის წინააღმდეგი არიან. აქამდის ხომ ამხ. კამენევი გამოდიოდა და დოკუმენტებს ხელს აწერდა ათი, ორასი, სამასი კაცის სახელით, ის დოკუმენტებს ხელს აწერდა ახალ მეორე პარტიის კოლექტივის სახელით. პარტია მოითხოვს, რომ თქვენ გადაჭრით, მთლიანად და საბოლოოდ დაგმოთ ყველაფერი ის, რაც თქვენ გააკეთეთ, რაც თქვენ მოჩმახეთ პრინციპიალურად ტერმიდორის და გადაგვარების საკითხში, საშუალო გლეხთან გათიშვის აუცილებლობის საკითხში, და ყველა იმ საკითხებში, რომელთა შესახებ აურაცხელი სისულელე ითქვა ოპოზიციის მხრივ დაგმოთ თქვენი თეზისი კლემანსიზმის შესახებ რომლის განხორციელება დაიწყო იმ მომენტიდან, რაც თქვენ „მესამე ძალის“ ცენტრად გახდით. აღიარეთ, რომ ეს თეზისი კლემანსოს შესახებ აუცილებლად იწვევს დებულებას სახელმწიფო გადატრიალების აუცილებლობის შესახებ. მოუყევით პარტიას იმის შესახებ, თუ რა გზით აპირებდით თქვენ ტერმიდორიანელების გაძევებას ცეკადან და მთავრობიდან. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლის შემდეგ რომ მართლა აღმოჩენილიყო მათ მხარეზე რამოდენიმე ათასი კაცი. ჩვენ გვყავს ხალხი, მასაო—ამბობენ ისინი. მაშინ ჩვენ მათგან გავიგონებდით არა შემარიგებელ სიტყვებს, არამედ წინადადებებს ანტიტერმიდორიანულ. კლემანსურ მთავრობის შედგენის შესახებ. მაგრამ, როცა დემონსტრაციამ ცხადჰყო თუ ვის მიჰყვება მუშათა კლასი, როცა ზინოვიევმა კინაღამ გამოსცადა, თუ რა კარგია მიმდინარეობის წინააღმდეგ ცურვა პროლეტარიატის დიქტატურის დროს, მხოლოდ მაშინ მოვიდნენ ისინი აქ, ვითომდაც; შემარიგებელი სიტყვებით ვერც ერთი იმ სიტყვაში, რომლებიც ოპოზიციის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს ამ ტრიბუნიდან. ვერ იპოვით ნათელ აზრს, ვერ იპოვით გულწრფელობას. ყრილობის არც ერთ წევრს არ სჯერა, რომ ოპოზიციონური პარტიის ბელადები; რომელნიც ყრილობაზე დაშვებული არიან სათათბირო ხმით, ამბობენ გულწრფელად იმას; რასაც ფიქრობენ. დელეგატებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მათ არაფერი სჯერათ კამენევის და ეს არის მთელი პარტიის ხმა. კამენევი და ტროცკი ხომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ არა ერთი ათეული წლის განმავლობაში. ნუთუ მათ არ ესმით, რომ იმის შემდეგ; რაც ისინი გამოვიდნენ ქუჩაში მოწოდებით მთავრობისა და პარტიის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს არის გადატრიალების მომზადების; ან მოწყობის ცდა ჩვენში. როგორ უნდა გავიგოთ ეს სხვანაირად? ხომ იყო მასების დემონსტრაციაზე გამოყვანის ცდა? იყო. ზინოვიევმა ამ ტრიბუნიდან ილაპარაკა ცეკას პლენუმზე ლენინგრადის დემონსტრაციის შესახებ მათ რომ მოეხერხებიათ მართლაც ათი ათასის მოზიდვა ასეულ ათასებიდან და წაეყვანათ ეს ხალხი დემონსტრაციაზე, იქნებოდა თუ არა ბრძოლა მოსკოვის და ლენინგრადის ქუჩებზე? აუცილებლად იქნებოდა, ხოლო ეს არის ის, რასაც ჩვეულებრივად სამოქალაქო ომის მოწყობა ეწოდება. როგორ მოდიან ამის შემდეგ აქ და რაკოვსკის მზგავსად დიპლომატიური გამოდაობით ასრულებენ მათი ხელმძღვანელი არალეგალური ცენტრის გადაწყვეტილებებს: არ დაჰყარონ იარაღი ეხლა და ისე მოგვაჩვენონ თავი, რომ თითქოს ისინი არაფერ შუაში არ არიან ოპოზიცია არაფერს ამბობს მთელ თავის ანტიპარტიულ მუშაობის შესახებ, ფარს აცხადებს აღიარებს, რომ ეს მუშაობა წარმოადგენს დანაშაულს მუშათა კლასის დიქტატურის წინაშე, არ სწყვეტს კავშირს გადაჭრით და საბოლოოდ კლემანსიზმის, ტერმიდორიანობის და სხვ. იდეოლოგიასთან და ეუბნება პარტიას, რომ ის არ უარყოფს თავის მიზნებს და თავის პარტიას. როგორც სჩანს მათ ასეთი გეგმა აქვთ: მოდი კიდევ ვაწარმოოთ შეტევა, შეიძლება მეორეთ ჩვენი არალეგალური დროშების გარშემო შევსძლოთ მეტი ხალხის შემოკრება, ვინემ ჩვენ შევკრიბეთ უკანასკნელ ხანებში.

მათი განცხადება რომ გულწრფელი ყოფილიყო, მაშინ კამენევს და ევდოკიმოვს პირველ რაც უნდა ექნათ—ეს განეცხადებიათ ამ ტრიბუნიდან ის, რასაც ისინი ფიქრობენ, როგორც პარტიის წევრები და არა ის, რასაც უკარნახებენ მათ პარტიიდან გამორიცხული ზინოვიევი და ტროცკი. ისინი მოითხოვენ პარტიისაგან, რათა ეს უკანასკნელი სერიოზულათ მოეპყრას მათ, მას შემდეგ, რაც დაბეჯითებით ცნობილია რომ ისინი თავის არალეგალური ჯგუფში დაუსრულებელ სხდომას აწარმოებენ პარტიიდან გამორიცხულ თავის ბელადებთან ერთად და ამ ბელადებთან ერთად იხილავენ თვითეულ სიტყვას, ვითეულ ფრაზას, რომლითაც აპირობენ ყრილობის და მთელი პარტიის მოტყუებას. თუ ისინი ფიქრობენ, რომ ბოლშევიკური პარტია მოითმენს ამას და მათთან გააგრძელებს ლაპარაკს ამ ნიადაგზე, ისინი სასტიკათ შეცდებიან. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა აუხსნათ პარტიის ყველა წევრებს კამენევის და ოპოზიციის სიტყვების სიყალბე, იმის შესახებ თითქოს ჩვენ ვმოქმედობთ არა ბოლშევიკურათ, როდესაც მოვითხოვთ მათგან ანტიპარტიულ შეხედულებათა დაცვის უარყოფას. ლენინის დროს პარტია სასტიკ ნორმებს აწესებდა იმისათვის რომ დაეცვა პარტია ისეთ შეხედულებებისაგან რომელიც არ ეთანხმებოდა პარტიულ დადგენილებებს და რომელიც ოპოზიციის დღევანდელ შეხედულებაზე უფრო ნაკლები სახიფათო იყო რევოლუციისათვის. პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ შეუთავსებელია პარტიაში ყოფნა. არაპარტიულ შეხედულებათა დაცვასთან. ჩვენ მოვალენი ვართ გავიმეოროთ პარტიის მეათე ყრილობის ეს დადგენილება ტროცკიზმის მენშევიკური შეხედულებათა გამო. ევდოკიმოვის და ოპოზიციის სხვა ლიდერების გამოსვლა ამ ყრილობაზე წარმოადგენს ასეთი დადგენილების საჭიროების ახალ დამამტკიცებელ საბუთს.

შემდეგ, საჭიროა აუხსნათ პარტიის ყველა წევრებს, რომ ჩვენ აქ ვაწარმოებთ არა უბრალო ამხანაგურ მასლაათს, არამედ ვღებულობთ განსაზღვრულ დადგენილებებს, როგორც პოლიტიკური მოღვაწენი. კამენევისათვის; ისე როგორც ჩემთვის; როგორც ყველა თქვენთაგანისათვის ნათელი უნდა იყოს ის გარემოება. რომ პოლიტიკაში პატიოსან სიტყვას არავითარი ფასი არა აქვს. პოლიტიკურ ბრძოლაში რეალურია არა ამა თუ იმ მოღვაწის პატიოსანი სიტყვა, არამედ მტკიცე გარანტიები. ლაპარაკი პოლიტიკურ მოღვაწეთა პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენი პარტიის და რევოლუციონური მოძრაობის ისტორიის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პერიოდში.

ოპოზიცია ეხლა პასუხს აგებს მთელი თავისი იდეოლოგიისათვის, თავისი მოქმედებისათვის, როგორც ლეგალური. ისე არალეგალური მოქმედებისათვის. ოპოზიციის ბელადებმა სოლიდარობა კი არ უნდა განუცხადონ საბჭოთა სახელმწიფოს რეპრესიებისაგან დაზარალებულ პირებს, არამედ მათთან ერთად პასუხი უნდა აგონ ამ სახელმწიფოს წინაშე, რომელიც მათივე განცხადების მიხედვით მე-15 ყრილობაზე არის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო. როცა კამენევი ამ ტრიბუნიდან გვეკითხება, თუ ვინ აგებს პასუხს იმისათვის, რომ რამოდენიმე ოპოზიციონერი ჩაჯდენილ იქნა ციხეში, მე ვამბობ: პასუხისმგებელია კამენევი, მან მიიყვანა ისინი ციხემდე. გარდა ამისა, ოპოზიციას ყოველგვარი ხალისი უნდა დაუკარგოთ. რომ პარტიას დააკისროს რაიმე პასუხისმგებლობა იმისათვის, რასაც ისინი აკეთებდენ და აკეთებენ. კამენევი ფონს ვერ გავა იმით, რომ თავისი თავი დასახოს პოლიტცოდნის წრის ან ხვალის გამოუცდელ წევრად. იგი ძველი პოლიტიკური მოღვაწეა და სავსებით აგებს პასუხს როგორც ყოველი თავისი ნაბიჯისათვის, ისე მისი შედეგებისათვის. ახალგაზრდობაზე, პარტიის გამოუცდელ წევრებზე შეიძლება ვთქვათ, რომ მათ ესა თუ ის შეცდომა ჩაიდინეს გამოუცდელობით, ან თავის ნების წინააღმდეგ, ან იმიტომ, რომ ვინმემ წააქეზა. ოპოზიციის ბელადების სისტემატიური და გეგმაშეწონილი ანტიპარტიული გამოსვლები,—ეს არის „შორს დამიზნების“ ტაქტიკა, რომლის დაფარვასაც ცდილობენ სიტყვის ბანზე აგდებით. და როცა ტროცკი ამბობს, რომ მე ქუჩაში არ წავიდოდი ლოზუნგით „ძირს ტერმიდორიანელები“, მაგრამ არ მომწონს შინაპარტიული რეჟიმიო, ეს მეტად სასაცილოა და სავსებით ახასიათებს ოპოზიციის მთელ ანტიბოლშევიკურ ბუნებას. მე ვაღიარებ, რომ ერთ რამეში ვაგებთ პასუხს ტროცკისა; ზინოვიევისა და კამენევის მოქმედებისათვის. ეს პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში; რომ ჩვენ მხოლოდ ეხლა ვკვეთავთ ოპოზიციის მოქმედებას, რომ ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ, როცა მათ მიეცით საკუთარი არალეგალური პარტიის შექმნის საშუალება. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან არ შეიძლება გამოვიდეთ, თუ არ მივიღეთ რადიკალური გადაწყვეტილება. ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები. ამას მოითხოვს პროლეტარიატის დიქტატურის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ინტერესები. ეს აუცილებელია ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისა და პროლეტარული რევოლუციის განვითარებისათვის. კამენევმა თავისი სიტყვა დაამთავრა იმით. რომ იგი არ იმიჯნება იმ ოპოზიციონერებისაგან რომელთაც დაარღვიეს პროლეტარული სახელმწიფოს კანონები და რომელთა წინააღმდეგ ამის გამო მიღებულ იქნა რეპრესიები. მე მას ამაზე უპასუხებ: ეს ყრილობა არ იმიჯნება მუშათა კლასისა და საერთაშორისო რევოლუციისაგან, რომელთა ინტერესები მოითხოვს მეორე პარტიის, ოპოზიციონური ბლოკის საბოლოო იდეური და ორგანიზაციულ განადგურებას და ლიკვიდაციას. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში, გაისმის ხმები: „ურა“. დელეგატები ფეხზე ადგომით ესალმებიან რიკოვს და მღერიან „ინტერნაციონალს“).

6 დეკემბრის დილის სხდომა

მისალმებანი ყრილობას

6 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ფაბრიკა-ქარხნების, წითელარმიელების, მოჯამაგირეების, გლეხებისა და გლეხ-ქალთა დელეგაციების მისალმებანი.

პოლტავის ოლქის გლეხი-ქალი ბაბაშკოვა და უმანის ოლქის გლეხი-ქალი მარჩენკო აცხადებენ, რომ ისინი პარტიის მე-15 ყრილობაზე გამოგზავნილი არიან გლეხური ორგანიზაციების მიერ, რათა მიესალმონ ყრილობას და უსურვონ მას მის წინაშე მდგარ საკითხების წარმატებით გადაჭრა. სოციალისტური მშენებლობით დაინტერესებული გლეხობის ჯგუფები—ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები გმობენ ოპოზიციის მუშაობას, რომელიც მიმართულია პარტიის გათიშვისა და მუშათა კლასის რიგების დეზორგანიზაციისაკენ. ისინი მოითხოვენ ყრილობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას ოპოზიციის წინააღმდეგ.

კოვალენკო, ესალმება რა ყრილობას ხერსონშჩინის მოჯამაგირეების სახელით, აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიგეს მოჯამაგირეებმა სწორი გზა სოციალიზმისაკენ.

კონსტანტინოვის ქარხნების სახელით ლაპარაკობს მუშა პოდობედოვი. პარტიის მე-15 ყრილობისათვის კონსტანტინოვის ქარხნებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები წარმოების მექანიზაციისა და პროდუქციის გაიაფების საქმეში.

ამ მიღწევებს მუშები მიაწერენ მხოლოდ პარტიის ცეკას სწორ ხელმძღვანელობას. მუშები აცხადებენ, რომ პარტიას შეუძლია იქონიოს მხარის დაჭერის იმედი მუშების მხრით. ოპოზიციას არასოდეს არ ჰქონია და არც ექნება არავითარი გავლენა მუშათა მასებში.

ნოვსკი, ბუხარინის სახელობის შუშის ქარხნის მუშა აცხადებს, რომ მუშები ერთგული არიან ლენინის ანდერძისა. ოპოზიციას მუშები არ გაჰყვებიან, ვინაიდან მუშები ცხადათ ხედავენ სოციალისტურ მშენებლობას და ყოველდღიურად ღებულობენ მასში მონაწილეობას. ის. ვინც ხელს უშლის პარტიას სოციალიზმის მშენებლობაში, უნდა განიდევნოს პარტიიდან. ნოვსკი ყრილობას გადასცემს საჩუქრად კვადრატულ შუშას ლენინის სურათის მხატვრული გამოსახულებით და აცხადებს, რომ თუ ვინმე გაბედავს ლენინის სახის წაშლას და სხვა სახით შეცვლას, ის თვით აღიგვება მუშათა მასის მიერ.

მუშა-ქალი როდიონოვა ესალმება ყრილობას მე-8 ინტერნაციონალის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის 6 ნახ. ათას მუშა და მუშა-ქალების სახელით. ის აცხადებს, რომ პროლეტარიატი იწონებს პარტიის ხელმძღვანელობას და გმობს ოპოზიციის მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია სოციალისტური მშენებლობის ჩაშლისაკენ.

როდიონოვას შემდეგ ყრილობას დნეპროპეტროვსკის ქარხნების 100000 მუშის სახელით ყრილობას ესალმება მუშა ფედოროვი. ფედოროვი აცხადებს, რომ მუშები ერთსულოვნად მოითხოვენ ყრილობისაგან ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის ნაყოფიერ მუშაობას როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის დარგში. მუშები აცხადებენ, რომ ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს შეასრულებს მთელი მუშათა მასა. ჩვენს საჩუქარს მე-15 ყრილობისათვის წარმოადგენს დნეპროპეტროვსკის ქარხნების ასეულ საუკეთესო მუშის შესვლა პარტიაში.

დეე, ეს იმის დამამტკიცებელი იყოს, რომ პარტიასა და პროლეტარიატს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან სადგურ ბოლოგოეს რკინისგზის სახელოსნოების მუშა ვასილიევი, ზოლოტოუსტის ქარხნების მუშა სტრაჩკოვი და კონოტოპის რკინისგზის სახელოსნოების მუშა კუზმინი.

— ის გზა, რომელსაც გვირჩევს ოპოზიცია—შემცდარი გზაა,—ამბობენ დელეგატები. მუშები ფიქრობენ, რომ დადგა მომენტი, როცა ყრილობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ოპოზიციის ლიკვიდაციისათვის. დამშვიდებით გადაჭერით საკითხები, რომლებიც თქვენს წინაშე სდგანან და გახსოვდეთ, რომ თქვენ მუშაობას თვალყურს ადევნებს საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი. იცოდეთ, რომ მუშათა კლასი დაგეხმარებათ თქვენი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ტრეხგორნის მანუფაქტურის წარმომადგენელი მუშები კონდრატიევი და ჟურავლიოვა ლაპარაკობენ: „ნუ გადაუხვევთ ლენინურ გზას. იცოდეთ, რომ მუშათა კლასი მოგვყვება თქვენ და არა ოპოზიციას“.

მოსკოვის გარნიზონის წარმომადგენელ იუდინს, რომელიც ყრილობას წითელი არმიის ნაწილების სახელით ესალმება, დელეგატები მქუხარე ოვაციით ხვდებიან. ყველა ფეხზე დგება. გაისმის ხმები:—გაუმარჯოს წითელ არმიას! ამებს მქუხარე ურა ჰფარავს.

იუდინი აცხადებს, რომ წითელი არმია მზადაა დახვდეს ყოველგვარ მტერს. ის ამბობს, რომ წითელი არმია ვერ მოითმენს თავის რიგებში ვერავითარ ოპოზიციას, ვერავითარ მუშაობას, რომელიც ხრწნის არმიას.

ამხ. ჩუბარის საპასუხო სიტყვა

დელეგაციების მისალმებებზე საპასუხო სიტყვით ყრილობის სახელით გამოდის ამხ. ჩუბარი. ის მადლობას უხდის დელეგატებს იმ ძმური დამოკიდებულებისათვის, რომელიც მათი სახით გამოიჩინეს პარტიის მე-15 ყრილობისადმი მუშების, გლეხების და წითელარმიელების მასებმა.

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ,—ამბობს ამხ. ჩუბარი,—მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. ჩვენ ამ საკითხების გადაჭრა გვიხდება მძიმე პირობებში. ჩვენ ამ საკითხებს გადავსწყვეტთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს იმედი იმ ძალების, რომლებიც მხარს უჭერენ კომუნისტურ პარტიას და ეხმარებიან მას მძიმე ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის მუშებმა ამჟამად თავიანთი წრიდან გამოჰყვეს ათეული ათასი საუკეთესო პროლეტარები, რათა განამტკიცონ ჩვენი პარტია და შეავსონ ის რიგები, რომლებიც დასტოვეს ოპოზიციონერებმა. პარტიას სწამს, რომ მუშათა კლასის წრეში, მოჯამაგირეებსა და გლეხებს შორის მოიძებნება ძალები, რომლებსაც შეუძლია დაეყრდნოს თავის მუშაობაში პარტია.

ყრილობა გადადის ცეკას პოლიტიკურ და საორგანიზაციო ანგარიშის გარშემო გამართულ კამათის გაგრძელებაზე.

ამხ. მირზოიანის სიტყვა

პირველად გამოდის ამხ. მირზოიანი. (სიტყვას დაწვრილებით მივიღებთ).

ამხ. რადჩენკოს სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. რადჩენკო (უკრაინა), რომელიც აღნიშნავს, რომ ცეკამ ჩაატარა უდიდესი მუშაობა მუშათა აქტივის ფართოდ გამოაშკარავების საქმეში, აქტივის, რომელიც გამოყენებულია სოციალისტური მშენებლობის ხაზით. მიუთითებს რა ამ აქტივის მუშაობაში ჩამის ნაკლზე. ამხ. რადჩენკო ყრილობის ყურადღებას მიაპყრობს აქტივის სწორ ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე.

შეჩერდა რა ოპოზიციის საკითხზე, ამხ. რადჩენკო ოპოზიციისაგან მოითხოვს ფრაქციულ მუშაობაზე სავსებით ხელის აღებას არა სიტყვით, არამედ საქმით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი—იმ ოპოზიციონერების პარტიაში დატოვების შესახებ რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან გამორიცხული პარტიიდან. ან სრული კაპიტულიაცია და საორგანიზაციო და იდეური შეცდომების სრული აღიარება ან და ოპოზიცია მტკიცედ და შეუბრალებლად უნდა მოიკვეთოს პარტიიდან.

ამხ. გოლოვეშკოს სიტყვა

ამხ. გოლოვეშკომ (ლენინგრადი) მთელი თავისი სიტყვა უძღვნა ოპოზიციასთან დამოკიდებულების საკითხს.

ამხ. რიუტინის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. რიუტინი (მოსკოვი), რომელიც ამტკიცებს, რომ ოპოზიციის კაპიტულიაცია საორგანიზაციო მხრით სრულიადაც არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ოპოზიცია შეასრულებს თავის დაპირებას შინაპარტიული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. საჭიროა გარკვევით შევიგნოთ, რომ ორგანიზაციული უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციის შორის არის პრინციპიალური უთანხმოების შედეგი. პარტიის მე-15 ყრილობამ ოპოზიციას უნდა მოსთხოვოს სრული კაპიტულიაცია არა მარტო ორგანიზაციული მხრით, არამედ იდეური ხაზითაც. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მშვიდობიანობის მიღწევა პარტიაში. ან ისტორიის ნაგავის ორმოში ან და სრული კაპიტულიაცია პარტიის წინაშე.

ამხ. ტომსკის სიტყვა

ამხ. ლეონოვის გამოსვლის შემდეგ (ჩრ.-კავკასია) დიდი, ლამაზი და მახვილი სიტყვით გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელსაც ყრილობამ ხანგრძლივი და მქუხარე ოვაცია გაუმართა. (ამხ. ტომსკის სიტყვა მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში).

ამხ. მურალოვის სიტყვა

შემდეგ სიტყვა ეძლევა ოპოზიციონერ ბაკაევს, მაგრამ იგი დარბაზში არ აღმოჩნდა. ამიტომ სიტყვა მიეცა შემდეგ ორატორს, ოპოზიციის წარმომადგენელს ამხ. მურალოვს.

ისევე, როგორც ამხ. რაკოვსკი და ევდოკიმოვი, ამხ. მურალოვი იწყებს პარტიის ყველა „დანაშაულთა“ ჩამოთვლას.

ორი წელია, რაც არ მოწვეულა ყრილობა,—სჩივის იგი (მე-15 კონფერენცია!—უძახიან ადგილებიდან დელეგატები).

მურალოვმა განაცხადა, რომ მე-14 ყრილობაზე „ავადმყოფობა“ არ იყო დაძლეული. ამ სიტყვებს მთელი ყრილობა შეხვდა ძახილით: „ძირს შპარგალკა. არსებითად ილაპარაკე. ილაპარაკე ოპოზიციის შესახებ“.

მურალოვი განაგრძობს; პარტიას არ განუხილავს ყველა საკითხი, არანორმალური მდგომარეობა იყო, დისკუსია ცალმხრივი იყო და სხ. ყრილობის პროტესტები და ძლიერი ხმაურობა აიძულებს პრეზიდიუმს კენჭი უყაროს საკითხს: სურს თუ არა ყრილობას კვლავ მოუსმინოს მურალოვს. არც ერთ დელეგატს არ სურს მურალოვის სიტყვის შემდეგი სმენა. მურალოვი სტოვებს ტრიბუნას. გაისმის საერთო აღშფოთების ხმები მის წინააღმდეგ.

ამხ. ნიკოლაევის სიტყვა

კლავდია ნიკოლაევა, რომელიც მე-14 ყრილობის დროს ოპოზიციაში იყო, აცხადებს, რომ მან ერთ წელზე მეტია, რაც იდეური და ორგანიზაციული კავშირი გასწყვიტა ოპოზიციასთან.

ვინც კავშირი გასწყვიტა ოპოზიციასთან, ვინც ერთხელ იცნო იგი,—ამბობს ამხ. ნიკოლაევა,—ის არასოდეს აღარ დაბრუნდება ოპოზიციაში. ოპოზიციამ შეინარჩუნა ტროცკიზმის ისტორიული შეხედულებათა მთელი კონცეპცია. ეს კონცეპცია დამსხვრეულია იდეურად და მას ბოლო უნდა მოეღოს ორგანიზაციულ მხრივაც.

ამხ. ლარინის სიტყვა

უკანასკნელად დილის სხდომაზე გამოვიდა ამხ. ლარინი. დისკუსია,—ამხ. ლარინის აზრით,—გვაძლევს საშუალებას გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ოპოზიცია განადგურებულია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ მორალურადაც და იდეურადაც. ოპოზიციის განცხადება და აგრეთვე კამენევისა და სხ. განცხადება მოწმობს, რომ იგი დაბნეულია. თუ მე-14 ყრილობაზე ოპოზიცია იყო დახასიათებული როგორც ჯგუფი წვრილ ბურჟუაზიული გადახრით, ეხლა მე-15 ყრილობაზე გარკვევულად შეიძლება ითქვას, რომ იგი ბურჟუაზიის უშუალო იარაღად გადაიქცა. ოპოზიცია სრულ კაპიტულიაციას აცხადებს ბურჟუაზიული მეურნეობის წინაშე, იგი, ერთის მხრით მოჯადოებულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სიმდიდრით და მეორეს მხრით, სრულიად ვერ აფასებს ჩვენ სამეურნეო შესაძლებლობებს.

ყრილობის დღიური

6 დეკემბრის საღამოს სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომას ხსნის ამხ. პეტროვსკი, რომელიც აცხადებს, რომ ყრილობისათვის მისასალმებლად მოვიდნენ მრავალრიცხოვანი დელეგაციები ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივებიდან, და აგრეთვე გლეხებიდან.

ყრილობას ესალმებიან მთელი რიგი დელეგაციები.

დელეგაციების მისალმებებზე ყრილობის სახელით უპასუხა ამხ. პეტროვსკიმ, რომელმაც სთქვა: „გადაეცით იმ მუშებსა და მუშა-ქალებს, იმ გლეხებსა და გლეხ-ქალებს, რომელთაც თქვენ გამოგგზავნათ, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ დაიცავს პროლეტარულ წყობილებას ჩვენს საბჭოთა კავშირში და არავის, არც საერთაშორისო ბურჟუაზიას და არც ოპოზიციას არ მისცემს ნებას დაანგრიოს ეს წყობილება“.

ამის შემდეგ გაგრძელდა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ბაკაევმა, მედვედევმა, მიქოიანმა და იაროსლავსკიმ, რის შემდეგაც ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

7 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. 7 დეკემბერს დილის 10 საათზე ყრილობის მორიგი სხდომა გახსნა ამხ. **რუძუტაკმა**. ყრილობამ მოისმინა ამხ. **კურსკის**, ამხ. **კოსიორის** საბოლოო სიტყვები და შემდეგ ამხ. **სტალინის** საბოლოო სიტყვა, რომელსაც მთელი ყრილობა შეხვდა მხურვალე და ხანგრძლივი ოვაციებით. ამხ. სტალინის სიტყვას ხშირად აწყვეტინებდენ ტაშით სიტყვის დამთავრების შემდეგ ყრილობა ამხ. სტალინს უმართავს მხურვალე ოვაციებს. ამხ. **ალექსეევი** ლენინგრადის, მოსკოვის, ურალის, ჩრდილო-კავკასიის, ცენტრალურ-სამრეწველო, ამიერ-კავკასიის და ვოლგის მხარის დელეგაციების სახელით კითხულობს რეზოლიუციის პროექტს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო; ყრილობამ რეზოლიუცია მიიღო ერთხმად (თავი არავის არ შეუკავებია). რეზოლიუციის მიღებას თან სდევდა მხურვალე ტაში და ძახილი: „ვაშა“. ყრილობამ დაამტკიცა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კრიზისის გამწვავება გომინდანში

გომინდანმა ვერ შესძლო ცეკას პლენუმის მოწვევა

მოელიან სამხედრო შეტაკებას გუანსუის ჯგუფთან

საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტის განხილვა დეპუტატთა პალატაში

კრიზისი გომინდანში

სამხედრო წესები

შანხაი, 6 დეკემბერი. ხანკოუში გამოცხადებულია სამხედრო წესები. (ადს)

უთანხმოება გომინდანში

შანხაი, 7 დეკემბერი. გომინდანის კონფერენციის სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო შანხაიში „გომინდანის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის მოსამზადებლათ“ არ იქნა მოწვეული, რადგან სხდომაზე არ გამოცხადდენ გუანსუის ჯგუფის წარმომადგენლები. გაზ. „სინ-ჭან-ბაო“-ს გადმოცემით, გუანსიულებმა მოაწყვეს ცალკე კრება.

შანხაიში გავრცელებულია ხმები, რომ კონფერენცია საერთოდ ჩაიშალა, რის გამო გომინდანის წრეებში შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა. შანხაის ჩინურ წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენციის ჩაშლა დააჩქარებს სამხედრო შეტაკებებს გუანსუის ჯგუფსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. (ადს)

სამხედრო ბიუჯეტი დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 6 დეკემბერი. დეპუტატთა პალატაში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი **დიუკლო, რომელმაც მოითხოვა სამხედრო საბჭოების გაუქმება**. სამხედრო მინისტრმა **პენლევემ** განაცხადა, რომ მთავრობა თანხმდება სამხედრო საბჭოების შესანახი კრედიტის შემცირებაზე, მაგრამ წინააღდეგია კომუნისტების წინადადების საბჭოების სრული გაუქმების შესახებ; ამასთან დაკავშირებით მან ნდობის საკითხი დასვა. ამას შემდეგ პალატამ 360 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 150 ხმისა, უარჰყო დიუკლოს წინადადება.

ასეთსავე პროცედურას ასეთივე შედეგებით ადგილი ჰქონდა შემდეგი კომუნისტების წინადადებათა მიმართ: **მარტის**—სამხედრო საპატიმროთა გაუქმების შესახებ, **კორნავენის**— აფრიკაში საკატორღო საპატიმროების გაუქმების შესახებ, **მიულერის**— ჯარისკაცთა საზრდოობისათვის კრედიტის გადიდების შესახებ, **რენე ჟანის**—არტილერიისათვის კრედიტის შემცირების შესახებ, **ბიზოს**— მუშათა საცხოვრებელ ბინებისათვის კრედიტების გადიდების შესახებ და **მარტის**— საიდუმლო სამხედრო ფონდების გაუქმების შესახებ.

კომუნისტ დეპუტატების **რენო ჟანისა და ბერტონის** პროტესტების მიუხედავად, **პალატამ 322 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 194 ხმისა, მიიღო კრედიტები მაროკოსა და სირიაში სამხედრო გარნიზონების საჭიროებისათვის.**

სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართული კამათის დროს მთავრობამ რამდენჯერმე დასვა ნდობის საკითხი; რადიკალების ნახევარი ზოგჯერ მთავრობის წინააღმდეგ აძლევდა ხმას. (ადს)

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

პარიზი, 5 დეკემბერი. ლიტვინოვის დიპლომატიურ საუბრების შესახებ ჟენევაში; მემარჯვენე პრესას „არ სჯერა საბჭოთა დელეგაციის გულწრფელობა“, **მაგრამ, მიუხედავათ ამისა არ შეუძლია უარყოს ჟენევაში საბჭოთა დელეგაციის უდიდესი მნიშვნელობა და მათი მონაწილეობა აღმოსავლეთ-ევროპის კონფლიქტების მოგვარებაში.**

გაზეთი „ეკო დე-პარი“ აღნიშნავს, რომ **საბჭოთა დელეგაციას ერთა ლიგის ავანსცენაზე მრავალი თანამგრძნობი აღმოაჩნდა**, რადგან ბევრმა მოინდომა საბჭოთა კავშირის ჩაბმა ლოკარნოს მსგავს ადგილობრივ ხელშეკრულებებში და ლიტვინოვის დამამშვიდებელი გავლენის გამოყენება ლიტვის მთავრობაზე პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

„ტანი“ ამტკიცებს, რომ ბოგომოლოვის ნოტაში, მიუხედავათ ზრდილობიანი ტონისა, არის საბჭოთა კავშირის ოდნავ დაფარული მუქარა, რომელსაც უნდა მოემზადებია ნიადაგი ლიტვინოვის მანევრებისათვის ჟენევაში. (ადს)

გაფიცვა ავსტრალიაში

ლონდონი, 6 დეკემბერი. გაფიცვა **ავსტრალიის დოკებზე გრძელდება**. მოსული გემები არ იტვირთებიან. ფედერალურმა საარბიტრაჟო სასამართლომ სცადა ნავთსადგურის მუშების დაყოლიება გაფიცვის შეწყვეტაზე. გაფიცვა დაიწყო ზედმეტ საათებში მუშაობის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ მუშათა ფედერაციამ მოითხოვა იმის გარანტიები, რომ მწარმოებლები განიხილავენ იმ პრეტენზიებს, რომლებმაც მიიყვანა ფედერაცია ზედმეტ საათებში მუშაობის აკრძალვამდე. რადგან ეს გარანტიები არ იქნა შესრულებული, გაფიცვა გრძელდება. (ადს).

ავსტრალიის ნავთსადგურების მუშათა გაფიცვის დამთავრება

ლონდონი, 6 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო სიდნეიდან იტყობინება: „ავსტრალიის ნავთსადგურების მუშებმა მოიწონეს მათი ორგანოების წინადადება ზედმეტ საათებში მუშაობის განახლების შესახებ. ამგვარად, ნავთსადგურების მუშათა გაფიცვა დამთავრდა“.

კულიჯის საარჩევნო ოინებში

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. კონგრესის სესიის გახსნაზე გამოქვეყნდა ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების პრეზიდენტის კულიჯის მიმართვა, რომელშიაც ის ჯამს უკეთებს მთავრობის პოლიტიკის ძირითად მომენტებს. კულიჯი ადასტურებს, რომ **მთავრობა წინააღმდეგია ფერმერებისთვის სუბსიდიის მიცემისა, მომხრეა საჰაერო და საზღვაო თავდაცვის გაძლიერების, ლათინურ ამერიკაში სავაჭრო პოზიციების დაპყრობის, ნიკარაგუაში „მშვიდობიანობის“ დამყარების** და სხ. საჭიროა გვახსოვდეს, — ნათქვამია მიმართვაში, —რომ ჩვენ გვაწევს პასუხისმგებლობა მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და ამ უამრავი სიმდიდრის დაცვისათვის, რომელიც იშვიათად თუ ხვდომია წილად რომელიმე ხალხს. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჩვენ უნდა გვყავდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები. ჩვენი სამხედრო ძლიერება მუდამ საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებს ემსახურება. ყველგან, სადაც კი ჩვენი დროშა გამოჩნდება, უფლებრივი წყობილება და ადამიანობა მოგებული“.

შემდეგ კულიჯი ამტკიცებს, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარმა „დაამშვიდა“ ნიკარაგუა და ამჟამად წესრიგს და მშვიდობიანობას არღვევენ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისაგან შემდგარი მოხეტიალე მცირერიცხოვანი ბანდები“.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამერიკა არაა ისეთი ხელშეკრულებების წინააღმდეგი, რომლებიც მიმართული იქნება მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ.

„მაგრამ, ნათქვამია შემდეგ,—მთელი ქვეყნისთვის ცნობილი დიდსულოვნობა, პატიოსნება და სხვა მაღალი ნაციონალური თვისებები ამერიკისა — მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიებია. ერის სულს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყველა ხელშეკრულებებს“.

დასასრულ კულიჯი წინააღმდეგია საბაჟო ტარიფების შემცირების, აღნიშნავს ზანგების ლინჩის წესით გასამართლების მოსპობის აუცილებლობას საკანონმდებლო გზით და მომხრეა ქვანახშირის მრეწველობაში იძულებითი არბიტრაჟის კანონის გატარებისა. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 6 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს მთავარი მუშაობა ისევ კულუარებში მიმდინარეობს. 6 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე კვლავ მხოლოდ მეორე ხარისხოვან საკითხებს არკვევდენ. პოლიტიკური წრეების მთელი ყურადღება მიპყრობილია პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტზე. ამასთან დაკავშირებით კომენტარიებს უკეთებენ ლიტვინოვის საუბრებს შტრეზემანთან, ბრიანთან და ვოლდემარასთან. განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ლიტვინოვის განცხადებამ სავსებით ნათელი გახადა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში. (ადს)

ამხ. ლიტვინოვის საუბარის გამოძახილი

პარიზი, 6 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „ჰავასის ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კომუნიკემ ლიტვინოვის ჟენევაში საუბრის შესახებ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამდენადაც კომუნიკე ეხება ბრიანის და ლიტვინოვის საუბარს, საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ადასტურებენ რუსული ცნობების სინამდვილეს. ამ წრეებში ხაზს უსვამენ მხოლოდ იმას, რომ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა დადების შესახებ მოლაპარაკების შესაძლებლობის გამო საფრანგეთს ყოველთვის სურდა და ახლაც სურს, რომ ასეთი პაქტი დადებულ იქნას შემდეგი პირობით: ერთის მხრით რუსეთის დაცვა, რამდენადაც შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იქნება, მეორეს მხრით ეს პაქტი უშიშროებისა და გარანტიის ისეთ პრინციპებს უნდა შეიცავდეს, რომელთა შეუძლებათ მინიჭონ მას, ნამდვილი მშვიდობიანობის საშუალების მნიშვნელობა, როგორც ლოკარნოს პაქტს.

რაც შეეხება ჩემბერლენისა და ლიტვინოვის საუბარს, აღნიშნულ წრეებში არ გამოსთქვამენ არავითარ გაკვირვებას მისი უარყოფითი შედეგის გამო. ამ საუბრისაგან წარმატებას არ მოელოდენ, ყოველ შემთხვევაში სასარგებლოდ ითვლება თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ ლონდონისა და მოსკოვის მთავრობათა წარმომადგენლებს შორის მოხერხდა, თუნდაც ხანმოკლე, კონტაქტი“ (ადს).

მეწარმეები ლოკაუტით იმუქრებიან

ბერლინი, 6 დეკემბერი. ცენტრის პარტიის ორგანო „კელნიშე ფოლკსცეიტუნგი“ იტყობინება, რომ ადლერის კონცერნი ლოკაუტით ემუქრება 3.500 მემალაროეთ, თუ ისინი არ დათანხმდენ სამუშაო დროის გაგრძელებაზე 9 საათამდის და ხელფასის შემცირებაზე 5,7 პროც.

ლოკაუტის საშიშროება ჯერ-ჯერობით ძალაში რჩება ლითონის მრეწველობაში, თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება, 15 დეკემბერს გამოცხადდება ლოკაუტი.

შრომის მინისტრი იტყობინება, რომ იმ შემთხვევაში თუ 7 დეკემბრის მუშათა და მწარმოებელთა კონფერენცია დამთავრდა უშედეგოთ. დანიშნული—იქნება სახელმწიფო სამედიატორო სასამართლო, რომლის საშუალებით ესენში დაწყებული იქნება მოლაპარაკება. (ადს)

საარის რკინისგზელთა გაფიცვა

ბერლინი, 6 დეკემბერი. საარის ოლქის რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება. საქონლის მოძრაობა შეჩერებულია. რკინისგზის ადმინისტრაციამ მიმართა მოწოდებით ყველა მუშებს, რომლებიც კანდიდატებად ჩაეწერენ რკინის გზის განთავისუფლებულ თანამდებობებზე, რომ შეუდგნენ მუშაობას გაფიცულთა მაგიერ; მაგრამ ამ მოწოდებამ გამოძახილი ვერ ჰპოვა (ადს).

პოლონეთი და გერმანია

ვარშავა, 6 დეკემბერი. გერმანიის მრეწველთა კავშირის მიპატიჟებით, ბერლინში გაემგზავრა პოლონეთის სამეურნეო წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია ხუთი ყოფილი მინისტრის მეთაურობით. იანვარში მოელიან გერმანიის მრეწველთა წარმომადგენლების საპასუხო ვიზიტს ვარშავაში. (ადს)

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მოსკოვი, 7 დეკემბერი. მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნალური მუშების კავშირის ც. კ.-ის თავმჯდომარე ამხ. ტელეშევი და კავშირის ც. კ.-ის მდივანი ამხ. რატმანოვი; ისინი მონაწილეობას იღებდენ შვეციის, ნორვეგიის და დანიის კომუნალური მუშების კონფერენციის მუშაობაში იმ საკითხის გარშემო, რომელიც შეეხებოდა ძმური კავშირის დამყარებას სკანდინავიისა და საბჭოთა კავშირის კომუნალურ მუშებს შორის.

კონფერენციამ მკაცრად უარჰყო ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან გავრცელებული სიცრუე საბჭოთა პროფმოძრაობის შესახებ, კერძოდ ბრალდება იმის შესახებ, ვითომც საბჭოთა პროფკავშირები მთლიანობის წინააღმდეგია; კონფერენციამ დაადგინა: უფრო მეტად გაამაგროს მეგობრული ურთიერთობა კონფერენციაზე წარმოდგენილ ქვეყნების კომუნალურ მუშებს შორის.

მთლიანი ფრონტისათვის

მოსკოვი, 7 დეკემბერი. პროფკავშირებში, რომელნიც შედიან გემო-კვების მრეწველობის მუშათა საერთაშორისო გაერთიანებაში, შეჰკრეს პირობა საგზაო დახმარების და უმუშევართათვის დახმარების გაცემის შესახებ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერა შემდეგ კავშირებმა: ამერიკის, ბელგიის, დანიის, გერმანიის, ფინეთის, სამხრეთ-სლავიის, ნორვეგიის, ავსტრიის, პოლონეთის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის, უნგრეთის და საბჭოთა კავშირის. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხი

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ცნობები ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ კვლავ მოსდის საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის [illegible] სამმართველოს.

არსებულ ცნობების მიხედვით, სესხის რეალიზაციის ჯამმა მიაღწია — 221.300.000 მანეთს. ამ ჯამის უდიდესი ნაწილი მისცა კოლექტიურმა ხელისმოწერამ მუშათა და მოსამსახურეთა შორის (ადს).

ჩრდილოეთ კასპიიდან

ასტრახანი, 7 დეკემბერი. ორი თვით მფრინავი დაბრუნდა ჩრდილოეთ კასპიიდან. მფრინავებმა შეამჩნიეს 300-დე მეთევზეთა ნავები, რომელნიც დარჩენ ყინულში. ზღვა ნაპირიდან 75 კილომეტრით დაფარულია ყინვით, გრძელდება ზღვის სხვა ნაწილების დათვალიერება. (ადს).

საჰაერო ხაზი

ფრუნზე, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს ფრუნზე-ალმაატას შორის გაიხსნა საჰაერო მიმოსვლა „იუნკერსის“ სისტემის სამგზავრო თვითმფრინავებით. ზამთარში მოხდება სამი რეისი. მარტიდან მიმოსვლა იქნება ყოველდღიური. მიმოსვლას დასჭირდება 1 ნახევარი საათი. (ადს).

საბჭოების გადარჩევისათვის

ამიერ-კავკასიის [illegible]

ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საბჭოების გადარჩევის კამპანია დაიწყება 1927 წლის დეკემბრიდან და უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1928 წლის აპრილის 15-ისა. ამასთან დაკავშირებით, ამიერ - კავკასიის ცაკი საჭიროდ სთვლის ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

წარსული საარჩევნო კამპანია წარმოებდა საბჭოების გაცხოველების ლოზუნგით, რაც მდგომარეობდა საბჭოების თვითმოქმედების მეტ განვითარებაში, მშრომელთა აქტივობისა და შეკავშირების გაძლიერებაში, ღარიბი გლეხობისა და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცებაში.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში ეს ლოზუნგი რჩება ძირითად პოლიტიკურ ლოზუნგათ.

საბჭოების გაცხოველების გარეშე, სოციალისტურ მშენებლობაში მასების აქტიური და ფართო მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი გეზი ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ამიტომ, აღვნიშნავთ რა შარშანდელი წლის საარჩევნო კამპანიაში მშრომელთა აქტივობის შედარებით ზრდას, საჭიროა მომავალ კამპანიაში ვეცადოთ, რომ კიდევ უფრო მეტად ჩავაბათ მასში ამომრჩეველთა მასები.

წარსული წლის გამოცდილების მიხედვით უნდა ველოდეთ, რომ საბჭოებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად არამშრომელი და ანტისაბჭოთა ელემენტები მიაწყდებიან, რათა ხელში ჩაიგდონ საბჭოები, ან თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ ღარიბი გლეხობა და საშუალო გლეხობა.

საარჩევნო ორგანოების ამოცანას შეადგენს, რომ შეებრძოლონ ასეთ მისწრაფებას საარჩევნო ინსტრუქციის სისწორით გამოყენების გზით.

შარშანდელი კამპანიის დროს ჩვენ ბევრი შეცდომები და ნაკლი გვქონდა. ამ ნაკლთა შორის ყველაზე არსებითი მნიშვნელობა აქვს არჩევნების წინ საბჭოთა ორგანოების ანგარიშგების სუსტად დაყენებას, პროფკავშირების ჯერ კიდევ არა საკმაო მონაწილეობას გადარჩევაში; დელეგატთა კრებებში შეკავშირებულ მუშა ქალებისა და გლეხ-ქალების, აგრეთვე კოოპერაციისა. გლეხკომების და სხვათა სუსტ მონაწილეობას. საკმაო მონაწილეობა არ მიიღო არჩევნებში აგრეთვე სოფლის მოჯამაგირეებმა და ალაგ-ალაგ უყურადღებოდ იქნა დატოვებული საშუალო მასები.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, რომ ადგილებმა დროიანად მიიღონ ყველა საარჩევნო მასალა და ინსტრუქციები, ხოლო კამპანიის მსვლელობაში უნდა დამყარდეს კავშ. ადგილებთან და მოეწყოს მათი ხელმძღვანელობა. საარჩევნო ვადის ორი მესამედი უნდა მოხმარდეს კამპანიის მოსამზადებელ ნაწილს, ერთი მესამედი კი — თვით არჩევნებს.

საარჩევნო კამპანიის გამოცხადების მომენტიდან მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ მოეწყოს ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები, დამუშავდეს რესპუბლიკებში საბჭოების არჩევნების კონკრეტული გეგმები და დაწესდეს მათი შესრულების ვადა; უნდა შესდგეს იმ პირთა სია, რომელნიც მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებებს, უნდა მოეწყოს საანგარიშო და მოსამზადებელი კამპანია პრესაში, დამუშავდეს გეგმა ამომრჩევლების წინაშე საანგარიშო მოხსენებათა ჩასატარებლად, ამავე დროს შემუშავდეს გეგმა ადგილებზე მომუშავეთა გასაგზავნად, რათა მათ კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღონ და აგრეთვე საარჩევნო კრებებზე მოხსენება გააკეთონ მაღლამდგომ საბჭოებსა და აღმასკომების მოქმედების შესახებ. ყურადღება მიექცეს აგრეთვე საარჩევნო კომისიების შერჩევას, ამომრჩევლებისათვის საანგარიშო კამპანიის დროიანად ჩატარებას, ამ კამპანიის გაძლიერებას და ხელმძღვანელობას. არ უნდა დარჩეს არც ერთი დეპუტატი, არც ერთი საბჭოთა ორგანო, რომელიც მოსახლეობას ანგარიშს არ ჩააბარებს,—ასეთია ლოზუნგი საანგარიშო საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს. ამასთანავე საჭიროა ვეცადოთ, რომ ამომრჩევლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ანგარიშების განხილვაში და საბჭოების მუშაობის კრიტიკაში პროლეტარული დემოკრატიის ნიადაგზე.

გადარჩევის კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამიერ-კავკასიის პროფკავშირებმა. გადარჩევის დაწყებამდე საჭიროა ჩატარებულ იქნას პროფაქტივის ფართო საინსტრუქციო კრებები გადარჩევის საკითხების გარშემო. ქალაქად მუშათა წინასწარ საანგარიშო კრებებზე რაც შეიძლება ფართოდ იქნას დაყენებული საბჭოების პრაქტიკული მუშაობის საკითხები, სექციების გაცხოველების, მუშების საჭიროებათა მოთხოვნათა, ნაკაზების და მათი შესრულების აღრიცხვა — შემოწმების საკითხები, აგრეთვე ქალაქის საბჭოებისა და ხელმძღვანელ ორგანოების შემადგენლობაში დაზგის მუშების უფრო მეტად ჩაბმის საკითხი.

სოფლად არჩევნების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რაც შეიძლება მეტად და აქტიურად ჩაებან, როგორც საანგარიშო ისე საარჩევნო კამპანიაში სასოფლო მეურნეობის მუშები, მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხობა; ამ გზით გადაჭრილი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კულაკობას და ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომლებიც ეცდებიან გავლენა მოახდინონ საბჭოების გადარჩევის კამპანიის მსვლელობაზე და მის შედეგებზე, ამით უზრუნველყოფილი უნდა იქნას სოფლის მშრომელთა მასების თვალში ახლად არჩეული საბჭოების მეტი ავტორიტეტიანობა.

წარსულ საარჩევნო კამპანიაში მუშა ქალებისა და გლეხი - ქალების მონაწილეობა გაიზარდა წინანდელ არჩევნებთან შედარებით. რომ ქალები უფრო მეტად იქნან ჩაბმულნი მომავალ საარჩევნო კამპანიაში, გარდა დელეგატთა კრებების გამოყენებისა საარჩევნო კამპანიაში, საჭიროა მოეწყოს ამომრჩეველი ქალების ცალკე კრებები იქ, სადაც საყოფა-ცხოვრებო და სხვა. პირობების გამო შეუძლებელია ამომრჩეველთა საერთო კრებების მოწვევა. აზერბეიჯანის ცდა (საბჭოების ხელმძღვანელ მუშაობაში ქალების წინ წამოწევა) საჭიროა უფრო გაბედულად იქნას გამოყენებული სხვა რესპუბლიკების მიერ.

მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა არჩევნებში ჩაებან დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელები, ტერარმიელები, ცვალებადლები, ამ მიზნით უნდა მოწვეულ იქნას მათი კრებები, რომელთაც საგნად ექნებათ საბჭოების ანგარიშისა და მათი მოქმედების კრიტიკის საკითხები.

საარჩევნო კამპანიაში ამიერ-კავკასიის ეროვნულ უმცირესობათა ჩასაბმელად საჭიროა მოეწყოს ეროვნულ უმცირესობათა სპეციალური კრებები და, საჭიროა თუ მოითხოვს, შეიქნას საგანგებო საარჩევნო უბნები.

შარშანდელ საარჩევნო კამპანიაში კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა; საჭიროა წელს უფრო მეტად გაძლიერდეს მისი მონაწილეობა საარჩევნო ორგანოების მუშაობაში და საარჩევნო კრებებზე.

ზემოთ ნათქვამის მიხედვით ამიერკავკასიის საბჭ. ფედ. ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს, რომ მათ ადგილობრივ საბჭოებისა და აღმასრულებელ კომიტეტებისადმი სადირექტივო მითითებებს ეს ცირკულიარული მიმართვა დაუდვან საფუძვლად და ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს სისტემატიური ინფორმაცია მიაწოდონ კამპანიის მსვლელობის შესახებ, ანგარიშგებისა და ინსტრუქციის დამტკიცებული ფორმების თანახმად.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე — **ალამალი-ოღლი**

ა.-კ. ცაკის მდივანი — **ტაგიევი ი.**

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც დაესწრენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა ამიერ-კავკასიაში საბჭოების ხელახალი გადარჩევის საკითხი და გამოიმუშავა გეგმა არჩევნების ჩასატარებლად. თათბირის დადგენილებით მზადება არჩევნებისათვის იწყება დეკემბრიდან და გაგრძელდება თებერვლის ბოლო რიცხვებამდე. არჩევნები კი დაიწყება მარტში და გასტანს აპრილის შუა რიცხვებამდე.

გეგმის მიხედვით წინასწარი მუშაობა ჩატარებული უნდა იქნას შემდეგი სახით: დეკემბრის განმავლობაში რესპუბლიკანურ ცაკების საორგანიზაციო განყოფილებებმა უნდა დაამზადონ საანგარიშო ინსტრუქციები და ფორმები კამპანიის ჩასატარებლად და დაუგზავნონ ადგილობრივ აღმასკომებს. აგრეთვე ადგილებს უნდა დაუგზავნოს ცირკულიარები და ინსტრუქციები საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა სიების შესადგენად და არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის გამოსარკვევად. ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში მოეწყობა საარჩევნო კომისიები. ამავე თვეში თბილისში მოწვეული იქნება ცენტრ. და ადგილობრივ აღმასკომებთა საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირი, სადაც გარჩეული იქნება საბჭოების გადარჩევის ყველა საკითხები.

იანვრის პირველ რიცხვებში შესდგება თემაღმასკომების მუშაკთა სამაზრო თათბირები, რომლებზედაც განიხილავენ არჩევნების მოსამზადებელ მუშაობის საკითხებს. თათბირებს ხელმძღვანელობას გაუწევენ ცენტრ. აღმასკომების ინსტრუქტორები. იანვარ-თებერვალში მაზრები დაყოფილი იქნება საარჩევნო უბნებათ და ჩატარდება საანგარიშო კამპანია.

მარტში დაიწყება საბჭოების გადარჩევა ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. არჩევნებს ხელმძღვანელობას გაუწევენ ცენტრ. აღმასკომების რწმუნებულები.

აპრილის პირველ ნახევარში ჩატარებული იქნება ახალი საბჭოების ყრილობები მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ყრილობებისათვის მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს დაეგზავნებათ სამაგალითო დღის წესრიგი. [illegible] მაზრებში და ავტონომიურ მაზრებში ახალ საბჭოების ყრილობაზე გაკეთებული იქნება მოხსენება საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ

აპრილის მეორე ნახევარში მოწვეული იქნება სრ. საქართველოს საბჭოების ყრილობა.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის ულტიმატუმი

ბერლინი, 6 დეკემბერი. ამას წინად გავრცელებულ ცნობებთან დაკავშირებით პოლონეთის მიერ ერთა ლიგისათვის ფაქტიურ ულტიმატუმის წარდგენის შესახებ, ავტორიტეტულ წყაროებიდან დამატებით იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობა უკვე მომზადებული იყო, რომ უმოკლეს ვადაში დაეკავებია კოვნო პოლონეთის ჯარების საშუალებით. კოვნოში უნდა შექმნილიყო ლიტვის ახალი მთავრობა, რომელიც ხელს მოაწერდა ხელშეკრულებას უნიის შესახებ პოლონეთთან, რის შემდეგ პოლონეთის ჯარების მთავარი ძალები დასცლიდენ ლიტვის ტერიტორიას. მთელი ეს ოპერაცია უნდა გაგრძელებულიყო რამოდენიმე დღე. ერთა ლიგა დაყენებული იქნებოდა მომხდარ ფაქტის წინაშე და მეზობელ სახელმწიფოებს არ უქნებოდათ ჩარევის დრო. მაგრამ უკანასკნელ თათბირზე ვილნოში გადაწყდა თავის შეკავება ლიტვაზე შეტევიდან, ვინაიდან არის საფუძველი იმისათვის, რომ ერთა ლიგის საბჭო გამოიტანს გადაწყვეტილებას პოლონეთის სასარგებლოდ. თუ ეს ასე არ მოხდა, ან ერთა ლიგამ გააჭიანურა ამ საკითხის გადაჭრა, პოლონეთი შეასრულებს თავის გეგმას, რის შესახებ გადაწყდა ცნობა მისცემოდა სახელმწიფოებს (ადს).

ინგლისის პრესა ამხ. ლიტვინოვის და ჩემბერლენის შეხვედრის შესახებ

ლონდონი, 6 დეკემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“, უკეთებს რა კომენტარიებს ლიტვინოვის შეხვედრას ჩემბერლენთან, სწერს: „ორივე მთავრობა იღებს ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის ფორმულას. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს შეთანხმების მიღწევა ამ ფორმულების შინაარსისა და განმარტების შესახებ.

„დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური მიმომხილველი, უკეთებს რა კომენტარიებს ლიტვინოვის შეხვედრას ჩემბერლენთან, სწერს: „ინგლის-რუსეთის შეთანხმებისათვის ბაზის გამონახვის იმედი გაცრუვდება იმის გამო, რომ ლიტვინოვი დაჟინებით ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობა არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი კომინტერნის მოქმედებისათვის“.

„ტაიმსის“ ჟენეველი კორესპონდენტიც ხაზს უსვამს, რომ „ინგლისის მთავრობისათვის შეუძლებელია დაიჭიროს ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან, რამდენადაც უკანასკნელი ამტკიცებს; რომ იგი არ აგებს პასუხს კომინტერნის მოქმედებისათვის“.

ლიბერალური „დეილი ნიუსი“ სწერს: „ყინული ჩატეხილია და შემდგომი მოლაპარაკება ინგლისსა და რუსეთს შორის ალბად აუცილებელი იქნება. არაერთხელ დამტკიცდა, რომ უგუნურება იყო რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. ეს აღიარეს საქმიანმა წრეებმა და აღიარა მთავრობის რამოდენიმე წევრმაც“.

„მანჩესტერ გარდიენი“ სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.

თათბირი პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ ჟენევაში

ჟენევა, 6 დეკემბერი. 6 დეკემბერს, საღამოთი, ბრიანთან შესდგა ხანგრძლივი თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლებმა. თათბირმა გადასწყვიტა: დაიწყოს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის განხილვა 7 დეკემბერს, ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომაზე. მიუხედავად პოლონეთის წარმომადგენლის წინააღმდეგობისა, გადაწყვეტილია: ომის მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ პირველ პერიოდში გაიგზავნოს პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე ნეიტრალური კომისია, იმ კომისიის მსგავსი, რომელიც შექმნა საბერძნეთ-ბულგარეთის კონფლიქტის დროს. მომხსენებლად პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ დასახელებულია იაპონიის წარმომადგენელი ადაჩი (ადს).

პარტიული ცხოვრება

ლენინურ პარტიაში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ფოთის, სამტრედიის და ხაშურის ორგანიზაციის უჯრედებში შემოსულია 502 დაზგის მუშის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

6 დეკემბრისათვის კომიტეტებმა გაარჩიეს 197 განცხადება. პარტიაში მიღებულთა რიცხვიდან 7 ქალია და 44 კომკავშირელი. (ადს).

ლენინის პარტიაში

პარტიის ოქტომბრის მოწოდებაზე პროლეტარიატისადმი, რომ უფრო მჭიდროთ შემოკრებილიყვნენ პარტიის გარშემო — საქართველოს პროლეტარიატი მხურვალეთ გამოეხმაურა.

ისე, როგორც პარტიის მძიმე წლებში, ვლადიმერ ილიჩის სიკვდილის დროს პარტიაში შემოვიდა 200.000 საუკეთესო პროლეტარები, ისე ეხლაც, როდესაც ჩვენს რიგებში გამოჩნდენ მშიშარები და მოღალატე — ტროცკისტები—პარტიაში ასობით იწყეს დენა მუშებმა.

7 დეკემბრისათვის თბილისის, ფოთის, ხაშურის, სამტრედიის და ჭიათურის ორგანიზაციების უჯრედებში შემოვიდა 1.470 დაზგის მუშის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

განცხადებების გარჩევა კიდევ გრძელდება. კომიტეტებმა უკვე დაამტკიცეს უჯრედების დადგენილებები პარტიაში 443 კაცის მიღების შესახებ, რომელთა რიცხვში 343 კაცი აქტიურათ მუშაობს საზოგადოებრივ სამუშაოზე. ახლად მიღებულთა შორის 30 ქალი და 143 კომკავშირელია.

ა. დალნი.

პარტინფორმაციის დეფექტები

პარტიული ინფორმაცია თანდათან იკავებს მნიშვნელოვან ადგილს საერთო პარტიულ მუშაობაში.

განსაკუთრებით ეს დამტკიცა ჩატარებულმა პარტიულმა დისკუსიამ, როდესაც პარტიულ კომიტეტების საინფორმაციო აპარატები იძლეოდნენ ვრცელ ინფორმაციას დისკუსიის მსვლელობის შესახებ.

საინფორმაციო განყოფილებები გადაიქცნენ ერთგვარ „სააგენტოთ", საიდანაც პარტიულ აპარატი ღებულობდა შეჯამებულ ცნობებს კამპანიის შესახებ.

რა თქმა უნდა, პარტკომიტეტის ასეთი სამსახური შეადგენს ერთ უმთავრეს ამოცანას საინფორმაციო განყოფილებისას, მაგრამ საჭიროა არა მარტო გაშუქება იმისი, რაც ხდება, არამედ აუცილებელია გამონახვა, შემჩნევა იმ ახალ პროცესებისა, რომლებიც ისახება ყოველდღიურ პარტიულ ცხოვრებაში.

ასრულებს თუ არა პარტიული ინფორმაცია თბილისის ორგანიზაციაში ამ ამოცანებს. უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ ვერ ასრულებს.

რა არის ამის უმთავრესი მიზეზი?

რაიკომის საინფორმაციო განყოფილებები ჯერ კიდევ მუშაობენ ძველი მეთოდებით. რაიც მდგომარეობს იმაში, რომ საინფორმაციო განყოფილება ღებულობს ოქმებს და საორგანიზაციო განყოფილების განხილვის შემდეგ მექანიკურად აკერებს საქმეში, მასთან ღებულობს იმდენ ოქმებს, რომელთა მოწესრიგება და მოვლა ყოვლად შეუძლებელია იმ პატარა შტატით, რომელიც რაიკომში არის.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას საინფორმაციო განყოფილების მუშაობას. არც ერთხელ ეს საკითხი არ დასმულა საორგანიზაციო თათბირზე. დღემდე ინფორმატორს უყურებიან, როგორც „არქივარიუს", რომელმაც საჭიროების დროს უნდა გამოძებნოს ესა თუ ის მასალა.

აქ არის კიდევ ერთი გარემოება რომელიც ხელს უშლის საქმეს—ესაა ინფორმატორის არასაკმაო კვალიფიკაცია. ჩვენი ინფორმატორები, ხშირად ვერ არიან სათანადოთ მომზადებულ, ვერ ერკვევიან პარტიულ და პოლიტიკურ საკითხებში, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტათ იწვევს აუცილებლობას, რომ გამოინახოს უკეთესი ინფორმატორი, აწეულ იქნას მისი კვალიფიკაცია.

ხშირად საორგანიზაციო განყოფილება იყენებს ინფორმატორს მთელი რიგი სხვა წვრილმან საკითხების დასამუშავებლად, როგორც ტეხნიკურ მომუშავეს. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არ არის სწორი, თანახმად ცეკას დირექტივებისა და ამიერ-კავკასიის თათბირის დადგენილებისა, ინფორმატორი არის (და უნდა იყოს) პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, საორგან. განყ. ხელმძღვანელობით.

ამას გარდა, ჩვენ ორგანიზაციაში არ არის შემოღებული საინფორმაციო მუშაობის ახალი ფორმები. ამიერ-კავკასიის თათბირის დადგენილებები არამც თუ არ გატარებულა ცხოვრებაში, არამედ ისინი ბევრ ჩვენ პარტიულ მომუშავეს არც კი წაუკითხავს.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ამ დადგენილებათა რეალიზაცია.

კონკრეტიულად ეს უნდა გამოიხატოს შემდეგში:

რაიკომის საინფორმაციო ქ. განყოფილებებმა მომავალში უნდა მიიღონ მხოლოდ უჯრედის ბიუროს და პლენუმის ოქმები. რაც შეეხება სხვა მასალებს (ოკრედების, კომისიების, ფაბკომ-რაიკომის, ფრაქ. ოქმებს და სხვა.) ასეთები უნდა იგზავნებოდეს უჯრ. განსაზღვრული რაოდენობისაგან, მხოლოდ ასეთი უჯრედების საა დრო გამოშვებით უნდა გადაისინჯოს, იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნა ამ ათუ იმ საკითხის დამუშავება რაიონულ მასშტაბით, საკმაოა ასეთი მასალების მოთხოვნა თვით უჯრედებიდან. ყველა ოქმები უნდა იწერებოდეს ერთ და იმავე ფორმით, რომელიც გამომუშავებული აქვს თბილისის კომიტ. საინფორმაციო ქ. განყოფილებას. რაიონში უნდა შემოღებულ იქნას ამ ოქმების თემატიური დალაგება, ე. ი. ყველა საკითხები, რომლებიც უჯრედებმა გაარჩიეს, უნდა იქნეს დალაგებული საკითხების მიხედვით. მაგ. საკითხი მასიური მუშაობის შესახებ უნდა ამოიწეროს ოქმებიდან და დალაგებულ იქნას ერთ საქმეში, რომელსაც დაერქმევა „მასიური მუშაობა".

ოქმების სათაური კი, რომელზედაც აღნიშნული იქნება დღის წესრიგი, დალაგდება უჯრედების მიხედვით (ტერიტორიალურათ).

ასეთი ტეხნიკა ბევრად გაადვილებს საკითხების დამუშავებას, მათი სისტემატიზაციას და დააჩქარებს საინფორმაციო მუშაობის ტემპს.

საჭიროა შემოკლება იმ მრავალ საქმეებისა, რომლებიც დღეს არსებობენ საინფორმ. განყოფილებაში. ზოგიერთ რაიკომში საქმეების რიცხვი აღწევს 60. ზოგიერთი საქმე უნდა სრულიად მოისპოს, ზოგი კი გადეცეს საქმეთა მმართველობას.

დღემდე არც ერთი ინსტრუქტორი ან კომისია, რომელიც ახდენდა ამა თუ იმ უჯრედების გამოკვლევას, არ სწერდა მოხსენებას ამ გამოკვლევის შედეგების შესახებ.

საკითხი დაისმებოდა საორგანიზაციო თათბირზე, გაკეთდებოდა ზეპირი მოხსენება და საქმეში კი არაფერი რჩებოდა.

მომავალში უნდა დაევალოს ინსტრუქტორებს ასეთი მოხსენება წარმოადგინონ საინფორმაციო განყოფილებაში.

თბილისის ორგანიზაციაში არის გამოყოფილი ინფორმაქტივი. ამ აქტივმა საკმაო სამსახური გაუწია პარტიულ კომიტეტს ინფორმაციის მოწოდების საქმეში (მაგ. დისკუსიის დროს). ეს აქტივი გამოყოფილია უჯრედების მცირე ნაწილში, საჭიროა ასეთების გამოყოფა სხვა უჯრედებშიც.

ამას გარდა საკითხი ინფორმაქტივის გამოყოფის და მისი მუშაობის შესახებ უნდა დაისვას უჯრედების მდივნების თათბირზე, რომ მჭიდროდ პარტიული აქტივი გაეცნოს მას და სათანადო დახმარება გაუწიოს ამ საქმეს.

დროს გამოშვებით (განსაკუთრებით კამპანიების დაწყების წინ) საინფორმაციო განყოფილებებმა უნდა მოიწვიონ ინფორმაქტივის თათბირი და მისცენ მათ დირექტივები მომავალ კამპანიის შესახებ.

საინფორმაციო განყოფილებებმა უნდა გააბან ცოცხალი კავშირი უჯრედის მდივნებთან და ინფორმატორებთან. უმთავრესი კი ეს არის საორგანიზაციო განყოფილებების მიერ დახმარების გაწევა, მეტი ყურადღება საინფორმაციო განყოფილებათა მუშაობას. რამდენათ გაუმჯობესებული იქნება პარტიული ინფორმაციის მუშაობა, იმდენათ ადვილი იქნება საკითხების დამუშავება და მაშასადამე ხელმძღვანელობის გაწევაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული არის ის მინიმუმი, რომელიც წინ წასწევს პარტიულ ინფორმაციას.

ი. რუხაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-მეურნეობის მუშაკთა თათბირი

ქუთაისი, 6 დეკემბერი. 6 დეკემბერს გაიხსნა სასოფლო-მეურნეობის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგში იყო: სამაზრო აგრონომიულ განყოფილების მოხსენება, სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოხსენება, მოხსენება მეაბრეშუმეობაზე და სხ. (ადს).

კურსები მექანიკოსებისა და მემანქანეებისათვის

ფოთი, 6 დეკემბერი. წყალზე მომუშავეთა კავშირთან გაიხსნა ორწლიანი კურსები მექანიკოსების და მემანქანეების მოსამზადებლად. კურსებზე უკვე ჩაწერილია 64 მსმენელი. (ადს).

სასამართლოს რეფორმა

სიღნაღი, 6 დეკემბერი. ამ მაზრაში დასრულდა სასამართლოს რეფორმის ჩატარება. თემსამსაკომებთან და თემის საბჭოებთან გამოყოფილი სასამართლო კომისიებისათვის სახალხო სასამართლოების მიერ გადაცემულია სასამართლოს დაქვემდებარებული საქმეები.

აფხაზეთი

თამბაქოს საექსპორტო საწყობი

სოხუმი, 6 დეკემბერი, პიწუნდის ნავთსადგურის რაიონში დაწყებულია მუშაობა თამბაქოს საექსპორტო საწყობის ასაშენებლათ. საწყობი დაიტევს 15.000 ფუთ თამბაქოს. (ადს).

ეტნოგრაფიული კონცერტი

სოხუმი, 6 დეკემბერი. აკადემიურ შენობაში გაიმართა აფხაზეთის ხალხური შემოქმედების ეტნოგრაფიული კონცერტი. კონცერტზე შესრულებული იქნა აბხაზური პირველი ეტნოგრაფიული კრებული სიმღერები, შედგენილი კოვაჩის მიერ. ეს სიმღერები დიდი წარმატებით შესრულებული იყო მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხების ხელოვნების გამოფენაზე. (ადს).

წერილები

კოოპერაცია და გლეხობა

გლეხობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში და საკრედიტო ამხანაგობებში გაერთიანებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ორგანიზაციების საშუალებით გლეხობა თავს აღწევს კულაკებისა და ჩარჩ-ვაჭრების გავლენას.

ვინ არ იცის, თუ თვითმპყრობელობის დროს როგორ ჩალის ფასად უვარდებოდათ ხელში ჩარჩებს გლეხობის ნაწარმოები, რადგან ამ უკანასკნელს ესაჭიროებოდა კრედიტები თავისი მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად და ფული კი მხოლოდ ჩარჩებსა და კულაკებს გააჩნდათ, რომელნიც გაათკეცებული სარგებლით აძლევდნენ ვესხად გლეხობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოუღო. დღეს სოფლად არსებობენ საკრედიტო ამხანაგობები, რომლებიც აძლევს სესხს გლეხობას სრულიად მცირე პროცენტების გადახდით, რითაც ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს საშუალება ეძლევათ ფართოთ განავითარონ სასოფლო მეურნეობა.

მაგრამ მარტო ამით როდი განისაზღვრება საკრედიტო ამხანაგობების როლი. ისინი იძენენ აგრეთვე სამეურნეო იარაღებს და ხელსაყრელ ფასებში აძლევენ გლეხებს. ამასთან ერთად, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, ისე საკრედიტო ამხანაგობები გლეხობისაგან ყიდულობენ სოფლის ნაწარმოებს, რითაც ჩარჩ-კულაკების გაძევერობას სოფლად ბოლო ეღება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კოოპერატიული ორგანოები ჯერ კიდევ ვერ არიან იმდენად წელმომაგრებულნი, რომ მათ მთლიანად შესძლონ გლეხობის მიერ დამუშავებული ზედმეტი ნაწარმოების შესყიდვა. ამით სარგებლობენ კერძო ჩარჩები და ნაწილობრივ მაინც აღწევენ თავიანთ მიზანს. ღარიბ გლეხობას აიძულებენ ღირებულებაზე უფრო ნაკლებ ფასებში გამოსტაცონ ხელიდან საკუთარი ოფლით მონაგარი ნაწარმოები.

ერთად-ერთი გზა, რომელიც გლეხობას იხსნის ჩარჩებისა და კულაკების გავლენისაგან, არის კოოპერაციის კიდევ უფრო გაძლიერება, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ღარიბ და საშუალო გლეხობის მთელი ასი პროცენტი იქნება გაერთიანებული კოოპერაციაში.

ამიტომ ჩვენი კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების გულისყური სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი. კულაკების გავლენა და ჩარჩების თარეში სოფლად ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრეს.

გლეხკორი.

თიანეთი

პოლიტგანის მუშაობა

პოლიტგანის მუშაობა, როგორც თვით სახელწოდებიდან სჩანს, დიდმნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში.

თიანეთის პოლიტგანი ვერ ამართლებს თავის ამოცანებს. ამ უკანასკნელი მიზეზით მრავალ შემთხვევებია პოლიტგანის გამგის ხშირი ცვლა, მაგრამ როგორც იტყვიან ხოლმე „თიანეთს ბედი არ ქონია". ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ შესაფერ გამგეს.

ამ უკანასკნელ დროს თბილისიდან დანიშნულ ამხანაგზე ვამყარებდით იმედს, მაგრამ მასშიაც მოვსტყუვდით. ჩვეულებისამებრ მანაც გამოუშვა კედლის გაზეთის ერთი ნომერი და საქმეც ამით გათავდა.

თემპოლიტგანის მუშაობის სისუსტეში ბრალი უნდა დაედვას თბილისის პოლიტგანსაც, რადგანაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადგილობრივ მუშაობას. დიდ მოვალეობასთან ერთად საკმარისი არ არის ასეთი ტემპით მუშაობა. როგორიც თიანეთის თემპოლიტგანი მუშაობს.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ადგილობრივ ხელისუფლება და მაზრის ფარგლებში მომუშავე სათანადო ორგანოები მიაქცევენ ყურადღებას ამ ნაკლს და გამოასწორებენ მას.

თიანეთის თემ-აღმასკომმა უკვე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით. ეხლა ჯერი სხვა ორგანოებზეა.

ალ. დოლიაშვილი

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

(საგარეჯოს თემი)

საბჭოთა ხელისუფლება გარდა მოზარდი თაობისა, უდიდეს ყურადღებას აქცევს მოზრდილთა შორის სწავლა-განათლების შეტანას. ამ მიზნით იგი ხსნის ქალაქებსა და სოფლებში სალიკვიდაციო სკოლებს, ქოხ-სამკითხველოებს, კლუბებს, თეატრებს და სხვ. სამწუხაროდ ჩვენი სოფლები იმდენად ჩამოშორებულნი იყვნენ და ძველ ტრადიციულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომ დღესაც, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და საზრუნავი. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია საგარეჯოს თემში აღწერა წერა-კითხვის უცოდინარობისა 14—40 წლამდე. მართალია ჩვენი თემი საკმაოდ მრავალრიცხოვანია მცხოვრებლებით, მაგრამ 1.008 კაცი წერა-კითხვის უცოდინარი საკმაოდ მოზრდილი რიცხვია.

საგარეჯოს თემში ყოველ წლივ ათეულობით იხსნებოდა სალიკვიდაციო სკოლები და ბოლო ხანებში ასეთების რიცხვმა იკლო. წრევანდელი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია წერა-კითხვის უცოდინართა მხოლოდ ხუთი სალიკვიდაციო სკოლა, რაც ჩვენი თემისათვის არა საკმაოდ უნდა ჩაითვალოს.

სოფლებზე წ-კ. უცოდინარები ორთავე სქესისა შემდეგ ნაირად ნაწილდება: სოფ. საგარეჯოში — 606, აქედან საგარეჯოს გაღმა უბანში 285, სოფ. გიორგიწმინდაში — 202, სოფ. ნინოწმინდაში — 116, სოფ. ანთოკში — 40 და სოფ. მარიამჯვარში — 44.

საჭიროა თბილისის აღმასკომის საბიუჯეტო სექციამ აღნიშნული გარემოება მიიღოს მხედველობაში და ბიუჯეტში გაითვალისწინოს სკოლების ის რიცხვი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ალ. ბ—ლი.

საგარეჯო, გარე-კახეთი

კინომ მიგვივიწყა

გასულ წლებში თბილისის პოლიტგანი ხშირად გზავნიდა საგარეჯოში კინო-სურათებს, მაგრამ წელს კი ვერც ერთხელ ვერ ვეღირსეთ. საგარეჯოს რაიონის გლეხობა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა თბილისის პოლიტგანის ასეთი საქმიანობით.

ეხლა კი მხოლოდ ჩამოაქვთ კერძო კინო-აპარატები, რომლებიც სურათს მთლად ამახინჯებენ. ჯერ ერთი გარკვევით არაფერი სჩანს, მეორე ყველა სურათები რუსულ წარწერით მოდის და გლეხობისათვის გაუგებარი რჩება.

საჭიროა თბილისის პოლიტგანმა ხშირად გამოგზავნოს კინო-აპარატი გლეხობისათვის გასაგები სურათებით.

ივანიკა.

სოფლის ქრონიკა

— **ხე-ტყის სახერხი ქარხანა.** ონტოფოს (სიღნაღის მაზრა) აღმასკომმა გადასწყვიტა ააგოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

— **სახალხო სახლი.** კოხის თემში (ქუთ. მაზ.) შენდება სახალხო სახლი.

— **ბოგირები** სოფ. დუშმანისში (თბილისის მაზრა) შეკეთდა ყველა ბოგირები.

— **ქოხ-სამკითხველო** მუხეთის თემში (შორაპ. მაზ.). გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

— **მისაბაძი მაგალითი.** ხიდისთავის (ოზურგეთის მაზრა) გლეხებმა ადგილ. პარტიულ ორგანიზაციის თაოსნობით მოაწყვეს ნადიობა და 3 ვერსის მანძილზე შეაკეთეს გზა.

— **ამბულატორია.** ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის ამბულატორიასთან მოეწყო სამი საწოლი.

— **ტეხნიკუმი.** წელს გაფართოებული და შეკეთებული იქნა სოფ. ბერეჟოულის აგრონომიული ტეხნიკუმი.

— **სესხი.** ოზურგეთის მაზრაში გასაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის 30.000 მანეთის ობლიგაცია.

— **სამკითხველო.** რაჭის პოლიტგანათლების განყოფილება მაზრაში აწყობს სამაგალითო სამკითხველოს.

— **საექიმო პუნქტი.** მანდიკორში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

მუშათა ცხოვრება

დაუდევრობის ნიმუში

(მთ. სახელოსნო)

1925 წლის დასაწყისში მთავარ სახელოსნოს საწარმოო ბიურომ, საჭიროთ სცნო სახელოსნოში დაარსებულიყო ნედლი მასალის ცენტრალური საწყობები ისეთ საამქროებთან, რომლებიც ყველაზე მეტ მასალას თხოულობენ. საწყობები დაარსებული იქნა.

ერთი წლის განმავლობაში ამ საწყობებმა სრულიად გაამართლეს ის იმედები, რომელსაც ამყარებდა ცენტრალური საწარმოო ბიურო თუ საწყობში მასალა არ აღმოჩნდებოდა და მისი დამზადება კი შეიძლებოდა რომელიმე საამქროში, იმ შემთხვევაში საწყობის გამგის მოთხოვნისთანავე ორ-სამ დღეში მზათ იყო ყველაფერი. საწყობის გამგე თავისი საქმიანობით სავსებით დამოკიდებული იყო მთავარ სახელოსნოს წარმოებასთან. დაინტერესებული იყო შრომის ნაყოფიერებაში და მეტი ორთქლმავალების გაშვებაში, რადგან რამდენი მეტი მასალა დაიხარჯებოდა, იმდენი მეტ პროცენტს ღებულობდა. ამით წარმოებაც რასაკვირველია სასურველად მიმდინარეობდა.

მაგრამ ვიღაცას არ მოეწონა მუშაობის ასეთი წესი და გადასწყვიტა ამ საწყობების სამასალო განყოფილების ხელში გადაცემა, რისთვისაც დაიხარჯა რამდენიმე ათასი მანეთი. მთავარ სახელოსნოს სამასალო საწყობების სამასალო განყოფილების ხელში გადასვლამ ერთობ შეაფერხა წარმოება, ხშირად ზოგიერთი საქმე შეუსრულებელი იყო მთელი თვეობის განმავლობაში იმ დროს, როდესაც საწყობების სახელოსნოსთან არსებობის დროს ერთი კვირაში სრულდებოდა. მუშები წინააღმდეგ იყვნენ საწყობების გადატანისა მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

დღეს კი მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციამ თითონ მოითხოვა ამ საწყობების კვლავ სახელოსნოში გადმოტანა. ამას წინად ეს საკითხი დაისვა სახელოსნოს საწარმოო თათბირზე, სადაც მუშები აღნიშნავდნენ წარმოების შეფერხებას, მრავალ შემთხვევებს საწყობების უქონლობის გამო და მოითხოვდნენ მის გადმოტანას სახელოსნოში. სახელოსნოს უფროსმაც აღნიშნა რამდენიმე მაგალითი საქმის შესრულების დაბრკოლებისა.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საწარმოო ცენტრალურმა ბიურომ საჭიროდ სცნო შუამდგომლობა აღძრას სამმართველოს წინაშე, რათა ცენტრალური საწყობი, რომელიც შეცდომით იყო გადარიცხული სამასალო განყოფილების განკარგულებაში, უკანვე იქნეს დაბრუნებული. საწყობების გადმოტანაშიც ალბად იმდენივე დაიხარჯება, რამდენიც გადატანაში.

საწყობის გადატანამდე რომ მიექციათ ყურადღება მუშების წერილებისათვის და სიტყვებისათვის, ეს აუარებელი უნაყოფო ხარჯები აცილებული იქნებოდა თავიდან. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი წინდაუხედავი და დაუდევარი მომუშავენი გვყავს, რომლების მუშაობაც ზარალის მეტს არაფერს მატებს წარმოებას. მთავარ სახელოსნოს სამასალო საწყობების სამასალო განყოფილების განკარგულებაში გადატანაც ასეთი დაუდევრობის და წინდაუხედაობის ნიმუშთაგანია.

ვ. ნ.

ასეთი წესი უნდა შეიცვალოს

10 ნოემბერს. მუშკოოპის გამგეობამ სადგურის ქუჩაზე გახსნა წითელი სასადილო № 2. სადაც მუშაობს რამოდენიმე ათეული მუშა-მოსამსახურე. სასადილოს გამგედ დანიშნულია ამხ. შეწირული, რომლის ხელმძღვანელობით სასადილო საუცხოვოდ იქნა მოწყობილი. მაგრამ სასადილოში მუშკოოპის გამგეობამ შემოიღო ისეთი წესი, რომ ადვილად შესაძლებელი, სასადილო ისევ დაიკეტოს; ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს მარკებით. სადილის მიმტანს მარკის საშუალებით გამოაქვს სამზარეულოდან და ბუფეტიდან სურსათი და აწვდის მომხმარებელთ, რომლისაგან ფულს იღებს მიმტანი და იმ წამსვე აბარებს სალაროში. სალარო იძლევა ქვითარს, რომლის მიხედვით მუშაობის შემდეგ აწარმოებს საბოლოო ანგარიშს. ასეთი წესის წყალობით მიმტანთა შტატი უნდა გადიდდეს ორი კაცით და დაქირავებული უნდა იქნეს ორი მოლარე თვეში 60 მან. სარგებლობა კი თითქმის, არაფერი მოაქვს ამ წესს. პირიქით, ასეთი წესით მუშაობა იწვევს აუარებელ ზედმეტ ხარჯებს და ქმნის ერთგვარ ბიუროკრატიზმსაც,—რაც მძიმე ტვირთად აწვება სასადილოს შემოსავალს.

საქმე იმაშია, რომ სამზარეულო აღებული აქვს კერძო მოიჯარადრეს. აქედან არაფერი შიში არ მოელის სასადილოს რამისმე დაკარგვის მხრივ, რადგან მოიჯარადრე თითონ არის დაინტერესებული ამ საქმეში. ბუფეტი კი ანგარიშით აქვს ჩაბარებული თანამშრომლებს და თითონვე არიან პასუხისმგებელნი ყველაფერში. ისე, რომ ამ მხრივაც სასადილო უზრუნველყოფილია რაიმეს დაკარგვისაგან. აქ არ შეიძლება დაიკარგოს თუნდაც ერთი კაპიკი.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება სასადილოში შემოღებული იქნეს ისევ ძველი წესით ვაჭრობა ამით სასადილოს ხარჯებიც შემცირდება და მომხმარებელსაც დროზე დავაკმაყოფილებთ, რაც მთავარია სასადილოს არსებობისათვის. მუშკოოპის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მიიღოს ზომები სასადილოს ხარჯების შესამცირებლად და მისი ხელმეორედ დაკეტვის თავიდან ასაცილებლად.

თ. კოკათელი.

ტრამვაის მუშებში

ამას წინათ კომუნალურ მეურნეობის პროფკავშირის კულტგანყოფილების მიერ მოწყობილ იქნა ტრამვაის მუშათა კლუბთან არსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს საუკეთესო მკითხველთა დაჯილდოება. საღამოს 6 საათიდან კლუბში უკრავდა ადგილობრივი სიმებიანი ორკესტრი. სრულ 7 საათზე ამხ. დორიხმანმა გახსნა სამკითხველოს წევრთა საერთო კრება ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად. შეჯიბრის მნიშვნელობისა და მისი შედეგების შესახებ, სიტყვა წარმოსთქვა სამკითხველოს გამგემ ამხ. ხუნდაძემ, რომელმაც მოკლეთ გააცნო დამსწრეთ საუკეთესო მკითხველთა შეჯიბრის მნიშვნელობა.

მომხსენებლის სიტყვით კომუნალურ მეურნეობის პროფკავშირის კულტგანყოფილების მიერ საუკეთესო მკითხველების დასაჯილდოებლად გამოყოფილი კომისია მუშაობდა თვენახევარი. სამკითხველოს ჰყავს 900 წევრი, მაგრამ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 200 კაცმა. მათში კომისიამ ჯილდო მისცა 20 კაცს. პირველი ჯილდო საწერ მაგიდის და სამელნეს მოწყობილობა მიიღო მუშა ამხ. ბელიაევმ.

შეჯიბრით კმაყოფილი დარჩენ მუშები და მოითხოვდნენ ასეთი შეჯიბრების ხშირად გამართვას.

დასასრულ გაიმართა ხმიარული საღამო. კლუბთან არსებულმა ცოცხალმა გაზეთმა „ელექტრონი"-მ შეასრულა რამოდენიმე პატარა ინსცენიროვკები, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მუშებში.

ბ.

ვინ აფერხებს საკლუბო მუშაობას

საბურთალოზე და ახალშენში კარგა ხანია არსებობს მუშათა კლუბი, სადაც დროგამოშვებით ადგილობრივი სცენის მოყვარენი მართავენ სხვადასხვა წარმოდგენებს, აწყობენ ლექციებს და სხვა. მოსახლეობა საღამოებს და ლექციებს ბლომად ესწრება... მაგრამ აღნიშნული კლუბი უბედური მდგომარეობაშია ხულიგანურ გამოსვლებით ადგილობრივ ბიჭბუჭებისა და ავარების მიერ, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს და მიღებულ უნდა იქნეს ზომები ხულიგნობის აღმოსაფხვრელად. ყოველ წარმოდგენაზე ხულიგნები ასტეხენ ხოლმე ყვირილ-ხივილს და აფერხებენ კლუბის ნორმალურ მუშაობას. გარდა ამისა ეს ვაჟბატონები წარმოდგენაზე მოსიარულეთ, განსაკუთრებით კი ქალებს, მოსვენებას არ აძლევენ. ისინი ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებენ მათ და უშვერი სიტყვებით აგინებენ.

ეს ხდება უფრო იმიტომ, რომ საბურთალოზე, მილიციის საგუშაგო სრულებით არ არის, რის გამო ხულიგნები მეტად გათამამდენ. კლუბის მუშაკები აქ უძლურნი არიან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში და ხანდახან [illegible] ქვეშაც იმყოფებიან.

ხულიგანთა ბრბოს მეთაურობენ: სანდრო ბელაძე, სულიკო (იგივე „სტეპა") ალივაძე და თოიძეშვილი კოლა. ეს ვაჟბატონებია, რომ სისტემატიურად ესხმიან კლუბში გამართულ წარმოდგენებს და იქ დამსწრეთ აწიოკებენ. მათ ყავთ კიდევ თავიანთი ავან-ჩავანი, რომლებიც ეხმარებიან ხულიგნურ მოქმედებაში.

კლუბში და საერთოდ საბურთალოზე წესრიგის დასამყარებლად, საჭიროა ეს ხულიგნები გაძევებულნი იქნენ. როგორც საბურთალოდან, ისე ახალ შენიდანაც; ის ხელს შეუწყობს საკლუბო მუშაობის გაცხოველებას და თვით მცხოვრებლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან ყოველგვარ შიშისაგან.

უ—მანი.

კმარა უქმად ჯდომა

(თბილისის საყუდი)

პირველ ნოემბრიდან ამიერ-კავკ. რკინისგზებზე შემოღებულ იქნა ახალი საქმის წარმოება და აგრეთვე ანგარიშების და შეკვეთების სხვადასხვა ნორმები. როგორც ახალი საქმე ჯერ-ჯერობით ძნელია კანტორის მოხელეებისათვის. ამ მხრივ საყუდის საანგარიშო კანტორა აგრძნობლად მოისუსტება, მართალია, არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს 50 გვერდს, მაგრამ მისი გადაკითხვა და შესწავლა ძნელად რომ შესძლოს რომელიმე თანამშრომელმა. ესეც არ იყოს სახელმძღვანელო ერთი ცალია მთელს კანტორაში. მოანგარიშეები და კანტორის მოხელეები კი იქნებიან არა ნაკლებ 50 კაცისა. ამიტომ ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად დანიშნული არიან ინსტრუქტორები ყველა დარგში. წევის დარგში ერთის მაგიერ ოთხი ინსტრუქტორია. მათ მოვალეობას შეადგენს ხაზებზე მოსამსახურეების დარიგება და საქმეების გაცნობა, რათა არ იქნეს დაშვებული შეცდომა ანგარიშების წარმოებაში.

სამწუხაროდ ხსენებული ინსტრუქტორები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად. ისინი მოკალათებულნი არიან მთავარ ბუხჰალტრის კაბინეტში და თითქმის არაფერს აკეთებენ. ნუ თუ ამას ვერ ამჩნევს მთავარი ბუხჰალტერი მოქ. ცუკანოვი. რომ წინადადება მისცეს ინსტრუქტორებს წავიდნენ ხაზებზე სამუშაოდ? ამჩნევს, მაგრამ არაფერს ეუბნება. კმარა უქმად ჯდომა, შეუდექით მუშაობას.

ლიაპისი.

ჩაის კულტურა საქართველოში

ჩაის კულტურის განვითარება ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც იძულებულია დიდძალი თანხები ხარჯოს ჩაის საზღვარგარეთიდან შემოსატანად.

სტატისტიკური ცნობებით, ომიანობის წინა დროს რუსეთს დიდძალი ჩაი შემოჰქონდა უცხოეთიდან. მისი რაოდენობა ყოველ წლიურად (1910—1914 წ. წ.) აღირიცხულია 174 მილიონ გირვ., რაც თითოეულ სულზე შეადგენდა 1,01 გირვანქას. თითოეული გირვანქა ჩაის ღირებულება უდრიდა 72 კაპ. და ყოველ წლიურად რუსეთი მარტო შემოსატან ბაჟს იხდიდა არა ნაკლებ 156 მილ. მან. ოქროთი.

ამ უკანასკნელ ხანებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩაის შემოტანამ საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთიდან და მისმა მოხმარებამ თვალსაჩინოდ იკლო. მაგრამ, რაც ჩაი შემოდის ამჟამად აქ, ისიც, შედარებით, დიდ თანხებს თხოულობს*),—წლიწადში არა ნაკლებ 20 მილ. მან. ბაჟის ხარჯებს.

ამოდენა ხარჯების თავიდან ასაცილებლად. საბჭოთა კავშირში ჩაის კულტურის განვითარება (დასავლეთ-საქართველოში, აჭარისტანში და აფხაზეთში) დიდ საჭიროებას წარმოადგენს და ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლება კიდეც შესაფერ მუშაობას აწარმოებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის განსაკუთრებული კომისიის გამოკვლევით, საერთო სივრცე საქართველოში, რომელზედაც შესაძლოა ჩაის კულტურა, შეიცავს არა ნაკლებ 120.000 დეს. თუ მთელი ეს სივრცე შესაფერისად იქნა გამოყენებული, მაშინ საბჭოთა კავშირს აღარ დასჭირდება საზღვარგარეთიდან შემოტანა იმოდენა ჩაის, რაც ამჟამად ესაჭიროება მას, ვინაიდან ჩვენი ჩაი მაშინ თუ სრულიად არა, მეტ წილად მაინც დააკმაყოფილებს მთელ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას.

ჩაის კულტურა, როგორც ამჟამად უკვე გამოკვლეულია, არ თხოულობს დიდად ნაყოფიერ ნიადაგს. იგი შესაფერისად კარგად ხარობს დასავლეთ საქართველოს ნესტიან სუბტროპიულ ზოლში, თიხიან და მჟავე ნიადაგზე, რომელიც სხვა მეურნეობის დარგებისათვის სრულიად გამოუდეგარი და უსარგებლოა (მემინდვრეობისათვის, მებაღეობისათვის). ასეთი მჟავე ასპარეზი, პროფ. ს. ნ. ტიმოფეევის ზედმიწევნითი გამოკვლევით, მარტო დასავლეთ საქართველოში (აღმოსავლეთ საქართველოში ჩაის კულტურა ვერ ხეირობს) შეადგენს 40.000 დეს. არეს, რაც შესაფერი დამუშავებით მოგვცემს წლიწადში არა ნაკლებ 28—30 მილიონ გირვანქა ხმელ, დამზადებულ ჩაის (700—800 გირ. ერთ დესეტინაზე) და იგი არამც თუ სრულიად ეყოფა საქართველოს მოსახლეობას, არამედ აქედან დიდი ნაწილი კიდევ შეიძლება მიეწოდოს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს.

ჩაის კულტურას საქართველოში კარგა ხანია რაც საფუძველი ჩაეყარა. მისი სივრცე თანდათანობით მატულობს: 1898 წელში იყო გაშენებული სულ 4 წვრილი პლანტაცია 12 დეს. ზომით, 1911 წელში კი ჩაის პლანტაციების რაოდენობა შესამჩნევად მატულობს—აღინიშნულია 108 პლანტაცია, 124 დეს. საერთო ასპარეზით, ხოლო 1915 წელში პლანტაციების სივრცე მარტო ბათომის მიდამოებში აღირიცხება—828 დ. რაოდენობით.

ოზურგეთის მაზრაშიც ნელ-ნელა ვითარდება ჩაის კულტურა: გარდა ზედობნის, ზვანის, აცანის და ქალ. ოზურგეთისა (2 დ. 250 საჟ.), წვრილ-წვრილი პლანტაციები იყო გაშენებული 41 სოფელში, საერთო ასპარეზით—43 დ. 1800 საჟ.

რაც შეეხება ხმელ ჩაის დამზადებას, ამის შესახებ შემდეგი ცნობები მოგვეპოვება: 1914 წ. იყო დამუშავებული სულ—256.709 გირ. ხმელი ჩაი; შემდეგ წლებში კი 1923 წლამდე შემოსავლიანობა ხმელი ჩაისა სისტემატიურად კლებულობს: 1921 წ. იყო დამუშავებული 150.619 გირ., 1922 წ.—218.290 გირ., 1923 წ.—289.229 გირ., ხოლო 1924 წელში მარტო ჩაქვის სახალხო მამულის 540 დესეტინიდან მიღებულია 450.000 გირ. ხმელი ჩაი. მაგრამ მისი პროდუქცია უფრო დაბალი ხარისხისა გამოვიდა, მინამ წინა წლებში, რაც უნდა მიეწეროს პლანტაციების ცუდ მდგომარეობას, ვინაიდან საჭირო იყო ჩაის პლანტაციების განახლება.

როგორც უკვე გამოკვლეულია, ჩაის გემოვნება, სურნელოვნება და სიმაგრე სავსებით დამაკმაყოფილებელია, როგორც მიწის ნიადაგზე, რომელზედაც ჩაის მცენარე იზრდება, ისე ატმოსფერულ მოვლენებზე და ჩაის პლანტაციების ადგილ-მდებარეობაზე, ე. ი. იმაზე, თუ რანაირ ადგილზეა გაშენებული პლანტაცია—ფერდობიან, თუ სწორ და დაბალ ადგილებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა დროს იკრიფება ჩაის მწვანე ფურცელი და უმთავრესად კი იმ ხელის-შეწყობაზე, რომელიც ესაჭიროება ჩაის ფურცელს დამზადების დროს. ჩაის ნედლი ფურცელი, თუნდაც რომ მაღალი ხარისხისა იყვეს, ადვილად შეიძლება უვარგისი გახდეს, თუ იგი სასწრაფოდ და შესაფერისად არ იქნა დამუშავებული ქარხანაზე. ჩვენს პლანტაციებზე ვერ მოგვდიოდა ერთგვარი სუნის და გემოვნების ჩაი, სხვადასხვა წლოვანების ჩაის მცენარის ფურცლის დამზადება ერთნაირად ხდებოდა და ყველა ეს ერთი-ერთმანეთში ირეოდა მათი განურჩევლად. კუპაჟის დროს სხვადასხვა ღირსების ჩაის ერთმანეთში ურევდენ მარტო მათი გარეგნული ფიზიკური ნიშნებით, მათი შინაგანი თვისებების გამოურკვევლად.

ჩაის დადუღების საქმეც აქამდე სათანადოთ არის მოწესრიგებული, შორეულ აღმოსავლეთში კი და იმ სახელმწიფოებში, სადაც ჩაის დამზადება წარმოებს, მიღებულია შემდეგი წინასწარი მუშაობა. ეს არის: 1) დაჭკნობა, 2) ფურცლის დასრესლება-დაგრეხა, 3) დამჟავება (დადუღება)—დადუღება და 4) დაშრობა. ყოველივე ამ პირობების შესრულება საჭიროა ჩაის ფურცლის დამუშავებისათვის, მაგრამ თვით ის მოვლენები, რომლებშიაც ხდება ფიზიოლოგიური და ქიმიური გარდაქმნანი მწვანე ჩაის ფურცლისა, აგრეთვე მოქმედება ჩაის ღირსებაზე და თვისება, ეს ჯერ-ჯერობით არ არის შესაფერისად გამოკვლეული და საცდელ სადგურების მუშაობის ძირითად ამოცანებს შეადგენს. ასეთმა მუშაობამ უნდა გამარკვიოს საუკეთესო რაციონალური მიდგომა ჩაის დამუშავების და მისი ღირსების გაუმჯობესების დარგში.

გარდა ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ არ მზადდება მწვანე ჩაი, ფიქალი („პლიტოჩნი") ჩაის მნიშვნელობა—დამზადება არ ვიცით. ჩაის ნარჩენებისათვის ვერ ვააგებებინეთ და ჩაის მტვერი სრულიად გამოუყენებლად იკარგება. საზღვარგარეთ კი ყოველივე ამას შესაფერი გამოყენება აქვს. ამრიგად, ჩაის ტეხნიკური გაუმჯობესების საქმე თხოულობს შესაფერ ზომებს, ამისათვის საჭიროა არსებულ ჩაის ქარხნებთან და არსდეს ქიმიური ლაბორატორიები და მეტეოროლოგიური სადგურები, სადაც მეცნიერულად უნდა გადაწყდეს ჩაის მოშენების და დამუშავების საკითხები.

მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს ჩაის კულტურის გავრცელება ადგილობრივი მოსახლეობის შორის. ამჟამად, როგორც ვიცით, ჩაის კულტურას აწარმოებენ უმეტესად დიდ მეურნეობაში, როგორიც არიან ჩაქვის, სალიბაურის, კაპრეშუმის მამულები, და მხოლოდ უმცირესობა ჩვენი გლეხობისა აქა-იქ კანტი-კუნტად ეწეოდა თავისი პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებზე ჩაის მოშენების საქმეს. საზოგადოდ კი იგი დარწმუნებული არ იყო, თავისი უცოდინარობის გამო, რომ ამ საქმეს გაუძლებდა. ასე იყო მეფის ძალა-უფლების დროს, მაგრამ ეხლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე ღონისძიებას ხმარობს ამ მეტად სასარგებლო მეურნეობის ჩვენ გლეხკაცობაში ჩაჰყარებაში, უკანასკნელმაც შესაფერისად შეიგნო მისი დიდი მნიშვნელობა და სარგებლიანობა თავისი ბიუჯეტის გასაძლიერებლად, მასაც უნდა დაეხმაროს ამ საქმის გაფართოება-განვითარებას, საჭიროა უმთავრესად ხელმძღვანელობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. ყოველივე ეს ამჟამად შეადგენს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს საცდელ მუშაობას და მიმართულებით მას დიდი უნარის და ფხის გამოჩენა მართებს.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი", თანახმად მისი დებულების პირველი და მეორე მუხლისა, გარდა საკუთარი საწარმოვო ამოცანების ჩაის საქმეში, ცენტრის მიერ მოწოდებულია ჩაის კულტურის ასაღორძინებლად საქართველოში უშუალოდ აწარმოვოს, საქართველოს მიწსახკომთან შეთანხმებით, აგრიკულტურული ზედგავლენა საქართველოს მოსახლეობაზე საცდელ-საჩვენებელი პუნქტების გაშენებით, შესაფერი ცოდნის ჩასანერგად ჩაის საუკეთესო ჯიშების მოშენების და გავრცელების საქმეში.

დაახლოვებითი ცნობებით, „საქართველოს ჩაი"-ს მოქმედების დასაწყისში (1926 წელში) საერთო სივრცე ჩაის ნერგისა საზოგადოდ საქართველოში აღირიცხებოდა 1160 დეს. რაოდენობით: 1) სახალხო მამული ჩაქვა—537 დ., 2) სალიბაური—137 დ., 3) აჭარისტანის სახალხო მამულები—76 დ. და გლეხების პლანტაციები 100 დეს, 4) გლეხების პლანტაციები ოზურგეთის მაზრაში—244 დეს. და 5) ზუგდიდის მაზრაში—6 დეს.

როგორც „საქართველოს ჩაი"-ს ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმიდან სჩანს, მის მიერ გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ ჩაის პლანტაციების სივრცის გადიდება ხუთი წლის განმავლობაში — 5.000 დეს. (1926 წ.—50 დეს., 1927 წ.—450 დ., 1928 წ.—750 დ., 1929 წ.—1000 დ., 1930 წ.—1250 დ. და 1931 წ.—1500 დ.), რაც არსებული პლანტაციებთან (1160 დ.) ერთად შეადგენს 6160 დეს. ამ სივრცეს შეუძლია მოგვცეს ხუთი წლის დამლევს 1.400.000 გირ. ხმელი ჩაი. ხოლო მომავალ ხუთ წელიწადში—4.800.000 გირ. დამზადებული ჩაი.. შესაძლოა, რომ მიმდინარე ხუთის წლის განმავლობაში „საზოგადოებამ" უფრო მეტი სივრცე დათესოს, ეს მის წარმატებით მუშაობაზეა დამოკიდებული.

გათვალისწინებულია: ჩაქვის სახალხო მამულში და სალიბაურში ჩაის კულტურის რაციონალურად დაყენება და მოწყობა ჩაის ქარხნებისა ჩაის ღირსების გასაუმჯობესებლად და მის გასაიაფებლად; გაფართოება ოზურგეთის ჩაის ქარხნისა, რომელიც იქნა მის მიერ შესყიდული მთელი თავისი მოწყობილობით მიწსახკომიდან 10.000 მან.; აშენება ამასთანავე ქარხნებისა სოფ. მიქელ-გაბრიელში და აცანაში, ხოლო შემდეგში—აჭარისტანში (სოფ. დაგვაში ან ბობოყვათში) და სამეგრელოში (ქალ. ზუგდიდში); გამოწერა ჩაის თესლებისა ინდოეთიდან და ჩინეთიდან და ჩაყრა ჩაქვის მამულში 100 დ. წმინდა ხარისხის სათესლე პლანტაციისა; სესხი გლეხებს საკუთარი ჩაის პლანტაციების ჩასაყრელად, სასოფლო-სამეურნეო ბანკის შემწეობით, თითო დესეტინაზე 450 მან. ვალის გადახდით მეხუთე წლიდან დღიდან პლანტაციის ჩაყრისა მე-7 წლის დამლევამდე; ორგანიზაცია კლიმატიური პირობების შესწავლისა; ჩაის რაიონების ბოტანიკური, გეოგრაფიული და ნიადაგების გამოკვლევები აღსარიცხავად უფრო საიმედო რაიონებისა და მიწის ასპარეზისა, რომელზედაც შესაძლო იქნება ჩაის კულტურის მოწყობა; შესწავლა ჩაის რაიონებში ეკონომიური პირობებისა და გლეხის მეურნეობის სტრუქტურისა—მათში სხვა მეურნეობის დარგებთან ჩაის კულტურის გასაძლიერებლად; საცდელი საქმის მოწყობა, როგორც კულტურის გასაუმჯობესებელი ღონისძიება (ჯიში, სელექცია, საპოხიერება, გასხვლა, მოვლა და სხვა); მწვანე ჩაის დამუშავების ხელის შეწყობა (დაჭკნობა დასრესლება, დადუღება, გახმობა, ხარისხად დაყოფა და შენახვა).

ყველა ამ მიზნებისათვის, პერსპექტიული გეგმით, გათვალისწინებულია საცდელ ჩაის მცენარეების ჩაყრა და აშენება ლაბორატორიებისა ჩაქვში და ოზურგეთში, ხოლო შემდეგ ქალაქ ზუგდიდშიაც.

საცდელ სადგურების მუშაობის ნაყოფიერებისათვის საჭიროა გლეხის მამულებში ჩაყრა საცდელი ნაკვეთებისაც, რომლებზედაც გლეხკაცობის მიერ იქნება შემოწმებული ყველა ის მიღწევები ჩაის კულტურაში, რომლებიც მიიღებიან საცდელ სადგურებზე. გლეხის საცდელ ნაკვეთებს შეიძლება მიეჩემოს აგრეთვე უფრო დეტალური შესწავლა სხვადასხვა ხასიათის ნიადაგებისა და მათი ვარგისობა ჩაის კულტურისათვის; კლიმატიური პირობების მიხედვით.

ამასთან საცდელ სადგურებს დიდად შეუწყობენ ხელს ლაბორატორიები (ფიზიკური და ქიმიური) და მეტეოროლოგიური სადგურები; რომლებიც განუწყვეტლივ თვალ-ყურს ადევნებენ ჩაის მცენარეების ვეგეტაციას და სხვადასხვა.

ყოველივე ზემო ჩამოთვლილის გარდა, ჩაის კულტურის რაციონალურად დაყენებისათვის „საქართველოს ჩაის" გამგეობას განზრახული აქვს ექსპედიციის მოწყობა და გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთში. ამ ექსპედიციას ექნება წმინდა მეცნიერული ხასიათი და მისი მიზანი იქნება: 1) ჩაის საქმის აწინდელი მდგომარეობის გაცნობა ჩინეთში, იაპონიაში და ბრიტანეთის და გოლლანდიის ინდოეთში; 2) გამორკვევა ჩაის კულტურის ახალი მიღწევებისა—ჩაის ტეხნოლოგიის, ახალი მანქანების კონსტრუქციის და ქარხნების მოწყობის დარგში.

გათვალისწინებულია მოწვევა სამსახურში საზღვარ-გარეთიდან მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტებისა, რომ მათი ცოდნა-გამოცდილებით მოეწესრიგოს საქართველოში ჩაის მოშენების და დამუშავების საქმე. ამისათვის გამგეობა „საქართველოს ჩაისა" საჭიროდ სცნობს მოიწვიოს ახლო მომავალში ბრიტანეთის და გოლლანდიის ჩაის რაიონებიდან ორი წლის ვადით ერთი სპეციალისტი ჩაის დამუშავების და ტეხნოლოგიის საქმეში (ინჟენერი-ტეხნოლოგი) და 2 სპეციალისტი საზოგადოდ ჩაის კულტურისა.

გარდა ამისა, წარმატებით აღსრულება იმ ამოცანებისა, რომლებიც დაკისრებულია „საქართველოს ჩაიზე", შესაძლოა მარტო იმ შემთხვევაში, თუ მას ეყოლება კარგად მომზადებული პერსონალი. ამჟამად კი იგი დიდ ნაკლულოვანებას განიცდის ასეთ თანამშრომლებში. საჭიროა მომზადება სათანადო სპეციალისტების საჭიროა ადგილობრივ საკუთარ მეურნეობაზე, საცდელ სადგურებში და ქარხნებში. ის პირნი, რომლებიც გამოიჩენენ თავ-თავის სპეციალობაში უფრო დიდ უნარს და ფხას; იქნებიან გაგზავნილნი საზღვარგარეთ მივლინებაში თავის ცოდნის გასაღრმავებლად რასაკვირველია ყოველივე ეს დიდ ხარჯებს მოითხოვს; მაგრამ სააქციო საზოგადოებას ამის არ ეშინია, ოღონდ შესაფერისად იქნეს მოწესრიგებული ჩაის კულტურის განვითარების საქმე.

ჩაის კულტურის გასაძლიერებლად გლეხის მეურნეობაში აგრონომიული დახმარების სისტემის დამუშავებაც, სადაც სიტყვიერ და საქმიან პროპაგანდასთან დიდი ადგილი უნდა მიეცეს ბეჭდვით სიტყვასაც. ე. ი. პოპულიარულ ლიტერატურასაც შესაფერი ბროშიურების ფურცლებით; პლაკატების გამოცემით. ყოველივე ამით სააქციო საზოგადოება ფიქრობს ჩაის ფართოდ გავრცელებას მოსახლეობის შორის. თავის ღონისძიებანი და სხვადასხვა მიღწევები.

ასეთია პერსპექტივები ჩაის მოშენების და განვითარების საქმეში და ახლო მომავალში გვაჩვენებს: თუ რამდენად იქნება შესრულებული საქართველოს ჩაის მიერ მასზე დაკისრებული დავალებანი.

ა. გრ—შვილი.

სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერა

აღწერის პროგრამული საკითხები

1927 წ. 15 დეკემბრისათვის კავშირის ტერიტორიაზე და მით საქართველოშიც ჩატარებულ იქნება სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასკოლო დაწესებულებათა სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერა. აღწერის მიზანია ყოველმხრივ გააშუქოს სწავლა-განათლების მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და მით შექმნას ის უტყუარი მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება პირველ დაწყებით სავალდებულო სწავლების შემოღების რეალურ პერსპექტიულ გეგმის შედგენა და მის შესრულებასთან დაკავშირებით მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოთა მიზანშეწონილი და გეგმიანი ჩატარება—ერთის მხრივ და მეორე-პროფესიონალურ განათლების დაწესებულებათა შესწავლით მტკიცე ნიადაგის მომზადება კვალიფიციურ მუშა ძალის შესაქმნელად.

საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობის გაშუქების და შესწავლის მიზნით საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო 1924-25 სასწავლო წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად აწარმოებდა კულტ-განმან. დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევას მოკლე პროგრამით; 15 დეკემბრის აღწერა კი თავის პროგრამით მთლიანად ამოსწურავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების დაწესებულებათა მდგომარეობასთან.

სასკოლო აღწერის მთელი პროგრამა გაშლილია ხუთ შემდეგ ძირითად ფორმულაში: სოციალურ აღზრდის და პროფგანათლების დაწესებულებათა სასკოლო ფორმულიარებით 1 და 2; დასახელებულ დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალის ფორმულიარი—მასწავლებლების ბარათი 3 ფ.; ამ დაწესებულებათა მოსწავლეთა ნუსხა ფ. ფ. 4, 5.

სასკოლო ფორმულიარები 1 და 2 ითვალისწინებს შემდეგ მთავარ საკითხებს, 1—ზოგადი ცნობები სკოლის შესახებ, 2—მოსწავლეთა შემადგენლობა, 3—პედაგოგიური პერსონალი, 4—სკოლის მიწის ნაკვეთი და სას.-სამეურნეო ინვენტარი, 5—სკოლის რაიონი (სოც. აღზრ. სკოლებისათვის), 6—სასკოლო შენობა, 7—სკოლის მოწყობილობა, სასწავლო დამხმარე საშუალებანი და სახელმძღვანელოები, 8-სამოსწავლო ნაწილი, 9—სკოლის საზოგადოებრივი მუშაობა და 10—სკოლის ბიუჯეტი.

1 ლ განყ. ზოგადი ცნობების უმთავრეს ნაწილს შეადგენს კითხვები სკოლაში სწავლების კურსის ფაქტიურ ხანგრძლივობისა და სკოლაში სწავლების ენის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი ტიპის სკოლისათვის დაწესებულია განსაზღვრული ვადა სწავლების კურსის ხანგრძლივობისა, ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ისეთ სკოლებს, რომლებიც დაწყების ან განვითარების პროცესშია: სრულად დამთავრებული სკოლები კი უმცირეს რაოდენობას წარმოადგენს. არსებულ სასკოლო ქსელის სრულად დამთავრებისა და გაძლიერებისათვის კი ამ მდგომარეობის გამორკვევას მთავარი მნიშვნელობა აქვს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საკითხი სკოლაში სწავლების ენის შესახებ, ვინაიდან დღევანდელ სკოლის ერთ ძირითად საფუძვლად მიღებულია აუცილებელი პირობა, რათა სკოლამ მოზარდ თაობას სწავლა-განათლება მიაწოდოს მისთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე, რის გამოც თვით სასკოლო ქსელი ენის მხრივ სათანადოთ უნდა ეფარდებოდეს ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას. ამ საკითხის სისწორით გამორკვევასთან დაკავშირებულია სხვა მრავალი პრაქტიკული საკითხების გადაჭრა, როგორც სათანადო პედაგოგიურ პერსონალის შეწზადება, ამა თუ იმ ენაზე ლიტერატურის გამოცემა და სხვა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამავე განყ-ბაში მოთავსებული საკითხი სკოლის დაარსების წლის შესახებ, ამ პასუხით შეიძლება გამოირკვეს მთელი ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არსდება ცალკე სკოლა და ემატებოდა სასკოლო ქსელს.

სასკოლო ფორმულიარის მე-2 განყ. იხილავს მოსწავლეთა შემადგენლობას ჯგუფების, ეროვნების და ახალგაზრდათა მოძრაობაში მონაწილეობის მიღების მიხედვით და აგრეთვე კითხვებს სკოლაში მიმდინარე წელს ახლად მიღებულია და იმ ბავშვთა რიცხვის შესახებ, რომელთაც ეთქვათ უარი სკოლაში მიღებაზე. კითხვების მიზანია ნათელყოს, თუ რამდენათ აკმაყოფილებს არსებული სასკოლო ქსელი ბავშვთა მოსახლეობის სწავლა-განათლების მოთხოვნილებას. კითხვა სკოლაში მიღებაზე უარის შესახებ დასმულია ვრცლად შრომის სკოლის საფეხურების და კონცენტრების მიხედვით, რათა გარკვევით აღინიშნოს შრომის სკოლის ის ნაწილი, რომელიც გადატვირთვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო პატარა არმია სასკოლო ასაკის მოსახლეობისა რჩება სკოლის გარეშე.

სასკ. ფორ. მე-3 განყ. შეიცავს სკოლის ყველა მუშაკთა სიას სქესის, თანამდებობის და სხ. ნიშნების მიხედვით. სასკოლო ფორმულიარში ცნობები პედაგოგიურ პერსონალის შესახებ ისევე როგორც მე-2 განყ-ბაში ცნობები მოსწავლეთა შესახებ მოკლეთ არის მოყვანილი, ვინაიდან მათ შესახებ ყველა ცნობები არის მათ საპირადო ბარათში ფორმა 3 (მასწავლებლებისათვის) და მოსწავლეთა ნუსხაში ფ. 4 და ფ. 5.

სასოფლო ფორმულიარის მე-4 განყოფ-ბა შეეხება სკოლის მიწის ნაკვეთს და აღნიშნავს მოსწავლეთა მონაწილეობას ამ მიწის ნაკვეთის დამუშავებაში.

სასკ. ფორმ. მე-5 განყ. მთლიანად შეიცავს სასკოლო რაიონის დახასიათებას ე. ი. თუ რომელ დასახლებულ პუნქტიდან (ქალაქი, სოფელი და სხვა) დადიან მოსწავლენი სკოლაში ყოველ პუნქტიდან რამდენი მოსწავლე, მანძილი პუნქტიდან სკოლამდე და ამ პუნქტში მყოფ კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა. მიღებულ მასალის მიხედვით შესაძლებელი გახდება ყოველი სკოლის და მის მთელი სასკოლო ქსელის მიმართ საშუალო რადიუსის განსაზღვრა ერთის მხრივ—და მეორე—აღნიშვნა, თუ რამდენად დატვირთულია სკოლის რაიონი მოსახლეობით; დასახელებულ კითხვებზე ცნობებს იძლევა შრომის სკოლის მხოლოდ პირველ საფ. სკოლა (4 წლედი), არსებული როგორც დამოუკიდებლათ, აგრეთვე 7 წლედ. და 9 წლედთან.

სასკ. ფორ. მე-6 განყ. (სასკოლო შენობა) მოითხოვს დაწვრილებით ცნობებს სასკოლო შენობისა და სასკოლო ბინების შესახებ. ყოველ სასკოლო შენობის მიმართ აღინიშნება: სართულების რიცხვი, რა მასალიდან არის ნაგები შენობა, აქვს თუ არა შენობას წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ., რა თანხაშია დაზღვეული შენობა, სკოლის შენობაში მოთავსებულ სასკოლო ბინების: ფართობი, მოცულობა ამ ბინების მოწყობილობა და სხვა. სასკოლო აღწერის დროს ამ განყოფილებას ექცევა მთავარი ყურადღება, ვინაიდან საბოლოოდ დღემდის არ არის შესწავლილი ის შენობები, რომელშიაც მოქცეულია არსებული სასკოლო ქსელი, რითაც მოსპობილია შესაძლებლობა გადაჭრით ითქვას თუ რამდენად აიტანს არსებული ქსელი სასკოლო შენობისა, მათში მოქცეულ სკოლების დასრულებას და დატვირთვას ჯგუფებისა და მასწავლებლების მხრივ.

სასკ. ფორ. მე-7 განყ. სკოლის მოწყობილობა, სასწავლო-დამხმარე საშუალებანი და სახელმძღვანელოები, ამ განყ-ბის მიზანია გამოარკვიოს თუ რამდენად უზრუნველყოფილია სკოლა დასახელებულ საშუალებათა და სახელმძღვანელოებით. ამავე განყ-ბაში აღინიშნება ცნობები სკოლის ბიბლიოთეკის და აგრეთვე სკოლის მოწყობილობის მთავარ საგნების შესახებ როგორიც: პარტები, დაფები და სხვა.

სასკ. ფორ. მე-8 განყ. სასწავლო ნაწილი შეიცავს შემდეგ მთავარ კითხვებს: სკოლაში მეცადინეობის დაწყების და დამთავრების ვადა. სკოლაში მეცადინეობის ხანგრძლივობა და სასწავლო სამეცადინო დროს ხანგრძლივობა დღეებში თვეების მიხედვით. შემჩნეულია, რომ დაწესებულ უქმების და არდადეგების გამოკლებით არის შემთხვევები სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტისა მისი დროს საგრძნობი ხანგრძლივობით, რაც რასაკვირველია უარყოფითი გავლენას ახდენს სკოლისათვის დაწესებულ წლიურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მისაღებად აუცილებელია გამოირკვეს ყველა ის მიზეზები, რომლებიც იწვევს სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტას.

სასკ. ფორ. მე-9 (სკოლის საზოგადოებრივი მუშაობა) მოწყობილია თუ არა სკოლაში კლუბი, წრეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათში წევრთა და ნამუშევარ საათების რიცხვი და სხვა. მონაწილეობს თუ არა სკოლა ადგილობრივ სამკითხველოს მუშაობაში, და რაში გამოიხატება ეს მუშაობა და სხვა.

სასკ. ფორ. მე-10 განყ. (სკოლის ბიუჯეტი 1926—27 საბიუჯეტო წელს) ყოველმა სკოლამ დაწვრილებით და ზუსტად უნდა აღნიშნოს დასახელებულ წლის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯები და ამ უკანასკნელთა დასაფარავათ მიღებული შემოსავალი წყაროები.

ფორმულიარი 3—მასწავლებლის საპირადო ბარათი, ივსება სოც. აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასკოლო დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალზე (მასწავლებლები, ხელმძღვანელნი, ინსტრუქტორები და ოსტატები უკანასკნელ პროფგანათლების სასწავლებელთა სახელოსნოებში). ბარათი ითვალისწინებს შემდეგ კითხვებს: სქესი, მასაკი, ეროვნება, დედა-ენა, ენა, რომელზედაც მასწავლებელი ასწავლის, პარტიულობა, მასწავლებლის მიერ მიღებული განათლება (რომელი სასწავლებელი დაამთავრა ან სწავლობდა), პედაგოგიურ მოღვაწეობის ხანგრძლივობა, რომელ ჯგუფებში ასწავლის და რა საგნებს, მის მუშაობასთან დაკავშირებულ დროს აღნიშვნა საათებში და სხვა საკითხები, რომელიც არკვევს მასწავლებლის ხელფასს, მის უზრუნველყოფას უფასო ბინით, გათბობით და სხვა. და აგრეთვე მის ხარჯზე მყოფ მის ოჯახის წევრთა რიცხვს.

საქართველოში განათლების მუშაკთა სტატისტიკურ აღრიცხვაში ჩართული სისტემა მხოლოდ ამ აღწერაშია პირველად მიღებული, ამ სისტემის აუცილებლობას მოითხოვს ის ვრცელი პროგრამა, რომელიც ზემოთ დასახელებულია ერთის მხრივ და მეორე--შემდეგი მთავარი მოსაზრება: სასკოლო ფორმულიარში მასწავლებელთა სიმბრივი აღრიცხვა გვაძლევს მხოლოდ სამასწავლებლო თანამდებობათა საერთო რიცხვს და არა მასწავლებელთა ე. ი. ფიზიკურ პირთა საერთო რიცხვს. ამ ორ რიცხვს შორის გარკვეულ ზღვარის დადებას უშლიან რამოდენიმე სასწავლებლებში შეთავსებლათ მომუშავე მასწავლებლები. ამ უკანასკნელთა გამოყოფა მოხდება შემდეგი წესით: მასწავლებელი საპირადო ბარათს შეავსებს ყოველ ამ სასწავლებელში, სადაც ის მუშაობს, მხოლოდ სრულად ე. ი. ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემით ბარათს შეავსებს იმ სასწავლებელში, სადაც მუშაობა მას მიაჩნია თავის ძირითად თანამდებობათ, დანარჩენ შეთავსებით მომუშავე სასწავლებლებში კი შეავსებს ბარათის მხოლოდ ზოგიერთ ინსტრუქციის განსაზღვრულ კითხვას.

ფორმულიარები 4 და 5 სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასწავლებელთა მოსწავლეების ნუსხა. ნუსხა შემდგარია ცხრილის სახით, რომლის ქვემდებარეში მოსწავლენი ჩაიწერებიან ცალ-ცალკე სტრიქონით და გასცემენ პასუხს ნუსხის შემასმენელში მოყვანილ შემდეგ საკითხებს: სქესი, მასაკი, ეროვნება, დედა-ენა, ვის რჩენაზე იმყოფება მოსწავლე, მოსწავლის მარჩენალის მთავარი მოსაქმეობა და მდგომარეობა მოსაქმეობაში, რამდენი წელიწადი სწავლობს მოსწავლე, რომელ ჯგუფშია, რომელ ენაზე სწავლობს, რამდენი წლის შევიდა სასწავლებელში, სად სცხოვრობს, მშობლებთან თუ კერძო ბინაზე, რა მანძილია მის საცხოვრებელ ადგილიდან სკოლამდე და რა მანძილია მისი მშობლების საცხოვრებელ ადგილიდან (თუ მოსწავლე კერძო ბინაზეა) სკოლამდე. საკითხი მანძილის შესახებ დასმულია მხოლოდ მე-4 ფორ. სოც.-აღზრდ. მოსწავლეთათვის, დასახელებულ საკითხებით გამორკვეულ უნდა იქნეს ორი მანძილი. პირველი—მოსწავლის ყოველდღიური სასიარულო მანძილი და მეორე—მანძილი, რომელიც არის მოსწავლის მშობლების მუდმივი საცხოვრებელ ადგილიდან იმ პუნქტამდე, სადაც მოსულა მოსწავლე სასწავლებლად. ამ ორი მანძილის გამორკვევით ჩვენ გვეძლევა საშუალება მივიღოთ ცნობები როგორც სკოლის რაიონის რადიუსის აგრეთვე იმ რადიუსის შესახებ, რომლის გავლა სჭირდებათ სხვა სასკოლო რაიონის მოსწავლეებს ამ პუნქტამდე.

პროფესიონალური განათლების მოსწავლეთა ნუსხაში გათვალისწინებულია შემდეგი დამატებითი საკითხები: რა მოსაქმეობას ეწეოდა მოსწავლე ამ სასწავლებელში შესვლამდე, როგორი საერთო განათლების მომზადება ჰქონდა, მისი პარტიულობა, პროფკავშირის წევრობა, ღებულობს თუ არა სტიპენდიას და რამდენს იხდის სასწავლო ფულს.

ყველა ამ ზემოთ დასახელებულ ფორმულიარებით ამოიწურება ის საალწერო პროგრამა, რომლის შესახებ ცნობას თვით სკოლა იძლევა პედაგოგიურ პერსონალის მეშვეობით.

საალწერო პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ დამატებით ორ ფორმას საუბნო ინსტრუქტორის და მაზრის ხელმძღვანელის საანგარიშო ფურცლები ფორმა 7 და ფ. 8. ორივე ფორმა ივსება აღწერის დამთავრების შემდეგ, იქ გარდა აღწერის წინასწარ ჯამებისა მოთავსებულ იქნება ცნობები იმ თანხების შესახებ, რომელიც 1926—27 საბიუჯეტო წელში გაღებულ იყო თემის და მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტებიდან სწავლა-განათლების საჭიროებისათვის საერთოდ და კერძოთ 1927 წელში დამთავრებულ სასკოლო შენობათა მშენებლობისათვის.

ამრიგად 15 დეკემბრის აღწერით დამზადებულ იქნება მასალა, რომლის მიხედვითაც შეისწავლება ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების როგორც არსებული მდგომარეობა, აგრეთვე ის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება პირველდაწყებით საყოველთაო სწავლების შემოღების სამზადის სამუშაოთა გეგმიანად ჩატარება.

თ. ჯაფარიძე.

აღწერის ორგანიზაციული საკითხები

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ სასკოლო აღწერის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს, მხოლოდ მაზრებში კი სამაზრო სტატისტიკურ განყოფილებებს. ყველა ის საორგანიზაციო-საპროგრამო საკითხები, რომლებიც სასკოლო აღწერის ჩატარებასთან არის დაკავშირებული, წინასწარ შეთანხმებული იყო საქართველოს განათლების კომისარიატსა და საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს შორის.

ამ აღწერას ერთი თავისებურება ახასიათებს შედარებით იმ აღწერებთან, რომლებიც აქამდე ჩვენს რესპუბლიკაში ტარდებოდა, აღწერის დროს შეკრებილ ცნობების სისწორეში სრული პასუხისმგებელი არის სასკოლო დაწესებულების გამგე და ყველა ის ცნობები, რომლებიც აღწერის შედეგად უნდა მივიღოთ, აღწერის ფორმულიარებში პასუხი ჩაწერილი უნდა იქნეს სასკოლო დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალის მიერ. მაშასადამე იმ ძირითად შტატს, რომელიც უშუალოდ უნდა ჩაებას აღწერის წარმოებაში, წარმოადგენს ჩვენი მასწავლებლობა, თანახმად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დადგენილებისა, სკოლებში მიღებულ საალწერო ფორმულიარებს სკოლის გამგე და მასწავლებლობა ავსებს სამეცადინო საათებში. ამიტომ ამ აღწერაში უშუალო მონაწილეთ გასამრჯელო არ მიეცემა. ამ მდგომარეობამ, რასაკვირველია არ უნდა მოახდინოს გავლენა მასალის თვისებაზე და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობა სათანადო სერიოზულობით მოეკიდება მათზედ დაკისრებულ ამ უდიდეს კულტურულ საქმეს.

სკოლის გამგეებისათვის და იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც მონაწილეობის მიღება მოუხდებათ აღწერაში, დაწერილია სპეციალური ინსტრუქცია, რომლის დეტალური გაცნობა გაუადვილებს მათ ფორმულიარებში დასმულ კითხვებზედ მისაღებ პასუხების გაგებას, რაც შეეხება იმ მიზნებს, რომლებსაც სასკოლო აღწერა ისახავს, მათი გაცნობა შეიძლება იმ თეზისებიდან, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით იგზავნება თვითეულ სკოლაში.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ ძნელი საქმის სათანადოთ ჩატარებას ესაჭიროება კარგი უშუალო ხელმძღვანელობა და რომ თვითეულ სკოლის ახლოს უნდა იდგეს ის პირი, რომელიც სათანადო საინსტრუქციო რჩევა-დარიგებას მისცემს, სკოლების გამგეებს გაუადვილებს აღწერის პროგრამულ საკითხების სრულ გაგებას. ამ მიზნით, საშუალოდ 20 სკოლაზედ ინიშნება ერთი საუბნო ინსტრუქტორი, რომელიც აღწერის განმავლობაში თავისუფლდება სკოლაში უშუალო მეცადინეობისაგან და მთელ დროს ანდომებს სასკოლო აღწერას; საუბნო ინსტრუქტორი, რომელსაც შეარჩევს სამაზრო განათლების განყოფილების გამგე და აღწერის ხელმძღვანელი აღწერის სამაზრო ხელმძღვანელისაგან მოისმენს აღწერასთან დაკავშირებულ ყველა საორგანიზაციო-საპროგრამო საკითხების სათანადო ახსნა-განმარტებას. ამის შემდეგ ის უშუალოდ ებმება მუშაობაში მისთვის მიკუთვნებულ უბნის ფარგლებში და ხელმძღვანელობს სასკოლო დაწესებულებათა აღწერას იმ სიით, რომელიც მან მიიღო სამაზრო ხელმძღვანელისაგან. პირველ ყოვლისა ის შეამოწმებს ამ სიის სისწორეს და მხოლოდ იმის შემდეგ თვითეულ სკოლის გამგეს აუხსნის, თუ როგორ უნდა იქნეს შევსებული სკოლაში საალწერო ფორმულიარები.

ამ მიზნით მის უშუალო მოწვევას სკოლების გამგეთა ჯგუფური თათბირები. სკოლების გამგეთა იმ თათბირებზედ გარჩეული უნდა იქნეს ყველა ფორმულიარი და თვითეულ დამსწრეს ნათლად უნდა აუხსნას, თუ რა წესით მიიცემა პასუხი ამა თუ იმ კითხვებზედ. როდესაც ასეთი საინსტრუქციო თათბირი დამთავრდება, თვითეულ სკოლის გამგე თავის სკოლაში ხელმძღვანელობს სასკოლო აღწერას იმ ახსნა-განმარტებათა საფუძველზე, რომელიც მან საუბნო ინსტრუქტორისაგან მოისმინა და იმ ინსტრუქციით თანახმად, რომელიც მას სპეციალურად ამ მიზნით ეგზავნება.

არა უგვიანეს 10 დეკემბრისა თვითეულ სკოლაში მიღებული იქნება სათანადო რაოდენობის საალწერო ფორმულიარები. სკოლის გამგემ უნდა შეამოწმოს მიღებულ ფორმულიარების რაოდენობა და მათი მიღების შესახებ ხელწერილი უნდა გადაუგზავნოს საუბნო ინსტრუქტორს. ამ ხელწერილის გადაგზავნა აუცილებელია ინსტრუქტორის დასარწმუნებლად, რომ ამა თუ იმ სკოლაში, რომელიც მის უბანში შედის, მიღებული არის სათანადო ბლანკები და რომ აღწერის ჩატარებას თავის დროზედ არავითარი საფრთხე არ მოელის.

10 დეკემბრიდან სკოლაში უნდა დაიწყოს აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები, თავის თავად ცხადია, რომ ამ აღწერაში ერთი მთავარი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აქტივობას. თუ მოსწავლეებმა წინ და წინ არ დაიმზადეს პასუხები ამ კითხვებზედ, რომელთაც სკოლაში მისცემენ აღწერის დროს, მაშინ არ იქნება იმის გარანტია, რომ მათ შესახებ სრულ და უტყუარ ცნობებს მივიღებთ. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ საქმის ვითარება და ამ მიზნით 10 ან 11 დეკემბერს მასწავლებლებმა მათ უნდა გააცნონ აღწერის მიზნები სკოლებში დაგზავნილ თეზისების მიხედვით. ამ გაკვეთილებზედ, დაფაზედ ჩამოწერით, უნდა ეცნობოს მოსწავლეებს კითხვები, რომლებზედაც მან მშობლებისა ან სხვა პირთა დახმარებით წინასწარ უნდა დაამზადოს საჭირო პასუხები, ამ ზომის გატარება აუცილებელი არის იმისათვის, რომ აღწერაში ჩაბმულ იქნეს მოსწავლეები მშობლებიც. მშობლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს პასუხების მომზადებაში და ეს თვალსაჩინოდ ასწევს მოსწავლეთა შესახებ შეკრებილ ცნობების თვისებას: ლაპარაკიც კი ზედმეტი არის იმაზე, რომ ეს დიდათ გაუადვილებს შრომას პედაგოგიურ პერსონალს მოსწავლეთა შესახებ ცნობების შეკრების საქმეში.

რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ჩაბმული იქნეს აღწერაშიაც, ამისათვის საჭიროა მაღალ ჯგუფებიდან არჩეულ ბეჯით მოსწავლეებს, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაევალოთ ტეხნიკური სამუშაოების შესრულება, როგორიც არის მაგალითად: სასკოლო შენობის გაზომვა, სასკოლო ინვენტარის დათვლა და სხვა.

12—14 დეკემბერს, როგორც ეს აღწერის ინსტრუქციით არის გათვალისწინებული ნაწილობრივ შეივსება სასკოლო ფორმულიარი, მასწავლებელთა ბარათები და მოსწავლეთა ნუსხა.

როგორც ვიცით, სასკოლო აღწერის ყველა ცნობები შეფარდებული უნდა იქნეს 15 დეკემბრისათვის და ამიტომ 12—14 დეკემბრის განმავლობაში წარმოებული ნამუშევრები დეტალურად უნდა იქნეს გადასინჯული 15 დეკემბერს და თუ ამ დღისათვის რაიმე ცვლილება მოხდა სკოლაში, სათანადო შესწორება იქნეს შეტანილი შეკრებილ ცნობებში.

16—17 დეკემ. მასალა მოყვანილი იქნება სრულ წესრიგში, გადამოწმებული საჭირო ასლები, 17 დეკემბერს უნდა დამთავრდეს ყველა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სასკოლო აღწერასთან. ამ დღესვე მასალები გადაეგზავნება საუბნო ინსტრუქტორს.

თვითეულ მაზრაში დაარსებულია აღწერის ხელშემწყობი კომისია, რომელშიაც შედიან განათლების განყოფილების გამგე (თავმჯდომარე) სამაზრო სტატ. განყოფილების გამგე (აღწერის ხელმძღვანელი), და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი, ეს კომისია თავის მხრივ მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ სასკოლო აღწერას აცილოს ხელშემშლელი პირობები.

იმ რწმენით, რომ სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერაში ჩვენი მასწავლებლობა მთელის თავისი არსებით ჩაებმება, ჩვენ უდგებით ამ უდიდეს კულტურულ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას.

ჭ. ჩახვაძე.

გლეხობის მოწყობა ახალ მიწებზე

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა 1928 წელში უმიწწყლო გლეხების ახალ ადგილებზე მოწყობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უვარგის ტყეებისაგან განთავისუფლებული იქნება მიწები 14.000 ჰექტარის სივრცეზე, რომლებზედაც დასახლებული იქნება 2000 უმიწწყლო გლეხი. ამ ახალ ადგილებზე პირველ რიგში დასახლებულნი იქნებიან ისეთი ადგილის მცხოვრებნი, რომლებსაც წყალდიდობისაგან და მეწყერისაგან მოელით საფრთხე და ამავე დროს განიცდიან მიწის სივიწროვესაც. შემდეგ უმიწწყლო გლეხები გადმოსახლებულნი იქნებიან მჭიდროთ დასახლებულ ადგილებიდან. ახალი მიწების უვარგის ტყეებისაგან განთავისუფლებლად და ამ მიწებზე უმიწწყლო გლეხების მოსაწყობად გადადებულია 972.000 მანეთი. ახალ ადგილებზე დასახლებლად გლეხებს მიეცემათ საამშენებლო მასალა, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მუშა-საქონელი და გრძელვადიანი სესხი.

---

*) 1925—26 წ. შემოტანილია 30.769.000 გირ ჩაი, ხოლო 1926—27 წ. 28.083.000 გირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

არტილერია

არტილერიას თავისი ცეცხლის ძალით თანამედროვე ბრძოლებში უკავია პირველი ადგილი. არტილერია იღებს მონაწილეობას ყოველივე ბრძოლაში და იმარჯვებს ის, ვინც სხვა თანასწორ პირობებთან ერთად, ძლიერია არტილერიით. 1914-1918 წლის იმპერიალისტური ომის დროს არტილერიის ცეცხლით დაზარალდა აუარებელი მეომარი, ყოველივე 100 მოკლულთ და დაჭრილთ შორის 60 კაცი იყო არტილერიის მსხვერპლი.

არტილერია ანადგურებს არა მარტო ცოცხალ ძალას. უკაფავს რა გზას ქვეითი ჯარს, იგი ანადგურებს და სპობს ყველაფერს, რაც კი ხვდება მას გზაზე. მოწინააღმდეგის არტილერია, ტყვიამფრქვევები, ბომბების და ნაღმების მტყორცნავი, მავთულხლართი, ტანკები, თვითმფრინავი — ყველა ეს წარმოადგენს მიზნებს არტილერიისათვის. აქედან ცხადია, თუ რათ უნდა არტილერიას მრავალი სხვადასხვა სახის ზარბაზნები დაწყებული პატარა ზომიდან, რომელიც ისვრის 5 გირ. ყუმბარას და გათავებული უზარმაზარ ზარბაზნით, რომელსაც შეუძლიან 85 ფუთიან ყუმბარის გასროლა.

ყოველივე მიზნის წარმატებით განადგურებისათვის გამოიყენება სათანადო ზარბაზნები და ყუმბარა.

არტილერია, მატერიალური ზარალის გარდა, ახდენს მოწინააღმდეგეზე დიდ მორალურ გავლენას, ართმევს წინააღმდეგობის უნარს, სტეხს მის ნებისყოფას, რაც მოულოდნელია არტილერიის მოქმედება, მით უფრო მეტ პანიკას იწვევს იგი მოწინააღმდეგის ბანაკში. მაგ. 1918 წელში გერმანელებმა გააკეთეს ზარბაზანი, რომელიც ისროდა 8 ფუთიან ყუმბარას 125 კილომ. მანძილზე. ეს ყუმბარები დაუშინეს პარიზს 100 კილომეტრიდან, თუმც ყუმბარებს არ მიუყენებიათ პარიზისათვის მნიშვნელოვანი ზარალი, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში გამოიწვიეს ძლიერი პანიკა.

როგორი ყუმბარებით ისვრის არტილერია? არტილერიას, ჯავშნოსნებს, ტყვიამფრქვევებს და სიმაგრეებს არტილერია უშენს ბომბებს ცოცხალი ძალის გასანადგურებლად არტილერია ისვრის შრაპნელით; განსაკუთრებული ადგილების მოსაწამლავად არტილერია ხმარობს ქიმიურ ყუმბარებს. იმ შენობების და სიმაგრეების წინააღმდეგ, რომლების დაწვა შეიძლება, არტილერია, ხმარობს ცეცხლის წამკიდებელ ყუმბარებს.

მაგრამ არტილერიას აქვს სუსტი მხარეც: იგი მოქმედებს მხოლოდ ქვეითი ჯართან, ერთად. არტილერია მუშაობს ქვეითი ჯარისათვის, უკაფავს მას გზას, უადვილებს მოქმედებას. რაც უფრო კარგათ მოქმედებს არტილერია, მით მალე და მარჯვედ მოიგებს ბრძოლას ქვეითი ჯარი; რაც უფრო ძლიერია არტილერია ტეხნიკით, მით საშინელია იგი მოწინააღმდეგისათვის.

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტეხნიკას მართავს ადამიანი, თუ არმია, შეიარაღებული ტეხნიკით, ძლიერია სულითაც, კარგათ აქვს შეგნებული იმ საქმის სიმართლე, რომლისთვისაც იბრძვის, იგი მაშინ უძლეველია. ამას მოკლებულია ბურჟუაზიული არმიები. ამისათვის მათ თავზარსა სცემს წითელი არმია, რომელიც ძლიერია მორალურათაც და ტეხნიკურათაც.

ა. რ.

თავდაცვა ქიმიურ თავდასხმისაგან

თავშესაფრები

თავშესაფარი მოწამლულ გაზებისაგან წარმოადგენს ქიმიურ თავდაცვის ყველაზე მარტივ საშუალებას. თავშესაფარები პირველად აგებული იქნენ იმპერიალისტური ომის დროს შტაბების და სხვა დაწესებულებების მოსამსახურეთა დასაცავად მოსაწამლავ ნივთიერებისაგან, რადგან ამ უკანასკნელთ უხდებოდათ მუშაობა უნიღაბოთ. აგრეთვე თავშესაფრები გამოყენებულ იქნენ ჯარისკაცთა დასასვენებელ ადგილათ ხანგრძლივი ქიმიური ბრძოლისათვის.

ყველა არმიებში თავშესაფრები ეწყობა ერთ და იმავე გეგმით. შესავალი დაცული არის ფარდით მომზადებულ სქელი მატერიისაგან, რომელიც გაჟღენთილია ერთგვარ ქიმიურ სითხით ან ზეთით.

თავშესაფარს აქვს ორი განყოფილება. პირველ განყოფილებაში მებრძოლნი, ან მოქალაქენი იხდიან ტანსაცმელს, იბანენ ხელ-პირს. იქვე ხდება დეზინფექცია, მეორე განყოფილება წარმოადგენს საცხოვრებელ ბინას სუფთა ჰაერით, სადაც შეიძლება დიდი ხნით ცხოვრება და სადაც ვერ მისწვდება მოსაწამლი ნივთიერება.

თავშესაფრები მეტ წილად ეწყობა შენობის ქვედა სართულებში, სარდაფებში, მიღებულ კი და იქნეს ზომები, რომ გარედან თავშესაფარში არ შედიოდეს ჰაერი. ამისათვის უნდა ამოშენებულ იქნეს აგურით და კირით კარები, ფანჯრები. დატოვებულ უნდა იქნეს მარტო ერთი შესავალი კარები, სასურველია, რომ თავშესაფრის უზრუნველსაყოფად მუდმივად სუფთა ჰაერით მოეწყოს ვენტილიატორი, რომელიც გასწმენდს ჰაერს და გარედან მიაწოდებს თავშესაფარს სუფთა ჰაერსაც. თავშესაფარში უეჭველად უნდა იქნეს წყალის მილი და საპირფარეშო.

მომავალი საჰაერო - ქიმიურ ომის დროს თავშესაფრებს ექნებათ დიდი მნიშვნელობა, რადგან მოწინააღმდეგე ეცდება მიიტანოს იერიში დასახლებულ ადგილებზე. ამ ადგილების თავდაცვა უეჭველად მოითხოვს თავშესაფრების მოწყობას თითქმის ყველა სახლში. ამისათვის კი საჭიროა და აუცილებელი, რომ ეხლავე იქნეს მიღებული ყველა საჭირო ზომები თავშესაფრებისათვის სათანადო შენობის გამოსაძებნად და მათ მოსაწყობად.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: აუცილებელია, რომ თავშესაფრების მოწყობით მთელი ქვეყანა არ იქნება უზრუნველყოფილი სავსებით თავდასხმისაგან, ყოველ მოქალაქეს უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროა გაერთიანება კოლექტივში. რადგან კოლექტივს შეუძლიან მოაწყოს ქიმიური თავდაცვის საიმედო საშუალებები. აგრეთვე საჭიროა, რომ თავშესაფრების აგების გარდა, მოქალაქენი გაეცნონ როგორც თავდაცვის საშუალებებს, ისე მათ სწორი და დროულათ მოხმარების საქმეს.

გ. თუხარელი.

წვევამდელნი

თუ გასულ წლებში წვევამდე მზადებას თან სდევდა მრავალი შეცდომები, ეხლა შეიძლება თამამად ითქვას, რომ წვევამდე მზადება წარმოადგენს კარგათ ჩამოყალიბებულ სისტემას და შეადგენს ტერიტორიალურ სისტემის ერთ-ერთ მთავარ მხარეს. ეს უეჭველია არის ტერიტორ. სისტემის მორიგი გამარჯვება.

მთელმა მოსახლეობამ და განსაკუთრებით თვით ახალგაზრდობამ ნათლად შეიგნო წვევამდე მზადების მნიშვნელობა. ეს დამტკიცდა წვევამდე მზადებაზე გამოცხადების დროს კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც აწარმოებდა წვევამდელთა საქმეთა შემოწმებას, განაცხადა, რომ ჯერ არ ყოფილა წვევამდელების ასეთი ერთსულოვნად გამოცხადება. არ ჰქონია ადგილი აგრეთვე დისციპლინის დარღვევას, ლოთობას და სხვა.

მეცადინეობა წვევამდელთა პუნქტებზე უკვე დაიწყო. ყოველ დილით წვევამდელნი იყრიან თავს პუნქტზე და სამხედრო საგნებთან ერთად სწავლობენ პოლიტიკურ საგნებსაც.

წვევამდელთა შორის არიან მრავალი სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები: მუშები, მოსამსახურენი, მოსწავლენი, ხელოსნები, გლეხები.

სამხედრო მეცადინეობას აწარმოებენ ტერიტორიალური ნაწილების მეთაურნი, წვევამდელთ ეტყობათ დიდი ხალისი და სურვილი შეიძინონ სამხედრო საქმე. ყველანი კმაყოფილნი არიან იმით, რომ ადრე შეისწავლიან სამხედრო საქმეს, რითაც მათ გაუადვილდებათ სამსახური წითელ ჯარში.

„ერთი თვე ჩემთვის დიდი დრო არ არის მაგრამ ამ თვეში მე შევისწავლე ბევრ საჭირო საგნებს“. —აცხადებს ერთი წვევამდელი.

„მე მოხარული ვარ, რომ წინასწარ გავეცნობი სამხედრო საქმეს და ამასთანავე გავერკვევი პოლიტიკურ საგნებშიაც, თორემ ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილი ვარ“—იძახის ხელოსანი წვევამდელი.

წვევამდელთა ლაპარაკი მოწმობს, რომ ისინი კარგათ შეითვისებენ ყოველივე საგნებს და ჯარში მისვლისას უფრო განამტკიცებენ და გააღრმავებენ წვევამდე მზადების დროს მიღებულ ცოდნას.

—ზ.

წვევამდე მზადება სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრაში მეოთხედ ტარდება ახალგაზრდობის წვევამდე მზადება, მაგრამ დღევანდელი მზადება დიდათ განსხვავდება წარსულისაგან. წვევამდე მზადების ირგვლივ ჩატარებულ იქნა ფართე კამპანია. სოფლად ტარდებოდა მოხსენებები და საუბრები წვევამდე მზადების მნიშვნელობაზე.

დიდი დახმარება გაუწია სამხედრო უწყებას ადგილობრივმა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა. გამოყოფილ იქნა შენობები წერტებისათვის, რომლების შეკეთებაც ითავა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

8 დეკემბრიდან უკვე დაიწყო მეცადინეობა. მაზრაში სულ არსებობს რვა სამოსწავლო წერტი.

სიღნაღის მაზრის მშრომელთ იმედი აქვთ, რომ წვევამდელნი პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

ყურაშვილი.

თბილისი იზრდება

თბილისი მტკიცე და საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ საბინაო კრიზისის დაძლევისაკენ. ამას მოწმობს განცხადებათა რაოდენობის ზრდა მიწის ახალი ნაკვეთების დათმობის შესახებ სახლების ასაგებად.

ალმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილება, სადაც ეს განცხადებები შემოდის, — მუდამ სავსეა მთხოვნელებით. ამ განყოფილებაში ყოველ-დღე დაახლოვებით შემოდის ათი განცხადება ახალი ბინების აგების შესახებ. მიწის ახალი ნაკვეთების დათმობა საკმაოდ რთული საქმეა, ვინაიდან საჭიროა მომავალი თბილისის გეგმის მტკიცედ დაცვა.

უკვე ეხლაც შეიძლება ამ მომავალი ქალაქის ფარგლების ზოგადათ დასახვა. მომავალი თბილისი იქნება დიდი ქალაქი, მეტად კეთილმოწყობილი და მნიშვნელოვნად განთავისუფლებული იმ ქაოსისა და „აზიურობისაგან“, რომელიც დამახასიათებელია ეხლანდელი თბილისისათვის. მომავალი თბილისი გაზრდება ნაძალადევისაკენ, ავლაბრის ფერდისაკენ და ვაკესაკენ. ამ ადგილებში ნაწილდება უმთავრესად, ამჟამად მიწის საამშენებლო ნაკვეთები.

—:—

რკინისგზელების ქალაქი.

უზარმაზარ მაგიდაზე თქვენს წინაშე შლიან ვეებერთელა ფერადებიან ნახაზს:

— აქ ორი ათასი ნაკვეთია.

ეს ნაძალადევია. მაგრამ არა ეხლანდელი. არამედ მომავალი ნაძალადევი. ამ უბანში აღმშენებლობა უნდა სწარმოებდეს ამ გეგმის მიხედვით. მწვანე ფერადით არის შეფერადებული ნახაზზე ის ადგილი, სადაც იქნება საფარი ქარისა და მტვერისაგან დასაცავად. აღნიშნულია ფართო ქუჩები და დიდი სკვერები. აი გრანდიოზული საზამთრო კინო, აი თეატრი, ტეხნიკუმი, აბანოები, მაღაზიები: აი ატრიბუტები ახალი დიდი ქალაქისა, რომელსაც შეუძლია იცხოვროს თბილისისგან დამოუკიდებლადაც.

მომავალი ნაძალადევის გეგმის შესადგენად გამოცხადებული იყო კონკურსი; ამ კონკურსის პრემიები არ ყოფილა განაწილებული. ალმასკომმა შეიძინა ამხ. ტერ - აკოპოვის პროექტი. ეს პროექტი არის სწორედ მომავალი ნაძალადევის გეგმა. ეს გეგმა მეტად ლამაზია.

ამრიგად 2.000 ნაკვეთი. აქედან 300 უკვე განაწილებულია და ამ ნაკვეთებზე ბინების აგება ახლო მომავლის საქმეა. ეს ახალი სახლები ახლოს იქნება რკინისგზის მომავალ ახალ სახელოსნოებთან, ტეხნიკუმის გვერდით მცხოვრებლების 90 პროც. რკინისგზელები იქნება.

მიწის დანარჩენი ნაკვეთები სწრაფად ნაწილდება.

—:—

როგორი სახლების აგებაა უფრო მისაღები. კოტეჯებს თავი გაანებეს. მომავალ საამშენებლო სეზონში განზრახულია სანიმუშოდ მუშათა სახლის აგება. ეს სახლი იქნება ქვის და აშენდება თბილისის ალმასკომის ინჟენერების მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

ამ სახლის აგების დროს მიღებული იქნება მხედველობაში ამ დარგში შემჩნეული ყველა დეფექტები.

კიდევ ერთი ახალი საქმე, რომელიც მოკლე ხანში განხორციელდება: განზრახულია აიგოს სპეციალური ფაბრიკა, რომელიც დიდი რაოდენობით დაამზადებს კარებს, ფანჯრებს და შენობის სხვა ხის ნაწილებს ყველაფერი ეს დამზადდება სამანქანო წესით, რაც გავლენას მოახდენს ფასებზე და აგრეთვე ხელს შეუწყობს უფრო სწრაფ მშენებლობას.

რამდენიმე სიტყვა დეფექტების შესახებ.

მთავარ დეფექტს, როგორც ალმასკომის საბინაო - კოოპერატიულ განყოფილებაში ამბობენ, წარმოადგენს მიწის სივრცის არამიზანშეწონილად გამოყენება. იციან რა, რომ კოტეჯების აგება ახლა უარყოფილია. გარე უბნების მცხოვრებლებს შეაქვთ განცხადება უფრო მოზრდილი 4—5 ოთახიანი შენობების აგების შესახებ. მიწის ნაკვეთს ღებულობენ, მაგრამ აგებენ რაღაც კოტეჯების მაგვარ მეტად პატარა სახლებს. ამის გამო ტყუილად იკარგება მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი. მართალია, ამჟამად ჩვენ არ გვაწუხებს მიწის სიმცირე, მაგრამ სულ მალე შეიძლება დადგეს ისეთი მომენტი, როცა ჩვენ გვექნება რამდენიმე პატარა სახლი და მეტად მცირე საცხოვრებელი ბინის ფართობი.

საჭიროა კაპიტალური შენობების აგება. საჭიროა მშენებლობის დროს ყველა ტეხნიკური მოთხოვნილებების დაცვა. ყოველივე ამას თვალყურს ადევნებს ტეხნიკური კონტროლი. მაგრამ მისთვის ძნელია უკვე არსებულ დეფექტების მოსპობა. კანონის მიხედვით მას უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულებები მიწის დათმობის შესახებ იმ შემთხვევებში, როცა სახლების ამშენებლები არ ასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. მაგრამ ამის განხორციელება ძნელია, ვინაიდან სახლების ამშენებლები მეტწილად ხელმოკლე ხალხია. მაგრამ თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, მაშინ საჭირო იქნება უკიდურესი ზომების მიღება იმ მიზნით, რომ გადარჩეს თბილისი ამ „კოტეჯებს“ ნაგვიდან.

—:—

საკითხი რემონტის შესახებ.

ამ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 448 სახლმფლობელობას წინადადება მიეცა დაეჩქარებინათ სახლების რემონტი, ურომლისოდაც საფრთხე ემუქრებოდა სახლებსა და მათში მცხოვრებთ. 130 სახლმფლობელობამ უკვე მოახდინა ეს რემონტი. საჭირო გახდა, როგორც ფაქტიურად უპატრონო სახლების სრულიად დანგრევა.

საერთოდ რემონტი — დიდი საკითხია. რომელიც როგორღაც დაიჩრდილა ახალ აღმშენებლობაზე ზრუნვის გამო. კეთილ - მოწყობის განყოფილებაში ყოველდღიურად შემოდის მცხოვრებლების განცხადება სასწრაფო რემონტის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ რემონტს აგვიანებენ არა მარტო კერძო მფლობელები, არამედ საბინაო ამხანაგობანიც. ამ განცხადებების მიხედვით გამოძიებას აწარმოებს ტეხნიკური მეთვალყურეობა და არ ყოფილა თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ განცხადება უსაფუძვლო აღმოჩენილიყო. გამოძიება ხდება აგრეთვე ზეპირი განცხადებების თანახმადაც.

მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევაში წამოიჭრება ხოლმე საკითხი მცხოვრებლების გადასახლების შესახებ იმ სახლიდან, რომელსაც დანგრევის საფრთხე ემუქრება. თუ მათთვის ბინის გამონახვა ძნელდება, მაშინ მათ აძლევენ დარაბებს, — თუმცა ეს ზომა ძალიან ძვირად უჯდება ალმასკომს რადგან დარაბები მისი შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

—:—

როგორც ვხედავთ მუშაობა ამ ფრონტზე ჩქარი ტემპით სწარმოებს. იზრდება თბილისი მოქალაქი, მაგრამ არა შორეული მომავლის.

მ. ს.

წითელ ყაზარმაში

ახალწვეულნი ჩვენთან

(№ ქართ. საარტ. ლეგ.)

ლეგიონში გამოცხადებისთანავე ახალწვეულნი მოთავსებული იქნენ კარანტინში. კარანტინის დამთავრების შემდეგ მოეწყო საზეიმო საღამო, კლუბი სავსე იყო ახალწვეულებით, მეთაურებით და მუშებით. სხდომა გახსნა ლეგიონის სახკომმა ამხ. ბერაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში განმარტა ახალწვეულთა ამოცანები დაკავშირებით დღევანდელ პოლიტიკურ მომენტთან. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს პოლიტგანყოფილების, ნაწილის პარტორგანიზაციის და მუშების წარმომადგენლებმა აგულისხმო იყო მუშების სიტყვები: „თქვენ იარაღით ხელში იცავთ მშვიდობიან შრომას. ჩვენ თავდადებულ შრომით შევძლებთ ავაშენოთ სოციალიზმი“.

კარანტინიდან ახალწვეულნი გავიდნენ საცხოვრებლად ყაზარმაში და შეუდგენ რეგულიარული მეცადინეობას. ყველანი დიდი ხალისით იღებენ სწავლაში და წარმატებით ასრულებენ ყოველივე დავალებას.

დ. ლ.

მეცადინეობა კარგად მიდის

(№ საკავშირო ასეული)

ასეულს ეწვივნენ 1905 წელში დაბადებულ წითელ - არმიელები. უკვე დაიწყო მეცადინეობა და სპეციალური საგნების შესწავლა. ახალწვეულნი მეცადინეობენ ხალისიანად და კარგად ითვისებენ კავშირის საქმეს.

ახალწვეულნი ჩაებნენ სასკოლო და სკოლისგარეშე მუშაობაში. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა გვარი წრეები, რომლის საშუალებითაც არმიელნი ვითარდებიან პოლიტიკურად და იძენენ საერთო საგანმანათლებლო ცოდნას. არც ერთი წითელი არმიელი არ არის დარჩენილი სკოლისგარეშე მუშაობის გარეშე.

კარგად მიმდინარეობს სასკოლო მუშაობა. არმიელნი ცდილობენ, რომ შეიძინონ ისეთი ცოდნა, რომელიც მათ გამოადგებათ როგორც ჯარში, ისე სოფლად და ქალაქად მუშაობის დროს.

ეკონომიური პირობები ყაზარმაში ჩინებულია. არმიელნი სავსებით უზრუნველყოფილნი არიან საჭმელით, ტანისამოსით და ყოველი საჭირო საგნებით და ხელსაწყოებით.

ა. წიქარიშვილი.

ავიაქიმში

ქალების ათასეული

ქ. ნიკოლაევში შესდგა პირველი საბჭოთა კავშირში ქალების ათასეული სახელად „კომკავშირელი ქალი“.

სექციები

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებობენ შემდეგი სექციები: სამეცნიერო-გამოკვლევით, საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის, სასროლო, საავიაციო-საპროპაგანდო, საჰაერო სპორტის სექცია, საფინანსო და სასოფლო-სამეურნეო. უკანასკნელ ხანებში საზოგადოებასთან დაარსდა სამხედრო და ქალთა შორის მომუშავე სექციები.

სასოფლო-სამეურნეო სექცია აწარმოებს საქართველოში ბრძოლას ჭირნახულის მავნებლებთან და ხელოვნურად მიწის გასოფიერებას.

ავიაქიმის პრაქტიკული ორგანიზაციები

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას აქვს შემდეგი პრაქტიკული ორგანიზაციები: 336 ავიაქიმის კუთხე, 200 სასროლო წრე, 87 სანიტარული წრე, 140 ქიმიის და ავიაციის შემსწავლელი წრე, 76 სასროლო ტირი, 1 მუზეუმი, 3 კლუბი, 36 ბიბლიოთეკა, 30 საჰაერო სპორტის წრე და 27 სამხედრო ცოდნის წრე.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

მთელ საქართველოში დაიწყო 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის წვევამდე მზადება. ყველა წვევამდელნი უკლებლივ გამოცხადნენ სამოსწავლო წერტებზე. წვევამდე მზადების დროს დიდი ყურადღება მიქცეული იქნება უცოდინარობის ლიკვიდაციას წვევამდელთა შორის.

წრეულს საბჭოთა კავშირში პირველად ტარდება საზღვაო წვევამდე მზადება.

სამხედრო კაბინეტები

სამხედრო სასწავლებლების სამმართველომ გამოიმუშავა გეგმა უმაღლეს სასწავლებლებთან სამხედრო კაბინეტების მოსაწყობად. გეგმა უკვე დაეგზავნა საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებლებს.

სამხედრო ლიტერატურა

№ ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ დაუგზავნა ნაწილებს სამხედრო წიგნების დიდი რაოდენობა.

წითელი არმიის ისტორია

„სახელგამი“ მოკლე ხანში გამოუშვებს მუშურ - გლეხური წითელი არმიის ისტორიას. წიგნში მოცემულია წითელი არმიის ბრძოლების, მშვიდობიანი ცხოვრების და მიღწევების მრავალი მასალა.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ფოსტა-ტელეგრაფის პერსპექტიული გეგმა

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა ფოსტა-ტელეგრაფის პერსპექტიული გეგმა 1931-32 წლისათვის.

გეგმის მიხედვით ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დარგების შემოსავალი ნავარაუდევი 713.944.300 მან. რაოდენობით, გასავალი კი 10.934.400 მან.; აქედან აღმშენებლობაზე დაიხარჯება 2.000.000 მანეთი.

ტელეფონის ტარიფი

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა ახალი სატელეფონო ტარიფის პროექტი; არასასურველად იქნა ცნობილი ტარიფის შემცირება იმ პირებისათვის, რომლებიც ტელეფონით სარგებლობენ თავისი პროფესიონალურ მუშაობის განსავითარებლად.

ვინაიდან პროექტი გულისხმობს სააბონენტო ქირის გადიდებას სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებისა და წარმოებებისათვის, რომელთა ბიუჯეტი უკვე შედგენილია, ამიტომ ახალი ტარიფის ძალაში შესვლა იმ ნაწილში, რომელიც საბონენტო ქირას ეხება, გადადებულია მომავალ 1928-29 წლამდე.

ავტომატიური ტელეფონები

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა საბჭოთა კავშირის სატელეფონო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნეს ყველა ის სამუშაოები, რომლებიც საჭიროა თბილისში, ბაქოში და ერევანში ავტომატიური ტელეფონების მოსაწყობად.

საქ. სახკომსაბჭოში

მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეთა გამოყენება

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც უფლება მიეცა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიწვიოს საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოს მაღალი კვალიფიკაციის მომუშავენი, სათანადო დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის გამოკვლევებში მონაწილეობის მისაღებათ.

შეღავათი ლიტერატურულ დარგში მომუშავეთათვის

სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ლიტერატურული შრომა უმთავრესს საარსებო წყაროს შეადგენს (მხატვრებს, მოქანდაკეებს). მათ შვილებს და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებს მიენიჭება სასწავლებლებში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებს აქვთ.

შრომის კომისარიატში

ალაზნის არხზე მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესება

ალაზნის არხზე მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ შრომის ინსპექტორები, პროფკავშირის და წყალთა სამმართველოს წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა ალაზნის არხზე მომუშავეთა შრომის პირობები და დაადგინა: 1) კვალიფიციურ მუშებს და იმ მუშებს, რომელთა ხელფასზე სდგება ინდივიდუალური უწყებები — მიეცეთ ინდივიდუალური საანგარიშო წიგნაკები. ხოლო ჯგუფებად მომუშავეთ (არტელებს) ჯგუფური საანგარიშო წიგნაკები, 2) დაზღვეულ იქნენ ყველა მომუშავენი არსებული წესით, პროფკავშირთან შეთანხმებით დადების დღიდან, 3) ხელფასის გაცემა დღიურ მუშებისათვის წარმოდგენილ იქნეს ორ კვირაში ერთხელ. მონარდეებისათვის ხელფასის მიცემის წესის შემუშავება დაევალოს პროფკავშირს და წყალთა სამმართველოს, 4) მუშების საცხოვრებელი ბინები მოწყობილ იქნეს თანახმად სახკომსაბჭოს დადგენილებისა, 5) ერთი კვირის განმავლობაში დადგმულ იქნენ წყლის ასადუღებელი ქურქლები მუშების მუშაობის ადგილებზე, 6) მოწყობილ იქნეს აფთიაქები 7) ბინების და სამუშაო ადგილების სანიტარული დათვალიერება სწარმოებდეს თვეში ორჯერ. საექიმო დახმარების საკითხი მოგვარებულ იქნეს ჯანსახკომთან შეთანხმებით, 8) მეეტლეებს და დარაჯებს მიეცეთ სპეცტანსაცმელები.

მოუწესრიგებელი სამუშაო დრო

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს მიიღონ ზომები, რომ შემცირებული იქნეს იმ თანამდებობათა რიცხვი, რომელთათვისაც სამუშაო დღე მოწესრიგებული არ არის.

განუსაზღვრელი სამუშაო დღე დატოვებულ უნდა იქნეს იმათთვის, რომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა შეუძლებელია.

იმ პროფესიების, თანამდებობების და სამუშაოების სია, რომელთათვისაც დასაშვებია მოუწესრიგებელი სამუშაო დღე, შემუშავებული უნდა იქნეს კავშირისა და სამეურნეო ორგანოს მიერ; ეს სია უნდა დაერთოს კოლექტიურ ხელშეკრულებას. დაუშვებელია სიის გაფართოვება ადმინისტრაციის მიერ.

იმ მუშაკებს, რომელთა სამუშაო დღე მოწესრიგებული არ არის, დასასვენებელი დრო უნდა მიეცეს სხვა მუშაკებთან ერთად; ისინი განთავისუფლებული უნდა იქნენ სამუშაოდან უქმე დღეებში, გარდა იმ დღეებისა, რომლებიც წინდაწინვე გათვალისწინებული იქნება შინაური მმართველობის წესებში.

კოოპერაცია

ახალი კოოპერატივები

ნოემბრის განმავლობაში საქართველოს კოოპერატიულმა სამმართველომ დაამტკიცა შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციების წესდებები:

შორაპნის მაზრის სამრეწველო ამხანაგობა „უღელტეხილი“-ს, ზუგდიდის სამრეწველო ამხანაგობა „შევრო“-ს, თელავის მეჩექმეთა პირველი კოოპ. ამხ-ბის, თელავის სამრეწველო კოოპერატიული ნადის „მეფარდაგეთა საქმოკარი“, სოფ. ვარდისუბნის (თელავის მაზრა) სამრეწველო კოოპერატიული ნადი „ფარდაგი“-ს, თელავის სტრიკოტაჟო ამხანაგობის, შორაპნის სამრეწველო კოოპ. ნადი „შრომა“-ს, თბილისის რაიონის მეპურეთა კოოპ. ამხ-ბა „ირაპი“-ს, თბილისის რაიონის მესარკეთა სამრეწველო კოოპერ. ნადი „ზერკალშიკი“-ს, თბილისის და მისი მაზრის სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა „სოფლის მეურნე“-ს, დვაბზუს (ოზურგეთის მაზრა) შინამრეწველ-ხელოსანთა კოოპ. ამხ-ბა „ხელოსანი“-ს, სიღნაღის კოოპერატიული საფეიქრო ნადი „სიღნაღის საფეიქრო ნადი“-ს, ქვემო ერწოს თემის (თელავის მაზრა) მესაქონლეთა ამხ-ბა „ფშავ-ხევსურეთის პირველი ნაბიჯი“-ს, ოზურგეთის შინამრეწველ ხელოსანთა კოოპერატიული ნადის და თელავის მჭედელთა კოოპერატიული ნადი, „წითელი ხელოსანი“-ს.

ცეკავშირის საბჭოს მორიგი სესია

ცეკავშირის საბჭოს მორიგი სესიის მოწვევა განზრახულია დეკემბრის შუა რიცხვებში.

ნოქრების გადამზადება

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებას, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, რაიონულ ინსტრუქტორთა შეწევნობით განზრახვა აქვს სათანადო კურსების მოწყობით ჩაატაროს ნოქრების გადამზადება.

კოოპერატიულ სამმართველოში

საქართველოს კოოპერატიულმა სამმართველომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა სამმართველოს კოლეგიის შემადგენლობაში სრულუფლებიან წევრებათ შევიდნენ საბინაო კოოპერაციის და ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლები.

ცეკავშირის წიგნის მაღაზია

ცეკავშირის წიგნის მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე გადაეცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას.

საბინაო ამხანაგობათა გაერთიანება

თბილისში დაიწყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა გაერთიანება. პირველ რიგში მოხდება დიდუბეში არსებულ ექვსი ამხანაგობის გაერთიანება, რომელთა წევრების საერთო რიცხვი უდრის 591-ს.

აფხაზეთის ელექტროფიკაცია

მიმდინარე წელში აფხაზეთში დაიწყება გუმისტის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება, რომელიც ენერგიას მიაწვდის ქ. სოხუმს, მის რაიონს და ახლო მდებარე სოფლებს. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ დასდო ხელშეკრულება ელექტრონის საკავშირო სახელმწიფო ტრესტთან სადგურის ასაგებად.

დღემდე გუმისტის ჰიდრო-ელსადგურის წინასწარ სამუშაოებზე დაიხარჯა 25.000 მანეთი წელს დაიხარჯება 500.000 მანეთი. ვინაიდან სადგური დიდი იქნება და მისი ძალა არ მოუსვდება სოხუმს და მისი რაიონის ელექტროფიკაციას, ამიტომ გადაწყვეტილია მისი ენერგია გამოყენებული იქნას ეშერის და გუმისტანის ტყეების დასამუშავებლად, ხე-ტყის ქარხნების მოსაწყობად და სხ. გუმისტის ჰიდრო-ელსადგურის გარდა ჩვეულებრივი ელექტრო-სადგური ეწყობა ოჩემჩირეში და გალში. გუდაუთში უკვე დამთავრდა ახალი სადგურის აგება. ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონების ექსპლოატაციის დაწყების გამო, გადაწყვეტილია ტყვარჩელის მიდამოებში აგებული იქნას ახალი ჰიდრო ელსადგური, რომლის ძალა გამოყენებული იქნება ტყვარჩელის მაღაროების გასანათებლად და ქვანახშირის გადასაზიდათ. ამავე სადგურის საშუალებით მოეწყობა კოდორის და მახლობელ რაიონების ელექტროფიკაცია. ამ სადგურის აგების საკითხი უკვე განიხილა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ და დაადგინა აღნიშნული ჰიდრო-ელსადგური აიგოს გალიზგის რაიონში, ტყვარჩელის მადნების ახლოს. პირველ ხანებში სადგური იქნება 15.000 კილოუატის ძალოვანი, შემდეგში კი აყვანილი იქნება 20.000 კილოუატამდე.

ამ სადგურის გარდა ბზიპის სამრეწველო რაიონში მდ. ბზიბზე აგებული იქნება მესამე ჰიდრო-ელსადგური. ამ რიგათ უახლოეს 5 წლის განმავლობაში აფხაზეთში აგებული იქნება გუმისტის, ტყვარჩელის და ბზიბის ჰიდრო-ელსადგურები და 3 ჩვეულებრივი სადგური—გუდაუთში, ოჩემჩირეში და გალში.

ტრესტების პროდუქციის შემოწმება

სმუს. ქიმიურ - ტეხნიკურ ლაბორატორიას დაავალა სმუს. პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ შეუდგეს სხვადასხვა ტრესტების პროდუქციის კონტროლს ანალიზების საშუალებით. აღნიშნულ სამუშაოების შესრულებას ლაბორატორია უკვე შეუდგა.

ანალიზების უმთავრესი მიზანია იმის გამორკვევა, თუ რა ხარისხის პროდუქციას უშვებს ბაზარზე ესა თუ ის ტრესტი, უმჯობესდება თუ არა პროდუქციის ღირსება და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული პროდუქციის გასაუმჯობესებლად.

ლაბორატორიას ამასთანავე დავალებულ აქვს ტრესტების პროდუქციის შემოწმება მოახდინოს ყოველ სამ თვეში.

რკინის გზელების დასასვენებელი სახლი ლიბანში

ამ დღეებში ლიბანში დაიწყება დასასვენებელ სახლის აგება რკინის-გზელებისათვის

ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალარომ გადასწყვიტა ამ.-კავკასიის რკინის-გზელებისათვის ააგოს ერთი საერთო დასასვენებელი სახლი. ეს საკითხი შესაფერ ორგანოებში განხილვის დროს დადებითად გადაწყდა და გამოტანილ იქნა დადგენილება სახლის აშენების შესახებ საქართველოში—ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში.

რადგან ამ ხეობაში კლიმატიურის და სილამაზის თვალსაზრისით საუკეთესო ადგილად ითვლება ლიბანი და იგი აკმაყოფილებს დასასვენებელ სახლის ყველა მოთხოვნილებებს, გადასწყდა სახლის აშენება ლიბანის სადგურთან.

გარდა კლიმატიური პირობებისა, ამ ადგილზე დასასვენებელ სახლის აგებას ის უპირატესობა აქვს, რომ ლიბანის სანატორიუმთან სიახლოვის გამო შესაძლებელი ხდება დასასვენებლად გაგზავნილ რკინის-გზელების იაფად შენახვა, სანატორიუმის და სახლის მეურნეობათა ზოგიერთ ნაწილების გაერთიანებით. მაგალითად დასასვენებელი სახლი ელექტრო-ენერგიას მიიღებს სანატორიუმის ელსადგურიდან, წყალს—მისივე წყალსადენიდან და სხვა.

დასასვენებელ სახლის ასაგებათ საჭირო ხე-ტყის მასალა სალაროს უკვე დამზადებული აქვს. სახლი აშენდება ისე, რომ დაიტევს 300 საწოლს. სულ აგებული იქნება ხუთი ცალკე სახლი. თითოეული სახლი —60 კაცისათვის თითოეულ ოთახში მოთავსდება არა უმეტეს ოთხი კაცისა.

დასასვენებელი სახლის აგებას შეუდგებიან ამ დღეებში. მუშაობა დამთავრდება 1928 წლის ზაფხულის დამლევისათვის.

ამ.-კავკ. პროფკავშირთა კულტთათბირი

მეორე, მესამე და მეოთხე სხდომა

6 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. პოდოლსკის მოხსენება პროფგანათლების შესახებ.

პროფგანათლების სისტემა ამიერ-კავკასიაში, —სთქვა მომხსენებელმა,—რამოდენიმეთ განსხვავდება იმ სისტემისაგან, რომელიც შემოღებულია რუსეთში; ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ მუშაობა გვიხდება ისეთ ქვეყანაში, რომელიც მრავალი ტომის ხალხითაა დასახლებული.

აქამდი ჩვენ არ გვქონდა ამიერ-კავკასიაში პროფგანათლების დაწესებულებების ფართოდ განვითარებული ქსელი; მხოლოდ შარშან შევუდექით ჩვენ სკოლების, წრეების, კურსების და სხვ. მოწყობას.

პროფესიონალური განათლების ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ პროფკავშირების წევრებს შორის, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათაგან, ჯერ კიდევ ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მათ შორის საერთო ცოდნის გავრცელება და მხოლოდ შემდეგ შეიძლება პროფგანათლების საქმის ფართოდ დაყენებაზე ლაპარაკი.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია პროფმუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო პროპაგანდას და მასიურ პროფპროპაგანდას; სათანადო მუშაკების მოსამზადებლად და პროფაქტივის გადასამზადებლად გახსნილი უნდა იქნეს სპეციალური კურსები.

გუშინ დილის სხდომაზე მუშაობდნენ რეზოლუციების გამოსამუშავებლად გამოყოფილი კომისიები.

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. პოდოლსკის მოხსენების გარშემო.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. მხიტაროვმა აღნიშნა, რომ აუცილებელია მიღებული იქნეს ზომები პროფპროპაგანდისტების რიცხვის გასადიდებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამისათვის საჭიროა რესპუბლიკანური კურსების მოწყობა; სასურველია აგრეთვე პროფმოძრაობის ამიერ-კავკასიის სკოლის გახსნა.

შემდეგ ამხ. მხიტაროვი აღნიშნავს, რომ მასიური პროფპროპაგანდის დარგებიდან საქართველოში დიდი პოპულიარობით სარგებლობს კითხვა-პასუხის საღამოები.

აზერბეიჯანის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ წელს აზერბეიჯანში პროფგანათლების ქსელი გადიდებული იქნება 400 პროც. მასში ჩაბმულ პროფკავშირების წევრთა რიცხვი კი გაიზრდება 600 პროც-ით.

დღეს თათბირზე მოსმენილი იქნება მოხსენებები საზაფხულო კულტმუშაობის შედეგების შესახებ.

ა.-კ. საგადასახადო მუშაკთა მესამე თათბირი

მესამე სხდომა

6 დეკემბრის დილის სხდომა მიეძღვნა ამხ. დავიდოვის და სადიხოვის მოხსენებების მოსმენას და განხილვას.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 1926-27 წელში პირდაპირი გადასახადები შეგროვებული იქნა 33.658.087 მანეთის რაოდენობით (გაწერილი კი იყო 29.418.000 მანეთი), დავალება შესრულებული იქნა 114,4 პროც-ით; არაპირდაპირი გადასახადების სახით შემოვიდა 51.748.367 მანეთი, დავალება შესრულებულია 105 პროც-ით; სულ გადასახადები შემოვიდა 85.406.454 მანეთის რაოდენობით, ე. ი. 108,5 პროც.. მიღწეული შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ნარჩენების აკრეფას, ამის შესახებ მომხსენებელს მოჰყავს შემდეგი ციფრები: 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის გადასახადების ნარჩენების საერთო თანხა ამიერ-კავკასიაში უდრიდა 7.864.112 მანეთს, 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კი ყველა ნარჩენების თანხა შემცირდა 5.333.764 მანეთამდე, ე. ი. 33 პროც-ით, რასაც ხელი შეუწყო მთელ რიგ ღონისძიებების ხმარებამ.

საგადასახადო მუშაობის ძირითად ამოცანებს 1927-28 წელში, მომხსენებლის აზრით, უნდა შეადგენდეს: საგადასახადო დავალებების 100 პროც. შესრულება 27-28 წელში, შემდგომი გეგმაშეწონილი და მტკიცე ბრძოლა ნარჩენებთან, საგადასახადო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება, საგანაკვეთო ანგარიშწარმოების გაუმჯობესება და სხვა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ხელმძღვანელ საგადასახადო აპარატის მუშაკებმა, ისე ადგილობრივმა მუშაკებმა.

კამათში გამოსული ორატორები ხაზს უსვამდნენ მოხსენებებში მოყვანილ დეფექტებს და აღნიშნავდნენ ობიექტიურ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ ზოგიერთ ამ დეფექტებს. ამასთანავე აღნიშნული იყო ხელმძღვანელ საგადასახადო ცენტრის სუსტი კავშირი ადგილებთან, საგზავრო ფულის ნაკლებობა, რის გამო სამაზრო საგადასახადო ინსპექტორებს საშუალება არ აქვთ შემოიარონ თავისი რაიონები და სხვა.

მეოთხე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მომხსენებლების ამხ. დავიდოვის და სადიხოვის საბოლოო სიტყვები, რის შემდეგაც თათბირმა დაადგინა დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას რეზოლუციის პროექტის და პრაქტიკულ წინადადებების გამომუშავება.

შემდეგ მოსმენილ იქნა საგადასახადო მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირიდან (11—17 ნოემბერი) დაბრუნებულ დელეგატების ცნობა თათბირზე გაკეთებულ მოხსენებებისა და სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადის თაობაზე მიღებულ რეზოლუციების შესახებ.

შაქრის წარმოება გორის მაზრაში

გორის მაზრაში განზრახული არის აიგოს შაქრის ქარხანა და ამიტომ სწარმოებს შაქრის ჭარხლის საცდელი თესვა; ასეთი ცდები მაზრაში ორ ადგილას ხდება: გორის თემში და ტირიფონის ველზე. საცდელ თესვას აწარმოებს როგორც ხელისუფლება, ისე გლეხობა, რომლებთანაც ამ საგანზე არის დადებული ხელშეკრულებები.

წელს უკვე დასრულდა სამინდვრე სამუშაოები და შედეგები ფრიად საიმედოა. მოსავალი გლეხების ნათესებში უდრიდა 750 ფ. ჭარხალს დესეტინაზე, ხოლო მთავრობის მიწებზე 1.000—1.200 ფუთს. ეს რაოდენობა მოსავლისა დასაკმაყოფილებელია თუ მხედველობაში მივიღებთ წარსული წლის ცუდ პირობებს და იმ გარემოებას, რომ გლეხობისათვის გორის მაზრაში შაქრის ჭარხლის თესვა, მოვლა და მოყვანა ახალი საქმეა.

როგორც ცდებმა დაამტკიცეს გორის ჭარხალს შაქრის გამოსავალიც კარგი აქვს; ყოველ 12 ფუთ ჭარხლიდან გამოდის 2 ფ. და 6 გირ. თეთრი შაქარი; ამავე რაოდენობის ჭარხალი შაქრის ტრესტის ქარხნებში იძლევა 1 ფ. 30 გირ. შაქარს, ხოლო ყუბანის შაქრის ქარხნებში ამდენსავეს.

მიმდინარე წლის აგვისტოში 150 ფუთი გორის ჭარხალი გაგზავნილი იქნა ხარკოვში გადასამუშავებლად და შაქრის მისაღებად, რომელიც უნდა გამოეგზავნოს საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

1928 წლის ცდებისათვის გადადებულია საკმაო თანხა, რომელიც აღემატება 40.000 მანეთს. გამოყოფილია მიწის საკმაო ნაკვეთებიც: გორის რაიონში 19 და ტირიფონის ველზე კი 13 დესეტინა.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენია თავისუფალი მიწის ფონდი გორის თემში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შაქრის მრეწველობისათვის. სწარმოებდა სოფელთაშორისო მიწად - მოწყობა, რომლის დამთავრება სამწუხაროდ წელს ვერ დასრულდა. მომავალ წელში ეს სამუშაო შესრულებული იქნება და გამოირკვევა, თუ რამდენია გორის თემში თავისუფალი მიწის ფონდი.

წარმოებულ ცდებს გლეხობა დიდ ყურადღებით და ხალისით ეპყრობოდა და მთავრობის ღონისძიებებს ამ საქმეში ყოველმხრივ უწყობდა ხელს.

ხელფასის მოწესრიგება

თათბირი ა.-კ. შრომის კომისარიატში

ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ა.-კ. შრომის კომისარიატის, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები; თათბირზე განხილულ იქნა საკითხი ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შესახებ ამიერ-კავკასიის იმ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან.

თათბირმა, თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, დაავალა ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებას შეიმუშაოს ინსტრუქცია ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შესახებ. ინსტრუქციას საფუძვლად უნდა დაედვას სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გატარების შემდეგი წესი:

1) იმ უწყებებს ბიუჯეტის განხილვის დროს, რომლებისთვისაც გადადებულია ხელფასის გასასტუმრებლად განსაზღვრული თანხები, გადასინჯული არ უნდა იქნეს მათთვის 1927-28 წ. დაწესებული შტატები; 2) მუშათა და გლეხთა ინსპექცია თანამდებობების დახასიათებას იძლევა მხოლოდ სადაო საკითხებზე.

ყველა რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ წარადგინონ თავისი შტატები რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში არა უგვიანეს ა. წ. 25 დეკემბრისა, გაერთიანებულმა კომისარიატებმა კი უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

არა უგვიანეს 1928 წლის 5 იანვრისა რესპუბლიკანურმა და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა რესპუბლიკების და ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატებში უნდა გადაგზავნონ თავისი დასკვნები შტატების შესახებ.

შრომის დაცვის მუზეუმი

მიმდინარე წლის პირველი დეკემბრიდან საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან გაიხსნა შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის მუზეუმი.

მუზეუმი მიზნათ ისახავს ფართო პროპაგანდა გასწიოს შრომის დაცვის რაციონალურად დაყენების, უშიშროების ტეხნიკის, ქალთა შრომის დაცვის და სხვათა შესახებ.

მუზეუმს აქვს შემდეგი განყოფილებები, შრომის ფიზიოლოგიის, შრომის ჰიგიენის, პროფესიონალურ სნეულებათა, ტრავმატიზმის, ქალთა შრომის დაცვის, ახალგაზრდობის შრომის დაცვის, სოციალური დაზღვევის და წარმოების განყოფილებები.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ყველა კავშირებს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სასურველია კავშირებმა მოაწყონ მუშათა ექსკურსიები შრომის დაცვის მუზეუმში. კულტგანყოფილება მიზანშეწონილად და სასურველად სთვლის, რომ ექსკურსიები მოეწყოს განსაზღვრული თემით, მაგალითად: „როგორ დავიცვათ თავი პროფესიონალურ სნეულებისაგან თამბაქოს წარმოებაში“, „როგორი უნდა იქნეს უშიშროების რაციონალური ტეხნიკა წარმოებაში“ და სხვა.

კვირას, 11 დეკემბერს, პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს პირველ ექსკურსიას შრომის დაცვის მუზეუმში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ფაბქარხადგილკომების და კულტკომისიების თავმჯდომარეები. ექსკურსიის პასუხისმგებელ ორგანიზატორად დანიშნულია ამხ. ქმონძერი.

ხე-ტყის ქარხანა მდ. ბზიბზე

აფხაზეთის სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია ბზიბის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად. ქარხნის ტერიტორია კომისიის მიერ არჩეული იქნა პიცუნდის ნავთსადგურის ახლოს. ქარხნისათვის გამოყოფილი იქნება მიწის ნაკვეთი 10.000 კვ. მეტრის (10 დესეტინა) სივრცით.

აუცილებლად იქნა ცნობილი ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანა მდ. ბზიბიდან (იმ ადგილიდან, სადაც ბორანი მუშაობს) ქარხნის ტერიტორიამდე. ამას გარდა, საჭიროდაა ცნობილი სატელეფონო კავშირის და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების მოწყობა ქარხნის ტერიტორიაზე. ამასთანავე კომისიამ საჭიროდ მიაჩნია, რომ საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის გემები შედიოდნენ პიცუნდაში.

კომისიამ დაადგინა სისწორით გამორკვეული იქნეს, თუ რამდენი ნედლი მასალა იქნება გამოშვებული ყოველწლიურად ბზიბის სატყეო აგარაკიდან რაიონებისა და მერქანის რაოდენობის აღნიშვნით. აუცილებლად იქნა ცნობილი საჭირო ფასების დაკლება.

საჭიროდ ცნობილი, რომ ქარხნის და სატრანსპორტო ნაგებობათა პროექტების განხილვა და დამტკიცება მიენდოს საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს; პროექტების განხილვაში და დამტკიცებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს აფხაზეთის წარმომადგენელმა.

მაუდის წარმოება

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო სმუს.-თან არსებულ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანათა განმანაწილებელი ბიუროს გამგე ინჟ. კირპოტენკო, რომელსაც დავალებული აქვს დაათვალიეროს თბილისის მაუდის ფაბრიკის აღმშენებლობა და გაეცნოს ყველა იმ ქარხნების მუშაობას, სადაც ამზადებენ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს, ან მათ ნაწილებს.

ინჟ. კირპოტენკომ განაცხადა შემდეგი:

შარშან თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის მე დავალებული მქონდა შემეძინა გერმანიაში უკანასკნელი ტიპის გაუმჯობესებული მანქანები. აღნიშნული მანქანების შეწევნობით შესაძლებელი უნდა გახდეს საუკეთესო ხარისხის კამვოლურ ქსოვილებისა და ძვირფასი ფართლეულობის დამზადება. ნედლი მასალის მხრივ საქართველო იძლევა საუკეთესო შესაძლებლობებს და მე ვფიქრობ, რომ თბილისის ფაბრიკა ამ მხრივ უზრუნველყოფს ბაზარს საუკეთესო ღირსების საქონლით.

ქარხნისათვის საჭირო მანქანების დიდი ნაწილი უკვე მიღებულია თბილისში; ამ დღეებში თბილისში უნდა ჩამოვიდნენ გერმანული ფირმების სპეციალისტები, რომლებიც უხელმძღვანელებენ აღნიშნულ მანქანათა დადგმას ფაბრიკაში.

გაჭურებული შანთით

ჯოხის შიშით მომუშავე კაცი

სოფელ ობჩაში (ქუთაისის მაზრა) დავით ღვალაძეს ჰქონდა მოკლე და კოხტა 32 კალიბრიანი სანადირო თოფი. თოფთან ერთად მის პატრონს ჰქონდა ქუთაისის მაზრის მონადირეთა კავშირიდან მიღებული მოწმობა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს თოფი ამ ოთხი წლის უკან ვანო ჭაუტიძემ, ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელმა ჩამოართვა მის პატრონს—დავით ღვალაძეს. ჩვენ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას სამართლიანად მოიქცა თუ არა ჭაუტიძე, აქ აღსანიშნავია შემდეგი.

საბჭოთა ხელისუფლება უკრძალავს ყველა ადგილობრივ მუშაკებს იარაღის ტარებას, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს. ობჩის ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკებმა ხელისუფლების ეს განკარგულება პირნათლად შეასრულეს, მაგრამ ისინი ასევე „პირნათლად“ მუდამ თან ათრევენ ღვალაძისეულ სანადირო თოფს. ვინც ობჩას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ეს არის მჭიდროთ დასახლებული კულტურული სოფელი, სადაც ჯოხი რომ მოიქნიო, ან სახლს მოხვდება, ან ვენახის სარს. ნადირს აქ რა უნდა, რომ ღვალაძის სანადირო თოფი თავის დასაცავათ დასჭირდებოდა ვისმე?

ადგილობრივი პარტუჯრედი დაინტერესდა ამ საკითხით. მან დაადგინა, რომ თოფი პატრონს დაბრუნებოდა და ის საამისოთ გადასცა ალმასკომის თავმჯდომარე ლეონიდე მჭედლიძეს. თავმჯდომარემ ეს თოფი ისე მიიბარა, რომ მის გამბარებას საშველი აღარ დაადგა. ამჯერ მივიდა ღვალაძე თავის თოფის მისაღებათ მჭედლიძესთან, მაგრამ მჭედლიძემ ხან თოფის გასაცემათ ვერ მოიცალა, ხან კი, როცა მოიცალა, მისი სიტყვით, ისე „დაუფრთხო ანგელოზები“ პატრონს, რომ თოფის მიღება კი არა, ღვალაძე სათოფეთაც ვერ გაეკარა მას ახლო.

მაგრამ კანონი და სამართალი, მოგეხსენებათ, მჭედლიძით არ ამოიწურება. არის ორგანოები, რომელნიც შორს არიან ობჩიდან, მაგრამ რომელთაც შეუძლიათ გადასწვდეს თბილისიდან სურამის ქედს იქით და ისე მაგრათ აუწიონ ყურები თვითნება თავმჯდომარეს, რომ ნადირობა კი არა, მგონი ვახშმის მადაც გაუფუჭონ. აი, თუნდაც ისეთი ორგანო, როგორიცაა, ვთქვათ, მუშათა და გლეხთა ინსპექცია. საკმარისი იყო ღვალაძეს ამ ორგანოსათვის მიემართა, რომ თავმჯდომარე ქიშმიშივით გამტკბარიყო და საკუთარი ხელით მიეწერა „უსტარი“ ღვალაძისათვის. „მე ამ თოფის თქვენთვის ჩაბარება დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ თქვენ აქ ვერ განახეთ“-ო, სწერს ის ღვალაძეს. არა, არ ყოფილა საჭირო ყველა სატკივარისათვის ექიმი. აი, მაგალითად, მუშგლეხინში მგონი არც ერთი ექიმი არ მუშაობს, მაგრამ ზოგჯერ ისეთი თილისმა წამალი გამოდის იქიდან, რომ უსინათლოსაც კი თვალი ეხილება. საწყალი თავმჯდომარე მჭედლიძე, ხომ მთელ თავის სიცოცხლეში ბრმათ უნდა ევლო, რომ მუშგლეხინს მისთვის თვალები არ აეხილა და არ დაენახვებია მრავალტანჯულ სანადირო თოფის ნამდვილი პატრონი. იქნებ ბევრ სხვა რამეზედაც აქვს კიდევ დახუჭული თვალები თავმჯდომარე მჭედლიძეს. კაცი, რომელიც მხოლოდ ინსპექციის ჯოხის შიშით იცავს კანონს, შესაძლებელია დაავადებული იყოს ასეთი სენით. ყოველ შემთხვევაში, რაკი ერთი სენის მკურნალი მოიძებნა, იმედი უნდა ვიქონიოთ მჭედლიძის არც სხვა სნეულებანი დარჩება განუკურნავი.

ღირე.

„მთელი თბილისი“

ჩვენ მოგახსენებთ პატივცემული ორგანიზაციის „მწერალთა კავშირის“ წიგნის მაღაზიის ოხერტხებული კომბინაციაზე.

საქმე შემდეგშია:

ხსენებულმა მაღაზიამ მიზნათ დაისახა ცნობარის „მთელი თბილისი“ გამოცემა. ეს ცნობარი მართლაც, რომ გაამართლებს სათაურს, მასში იქნება ყველა მცხოვრების მისამართი: ქუჩა, სახლისა და ბინის ნომერი და რა გინდა კიდევ სული და გული—მთელი თბილისი ხელის გულზე გექნება. აი რას ნიშნავს მეოცე საუკუნე!

წარმოიდგინეთ, ჩამოდით ქალაქში, ფულიც ცოტა უკარგავად ხართ რომ სასტუმროში გაათიოთ ღამე. დაეძებთ ვინმე ნაცნობს ან ნათესავს. ცხადია ქუჩებში სიარულით ბევრს ვერ ის გახდებით. ასეთ შემთხვევაში მხნელად გეელაპებათ ცნობარი „მთელი თბილისი“. არ გჭირდება არც სამისამართო მაგიდა, არც მილიციაში სიარული, ალფაბეტის წყალობით სასწრაფოდ ნახულობთ ნაცნობის მისამართს და მიდიხართ თქვენი ბარგი ბარხანით აღთქმულ ბინაზე.

მიაღწიეთ კიდევაც. აკაკუნებთ, მაგრამ თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს, როცა მეგობრული თბილი მიღების ნაცვლად ვიღაც უცნობი პირი მკვახე პასუხის შემდეგ გიხურავთ კარს. ეს, ვთქვათ უბრალო გაუგებრობაა, რომელიც ცნობარს არ დაებრალება: თქვენს მეგობარს ბინა გამოუცვლია—ცნობარი აქ რა შუაშია?!

მაგრამ გაბრაზებულ გულზე მეგობარს მაინც დაინდებთ ხოლო ცნობარის შემდგენ-გამომცემლებს უთუოდ ცოტა მაინც „შეუკურთხებთ“.

ეხლა საინტერესოა თვით გამოსაცემი ფონდის შეგროვების საკითხი. იგი ასე უბრალოთ გადაიჭრა: მწერალთა კავშირის მაღაზიამ აღჭურვა მანდატებით რამოდენიმე მოცლილი უმუშევარი სტუდენტი და გაუშვა მოქალაქეთა მისამართების შესაგროვებლად, მანდატში სწერია: „მისამართის მიცემისათვის მოქალაქე იხდის 30 კაპეიკს“.

ასეთი მანდატით. ფანქრით და რაღაც საეჭვო ბლანკებით შეიარაღებული მოადგა საზინოვის ქუჩის ერთი სტუდენტთაგანი მოქ. გიგაური. იგი ყოველ ბინაში შესვლისას ოფიციალური თავდაჭერილობით აცხადებდა, რომ მოვიდა სავალდებულო აღწერის ჩასატარებლად. გულმოდგინედ ავსებდა ბლანკებს და უფრო გულმოდგინედ იჩხრიალებდა ჯიბეში ექს-ექს შაურებს. თუ ვინმე იკადნიერებდა და უარს ეტყოდა ფულის გადახდაზე, გიგაური იწერდა განსაკუთრებულ ბლოკნოტში დამნაშავის გვარს და კანონის სახელით სასტიკი დასჯით ემუქრებოდა.

არ ვიცით თუ რამდენი ჭანჭარი შეაგროვა გიგაურმა. ვიცით მხოლოდ, რომ მცხოვრებლები გაკვირვებული არიან ერთი გარემოებით: „შარშან ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ საქართველო აღწერა. კაპეიკი არავისთვის გადაუხდევინებია და მწერალთა კავშირის „აღწერა“ ასე ძვირად რათ ჯდება?

საინტერესოა გაიგოთ: ვისი ნებართვით ატარებს მოქ. გიგაური „აღწერას“. ან ვის რათ გამოადგება ის „გენიალური ცნობარი“. რომლის გამოცემამაც ასეთ გზით გადაუწყვეტია მწერალთა კავშირის მაღაზიას???

ქ. ჩარკვიანი.

ქუთაისი

პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება

ქუთაისის პოლიტბიურომ განთავისუფლა საპატიმროდან 130 პოლიტიკური პატიმარი. 2 დეკემბერს, პოლიტბიუროს უფროსმა ამხ. ვილაძემ შეკრიბა ისინი პარტკომის დარბაზში, მისცა მათ ამხანაგური რჩევა-დარიგება თავი დაანებონ პოლიტიკურ ჩხირ-კედელაობასა და ჟორდანია-რამიშვილისაკენ ცქერას, ანგარიში გაუწიონ არსებულ მდგომარეობას; შეიგნონ, რომ საბჭ. ხელისუფლებ. მტრული განწყობილებით ისინი ვერაფერს გახდებიან და ქედი მოიხარონ მის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა მან,—საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უაღრესად კაცთმოყვარე და ლმობიერია, უაღრესად ულმობელი და სასტიკი იქნება თავის პოლიტიკური მტრებისათვის.

ხუნაგი და ქუნთრუშა

ამ უკანასკნელ ხანებში ხშირი შემთხვევებია ხუნაგის (დიფტირიტის) და ქუნთრუშის (სკარლატინა). ამის გამო, ჯანმრთელობის განყოფილებამ მოწოდებით მიმართა ქუთაისის მოქალაქეებს, მიიღონ ყოველი ზომა ამ სენთა გავრცელების წინააღმდეგ. უმთავრესი ღონისძიება ისაა, რომ, როგორც ვინმე გახდება ამ სენით ავათ, მაშინვე აცნობონ ეს სარაიონო ექიმს.

ელექტრონული განათება

ელექტროსადგურმა უკვე შეაკეთა მანქანა და ჩვეულებრივ განაგრძობს ქალაქისათვის ენერგიის მიწოდებას, რაც ათი დღის განმავლობაში სანახევროდ შეწყვეტილი იყო

მექანიკური სახელოსნო

ქუთაისის ელსადგურთან გახსნილი ამხ. ამბერკი ურუშაძის სახელობის მექანიკური სახელოსნო, რომელშიაც მუშაობა უკვე გაჩაღდა, იღებს სხვადასხვა მექანიკურ—საზეინკლო სამუშაოთა შეკვეთებს.

ქუთაისის ხაზინის ახალი სადგომი

ქუთაისის ხაზინა ახალ შენობაში გადავიდა (პუშკინისა და აკაკი წერეთლის ქუჩების კუთხეში), რომელიც დღემდე დაკავებული ჰქონდა სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებას. ხაზინამ დაიკავა შენობის ქვემო სართული და ზემო სართულის ნაწილი.

თოვლი

3—4 დეკემბერს ქუთაისში თოვლი მოვიდა. მიწა და ჯერ კიდევ მწვანე ფოთლით შემოსილი ხეები თოვლითაა დაფარული. სურსათ-სანოვაგის ფასმა და განსაკუთრებით შეშისამ— ძლიერ იწია.

მედიკური ტეხნიკუმი

მომავალ წლის 1 იანვრიდან ქუთაისში ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის მედიკურ ტეხნიკუმს სამი წლის კურსით. ტეხნიკუმში მიიღებიან 18—35 წლის ქალ—ვაჟნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი —ცხრაწლედი. წლიური სწავლის ფული 75 მანეთია, რომლიდანაც 40 მანეთი წინდაწინ უნდა იქნეს შეტანილი.

ფულის გაფლანგვა

პროკურორის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების გამგე ა. ჟორდანია, რომელსაც ბრალად ედება 2000 მანეთამდე ფულის გაფლანგვა. მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა კ. რ. გოცირიძეს.

კოოპერატივის გაქურდვა

პირველ ნოემბერს ღამით ბოროტმოქმედებმა ისარგებლეს ელექტრონის შუქის უქონლობით, გაქურდეს სამხედრო კოოპერატივ „მებრძოლი“-ს ქუთაისის მაღაზია, საიდანაც წაუღიათ 500 მანეთამდე ფული. მილიციის მიერ ეჭვით დაპატიმრებულია რამოდენიმე პირი.

დავ. ავალიანი.

ქრონიკა

მიწადმოწყობა

ამჟამად ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთი) მიწების მოსაწყობად მუშაობს 13 მიწის მომწყობი. აქედან 9 გაგზავნილია მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ, ხოლო 4 მუშაობს ადგილობრივი ალმასკომის ხარჯზე. მიმდინარე წლის მიწადმოწყობის გეგმით გათვალისწინებულია მიწის მოწყობის გატარება (სოფელთაშორისო) 3 ახალი სოფელში.

ჭაობების ამოშრობა

დაიწყო მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად ახალ - სენაკში. შემუშავებული გეგმით, ამოშრობილი იქნება 160 ათასი დესეტინა ჭაობიანი მიწა. პირველ ხანებში მუშაობა იწარმოებს მდ. რიონისა და მდ. ხოპის შუა 23 დესეტინის ჭაობის ამოსაშრობად.

ხე-ტყის რეალიზაცია

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა საბჭოთა კავშირის, უცხოეთის და აგრეთვე ადგილობრივ ბაზარზე გაასაღა 2.259.988 მანეთის პროდუქცია. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გასაღებულია 22,6 პროცენტით მეტი ხე-ტყის მასალა.

საოპერაციო გეგმის მიხედვით მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე ნახევარში განზრახულია გასაღებულ იქნეს 2.932.500 მანეთის პროდუქცია.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება

ს.მ.უ.ს. შრომის ეკონომიკის განყოფილება შეუდგა მუშაობას ს.მ.უ.ს. ქვემდებარე ტრესტებთან და სხვა წარმოებებთან კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლა დასადებათ. ამ მხრივ ზოგიერთი ტრესტების ხაზით მუშაობა თითქმის სავსებით დასრულებულია.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებათ წინასწარი სამზადისი ჩატარებულია საქართველოს აბრეშუმის, ლითონტრესტის და სამთო-ტრესტში. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება თამბაქოს ტრესტთან და ტყავ-ტრესტთან.

დეპუტატების მაგიდები

მუშათა რაიონებში და მთავარ სამრეწველოებთან მოწყობილ დეპუტატების მაგიდების მუშაობის გასაძლიერებლად, თბილისის ალმასკომმა შეიმუშავა ვრცელი გეგმა. ამას გარდა თბილისის ალმასკომმა დაადგინა დეპუტატების მაგიდებზე მიამაგროს პრეზიდიუმის წევრები და დეპუტატების მაგიდების მიერ აღძრული საკითხები და საქმეები განიხილოს 3 დღის განმავლობაში. ალმასკომისავე დადგენილებით დეპუტატთა მაგიდებიდან მოეწყობა ტელეფონები.

თბილისის ალმასკომში

◆ მუშა-მოსამსახურეებისათვის საჭირო საკითხებზე პასუხის გასაცემად თბ. ალმასკომმა დაადგინა განყოფილებებში კვირაში ერთხელ შემოიღოს მორიგობა საღამოობით. სამორიგეო დღეთ დაწესებულია ხუთშაბათი.

◆ ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის ხაზი გაიყვანოს ბოტანიკურ ბაღამდე.

მიწსახკომში

◆ პრემიალური ფონდი. მიწსახკომი აარსებს განსაკუთრებულ პრემიალურ ფონდს საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისა და კომუნებისათვის ჯილდოების დასარიგებლად.

◆ ჯიშიანი ღორები. მიწსახკომმა გადასწყვიტა სენაკის მაზრაში მოაწყოს ჯიშიანი ღორების მოსაშენებელი სადგური.

◆ ალაზნის არხი. გუშინ ალაზნის არხის დასათვალიერებლად გაემგზავრა მიწსახკომის სპეციალური კომისია. კომისიის მიზანია გამოარკვიოს, თუ რომელი მეურნეობა იქნება უფრო მიზანშეწონილი არხის გაყვანის შემდეგ ამოშრობილ ადგილებზე.

◆ მყნობის კურსები. მიწსახკომმა გადასწყვიტა კახეთში მოაწყოს ამერიკული ვაზის მყნობის კურსები.

საქ. უნივერსიტეტში

◆ საზამთრო არდადეგები. უნივერსიტეტში მიმდინარე წლის არდადეგები გაგრძელდება 1928 წ. 10 იანვრიდან 20 იანვრამდე.

◆ საგამოცდო სესიები. დაიწყება 1928 წ. 20 იანვარს და გაგრძელდება პირველ თებერვლამდე.

◆ ამბულატორია. უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთათვის ახლო მომავალში ეწყობა ამბულატორია.

სატყეო ტრესტში

◆ საამშენებლო მასალა. სატყეო ტრესტმა წელს რუსეთიდან შემოიტანა 1.400.000 მანეთის ხე-ტყის მასალა.

◆ ხე-ტყის ექსპორტი. წელს საზღვარგარეთ გატანილი იქნება 630.000 მანეთის ძვირფასი ხე-ტყის მასალა.

◆ ფასების დაკლება. იანვრიდან სატყეო მასალაზე ფასები დაკლებული იქნება 6 პროცენტით.

სხვადასხვა

◆ წამალი. ჯანმრთელობის კომისარიატმა წელს შემოიტანა 598 ათასი მანეთის წამლეული.

◆ საგზაო ბეგარა. უმ. ეკონ. საბჭომ საჭიროდ სცნო მაზრებში დაარსდეს საგზაო ბეგარის ჩამტარებელი სამმართველოები.

კრებები და მოხსენებები

◆ განათლების მუშაკთა სახლში. ხუთშაბათს, 8 დეკემბერს, საღ. 6 საათზე შესდგება ამხ. ლისოვსკის მოხსენება: „ს. ს. ს. რ. და საერთაშორისო მდგომარეობა“.

◆ მასწავლებელთა კრება. ხუთშაბათს, დეკემბრის 9, ქართული ენის კაბინეტში მე-14 შრ. სკ. მახარაძის ქ., № 4), საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა კრება

◆ პარასკევს, დეკემბრის 9-ს, საღ. 7 ს. საქ. უნივერსიტეტის გეოლოგიური კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. მოხსენებანი: 1) ასისტ. ივ. კაჭარავა—კავკასიის ნეოგენის ერთი სადაო საკითხი. 2) ლიტ. გ. სმირნოვი—შორაპნის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ „აჩილი“ მადნეულობა, 3) პრ. ალ. ჯანელიძე —თბილისის მიდამოების გეგმა და მისი წარმოშობა“.

სასამართლო

გამსახლიდან გამოსვლის მეორე დღესვე

მოქ. სერგო სტეფანეს ძე ათკინი გამასწორებელ სახლს „მდგმური“ გახლდათ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

ცხოვრობდა ისე, როგორც ცხოვრობენ საერთოდ გასასწორებლად „მივლინებული“ მოქალაქეები. დიდი ზრუნვა გამოიჩინეს სასამართლო ორგანოებმა მის გამოსასწორებლად, მაგრამ, როგორც დაინახავთ, არამედ ჩარჩნია ათკინმა ყველაფერი.

გამასწორებელ „კურსის“ დამთავრების შემდეგ ადმინისტრაციამ კარი გაუღო ათკინს, ჩაკიდა თავისი ბარგი და გამოესახლა გამსახლიდან.

შემდეგში გამოირკვა, რომ „კურსი“ მოკლევადიანი ყოფილა ათკინისათვის, რამაც მისი გამოსწორების საქმეს ხელი შეუშალა.

გამოვიდა თუ არა გამსახლიდან, ათკინმა თავისი ამხანაგი ინახულა. მეგობრებმა „ჩაზრახტეს“ ერთმანეთი, ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ ერთმანეთი მშვიდობიანათ ნახეს და გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს სასიხარულო დღე „პურ-მარილით“.

მაღარიჩი, რასაკვირველია, ათკინზე იყო. მანაც ყარაჩოღულად მიიპატიჟა მეგობარი რესტორანში, გააშლევინა სუფრა და დაიწყო სადღეგრძელოები. პირველი სადღეგრძელო დალია შეხვედრის, მეორე პურმარილის და მას მიჰყვა სხვა მრავალი და მრავალ-ჟამიერი. საჭმელები დაკაკუნებისთანავე მოსდიოდათ ნაირნაირი.

მეგობრებს მოაწვათ თავში ღვინო გაუჩნდათ „ორატორული ანთება“. დაიწყებენ ცოცხლის სადღეგრძელოს და დაამთავრებენ მიცვალებულის მოსახსენებელით.

ბოლო აქვს ყველაფერს. მეგობრები ადგენ და ბარბაცით მიდიან რესტორანიდან.

— ამხანაგო, თქვენ ანგარიში არ გაგისწორებიათ, მგონი,—მიმართავს რესტორანის პატრონი „პურ-მარილიან“ მოქალაქეებს.

— რისი ანგარიშია?

— ანგარიში კი არა, ფული ბატონებო!

— რისი ფული, რა ფული?

— იმისი ფული, რაც მიირთვით, მოგეხსენებათ, ყველაფერს ვყიდულობთ და უფასოდ, რომ ვაქეიფოთ ხალხი, „ცოტას ვიზარალებთ“.

— შე კაცო, თავში ყველაფერი რიგზე გაქვს? გაკვირვებით ეუბნება ათკინი რესტორანის პატრონს საიდან უნდა მქონდეს მე ფული. გამასწორებელ სახლში ჯამაგირს არ იძლევიან. გუშინ გამასწორებელ სახლიდან გამოვედი. სირცხვილიც კი არის დღეს ფული მომთხოვო.

— თუ მშიერი იყავით, გეთქვათ და გაჭმევდით, მხოლოდ რომ გაბით ქეიფი და კვარტეში კვარტებზე დააწურეთ, ფიქრობდით, რატომ ფული არ მოიკითხეთ ჯიბეში?

ათკინმა იწყინა ასეთი პასუხი, ერთი შეიგინა რჯულზე, წამოუსვა ხელი ბოთლს და მიაფშვნა კედელზე. ასტყდა რესტორანში აურ-ზაური. ბოთლებმა დაიწყეს ფრენა. კაცი გავარდა მილიციელის დასაძახებლად.

ათკინი დააპატიმრეს.

საქმე გადაეცა სასამართლოს.

ათკინი ისევ გაიგზავნა გამასწორებელ სახლში „ორ თვიან კურსებზე“.

ქრთამმა რომ არ გასჭრა..

ამბავი იწყება ფქვილის ქურდობით. 1922 წელს წალკაში ერთ-ერთ წისქვილში რამოდენიმე ტომარი ფქვილი მოიპარეს.

მილიციელმა მოქ. ალი-ვალიმ გაიგო, რომ ქურდობა ჩაიდინეს მოქ. **უმბათ-ალიზიმ, მამედ ალიზიმ, პირ-მამედოვმა და ისა-პირმა.**

ქურდებმაც გაიგეს, რომ მილიციელ ალი-ვალის გაგებული აქვს მათი სიქეთე. აფრინეს კაცი მილიციელთან და აღუთქვეს გამდიდრება თუ არ გაამხელდა.

მილიციელმა გადაჭრით უარი უთხრა მოციქულს ქრთამის მიღებაზე და აცნობა ხელისუფლებას ქურდების ვინაობა.

მილიციელს მოუვიდა განკარგულება ქურდების დაპატიმრების შესახებ.

ქრთამმა რომ არ გასჭრა, ქურდებმა გადაწყვიტეს მილიციელ ალი-ვალის მოკვლა და ამ გზით ბოროტმოქმედების კვალის დაფარვა.

გადაწყვეტილება მათ სისრულეში მოიყვანეს. ფარულად, ღამით დაიჭირეს მილიციელი და მოჰკლეს, მაგრამ ბოროტმოქმედების კვალი არ დაიკარგა.

მკვლელები დააპატიმრეს. მათი საქმე გაარჩია სასამართლოს სესიამ ამხ. ლაშხის თავმჯდომარეობით.

ორთავე ბოროტმოქმედს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით. მსჯავრდადებულებზე გავრცელდა 1923, 24, 25 და 27 წ. ამნისტიები. ამნისტიების ძალით სასჯელი მოეხსნათ. მსჯავრდადებულებმა უნდა გადაიხადონ მოკლულ ალი - ვალიმის ოჯახის სასარგებლოდ 1.500 მანეთი ერთდროულად, ხოლო ყოველთვიურად უნდა იხადონ მოკლულის ქვრივ - ობლების სასარგებლოდ ოცი მანეთი.

ნ.

მოქ. ს. ახვლედიანის საქმე

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. **ბერბერაშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო მოქ. სოლომონ ახვლედიანის საქმის გარჩევა.

1. ახვლედიანი იყო სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საკლუბო კომისიის დირექტორი. მას ბრალად ედება თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

საბრალმდებლო სკამზე სხედან აგრეთვე ზემოხსენებულ დაწესებულების კონტრაგენტები მოქ. **ხუციშვილი და ხვანიძე.**

ბრალს სდებს პროკურორი ტალახაძე და კაპანაძე.

ბრალდებულებს იცავენ: **მ. ღვამიჩავა, შ. ნუცუბიძე, გუბელაძე და პ. საყვარელიძე.**

მ. ჯინჭარაძის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლო შეუდგა მოქ. მიხეილ ჯინჭარაძის საქმის განხილვას.

ჯინჭარაძეს ბრალად ედება **ლიდა ფედჩენკოს** ქალის მოკვლა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე — ამხ. **ბერიშვილი,** პროკურორი—ამხ. **ჯაბაჯღავა.**

ბრალდებულს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ბეს. ულენტი და კ. საბანიძე.**

შემთხვევები

ეკლესიის გამქურდავის დაპატიმრება

ამ რამოდენიმე დღის წინად გაქურდეს ქართველ კათოლიკეთა ეკლესია (კათოლიკეთა ქუჩა № 4), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ვასილ ველიჯანაშვილი (ეკლესიის ყოფილი თანამშრომელი).

გაჩხრეკისას ველიჯანაშვილის ბინაზე აღმოჩენილი იქნა 1.000 მანეთის ნაქურდალი ნივთები: ხალიჩები, სამოსელი და სხვა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ველიჯანაშვილი სისტემატიურად ეწეოდა ეკლესიისა და კათოლიკების ქუჩაზე მდებარე შრომის სკოლის გაქურდვას.

ხულიგნების დაპატიმრება

გუშინწინ, მილიციამ დააპატიმრა დავით გიორგის ძე ნინუა და ვასილ ისიდორესძე ტალაბაძე.

ნინუას და ტალაბაძეს ბრალდებათ დებოშის მოხდენა პლეხანოვის პროსპექტზე და აგრეთვე კერძო მოქალაქის ფიზიკური შეურაცყოფა.

ვისია რედიკულები?

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი - რეციდივისტი გიორგი ვლადიმერის ძე ჩეჩელაშვილი.

დაპატიმრებისას ჩეჩელაშვილს აღმოაჩნდა 41 ცალი ქალის რედიკული. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, **ოთახი № 7, ტ. კოპალეიშვილთან.**

ხანძარი

გუშინწინ, საღამოს ცეცხლი გაუჩნდა სანაპირო ქუჩაზე (№ 19) მდებარე სამსართულიან შენობას.

ცეცხლი დაიწყო მეორე სართულიდან. ჩქარა დიდი ალი ამოვარდა და ემუქრებოდა მთელ შენობას.

რაზმის მიღებული ზომებით ხანძარი მალე ჩააქრეს.

როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩნდა ღუმელის გაუწმენდობის გამო.

ცენტრალურ ბაზარში 7 დეკემბერს პ. გრიგოროვას მოჰპარეს ქალის ტანისაცმელი.

— **ქურდობა.** 6 დეკემბერს გაქურდეს ბარსელ კანოსიანცის ბინა (ყოფ. სურპ-კარაპეტის შესახვევი № 20). წაიღეს 57 მანეთის საოჯახო ნივთები.

— **გუშინწინ** გალუსტ აბრამოვის აივნიდან (ყოფ. სურპ - კარაპეტის შესახვევი № 8) მოიპარეს ორი რკინის ლოგინი.

— **კარების შემტვრევის** საშუალებით, გაქურდეს მუშკოოპის ხორცის სავაჭრო (პლეხანოვის პროსპექტი № 6).

— **ქურდის დაპატიმრება.** გუშინწინ მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა ტიგრა არუთინ თოროსის ძე ლაზარიანცი.

— **ქურდი ქალი.** გუშინ მილიციამ დააპატიმრა კაზიმირა ფელიქსერის ასული აკერერი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ხელოვნება

„პიკის ქალი“

რა დაშორებულია ჩვენ დროსგან ეს ეპოქა და რა სასაცილონი არიან ეხლა გერმანისებური უსიცოცხლო მარიონეტკები, რომელნიც შეუქმნია გადასული ეპოქის სოციალურ პირობებს და რომელნიც მთელ თავის ცხოვრებას ატარებდენ ქეიფში, ბანქოს თამაშში და სიყვარულის ინტრიგებში. ცხოვრება გიგანტიური ნაბიჯებით მიდის წინ და ამჟამად ყველა ეს პირები იწვევენ მხოლოდ ღიმილს, მეტს არაფერს. ერთად ერთი ცოცხალი სახე ოპერაში არის ლიზა, რომელიც იტანჯება ასეთ პირობებში და ცხოვრობს ნამდვილი ცხოვრებით. ლიზას პარტიას ასრულებდა **სლივინსკაია.** მის მიერ პარტიის ვოკალური შესრულება იყო უნაკლო. ხმა თავისუფლად ისმოდა აუდიტორიაში. სიმღერაში ბევრი იყო კონტრასტები. ხან ლირიზმი, ხან დრამატიზმი. სცენიურად მშვენივრადაა დამუშავებული მთელი პარტია თავიდან ბოლომდე. განსაკუთრებით კარგია დუეტი გერმანთან.

სცენიურად არ შეიძლება გამართლებულად ვსცნოთ **აგრანოვსკის** მიერ შექმნილი გერმანის სახე. არტისტი ამ როლში დაშორებულია იმ სახეს, რომელიც პუშკინმა მოგვცა. მღერის კი კარგად. საუკეთესო სცენაა სცენა გრაფინის საწოლ ოთახში და ყაზარმაში. გრიმი ვერ არის შერჩეული. ძალიან კარგია **რებეზოვა** ნახევრად შეშლილ მოხუც გრაფინიას პარტიაში, განსაკუთრებით, სიკვდილის სცენაში და ყაზარმაში აჩრდილის გამოჩენის დროს. ლამაზი პოლინაა პანტელეევა და მღერის იგი რომანს კარგად. **ქარცივაძემ,** რომელიც გრაფ ტომსკის პარტიას ასრულებდა, უმჯობესია თავი დაანებოს ხმის შეკუმშვასა და ფორსიროვკას, რაც მის სიმღერას არასასიამოვნო მოსასმენად ხდის. ბალადაში ალაგ-ალაგ ისმის დეტონაცია.

თავად **ელეცკის** ლამაზ სახეს ქმნის **ვენაძე.** კარგად მღერის კანონს და არიას პირველ აქტში, მშვენიერად მიყავს ორკესტრი ივანე ფალიაშვილს, რომელიც დრამის ნათელ ილიუსტრაციას იძლევა.

პირველი აქტის დადგმა არ არის მოსაწონი. საჭიროა მეტი რეალიზმის მიცემა მასსიური სცენებისათვის. დანარჩენი სურათები დადგმულია ბოგოლუბოვის მიხედვით და კარგია. ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს პოლინას რომანსის აკომპანიმენტი კულისებს იქით.

კ. ბ.

„მაზეპა“

ვენაძისა და შარაშიძის გამოსვლა

ამ საანგარიშო წარმოდგენაში აუდიტორიის ყურადღების ცენტრი იყო ვენაძის მონაწილეობა მაზეპას პარტიაში და შარაშიძის—კაჩუბეის პარტიაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ სათანადოთ ამ პარტიას მომღერლები, თუ კი ისინი არსებითად შეითვისებენ ამ პარტიებს არა მარტო ვოკალურად, არამედ სცენიურადაც. საჭიროა განცდების დინამიკის მოცემა არა მარტო სიმღერით, არამედ განწყობილების ცვალებადობით, რაც მთავარია ამ ოპერის სცენიურ განსახიერებაში.

მაზეპას პარტია კარგათაა მოფიქრებული **ვენაძის** მიერ, იგი იძლევა კარგ გარეგნულ სახეს, სცენაზე თავი კარგად უჭირავს, მაგრამ პარტია მისგან მოითხოვს უფრო მეტ დეტალურ დამუშავებას. მთელი სცენა ჩხუბისა მომღერალს სწორად ვერ მიყავს, სიცოცხლე აკლია. ჩხუბის დაწყება პირველ აქტში მკაცრი კილოთი დაუშვებელია, საჭიროა ამ სცენის თანდათანობით განვითარება, ვინაიდან სცენის დასაწყისში სიმღერაში ბევრია ლირიული ადგილები, რომელიც მოითხოვს ფრაზის ფართო გაშლას. შემდეგ საჭიროა უფრო მეტი ტემპერამენტის მოცემა ფრაზაში Но поздний жар уже не остынет и с жизнью его покинет. ძალიან კარგია რეჩიტატივები «Тиха украинская ночь» და მთელი სცენა ორლიკთან, მაგრამ მარიასთან სცენაში მომღერალს სჭირდება უფრო მეტი თვალყურის დევნება მოქმედებისათვის და პარტნიორთან კონტაქტში ყოფნა. არიას „О мария“ ვენაძე ასრულებს მუსიკალურად. მარიასთან სცენაში საჭიროა მეტი მონაწილეობა მოქმედებაში, კარგია რეპლიკა Он гетманом меня зовет, был гетман и теперь беглец. მომღერლის ხმა შესაფერია ამ პარტიისათვის და კარგათაც ისმოდა. შარაშიძე კარგად მღერის კაჩუბეის, მაგრამ სახეს ვერ იძლევა. ნათელია დიქცია, მაგრამ ალაგ-ალაგ აქცენტი ისმის. მაზეპას მიღების სცენაში საჭიროა სტუმართმოყვარე მასპინძლის უფრო მეტი აქტივობის გამოჩენა. ჩხუბის სცენა მომღერალმა უნდა განავითაროს თანდათანობით. რეჩიტატივები შეთქმულების სცენაში უნდა იყოს უფრო გაცხოველებული. სცენა ციხეში, რომელიც ყველაზე უფრო დრამატიული ადგილია კაჩუბეის პარტიაში, და მონოლოგი თავიდან ბოლომდე უნდა ჩატარდეს უფრო მეტი განცდით და განწყობილების ცვალებადობით, როგორც თამაშში, ისე სიმღერაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლიბრეტოთ აღებულია პუშკინის პოემის სიტყვები და ამიტომ საჭიროა ყოველი ფრაზის მხატვრული დამუშავება. სცენა სასჯელის წინ მოითხოვს უფრო მეტ გულწრფელობასა და განწყობილებას. ერთი სიტყვით, პარტია მომღერლის მიერ საჭიროებს დეტალურ დამუშავებას. დადგმის მხრივ ოპერა შორდება **ეიხენვალდის** რეალური დადგმის პრინციპებს. ყოვლად მიუღებელია კორდებალეტის ნომერი: მოქმედება სწარმოებს ოპერის სცენაზე და არა ცირკში, არ არის რიტმი, არც ცეკვა, არის მხოლოდ საერთო არევ-დარევა და ჩხუბი. აქ მხატვრულობის ნატამალიც არა სჩანს. ბალეტში ყურადღებას იპყრობს მხოლოდ გოპაკის თამაში.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

სუმბათაშვილი — იუჟინის მოსაგონებელი დილა მოსკოვში

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ 4 დეკემბერს მოსკოვის კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა განსვენებულ ალ. სუმბათაშვილ —იუჟინის მოსაგონებელი დილა.

დილის მოწყობას ხელმძღვანელობდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება. დილაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში მყოფმა ლიტერატურულმა ძალებმა და სცენის მოღვაწეებმა. გამოვიდა აგრეთვე ქართული გუნდი.

◆ **მაიაკოვსკის საღამო.** 9 დეკემ. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მაიაკოვსკის საღამო.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენ“.

◆ **მირა ელიავას კონცერტი.** კონსერვატორიის დარბაზში 10 დეკემბერს გაიმართება მომღერალ ქალის მირა ელიავას კონცერტი.

◆ **„ამერიკელი ძიას გასაბჭოება“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ჯენტლმენი“.

◆ **მ. პოლიაკინის კონცერტი,** რომელიც უნდა გამართულიყო 6 დეკემბ., გაიმართება 11 დეკემბერს.

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობის“ საიუბილეო მე-9 - 10 ნომერი (სექტემბერი-ოქტომბერი). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწინავე—ათი წელი. ლექსები: კ. ბობოხიძის, სანდრო ეულის, იონა ვაკელის, გ. კაკახიძის, ი. ლისაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, შაქრო ნავთლუღელის, ფრ. ნარიუშვილის, პ. ქუთათელაძის, კ. ფლოდოსიშვილის, ილ. ხოშტარია, გ. შინატეხელის, გ. ქუჩიშვილის; ელიზბარ პოლუმორდვინოვის „წარმოდგენა“ (მოთხრობა). ს. ჯავაშნიძე—ურჯულოებზე (მოთხრობა), ს. წვერავა—ოქტომბრის დღეები (მოთხრობა), ვერა ახელი-მეტივე (მოთხრობა); კონსტ. ლორთქიფანიძე—მესამე გზა (პიესა 6 სანახაობად), **თეორია და კრიტიკა:** ბენიტო ბუაჩიძე—პროლეტ. მწერლობის ათი წელი, ვ. ლუარსაბიძე—ოქტომბერი და ქართული ლიტერატურა, ვ. სუტირინი—საბჭოთა ამიერ-კავკასიის თანამედროვე ლიტერატურა, შ. რადიანი—ლიტერატურა მეტყველების საკითხები. დ. რონდელი—ოქტომბერი და მხატვრული ლიტერატურა. სატირა: კონსტან. ლორთქიფანიძე—მოლარესთან. ჟურნალი შეიცავს 212 გვ. და ღირს 1 მან. 40 კ.

შაბიამანის წარმოება

საქართველოში

ს. მ უ. ს. ქიმიო-ტექნიკურმა ლაბორატორიამ ჩაასრულა ცდები კახეთში აღმოჩენილი მაჭახტის მადნებისაგან შაბიამანის ნიმუშების დასამზადებლათ. ლაბორატორიამ უკვე დაამზადა რამოდენიმე კილოგრამი შაბიამანი, რომელიც თავისი ხარისხით ბევრათ უკან მოიტოვებს იტალიურ შაბიამანს და უთანასწორდება ინგლისური წარმოებისას.

შაბიამანის აღნიშნული ნიმუშები დაეგზავნებათ სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ამჟამად საკითხი სდგას მხოლოდ მაჭახტის მადნების მარაგის გამოკვლევის შესახებ. ამის შესახებ სამთო სამმართველოს წინაშე უკვე აღძრულია შესაფერისი შუამდგომლობა და მომავალი გაზაფხულიდან განზრახულია შეუდგენ გამოკვლევებს.

თუ გამოკვლევებმა დაადასტურეს მარაგის დიდი რაოდენობის არსებობა, შემდეგ დაიწყება სხვადასხვა ადგილებზე არსებული მადნის ნიმუშების შესწავლა და მხოლოდ შემდეგ შეუდგებიან ქარხნის აგებას.

სოფლის ნაწარმოების გასაღება

1924 წელს თბილისში დაარსდა მებაღე-მებოსტნეთა კოოპერატიული ამხ-ბები „მდელოსი“, „მებაღე“ და „ბაღის შრომა“. ამ ამხანაგობების დაარსების მიზანი იყო თბილისის და მისი მიდამოების ბაღ-ბოსტნების ნაწარმოების გასაღება უშუალოდ, ჩარჩების შუამავლობის გარეშე. მაგრამ მათი არსებობის 3 წლის განმავლობაში გამოირკვა, რომ მებაღეობა-მებოსტნეობის დარგში რამდენიმე ორგანიზაციის არსებობა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მათ შორის ხშირი იყო ქიშპობა და მეტოქეობა, რაც ხელს უშლიდა სოფლის ნაწარმოების ბაზრის მოწესრიგებას. ამ არანორმალურ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად „სოფლის კავშირმა“ გადასწყვიტა დაარსოს ერთი ძლიერი სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბა. ახალი ამხ-ბის დამფუძნებელი კრება უკვე შესდგა მასზე დამტკიცებული იქნა წესდება და არჩეული იქნა გამგეობა.

ამ ახალი ორგანიზაციის დაარსების გამო გაუქმდა „მდელოსი“ ამხ-ბა „ბაღის შრომა“ და „მებაღე“ ახლო ხანში გადახალისებული იქნებიან მიწის დამამუშავებელ არტელებად. ახლად დაარსებული სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბა აერთიანებს ყოფ. ამხ-ბათა ყველა რაიონებს. ამხ-ბის მიზანია ბაღ-ბოსტნების ნაწარმოების ბაზრის მოწესრიგება, თავის წევრთა მეურნეობის გაუმჯობესება, მათთვის სესხის მიცემა და სხ. ამას გარდა თბილისის და მის რაიონში მებაღეობა-მებოსტნეობის განსავითარებლად ამხ-ბას გადაწყვეტილი აქვს გააძლიეროს აგრო-კულტურული მუშაობა და ამხ-ბის წევრებს მიაწოდოს გაუმჯობესებული თესლეული და საჭირო იარაღები. ამხანაგობამ უკვე შეადგინა თავის მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარე წელში გაასაღებს თავის წევრთა მიერ დამზადებულ 96.290 მანეთის ნაწარმოებს ამავე წელში წევრებს დაურიგებს 52.893 მანეთის თესლეულობას და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და აგრეთვე გასცემს 45 000 მანეთს გრძელ და მოკლევადიანი სესხის სახით.

ბრძოლა სიფილისთან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სტატისტიკური განყოფილების ცნობით, გასულ წელს დაახლოებით ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 3,96 სიფილისით დაავადმყოფების შემთხვევა, ე. ი. სიფილისით დაავადებული იყო მოსახლეობის 0,39 პროც.

დაავადების შემთხვევა განსაკუთრებით მეტად მოდის ქალაქებზე პირველ რიგში თბილისზე, სადაც ყოველ 1000 კაცში სიფილისით დაავადებული იყო 25 კაცი. მაზრებს შორის სიფილისი ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა რაჭის მაზრაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გააფართოვოს სიფილისთან ბრძოლის საქმე და ამ მიზნით გაადიდოს ვენერიულ დისპანსერების ქსელი. ამასთან ერთად გააძლიეროს მოსახლეობაში სიფილისის საწინააღმდეგო პროფილაქტიური მუშაობა.

განსახკომს აგრეთვე განზრახვა აქვს თბილისში დაარსოს ცენტრალური ვენეროლოგიურ-პედაგოგიური დისპანსერი.

რკინისგზებზე

ამნისტიის გასატარებლად

ა.-კ. ტრანსპორტზე ოქტომბრის ამნისტიის შესახებ გამოცემული ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: ა.-კ. რკ. გზ. გამგეობიდან ინჟ. **გ. გვერდწითელი** (თავმჯდომარე) გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან—**ლუნკევიჩი** და ერთი წარმომადგენელი ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტიდან.

კომისიის პირველი სხდომა შესდგება ამ დღეებში.

საქონელი უცხოეთიდან

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს ცნობით, ბათომში საზღვარგარეთიდან მოვიდა ორი დატვირთული გემი. ერთი გემით მოტანილია 200 ვაგონი სხვადასხვა სახის საქონელი „ზაკგოსტორგი“-სათვის, და მეორეთი 100 ვაგონამდე მანქანები „აზნავთისათვის“.

საზამთრო არდადეგებზე

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა რკინის გზებს და მათ შორის ამ.-კავკასიისას, რათა საზამთრო არდადეგებზე სტუდენტების დაუბრკოლებლივ გადასაყვანათ ყოველ მატარებელში, გარდა ჩქარისა მათთვის გამოჰყონ 30-მდე ადგილი.

ამინდი

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობებით, 6 და 7 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში და ამიერ-კავკასიაში ასეთი ამინდი იყო:

6 დეკემბერს დილის 7 საათზე საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში მოღრუბლული იყო. ალაგ-ალაგ მოდიოდა თოვლი. ტემპერატურა: ლენინგრადში—12 გრად., მოსკოვში—15 გრად., კიევში—8 გრად.. ხარკოვში—7 გრადუსი.

ამიერ-კავკასიაში: თბილისში +1 გრად., ბაქოში +1 გრად., ერევანში —8 გრადუსი, ბათომში +4 გრადუსი. თოვლი მოვიდა საქართველოს უმეტეს ნაწილში.

გუშინ საღამოს 9 საათზე უმთავრესად მოღრუბლული იყო, ალაგ-ალაგ ქროდა სუსტი ქარი. ღამით თბილისში მოვიდა თოვლი, ტემპერატურა დაეცა.

ფიზკულტურა

საზ. შეერთების კავშირში

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბთან არსებულ ფიზკულტურის წრეს დიდი გაუმჯობესება ეტყობა შარშანდელთან შედარებით. წრეში სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. ჯერ-ჯერობით კლუბთან არსებობს ტანვარჯიშის წრე, რომელშიც ირიცხება 45 მოვარჯიშე. წრეს აქვს საკუთარი სასპორტო დარბაზი, სავარჯიშო იარაღები და სხ. კავშირის წევრთა თხოვნით, გადაწყვეტილია კლუბთან დაარსდეს ძალოსნობის წრე.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 9 დეკემბერი

9 დეკემბერს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.
ქალების ჩაბმა კოოპერატიულ მუშაობაში—ქართულ ენაზე.
7 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობა—თურქულ ენაზე.
საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.
7 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობა—ქართულ ენაზე.
ობსერვატორიის ცნობები.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ტექნიკური კონსულტაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.
რადიო-გადაცემა იწყება საღამოს 6 საათზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღეს 8 დეკემბერს სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია გზავნის:** ივანე ვლადიმერისძე აზგაიფარაშვილს, რივკა იაკობის ასულ ალადიშვილს, ლევან არკადისძე ოგაჯანოვს, რივა დავითის ასულ გამბურგს, იგორ სერგოსძე ეარკოვს, გიოტლიბ იგახესძე შპრეიცს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს (წიგნ. № 12523).

თქვენ გვწერთ, რომ 1924 წელს შეირთეთ ცოლი და 1926 წელში კი მას გაეყარეთ. იგი დღესაც თქვენ ბინაზე ცხოვრობს დღემდის. ბინა ითვლება ორდერით თქვენს სახელზე. ყოფ. ცოლი ნებაყოფლობით არ გადადის სხვაგან. თქვენ გინდათ მისი გამოსახლება ადმინისტრატიული წესით და გვეკითხებით გაქვთ თუ არა ამის უფლება.

გიპასუხებთ:

ადმინისტრატიული წესით გამოსახლება დაიშვება მხოლოდ იმ პირების და იმ ფარგლებში რაც აღნიშნულია საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს ა.-წ. 20 მარტის დეკრეტში (იხ. ა.-წ. „კომუნისტი“ №№ 99 და 101). თქვენი ყოფ. ცოლის გამოსახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედვას ყოფ. მეუღლეთა ეკონომიური, მატერიალური და სხვა შესაძლებლობანი ახალი ბინის მოსაძებნად. თუ კი თქვენი ყოფ. ცოლი ამ მხრივ თქვენზე უფრო სუსტი აღმოჩნდება, სასამართლომ იგი უნდა დასტოვოს ძველ ბინაზე. თქვენ კი უნდა გამოსახლდეთ, რადგან თქვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია.

ნ. [illegible]

პასუხი

დაზღვეულებს უფასოდ მიეცემათ წამლები მხოლოდ იმ რეცეპტებით, რომელიც შემოწმებულია საბჭოთა ამბულატორიის ან და რაიონულ ექიმის მიერ.

დ. აბაშის მილიციის თანამშრომელს

გ. ნოდიას.

პასუხი

მუშა-მოსამსახურე მიიღებს დამზღვევ სალაროდან დახმარებას (ერთდროულს ბავშვების დაბადების გამო და ცხრა თვის განმავლობაში რძის ფულს ბავშვის საკვებად) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი იგი განუწყვეტლივ დაქირავებით მუშაობდა არა ნაკლებ ექვსი თვისა და ამავე ხნის განმავლობაში იყო დაზღვეული.

თქვენ კი, ამხანაგებო, გიმსახურიათ მილიციაში არა უმეტეს სამი თვისა. აქედან ცხადია, რომ თქვენ რძის ფულს დამზღვევ სალაროდან ველარ მიიღებთ, მით უმეტეს, რომ თქვენი ბავშვი დაბადებულა ა.-წ. 24 მაისს, (როდესაც თქვენ არ მსახურობდით), თქვენ კი სამსახურში შესულხართ მხოლოდ ა.-წ. 10 სექტემბერს. (იხ. სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილება № 122 1927 წ. 9 მაისიდან).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის** არსენალის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა კომუჯრედებს მორიგ პარტდღეს 9 დეკემბერს, უჯრედთა კრებებზე დამუშავებულ იქნას შემდეგი საკითხები: 1) პარტთათბირის სვლის შესახებ. 2) კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ანგარიში, 3) თბილისის კონფერენციის შედეგები (შეძლებისდაგვარად).

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის** არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., 96), შესდგება საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობასთან არსებულ ფრაქციების თათბირი. აღნიშნულ ორგანიზაციის გამგეობაში და სარევიზიო კომისიაში შემავალ კომუნისტთა დასწრება აუცილებელია.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის** არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ავტო-კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., 129), მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი არსრაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად. რაიკომის წევრ კანდიდატთა და უჯრედთა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

— **დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე,** ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის პლენუმი.** რაიკომის წევრ-კანდიდატების სარევიზიო კომისიების წევრების და ქალაქის რაიონის უჯრედთა მდივნების დასწრება—სავალდებულოა.

— **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, სრულ 12 საათზე, შესდგება ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა. საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება უჯრედის საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) ბიუროს ანგარიში, 2) ბიუროს არჩევა, 3) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრი და კანდიდატი ყოველ მიზეზ გარეშე დაუგვიანებლივ უნდა გამოცხადდეს. სხდომა შესდგება უნივერსიტეტის კლუბში.

— **სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა** შესდგება დღეს, 8 დეკემბ., **სრულ 12 საათზე.** ბიუროს წევრების და კანდიდატების გარდა კრებაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე სხვადასხვა უჯრედებთან კავშირის დასამყარებლად გამოყოფილი ამხანაგები საანგარიშო მოხსენებების გასაკეთებლად. კრებაზე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგებიც, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადასარიცხავად.

— **პოლიტექნიკური ფაკულტეტთან** არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, დღის 2 საათზე. ბიუროს სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ: 1) კაკაბაძე დავით და 2) მებუკე. ამავე დღის საღამოს სრულ 8 საათზე შესდგება ამავე უჯრედის საერთო კრება (უნივერსიტეტის კლუბში). დღის წესრიგი: 1) ბიუროს ანგარიში, 2) ბიუროს არჩევნები, 3) მიმდინარე საკითხები.

გულდათუთქული მეუღლე ნინა ნიკოლოზის ასული შვილი, პატარა თეიმურაზი დედ-მამა ნიკო და ტერეზი, და დარეჯანი, ძმები ილიკო და ვალიკო კილაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ძვირფასი და საყვარელი—პირველის დაუვიწყარ მეუღლის, მეორის საყვარელ მამის და დანარჩენების დაუვიწყარ და ძვირფასი სიძის

ნიკოლოზ ფილიპესძე დარჩიას

უდროოთ გარდაცვალების წლის თავზე ხუთშაბათს, 8 დეკემბერს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. ჯუმათში ნაშუადღევის 1 საათზე. 698

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ნინო ალექსანდრეს ასული, შვილები მარიამი მიხეილის ასული ლომიძისა, სოფიო, ანნა, თამარა და გიორგი, შვილიშვილები რომან ლომიძე და გიოზ შადური, რძალი ვერა ლომიძის ამით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ უეცრად გარდაიცვალა

მიხეილ ბექანისძე ჯანაშვილი

დაკრძალვა - კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან — ანტონოვის ქუჩ. № 21, ხუთშაბათს, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 695

აპოლო — სეზონის საუკეთესო სურათი „ჰ ა მ ბ უ რ გ ი“ რეჟისორი ვ. ბ. ბალიუზეკ. მხატვარი—მაიზენვერგ.
არფანსტო — ყოველდღე ანშლაგები მესამე კვირა „პ ო ე ტ ი და მ ე ფ ე“
სოლეი — მხატვრული სურათი „მოხეტიალე ვარსკვლავები“ ორიგინალური სიუჟეტი. მშვენიერი თამაში.
დარბაზი — უკანასკნელი 3 და 4 სერია „ბუკ-რაველ“
ანონსი. მალე მსოფლიო შედევრი „ვ ა რ ი ე ტ ე“ 0—6

ცირკი „კოლოს“
ტელ. 16—67

სამშაბათს, 6-ს, ოთხშაბათს 7-ს, ხუთშაბათს, 8-ს და პარასკევს 9 დეკემბერს **გრანდიოზული სანახაობანი** 3 განყოფ 14 №№ დამს. მსახიობთა ძმ. ტანტების მონაწილეობით. გრძელდება საქვეყნოდ ცნობილ ჰიპნოტიზიორის **ტო-რამას (თავისი მხეცებით) გასტროლი. ყველამ უნდა ნახოს ტო-რამა.** დასაწყისი 8½ საათზე. სალარო 12-დან 2 საათ. და 5 საათიდან.

ბ. 306 4—1 დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

მიიღება ხელის მოწერა

1928 წლისათვის საქარ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყოველკვირეულ საგლეხო გაზეთზე 1928

„ახალი სოფელი“

გაზეთი ღირს: ერთი წლით—1 მან. ექვსი თვით—60 კაპ. სამი თვით—40 კაპ.

გაზეთი გამოდის ოთხჯერ თვეში: სამი ნომერი—ჩვეულებრივად, ხოლო ერთი ნომერი—საგანგებო—16 გვერდზე, **გაუმჯობესებული შინაარსით—ლიტერატურული და იუმორისტული (სახუმარო) განყოფილებით.**

გაზეთის გამოსაწერად უნდა მიმართოთ სოფლის მასწავლებელს, ქოხ-სამკითხველოს გამგეს, გლეხკომის თავმჯდომარეს, გლეხკორს, კოოპერატივში მომუშავეს ან თვითონ რედაქციას.

„ახალი სოფლის“ გავრცელებაზე გამოცხადებულია შეჯიბრი (კონკურსი), რომელშიაც ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ვინც მოისურვებს შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას, ან გაზეთის ჩვეულებრივ პირობებში გავრცელებას (ეძლევა 10 პროცენტი), უნდა მიმართოს რედაქციას და გადაეგზავნება: ხელის მოწერის სიები, საქვითარო წიგნაკები, მოწოდების და პირობების ფურცლები.

1927 წელს „ახალი სოფელი“ 55 ათასი იბეჭდებოდა. 1928 წელს კი გაზეთის ტირაჟი 100.000 უნდა გავხადოთ!

მომავალ წელში რედაქცია აგრძელებს ჟურ. „სოფლის კომუნისტი“-ს და „სოფლის მეურნეობის“, აგრეთვე გაზ. „მოჯამაგირის ხმას“ გამოცემას.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11 „ახალი სოფლის“ რედაქციას. 4—1

კინო **აპოლო**
დღეს და ყოველდღე
სეზონის საუკეთესო სურათი

ჰამბურგი

გრანდიოზული მასიური სცენები
საინტერესო სიუჟეტი
დადგმა რეჟ. ვ. ბალიუზეკის.
მხატვარი—ხუროთმოძღვარი—მაიზენვერგ.
ოპერატორი—ნ. ი. რონა.
სურათი ყველგან განსაკუთრებულის წარმატებით იქნა ნაჩვენები.
სალარო ღიაა 5 საათზე 15 წ.
სეანსების დასაწყისი 6 ს. 30 წუთზე. ბ. 318

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ილსმენი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქ. 288

სია გაზეთ „კომუნისტი“-ს

იმ ხელის მომწერლებისა, რომლებიც არ ღებულობენ გაზეთს

სახელი და გვარი	ქვით. №№
ძებისაშვილი	2529
გამყრელიძე ანნა	1706
ჯავახოვა	2575
ნადირაძე ოლგა	1706
ბედაშვილი	2638
ფანჯარაძე	2655
მჭედლიძე ანნა	1706
ბაღების სკოლას	2185
ელბაქიძე	1978

აღნიშნულ ხელის მომწერლებს სთხოვენ გვაცნობოთ თავიანთი სწორი მისამართი, რათა გაზეთის გზავნა იქნეს განახლებული.

გაზეთ „კომუნისტი“-ს ექსპედიცია
მისამართი: კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, ტელ. 5—43.

განათლების სახ. კომისარიატი

ამით აცხადებს იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილი ყავთ შვილები, ან ნათესავები თავიანთ კმაყოფაზე, ვალდებულნი არიან დღიდან ამ განცხადებისა ერთი კვირის განმავლობაში გაიარონ რეგისტრაციაში განსახკომში (ოთახი № 1).

რეგისტრაციაში გასატარებლად შემოღებულია სათანადო სარეგისტრაციო ფურცელი, რომლის მიღება შეიძლება იქვე.

იმ პირთ, რომელნიც აღნიშნულ რეგისტრაციაში არ გატარდებიან აკრძალული ექნებათ ვალუტის გადაგზავნა.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 14 დეკემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 18 სასადილო „სხივ“-ში რუსთაველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვლადიმერ და ივლიანე ჩიოვანების მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, საყინულეს, პილეხნის ქვაბებს, სტოლსაფრებს, თეფშებს, და სასადილოს ხვადასხვა მოწყობილობას შეფასებულს 274 მანეთად, საკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 მარტის 1927 წ. თარიღით, № 1063 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 317

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 12 დეკემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 152 ელისაბედის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. ამხანაგობა „ტრიოხგორხი“-ს მოძრავ ქონებას: რექტიფიკაციო ქარხანას მთელი თავისი მოწყობილობით შეფასებულს 6 000 მანეთად, სურსათგემოვნების კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 და 9 სექტემბრის 1927 წ. თარიღით, № 3251, 3414 და სხვ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ბ. 316

1927 წ. 15 დეკემბერს, დილის 11 საათიდან, მანგლისის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელ თ. ა. დანელია

ადგ. დ. მანგლისში—სავაჭრო მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება სოფ. ნაპილნარისა მცხ. მუნიამალი ალავერდიოღლის კუთვნილ ერთ კამეჩს და ერთ ძროხას შეფ. 135 მანეთად და იმამ კული-ოღლის ერთ ძროხას შეფ. 70 მან. თანახმად აღბულაღის უბ. სახ. სასამართლოს მიერ გაცემული აღმას. ფურც. № 2492, მცხ. სოფ. დიდ თონეთში, დათა მჭედლიძის და სოლკა თაქთაქიშვილის სარჩელის დასაკმაყოფილებლად. ბ 120

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 10 დეკემბერს 1927 წ დღის 12 საათზე, ადგილობრივ სოფ. ტყვიავში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასო პავლიაშვილის მოძრავ ქონებას: ერთ ძროხას, ერთ დეკეულს, ერთ ტახტს, ერთ ტანისამოსის შკაფს, ერთ სარკეს და სხვას სულ შეფასებულ 115 მან. ვანო ზანგურაშვილის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად და 11 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ. კოშკაში ნიკა და გორა შავერდენიძეების მოძრავ ქონებას; ერთ დიდ ტახტს, ერთ ფარდაგს, ერთ ხალიჩას, ღვინოს, ერთ მოზვერს, ვაშლს, სიმინდს და სხვ. სულ შეფასებულ 196 მან. ოლა და თამარა შავერდენიძეების ვალის დასაკმაყოფილებლად.

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავად ყოფობის (სისხვენი, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ს. ა. დიშელი
დაამთავრა
სილამაზის ინსტიტუტი
პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო-მასაჟი - სინათლით, ორთქლით, კოსმეტიური, ვაპორიზაცია,—სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, ჭორფლს, საქლების გადიდებას და სხ. საპირიო ქ. № 22. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 - 9 საათ. საღამოთი 6—7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე
კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის) 25—1

ექიმი
გ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის ბ. 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ვენერიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოლანოვის ქ., № 20 1—25

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 სექტემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4—6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1.

დავკარგე საპენსიო წიგნაკი ეკატერინე ხარაზოვის სახელზე, ჩ. გ. 702

დავკარგე პირადობის მოწმობა ტარასი ფანჯაკიძის სახელზე, ჩ. გ. 701

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 746—ივანე იასონის-ძე საკალოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 699

დავკარგე ჯვრის წერის მოწმობა მოცემული მმაჩი განყ. მიერ ბალვა მოსეს-ძე გოგოლაძის სახელზე, ჩ. გ. 699

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 354 მარიამ ყიფიანის სახელზე, ჩ. გ 697

დავკარგე გრძელვადიან შვებულების წიგნაკი და სააღრიცხვო ბარათი მიხეილ ნიხნისიძის სახელზე, ჩ. გ. 700

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 72160 ხავა ისაკის ასული ოჩარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 689

დავკარგე ცხრაწლედის დამთავრების დროებითი მოწმობა № 2138, გაცემული ქუთაისის პირველი ცხრაწლედის მიერ და პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 14845, ბიძინა იოსების-ძე ბაბაკაძის სახელზე, ჩ. გ. 707

დავკარგე უმუშევრობის დაზღვევის წიგნაკი № 10198 | 714—კალენი ე ჯანბერიძის სახელზე, ჩ. გ. 704

დავკარგე პირადობის მოწმობა, და ანგარიშები ბაღი „არტ[illegible]“ [illegible] მიერ ხელმოწერილი, დაუწერავი თ. მასუქი 80 მ. საგა ელიძეს მიერ ხელმოწერილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე ჭანკოტაძის სახელზე, ჩ. გ. 703

დავკარგე სამხედრო წიგნაკი ფ. № 4, № 251, ილია ერმალოვის-ძე გამცემლიძის სახელზე, ჩ. გ. 706

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი (ფ. 7) № 64, ბაგრატ ბებნაძის სახელზე, ჩ. გ. 706

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68